VOYAGER

BY SOLO

გერმანია

გამოცემა 9/2017

მოგზაურობა • ფოტოგრაფია ფილმი • ასტრონომია • არქიტექტურა • დიზაინი • სპორტი

ROBERT DE NIRO and BENJAMIN MILLEPIED, NY, 9am

DISCOVER THE CONVERSATION AT ZEGNA.COM #ZEGNACONVERSATIONS

RADO.COM

RADO
SWITZERLAND

TIME IS THE ESSENCE WE ARE MADE OF

RADO DIAMASTER GRANDE SECONDE
PLASMA HIGH-TECH CERAMIC. METALLIC LOOK. MODERN ALCHEMY.

ARTTIME
შენი შვეიცარიული საათი
www.arttime.ge

აღმოაჩინე მშვენიერება

#DOSeeTheWonderful

PANDORA

pandora.net

აღმოაჩინე PANDORA-ს ზამთრის ახალი კოლექცია
TIME-ის ფილიალებსა და PANDORA-ს კონცეპტუალურ მაღაზიაში.

TIME

რუსთაველის 46
პეკინის 18
ს/ც ჯი-თი-სი
ს/ც თბილისი მოლი

ს/ც ისთ ფოინთი
აღმაშენებლის 98
+995 322 000 280

ბერლინი
უბნები / ღირსშესანიშნაობები
მუზეუმები / სასტუმროები
რჩეული მარშრუტი
მგზავრობა / რესტორნები / კაფეები
საუზმე / ღამე / ბაზრობები
ბარები / კლუბები / შოპინგი — 14 / 51

გერმანია — 52

ბერლინი — 54

ბერლინის მითოსი — 56

სპეციალური ყურები ვაგნერის ფესტივალისთვის — 60

გაძლიერებული გერმანული — 68

რაც ნაკლები, მით უკეთესი — 70

მომავლის მშენებელი — 74

ელექტრონიშე დოიჩლანდ — 78

დასლერების საგა — 82

საუნივერსიტეტო ქვეყანა — 86

აზიური საზარეული გერმანული სოუსით — 88

გასტრონომია
ქერქები / ტკბილეული / ძეხვი / ყვები
„რისლინგის სასწაული“ / გერმანული ღუდი — 92 / 99

OKTOBERFEST — 100

ქალაქები
მუნხენი / ჰამბურგი
ფრანკფურტი / კიოლნი / პოტსდამი
დრეზდენი / ბადენ-ბადენი / ბრემენი — 102 / 126

VOYAGER by SOLO რედაქციისაგან

ბერლინის უმთავრესი ღირსება თავისუფლებით გაჟღენთილი ჰაერია; და კიდევ, ამ უნიკალური უნარი – ყველა ეპოქაში ხელახლა გამოიგონოს საკუთარი თავი.

ბერლინის თავისებურებებში მუდამ ვლინდება უსაზღვრო ფანტაზია და თავისუფლებისადმი ერთგულება. საკმარისია, ერთი დღე მაინც გაატარო ამ ქალაქში და, თავისუფლების ბერლინური შეგრძნება ისე უხმაუროდ, თითქოს ჰაერთან ერთად გერტყმის გარს, რომ თამამად შეგიძლია გაიმეორო: Ich bin ein Berliner – მეც ბერლინელი ვარ. აქ თავს ნამდვილად ისე გრძნობ, როგორც სახლში.

პერგამონის მუზეუმში არსებული საკურთხევლით დაწყებული, კლუბ Berghain-ით, ანუ ცეკვის „ტაძრით“ დამთავრებული, ბერლინი უამრავი რამით გაგაოცებთ. ნახევარი საუკუნის განმავლობაში ორად გაყოფილი ქალაქი დღესდღეობით ერთიანი კულტურული ფენომენია. ის წარსულისა და მომავლის, კულტურისა და სუბკულტურის ერთობლიობაა, რომელიც სულ მოძრაობს, სულ რაღაცას ქმნის, და არასდროს სძინავს. ბერლინი დაბალი ფასების, კრეატიული არტისტული სცენების, უზარმაზარი ურბანული მწვანე სივრცეებისა და სახელგანთქმული თავისუფლების განუმეორებელი კოქტეილია.

მუდმივად განახლებადი და ცვალებადი ბერლინი ურბანული განვითარების გონივრულმა პოლიტიკამ ახალგაზრდობის მსოფლიო ცენტრად აქცია; კულტურული ინფრასტრუქტურის გაფართოებამ და ამ სფეროს დაფინანსების სწორად არჩეულმა მოდელმა კი შემოქმედებითი ენერგიის ახალი ამოფრქვევა განაპირობა.

ბერლინი დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული მილიონობით ახალგაზრდისათვის საუკეთესო ასპარეზია საკუთარი შესაძლებლობების აღმოსაჩენად და გამოსავლენად. ამიტომაც იყრიან თავს აქ რჩეული არტისტები, შემოქმედი ინოვატორები, მეცნიერები, ახალი თაობის ბიზნესმენები; ასევე, ნიჭიერი შეფ-მზარეულები, რომლებმაც სულ რამდენიმე წლის განმავლობაში ქალაქი თანდათანობით კულინარიულ სამოთხედ გადააქციეს და, კულტურული თვალსაზრისით, სრულიად განსხვავებული რესტორნებითაც გაამდიდრეს.

XXI საუკუნეში ბერლინმა ახალი სახე ჯიუტად და მიზანდასახულად შეიძინა. იმ დროიდან მოყოლებული, დღემდე ცოტა ქალაქი თუ შეედრება მას ნოვატორობით, სისხლსავსე ცხოვრებითა და მოწესრიგებული ყოფით.

საკუთრივ, მხოლოდ თქვენთვის, აუცილებლად უნდა აღ—მოაჩინოთ ბერლინი, რომელიც, როგორც ჩვენი ავტორი აკა მორჩილაძე ამბობს: „დიდი ქალაქია, ოდინდელი საიმპერიო სუნთქვით და მოედნებით, ლეგენდარული შენობებით, ღრმა ისტორიითა და პერსონაჟებით, საოცარი მუზეუმებით, ძველი ხეივნებით, უზარმაზარი მაღაზიებით, ტრანსპორტით, ათასი ეროვნების ადამიანით, მაგრამ მაინც სულ სხვაა. რაღაც თითქოს ამოუცნობი ურბანული მაგიით, ისე ხდება, რომ ტურისტისთვისაც კი მთავარ რამედ არა მაინცდამაინც ბერლინის განთქმული ადგილების დათვალიერება იქცევა, არამედ ამ ქალაქის ყოველდღიურობა. სწორედ ახლანდელ ბერლინში ცხოვრებაა ამ ქალაქის მთავარი ატრაქციონი“.

გახდით SOLO მოგზაური, გაეცანით Voyager by SOLO-ს რჩევებს გერმანიისადმი მიძღვნილ გამოცემაში, იგრძენით ბერლინის განსაკუთრებული ხიბლი და სწორედ დედაქალაქიდან დაიწყეთ ამ საოცარ ქვეყანაში მოგზაურობა.

მთავარი რედაქტორი
თეა სხიერელი

VOYAGER BY SOLO

9, 2017

მთავარი რედაქტორი
თეა სხიერელი

დიზაინერი
ნინო ყაველაშვილი

მხატვარ-ილუსტრატორი
მაია სუმბაძე

სტილის რედაქტორი
ნინო ლურსმანაშვილი

ფოტო – **Shutterstock**
GNTB

ავტორები:
აკა მორჩილაძე
ლაშა ბუღაძე
სალომე დადუნაშვილი
ნინო დარასელი
ბიძინა ბარათაშვილი
კახა თოლორდავა
ზუკა ბაბუნაშვილი
გიორგი მაისურაძე
ნიკოლოზ ჩხაიძე
მარინა ყიფშიძე
ციუკა ყიფშიძე
ირინა ბაგაური
მარიკა შალიკაშვილი
ნანუკა ჯავჯანიძე

ადმინისტრაციული თანაშემწე
გიორგი ვასაძე

სარეკლამო გაყიდვების მენეჯერი
ნაზი გოშაძე

პროექტის ხელმძღვანელი / SOLO-ს დირექტორი
ეკა დუჩიძე

პროექტის კონსულტანტი
ნინო გეგეშიძე

SOLO-ს ბრენდმენეჯერი
ქეთი ნიკოლეიშვილი

SOLO

გამომცემელი: შპს „სოლო“
ვებგვერდი: www.solo.ge
ტელ.: +995 32 2 44 44 00
ISSN: 2346-8130

რეკლამა ჟურნალში: +995 599 330 364

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს შპს „სოლოს“ საკუთრებას. ჟურნალში დაბეჭდილი ნებისმიერი მასალის გამოყენება კომპანიის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.

AMERICAN EXPRESS

Platinum-ი გასაოცარი სამყაროა, სადაც წინ გელით მრავალფეროვანი შეთავაზებები, უპირატესობები და გამოცდილება...

Platinum-ის დახმარებით თქვენ შეძლებთ:
- გყავდეთ პირადი კონსიერჟი;
- დაგეგმოთ მოგზაურობა:
  - დაისვენოთ განსაკუთრებული პირობებით მაღალი კლასის სასტუმროებში;
  - ეწვიოთ 1 000-ზე მეტი აეროპორტის ლაუნჯს 120-ზე მეტ ქვეყანაში;
  - ისარგებლოთ სასტუმროების ლოიალურობის პროგრამებით;
- აღმოაჩინოთ ცხოვრების ახალი სტილი American Express Invites-თან ერთად;
- დააზღვიოთ თქვენი მოგზაურობა და სხვ.

გახდით SOLO CLUB-ის წევრი, გაიზიარეთ American Express Platinum-ის ახალი გამოცდილება და ისარგებლეთ სპეციალურად თქვენზე მორგებული მრავალფეროვანი უპირატესობებით.

SOLO CLUB-ი თქვენთვის მხოლოდ სრულყოფილ მომსახურებას უზრუნველყოფს.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ თქვენს SOLO ბანკირს ან დაგვიკავშირდით ნომერზე: (0 32) 2 44 41 00

www.solo.ge

ტელ.: +995 32 2 44 44 00

ავტომობილის დაზღვევა SOLO მომხმარებლებისთვის

დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ თქვენს SOLO ბანკირს

ალდაგი

2 444 999

ALDAGI.GE



ბერლინი

სალომე დადუნაშვილი

ბერლინში ხშირად წვიმს, მონოტონურად, საქმის ცოდნით. ზამთარში ადრე ბნელდება და თუ ჩრდილოეთის ქარმაც დაუბერა, შეიძლება თოვლის ციგაზე ამხედრებული ყინულის დედოფალი მოგელანდოს.

მერე რა?!

სამაგიეროდ ბერლინი ის ქალაქია, რომლის თავისუფლებით გაჟღენთილი ჰაერის პირველივე ჩასუნთქვაზე ნებაყოფლობითი არითმია გეწყება და გრძნობ, რომ ყველაფერი შესაძლებელია მოხდეს. ყველაფერი შესაძლებელია.

რა უცნაურია ეს ქალაქი, როგორი ნამდვილი და თან ირეალური. აი, მოდიხარ თითქოსდა პოსტსაბჭოთა, თითქმის უსახურ ქუჩაში გაზაფხულის ერთ ნაცრისფერ დღეს. კარგი უბანია, კომფორტული, ტრამვაი სულ დროზე მოდის, სკვერებში ბავშვები თამაშობენ, გამვლელები სადღაც საქმიანად მიიჩქარიან, დედები ჩვილებს ასეირნებენ ეტლით...

მოდიხარ ჰაერში გაფანტული წვიმის წვეთებით დასველებულ ქუჩაზე, ჩაუვლი საცხობს, მერე სადომაზოხისტური ტანსაცმლის ატელიეს, მერე ბანკის ფილიალს. ბოლოს საშუალო, ევროსტანდარტული გერმანელებით სავსე რესპექტაბელურ, გაკრიალებულ სახლს მიადგებ. ეზოში სარეკლამო ფურცლებით გამოტენილ საფოსტო ყუთებს გაუსწორდები, მიესალმები საროსკიპოს მუშაკს, რომელიც ზუსტად, დაგვიანების გარეშე მოდის სამსახურში და ბინისკენ მიმავალ კიბეს აუყვები. საროსკიპო პირველ სართულზე ქირაობს „ოფისს“. აქ სრული სიჩუმე სუფევს დღეც და ღამეც, არავინ არავის აწუხებს. წესრიგია.

ხომ ამბობენ ადამიანებზე, კამერას უყვარსო. ბერლინიც ასეა, ნამდვილად უყვარს კამერას. ეს ათასჯერ ნაწილებად დაგლეჯილი და დანგრეული ქალაქი თავისი წვიმიანი შემოდგომით, გაუთავებელი ზამთრით, გვიანი გაზაფხულით და ფერადი ზაფხულით – უდიდეს კინორეჟისორთა მუზაა. ცოტათი არეული სახით, მაგრამ სრულიად განუმეორებელი.

ყველაზე ხანგრძლივი და უმოწყალო ურბანული ექსპერიმენტის მსხვერპლი. ექიმ მენგელეს ტყუპებივით გაწამებული, ორად გაჭრილი ქალაქი. კედლის აქეთ-იქით მიმდინარე პარალელური ცხოვრება რომ უნდა აეტანა. ბერლინმა აიტანა, გაუძლო და ბოლოს წლობით დაწნეხილი თავისუფლების ლავამ ისეთი ძალით ამოხეთქა მის ქუჩებში, რომ დრო გადის და ამაზე უფრო თავისუფალი ველი მაინც ვერ შობა ევროპამ.

ალექსანდერპლაცის კოშკის ცემენტის ღერძზე წამოცმული შუშის ბურთი დედამიწასავით ბრუნავს. დასავლეთ ბერლინის უპირატესობის საჩვენებლად ჩაფიქრებული ეს სფერო დღეს ბერლინის ერთიანობის სიმბოლოა.

დასავლეთის სიმბოლო – ბერლინის კინოფესტივალი უკვე აღმოსავლეთში ტარდება და თებერვლის ყინვაში თამამად გაშიშვლებული ვარსკვლავები წითელ ხალიჩაზე სწორედ აღმოსავლეთის მიწას თელავენ.

ეს ქალაქი იმდენ ხანს ჰყავდათ გაწყვეტილი წელში ზედმეტად ვიწრო კორსეტივით გადაჭერილი კედლით, რომ როგორც ემანსიპირებული ქალი ვეღარ გადაიტანს მარწუხებში მოქცეულ სხეულს, ისე ეს ქალაქიც ვეღარ აიტანს ახლა ვერაფერს – თავისუფლების გარდა.

ბერლინის გულში გავლებული კედლის ნანგრევების თითო-თითო ნატეხი მთელ მსოფლიოს ერგო, კედლის ადგილზე გამოთავისუფლებული სუფთა ჰაერი, მილიონ ჩასუნთქვად – ევროპას.

თავისუფალ ქალს ჰგავს ბერლინი. მოკლედ შეჭრილი ჟღალი თმით, თხელი ტუჩებით, ხმელკუნთიან ფეხებზე კარგად მორგებული, თითქოსდა საცეკვაო ფეხსაცმლითა და დაუფარავი სექსუალურობით.

მის გულისცემას ტრამვაის ხრიგინი ითვლის. მას არაფრის ეშინია, თამამად კვეთს ჩაბნელებულ პარკებს და თავისუფლად შედის დეკადენტურ, სიგარეტის ბოლით გაჟღენთილ სივრცეებში, სადაც ასეთივე თავისუფლები ელიან.

ღამის ბერლინი კლუბების უწყვეტი რიტმით ვიბრირებს. ცემენტის კედლები ახალი მუსიკის შრიალს ისხლეტს. მოციმციმე სინათლეში ასობით სხეული რიტმულად ირხევა. აქ ყველაფერი ისეა, როგორც იყო – ყველაფერი სხვანაირადაა.

ბერლინი იცვლება. ყოვლისშემძლეობის, ყველა კარის გასაღების ქონის თითქმის ველური შეგრძნება, რომელმაც ეს ქალაქი 90-იან წლებში მოიცვა, ნელდება. აღმოსავლეთი დასავლეთს ემსგავსება, დასავლეთი – აღმოსავლეთს, ორივე ერთად – ახალ ბერლინს.

ჩექპოინტ ჩარლიც ბევრისთვის მხოლოდ კარგი სელფის გადაღების შანსია თითქოს, მაგრამ წვიმიან დღეებში, როცა საცხობს და სადომაზოხისტური ტანსაცმლის სამკერვალოს ვიტრინაში გამოფენილ ტყავის შორტებს ჩაუვლი გვერდით, ყველაფერი თითქოს ისევ ისეთია, როგორიც თავისუფლების იმ გიჟურ წლებში იყო.

რაც მთავარია, სიყვარული არსად წასულა.

ყოველ დილით, სახლიდან გამოსულს, საროსკიპოს კარებზე მიკრული წითელი ვარდი დაგხვდება. ჰო, და კიდევ – წარწერა: „სოფი, მიყვარხარ“.

MITTE

ქალაქის ცენტრი და მთავარი მუზეუმები

მიტე ქალაქის ისტორიული ცენტრია, სადაც სამუზეუმო კუნძულისა და ნიკოლაიფირტელის ტერიტორიაზე XIII საუკუნეში პირველი დასახლებები გაჩნდა. აქვეა სამეფო ეპოქისა და კაიზერის დროის ბერლინის ღირსშესანიშნაობები.

გასაკვირი არ არის, რომ საბჭოთა კავშირმა ბერლინის ომისშემდგომი გაყოფის დროს სათავისოდ სწორედ ეს მსუყე ლუკმა მოისურვა. გდრ-ის „სამახსოვროდ“ კი მიტეში ალექსანდერპლაცი და სატელევიზიო ანძა შემორჩა.

TIERGARTEN

მშვიდი სკვერები და თანამედროვე არქიტექტურა

ეს უბანი ამჟამად Mitte-ს ნაწილია და სახელი უზარმაზარი ტყიანი პარკის პატივსაცემად ჰქვია, რომელიც სადგურ Zoo-დან Brandenburger Tor-ამდეა გადაჭიმული. ამ მწვანე მიდამოებს კვეთს Straße des 17. Juni, ჩრდილოეთით კი მდინარე შპრეე ესაზღვრება.

აქვეა Haus der Kulturen der Welt, Reichstag-ის შენობა და Bundestag, Schloss Bellevue Konrad Adenauer Foundation, Bauhaus-ის არქივი, Gemaldegalerie, Philharmonie და ახალი Potsdamer Platz – მაღაზიების, სასტუმროებისა და კინოთეატრების უზარმაზარი კომპლექსი. როგორც ომამდელ პერიოდში, ისე ახლაც Tiergarten-ი საელჩოების უბანია.

CHARLOTTENBURG

გონივრული განაშენიანება და ხარისხიანი შოპინგი

სამაგალითოდ მოვლილი შარლოტენბურგი მუდმივად ცვალებად ბერლინში სტაბილურობის ღირსეული მაგალითია.

სამკილომეტრიანი ქუჩა Ku'damm ბისმარკმა 1881 წელს გერმანულ Champs-Elysees-დ აქცია და ლიბერალური ბურჟუაზიის საუფლო ფუფუნების ცენტრად გადაიქცა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნანგრევებიდან აღმდგარი, შემდგომ პერიოდში კი ბრიტანელების ზონად გამოცხადებული Charlottenburg-ი ყველაზე კარგად გიამბობთ ბერლინის წარსულის შესახებ.

WILMERSDORF, GRUNEWALD

მდიდრული უბნები და ტყით გარშემორტყმული ტბები

ეს უბანი Ku'damm-ის ქუჩის სამხრეთით მდებარეობს და ტურისტული და საშოპინგო აქტივობებით გამოირჩევა. ეს დიდი დასახლება განიერი ტრასებითაა დასერილი. ამის გამო ხანდახან გარეუბნის შთაბეჭდილებასაც ტოვებს.

Wilmersdorf-ი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღადგინეს. ის წყნარი, მართლაც სადა დასახლებაა. აქ რამდენიმე კარგად შემონახული არქიტექტურული ღირსშესანიშნაობაა.
სამხრეთ-დასავლეთით ტყეებისა და ტბების უბანი Grunewald-ია – ძალიან შეძლებული ადამიანების დასახლება, რომლებიც ხეებში მიმალულ მდიდრულ ვილებში ცხოვრობენ.

PRENZLAUER BERG

ჯენტრიფიკაცია და Boho-ების (bourgeois+bohemian) ციხესიმაგრე

Prenzlauer Berg-ი საბჭოთა ზონაში მდებარეობდა, მაგრამ ნაკლებად ინდუსტრიული მუშათა კლასის წარსული აქვს. ის მეოცე საუკუნის დასაწყისში გააშენეს, ამიტომ აქ ქუჩები და ტროტუარები უფრო განიერია, ვიდრე ბერლინის სხვა უბნებში. სწორედ Prenzlauer Berg-ს ირჩევდა ჰონეკერი თავისი პროპაგანდისტული გამოსვლებისთვის.



მას კომუნისტური კეთილდღეობის ყალბ ვიტრინადაც იყენებდნენ. ზოგიერთი ქუჩა რესტავრირებულია, თუმცა მხოლოდ შენობის ფასადები. ოდესღაც ძალიან მოდური უბანი ამჟამად ნელ-ნელა ხიბლს კარგავს და ამის მიზეზი boho-ების, ბოჰემური ცხოვრების სტილის მქონე ადამიანების, შემოსევა და ნოსტალგიური ატმოსფეროს თანდათანობით გაქრობაა.

ეს ატმოსფერო იმდენად თვალში საცემი იყო ოცი წლის წინ, რომ უბანი ჯენტრიფიკაციის მსხვერპლი გახდა, მისმა ძველმა მაცხოვრებლებმა სახლები გაყიდეს და სხვაგან გადავიდნენ.

SCHÖNEBERG, FRIEDENAU

საცხოვრებელი ადგილი, სალიტერატურო სივრცე

Schöneberg-ი ამერიკულ ზონაში იყო მოქცეული, ახლა კი Wilmersdorf-სა და Tiergarten-ს ესაზღვრება და „საშუალო“ ბერლინური ბოჰემის სამყოფელია, რომელთაც თითქმის ყველაფერი სძულთ, რაც აღმოსავლეთით მდებარეობს, მათ შორის, Prenzlauer Berg-იც. Schöneberg-ი შესანიშნავი საცხოვრებელია, უამრავი საინტერესო ადგილით,

რომელსაც შეიძლება ესტუმროთ. აქ თითქმის არ არის ქსელური მაღაზიები, სამაგიეროდ ბევრი ვინტაჟური თუ ორგანული პროდუქტების მაღაზიაა. უამრავი პარკი, განიერი, სამზოლიანი ქუჩები და არქიტექტურა დიდ სიამოვნებას მოგგვრით.

Friedenau კი, ტრადიციულად, მწერლების ფავორიტი იყო და თავისი ძველი სასტუმროთი სალიტერატურო სავანედ იქცა. Friedenau-ს სასიამოვნო

ოდნავ პროვინციული იერი აქვს და პატარა სასაფლაოზე შეგიძლიათ ბერტოლტ ბრეხტის, მარლენ დიტრიხისა და ჰელმუტ ნიუტონის საფლავები იხილოთ სხვა ცნობილი ადამიანების განსასვენებელთა შორის.

FRIEDRICHSHAIN

თანამედროვე და ბოჰემური

ადმინისტრაციულად, Friedrichshain-ი და Kreuzberg-ი ერთ უბანს ქმნიან, თუმცა მათ შპრეე ყოფს და ეს ორი ნაწილი ერთმანეთს სამი ხიდით უკავშირდება. წარსულში აღმოსავლეთ ბერლინში მდებარე Friedrichshain-ს დღემდე ეტყობა კედლის ნაკვალევი და სწორედ ეს ადგილებია საკმაოდ უკაცრიელი. ამ უბანში უზარმაზარი პარკი Volkspark-ია და მას Karl-Marx-Allee შუაზე კვეთს. აქაურობასაც თანდათან შემოესია „ბობოების“ ნაკადი მეზობელი Prenzlauer Berg-იდან, ამიტომ ირონიულად „Prenz'l ბავშვების გარეშე“ შეარქვეს. აქ შედარებით ცოტა შენობაა და ყველაზე გამოცოცხლებული ადგილი შპრეეს სანაპიროზე, East Side Gallery-სთან შეგიძლიათ იხილოთ – აქ კედლის ნაკვალევია.

KREUZBERG

ალტერნატიული და შემოქმედებითი

1989 წლამდე ის ამერიკულ ზონაში იყო და Hallesches Tor ერქვა. ცივი ომის დასრულების შემდეგ Kreuzberg-ი დაბალშემოსავლიანი ხალხის მულტიეთნიკური სივრცეა, სადაც თურქი ემიგრანტების პირველი თაობა დასახლდა. უბნის კონცეფცია შუაზე იხლიჩება პოლიტიკური რადიკალიზმის მემკვიდრეობასა და პოპულარულ, საკლუბო ცხოვრების ცხელ წერტილებს შორის. ის ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიაა. კროიცბერგი (Kreuzberg) დენერ ქაბაბებთან, ხმაურიან ბარებსა და იაფფასიან საცხოვრებელ ბინებთან ასოცირდება, თუმცა ეს ყველაფერი მხოლოდ მის ერთ პატარა ნაწილს შეეხება.

„სტუდენტური სამოთხის“ წოდება ამ უბანს უკვე დიდი ხანია ჩამოართვა სამხრეთით მდებარე ნოიკიოლნმა (Neukölln), ხოლო მთელი ღამით ცეკვა ხიდს გაღმა, ობერბაუმბრიუკეში, ფრიდრიხსჰაინის (Friedrichshain) რაიონის მიტოვებულ ფაბრიკებშია გაჩაღებული.

იქ თვალებგაბრწყინებული ახალგაზრდები გეტყვიან, რომ ამ ადგილას ყველაფერი ძველებურად აღარ არის, უარესობისკენ შეიცვალა და ნამდვილი ცხოვრების სანახავად უნდა გაემგზავროთ, მაგალითად, ვედინგში (Wedding), რომლის ათვისებასაც ამჯერად ბერლინური ბოჰემა ცდილობს.

NEUKÖLLN

მულტიეთნიკური და ღარიბულად კოხტა

ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მჭიდროდ დასახლებული უბანია. მოსახლეობის ნახევარი იმიგრანტია, უმეტესად, თურქი, ამიტომ უბანს პატარა სტამბოლსაც კი ეძახიან. ეს ოდესღაც დამოუკიდებელი ქალაქი მრავალეთნიკურობის ხიბლისა და მისი კულტურული „სარგებლის“ შესანიშნავი მაგალითია – ფესტივალი 48 Stunden Neukölln ქალაქის ერთ-ერთი დიდი კულტურული მოვლენაა. Nekölln-ში რამდენიმე არქიტექტურული ღირსშესანიშნაობაა, მათ შორის, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესული მეორე მსოფლიო ომამდელი Hufeisensiedlung-ი და Gropiusstadt-ი – უოლტერ გროპიუსის 1960-იანების ქმნილება, ნამდვილი ქალაქი ქალაქში. ჩრდილოეთით, Reuterstraße-ს მიდამოებში კი ალტერნატიული ცხოვრება ჩქეფს. Neukölln-ი ბერლინის ყველაზე საინტერესო ახალ უბნად მიიჩნევა.

MOABIT, WEDDING

ადმინისტრაციული კვანძი და სოციალური მრავალფეროვნება

უბანი Moabit, რომელიც შპრეეთი უკავშირდება Charlottenburg-ს, Tiergarten-სა და Mitte-ს და პირდაპირ Wedding-ს ესაზღვრება, კუნძულია, სადაც 1716 წლიდან ფრანგი ჰუგენეტები დასახლდნენ. ომამდე ის გერმანული კომუნიზმის ცენტრი იყო, 1945 წლის შემდეგ კი ფრანგების ხელში გადავიდა, რადგან აქ სახელგანთქმული პარიზი-მოსკოვის სარკინიგზო ხაზი გადიოდა.

ისტორიული Hamburger Bahnhof-ი გერმანიის ერთ-ერთ ყველაზე დიდ თანამედროვე ხელოვნების მუზეუმად გადაკეთდა. აქვეა ბერლინის რკინიგზის ცენტრალური სადგური Hauptbahnhof.

ბერლინში აუცილებლად მოსანახულებელი ღირსშესანიშნაობები არ არსებობს. უფრო სწორად, მთავარი ღირსშესანიშნაობა თავად ბერლინია: მეტროს ვაგონი, რომელიც დილის 4 საათზე კლუბებიდან წამოსული ახალგაზრდებითაა სავსე; სოსისის ჯიხურები, რომლებთანაც კოსტიუმებში გამოწყობილი კლერკები რიგში კანკებთან ერთად ჩამდგარან; საზოგადოებრივი ბაღები დაუსახლებელ ადგილებში, გამყოფი ზოლის გასწვრივ; საკვირაო ძველმანების ბაზრობები პრენცლაუერ-ბერგში. თუმცა რაღაცით მაინც უნდა დაიწყოთ. აი, რამდენიმე შემოთავაზებაც.

BRANDENBURGER TOR

გაერთიანებული გერმანიის სიმბოლო

ბრანდენბურგის კარიბჭე ქალაქის ყველაზე სიმბოლური მონუმენტია. ტრიუმფალური თაღი, რომელსაც გვირგვინად ადგას ოთხცხენიანი ეტლი გამარჯვების ქალღმერთ ვიქტორიას გამოსახულებით, ქალაქის კედლის ჩვეულებრივი კარიბჭის ნაცვლად 1791 წელს ააგეს. იენასთან პრუსიის დამარცხების შემდეგ ნაპოლეონმა ეს ქანდაკება ალაფად წაიღო, თუმცა პრუსიელებმა ის უკან დააბრუნეს, როცა პარიზი აიღეს 1806 წელს. კარიბჭისწინა მოედანს პარიზერ-პლაცი უწოდეს, ხოლო გენერალ პფიუელს, რომელმაც ოთხთვალა სამშობლოში დააბრუნა, ქალაქში თაღის გავლით შესვლის უფლება მიენიჭა. მანამდე ამ პრივილეგიას მხოლოდ სამეფო ოჯახი ფლობდა.



SIEGESSÄULE

გამარჯვების სვეტი

დანიაზე, ავსტრიასა და საფრანგეთზე პრუსიის გამარჯვების აღსანიშნავად იოჰან ჰაინრიც შტრაკის მიერ აშენებულ „გამარჯვების სვეტს“ თავზე ვიქტორიას სახელგანთქმული ბრინჯაოს ქანდაკება ადგას, მეტსახელად Goldese, რომელიც ვიმ ვენდერსმა თავის ფილმში ასახა, როგორც ანგელოზების თავყრილობის ადგილი. სვეტი 1939 წელს გადაადგილეს Straße des 17. Juni-ზე.

Straße des 17. Juni, Tiergarten

REICHSTAG

გერმანული დემოკრატიის მრავალტანჯული ბურჯი

1894 წელს პაულ ვალოტის პროექტით კაიზერის გერმანიის პარლამენტისთვის მდიდრულად გაფორმებული შენობა ააგეს. მთელი ქალაქი გააკვირვა კონსტიტუციური მონარქიის იდეასავით ახალმოდურმა შუშის გუმბათმა. 1933 წელს შენობაში ხანძარი გაჩნდა, ხანძრის გაჩენაში დადანაშაულებული კომუნისტები რაიხსტაგიდან მიაბრძანეს და ნაცისტებმა საპარლამენტო უმრავლესობა მოიპოვეს. ბევრი ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ შენობა თავად ფიურერის მომხრეებმა დაწვეს. ისედაც დასახიჩრებული ნაგებობა 1945 წელს წითელი არმიის თავდასხმებმა მიწასთან გაასწორა, თუმცა ის უკვე მიტოვებული იყო. ომის შემდგომ მის დანგრევას აპირებდნენ, მაგრამ გადაიფიქრეს.



რაიხსტაგი ტრიუმფალურად „დაბრუნდა“ 1990 წელს, როცა აქ გერმანიის გაერთიანების ოფიციალური ცერემონია ჩატარდა. მისი აღდგენა ბრიტანელ არქიტექტორ ნორმან ფოსტერს დაევალა, რომელმაც ნაგებობას ახალი ეფექტური, შუშისა და ფოლადის გუმბათი დაადგა.

დამთვალიერებლებს პანდუსზე, ხოლო შემდეგ სახურავზე ასვლისას შთამბეჭდავი სანახაობა გადაეშლებათ. ტურები მხოლოდ იმ დღეებში ტარდება, როცა ბუნდესტაგის დეპუტატები ისვენებენ. შესვლა უფასოა, თუმცა წინასწარ განსაზღვრულ დროს.

გუმბათი ღიაა ყოველდღე – 08.00-00.00

Platz der Republik 1

EAST SIDE GALLERY

კედლის ნაწილი, რომელიც სტრიტარტის გალერეად იქცა

ეს ისაა, რაც კედლისგან დარჩა – 1,3 კმ სიგრძის გალერეა ღია ცის ქვეშ. საგამოფენო სივრცე 101 პოლიტიკურ და სატირულ კედლის მხატვრობას იტევს, რომელთაც 118 ავტორი ჰყავს მსოფლიოს 21 ქვეყნიდან. 1990 წლის გაზაფხულზე მათ ბერლინის კედელი მოხატეს და ამ პირქუში ნაგებობის ნარჩენები ახალმოპოვებული თავისუფლების მანიფესტად იქცა. ბევრი რამ წაშლილია, თუმცა დმიტრი ვრუბელის „ბრეჟნევი კოცნის ჰონეკერს“ კვლავაც ადგილზეა.

Mühlenstraße, Friedrichshain

HOLOCAUST-MAHNMAL

ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მემორიალი

ამერიკელი არქიტექტორის, პიტერ ეისენმანის მიერ დაპროექტებული ჰოლოკოსტის მემორიალი 2711 სხვადასხვა სიმაღლისა და ზომის ქვის ფილისგან შედგება, რომლებიც ღია ცის ქვეშ ლაბირინთს ქმნიან. მიწისქვეშა საინფორმაციო ცენტრის სულისშემძვრელი ექსპოზიცია ჰოლოკოსტის შესახებ გვიამბობს. ფილებზე წარწერები არ არის.

Cora-Berliner-Straße 1

NIKOLAIKIRCHE

ყველაზე ძველი ტაძარი

1220-1230 წლებში აშენებული ეს ტაძარი ყველაზე ძველია ბერლინში. Nikolaikirche დაბომბვისას ძლიერ დაზიანდა და შემდგომ, 1980-იან წლებში აღადგინეს. შიგნით, თაღებიან ჭერზე ზოლების ბრწყინვალე ფერები შუასაუკუნეების თარგითაა შთაგონებული.

Nikolaikirchplatz, Mitte

SAMMLUNG BOROS

ბოროსის კოლექცია – ინსტალაციები ნაცისტურ ბუნკერში

ნამდვილი ბერლინური ექსცენტრიკა – 1943 წელს 3000 ადამიანისთვის აგებული ბუნკერი ომის შემდეგ ხან ეგზოტიკური ხილის საწყობი იყო, ხან ტექნოკლუბი; ბუნკერი 2000-იან წლებში გერმანელმა მედიამაგნატმა კრისტიან ბოროსმა შეიძინა. იგი თავად დასახლდა შენობის სახურავზე საგანგებოდ აგებულ მინის პენტჰაუზში, ხოლო ქვედა სართულები თავისი თანამედროვე ხელოვნების კოლექციის საგამოფენო სივრცედ აქცია. ბილეთები ვებგვერდზე დაჯავშნეთ. **ფასი:** 12€

Reinhardtstraße 20

OBERBAUMBRÜCKE

ობერბაუმბრიუკე – ხიდი კროიცბერგსა და ფრიდრიხსჰაინს შორის

კლუბური ცხოვრების მოყვარულთათვის ეს არის ხიდი Watergate-სა და Berghain-ს შორის. ღამღამობითა და დასვენების დღეებში ამ ხიდზე სვამენ და ერთობიან. ბერლინის გაერთიანებამდე ობერბაუმბრიუკე სასაზღვრო პუნქტი იყო, ძველ დროში კი – მდინარის საბაჟო კარიბჭე. კონტრაბანდისტების დასაშინებლად მდინარეში ღამით ისრებგარჭობილ ხის ძელებს უშვებდნენ (Oberbaum „ზედა მორს“ ნიშნავს). ამუამინდელი ხიდი პოსტნეოგოთიკური აგურის კოშკურებითა და ქონგურებით XIX საუკუნეში აუგიათ.

აქედან იშლება ნავსადგურის საწყობების, ფაბრიკების შენობებისა და „მოლეკულური ადამიანის“ ხედები. „მოლეკულური ადამიანი“ დახვრეტილი ალუმინისგან შექმნილი გიგანტების სამეულია, რომელიც შპრეეს შუაგულში მოქანდაკე ჯონათან ბოროვსკიმ დადგა. მდინარე შპრეე 400 კმ სიგრძისაა და მთელი ბერლინის გასწვრივ მიედინება. წყალში მოლივლივე საცურაო აუზი მდინარის სანაპიროებთანაა დამაგრებული.

GENDARMENMARKT

საშობაო ბაზრობის მოედანი

ეს ბერლინის ყველაზე წარმტაცი მოედანია, ხოლო მის შუაგულში შინკელის მიერ დაპროექტებული თეატრი, ამჟამად Konzerthaus-ი მდებარეობს. ნაგებობას ორივე მხრიდან გვერდს უმშვენებს გერმანული და ფრანგული ტაძრები (Deutscher Dom და the Französischer Dom). ზაფხულობით აქ ღია ცისქვეშ კლასიკური მუსიკის საღამოები იმართება, ზამთარში კი – საშობაო ბაზრობა.

Gendarmenmarkt, Mitte

UNTER DEN LINDEN

ცაცხვების ბულვარი

ოდესღაც ეს იყო გზა, რომლის გავლითაც ხელისუფალნი ტირგარტენში სანადიროდ მიემგზავრებოდნენ. XVII საუკუნის შუა ხანებში, როცა ქალაქი სამხრეთის მიმართულებით გაიზარდა, ფრიდრიხ ვილჰელმმა ბრძანა, რომანტიკული ხეირნობებისთვის მასზე ცაცხვების ხეივანი და ბულვარი გაეშენებინათ. ამჟამად აქ სრულიად არარომანტიკული ფართო ქუჩაა ბანკებითა და სასტუმროებით, თუმცა ისტორიის პატივსაცემად აქ ერთხელ მაინც აუცილებლად უნდა გაისეირნოთ.

TIERGARTEN

ქალაქის მთავარი პარკი

ბერლინელებს ძალიან გაუმართლათ, რადგან იმ ქალაქში ცხოვრობენ, რომლის ცენტრშიც უზარმაზარი პარკია. კურფიურსტების ყოფილი სანადირო ადგილები (Tiergarten „მხეცების ბაღს“ ნიშნავს) საზოგადოებისთვის ჯერ კი-



დევ XVIII საუკუნეში გაიხსნა. პარკი განსაკუთრებული ბოტანიკური თავისებურებით არ ხასიათდება. ზოგიერთი კუთხე ხელუხლებელ ჭალას მოგაგონებთ, მიუხედავად იმისა, რომ ომის დროს ლამის მთელი ტყე გასათბობად გაჩეხეს. სამაგიეროდ აქ არის 30-კილომეტრიანი შესანიშნავი ბილიკი, პატარა მდინარეები და გუბურები. რაიხსტაგთან ახლომდებარე მონაკვეთზე აღმოაჩენთ საბჭოთა ჯარისკაცის ქანდაკებას და მსოფლიო ხალხთა კულტურის სასახლეს.

BERLINER DOM

მთავარი პროტესტანტული კათედრალი

არ აგერიოთ გერმანულ ტაძარში (Deuscher Dom), რომელიც Gendarmenmarkt-ზე მდებარეობს. ამ ბერლინური ეკლესიის არქიტექტურა კარლ იულიუს რაშდორფს ეკუთვნის და ის 1894-1905 წლებშია აგებული.

Am Lustgarten, Mitte

KAISER-WILHELM-GEDÄCHTNISKIRCHE

ფოტოგენური ნანგრევები

გერმანიის პირველი იმპერატორის პატივსაცემად 1895 წელს აგებული ეკლესია ომის დროს ბრიტანულმა ავიაციამ ნანგრევებად აქცია. ომის შემდეგ მისი აღება და ახალი ტაძრის აშენება მოინდომეს, თუმცა ეს გადაწყვეტილება ბერლინელებმა გააპროტესტეს. კომპრომისი მოიძებნა: ძველი ტაძრის ნარჩენების კონსერვირების შემდეგ მის გვერდით თანამედროვე დიზაინის ახალი ეკლესია და სამრეკლო ააგეს. მათ ბერლინელებმა ხუმრობით „საპუდრე“ და „პომადა“ შეარქვეს. ახალი ნაგებობის კედლები ლურჯი მინის ფენებისაგან შედგება და საღამოობით შიგნიდან მომხიბვლელად ანათებს. „საპუდრეში“ ინახება ცნობილი „სტალინგრადის მადონა“ – სევდიანი სახე, რომელიც გერმანელმა სამხედრო ექიმმა როიბერმა რუკის ნაგლეჯზე დახატა სტალინგრადთან, სანგარში ყოფნისას.

ღიაა: ყოველდღე – 09.00-19.00; შესვლა თავისუფალია.

Breitscheidplatz

HELMUT NEWTON FOUNDATION

ფოტოგრაფიის გენიოსის მუზეუმი

სიცოცხლის დიდი ნაწილი ჰელმუტ ნიუტონმა (1920-2004) ლონდონში, პარიზსა და ნიუ-იორკში გაატარა, თანაც უმშვენიერესი შიშველი ქალების გარემოცვაში.

მისი ფეტიშისტური ნამუშევრები საუკუნის ფოტოების ოქროს არქივში შეიტანეს. თუმცა პერსონალური მუზეუმი ნიუტონმა თავისი ფულით დააარსა და ბერლინს აჩუქა – ქალაქს, რომელიც მან ებრაელ მშობლებთან ერთად 1938 წელს, ე. წ. „ბროლის ღამეს“ განხორციელებული თავდასხმების შემდეგ დატოვა. შენობაში, რომელიც ოდესღაც ოფიცერთა კლუბი იყო, ფოტოგრაფიის მეტრის პირადი ნივთები, წერილები, კამერები და ბიბლიოთეკა ინახება; აქვეა რეკონსტრუირებული სამუშაო კაბინეტიც. **ღიაა:** ყოველდღე – 11.00-17.00. **ბილეთის ფასი:** 10€

Jebensstraße 2

VOYAGER კომენტარი

„Danke“, **„Bitte“**: ორი მოკლე, მაგრამ უმნიშვნელოვანესი გერმანული სიტყვაა. „Danke“ „მადლობას“ ნიშნავს. თუ მას „Vielen“-ს (ძალიან დიდი) დაამატებთ, თქვენი მადლობა მეტად ოფიციალური გახდება, ისევე როგორც „Danke sehr“-ის შემთხვევაში – კარგი იქნება, თუ ამ უკანასკნელს მაღაზიის ან რესტორნის დატოვებისას წარმოთქვამთ. მადლობის ყველაზე ზრდილობიანი ფორმა „Danke gern“ (უღრმესი მადლობა) ასევე ხშირად გამოიყენება. რაც შეეხება სიტყვა „Bitte“-ს, ის „გეთაყვას“ ნიშნავს და ხაზგასმით ზრდილობიან ფორმას ემატება „sehr“ ან „schön“. ამ სიტყვათშეთანხმებას „Danke sehr“-ის ან „Danke schön“-ის პასუხად ამბობენ ხოლმე და ნიშნავს „არაფრის“.

POTSDAMER PLATZ

შუშის ბაბილონი

აქ მოგზაურები ცდილობენ, ბერლინის ნამდვილი ცენტრი იპოვონ, თუმცა მათ მხოლოდ Sony Center-ის მინის გადახურვის ქვეშ უფასო Wi-Fi და ქსელური კაფეები ხვდებათ, რადგან დიდი ხნით დაავიანდათ – 1920-იან წლებში პოტსდამერ პლაცი და მისი მეზობელი ლაიფციგერ პლაცი მართლაც ქალაქის ცხოვრების მაჯისცემის მთავარი ადგილი იყო, მაგრამ ომმა და კედელმა აქ ყველაფერი შეცვალა.

1993 წელს კომპანიები – Sony და Daimler-Benz საუკუნის მშენებლობას შეუდგნენ. პოტსდამერ პლაცი და მისი შემოგარენი ცათამბჯენების ულტრათანამედროვე კვარტლად იქცა. დასათვალიერებლად კოლჰოფის აგურის კოშკის – Kolhoff-Tower-ის სათვალთვალო მოედანზე უნდა ახვიდეთ. „ბერლინალეს“ დღეებში აქ განსაკუთრებული ხალხმრავლობაა, რადგან მთავარი კინოჩვენებები Theater am Potsdamer Platz-ში მიმდინარეობს.

potsdamerplatz.de

BERLINER PHILHARMONIKER

ერთ-ერთი საუკეთესო ორკესტრის სახლი

1963 წელს არქიტექტორ ჰანს შარუნის ნაგებობამ ნამდვილი ფურორი მოახდინა. მოოქრული ალუმინით „შემოსილი“ პოსტ-მოდერნული შაპიტოს კარავი ავანგარდულ დარბაზს მოიცავს, რომლის შუაგულში სცენაა.

საზოგადოება ვერ ეგუებოდა, რომ ამ „აბრაკადაბრაში“ ბერლინის ფილარმონიის დიდებულ ორკესტრს უნდა დაეკრა, თუმცა ნაგებობის აკუსტიკამ სკეპტიკოსები დაამარცხა. როცა გვერდით მსგავსად აგებული კამერული დარბაზიც (Kammermusiksaal) გაჩნდა, უკმაყოფილება აღარავის გამოუთქვამს.

კლასიკური მუსიკის ამ მექას მთელი მსოფლიოს მელომანები აწყდებიან, ამიტომ ბილეთები წინასწარ უნდა შეიძინოთ, თუმცა ორკესტრის მოსმენა ბილეთის გარეშეც შეიძლება: ორშაბათობით, დღის პირველ საათზე ფოიეში „ლანჩ-კონცერტები“ ტარდება, რომლებიც საათზე ნაკლებ ხანს გრძელდება და იქ პირდაპირ ქუჩიდან შესვლაც დაშვებულია.

Herbert-von-Karajan-Straße 1

FERNSEHTURM

გერმანიის ყველაზე მაღალი ნაგებობა

ეს თვალისმომჭრელი მონუმენტი სფეროთი და სვეტით სატელევიზიო კოშკურაა და ბერლინის სახასიათო შტრიხია, ისევე როგორც ეიფელის კოშკი – პარიზისთვის. Ferseturm-ი 368 მ სიგრძისაა და ყველაზე მაღალი ნაგებობაა არა მარტო ქალაქში, არამედ ქვეყანაშიც. ის 1969 წელს, გდრ-ის 20-წლიან იუბილეზე დასავლელი მეზობლებისთვის თავის მოსაწონებლად ააგეს. წვეროზე დამაგრებული სფერო საბჭოთა კოსმოსური თანამგზავრების წარმატებაზე მიანიშნებდა. სფეროში არის სათვალთვალო მოედანი, საიდანაც ირგვლივ, ათეულობით კმ-ზე ხედი იშლება. აქვეა მბრუნავი რესტორანი, რომელიც საათში ერთხელ ტრიალდება.

ღიაა: ყოველდღე – 10.00-00.00
ბილეთის ფასი: 13€

Panoramastraße 1A

ZOO

უძველესი ზოოპარკი

ტირგარტენის მახლობლად ზოობაღი 1844 წელს გაიხსნა, როცა ამის თაობაზე სამეფო თანხმობა მოიპოვა ნატურალისტთა ჯგუფმა, რომელთა შორის ალექსანდერ ფონ ჰუმბოლდტიც იყო. მეორე მსოფლიო ომის დროს ზოოპარკი საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდა: 4000 ბინადრიდან მხოლოდ ასზე ნაკლები გადარჩა – ბევრი ცხოველი გაიქცა, დაიღუპა ან დამშეული ადამიანების სადილად იქცა. თუმცა ტერიტორია, ისტორიული პავილიონების ჩათვლით, საკმაოდ სწრაფად აღადგინეს. ეს ფართოდ გაშლილი, მწვანე სივრცეა, ხოლო ცხოველებისადმი დამოკიდებულება უკიდურესად ჰუმანურია. ზოოპარკი ბერლინურ გასართობთა შორის ერთ-ერთ საუკეთესოდ მართებულად მიიჩნევა. აქ ჟირაფები, სპილოები, ჯუჯა ბეჰემოთები, ლემურები და უამრავი ეგზოტიკური ცხოველი გელოდებათ.

ღიაა: ყოველდღე – იანვარი-თებერვალი, ნოემბერი-დეკემბერი – 09.00-16.30; მარტი, ოქტომბერი – 09.00-18.00; აპრილი-სექტემბერი – 09.00-18.30
ბილეთის ფასი: 14.50€, აკვარიუმის დათვალიერებით – 20€

Hardenbergplatz 8



მუზეუმების კუნძული

ბერლინის სამუზეუმო კუნძული ამ საქმის მცოდნეთათვის მუზეუმების უბნის ერთ-ერთი საუკეთესო და მისაღები სქემაა. ეს სტრუქტურა აერთიანებს 5 მუზეუმს, როგორიცაა: ძველი მუზეუმი, ახალი მუზეუმი, პერგამონის მუზეუმი, ბოდე მუზეუმი და ძველი ნაციონალური გალერეა.

მდინარე შპრეეზე განთავსებული „განძის კუნძული“ მსოფლიოში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახელოვნებო კოლექციას იტევს. კუნძულის ისტორია შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ რა შეუძლია მეცნიერისა და ამბიციური მმართველის თანამშრომლობას. არავინ იცის, რა მოხდებოდა, ერთ ამბიციურ არქეოლოგს – ალოის ჰერტს რომ არ გაებედა და 1797 წელს მეფე ფრიდრიხ ვილჰელმ მეორისთვის მუზეუმის შექმნის იდეა არ მიეწოდებინა. საქმე 1810 წელს დაიძრა და განათლებულ გერმანულ საზოგადოებას ფაქიზად შერჩეული ხელოვნების ნიმუშების ხილვის პერსპექტივა გაუჩნდა.

1822 წელს კუნძულზე დიდი რეკონსტრუქცია დაიწყო – ხიდების, არხების და, რაც მთავარია, მუზეუმის მშენებლობა, კარლ ფრიდრიხ შინკელის პროექტის მიხედვით. საზოგადოებრივ კომისიას, არც მეტი, არც ნაკლები, ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი ხელმძღვანელობდა.
1830 წელს გახსნილი „ძველი მუზეუმი“ (Altes Museum) პირველი მერცხალი იყო, მას დღევანდელი „ახალი მუზეუმი“ (Neues Museum) მოჰყვა 1859 წელს. ძველი ნაციონალური გალერეა (Alte Nationalgalerie) 1876 წელს შეემატა კუნძულს, 1904 წელს კი მათ ბოდე მუზეუმიც (Bode-Museum) შეუერთდა. სამუზეუმო კუნძულის ფენომენი 1930 წელს გახსნილმა პერგამონის მუზეუმმა (Pergamonmuseum) დააგვირგვინა და საბოლოოდ დაუმკვიდრა ადგილი ბერლინს განათლებული ევროპის სხვა დედაქალაქებს შორის.

მეორე მსოფლიო ომის დროს მუზეუმების კუნძული ძალიან დაზიანდა და მისი საბოლოო რეკონსტრუქცია მხოლოდ გერმანიის გაერთიანების შემდეგ დასრულდა. გაერთიანდა და გადანაწილდა ბერლინის გაყოფის დროს გაყოფილი კოლექციებიც. მუზეუმების კუნძულზე, ძირითადად, არქეოლოგიურ კოლექციებსა და მე-19 საუკუნის ხელოვნების ნიმუშებს იხილავთ.

ALTES MUSEUM

ძველ მუზეუმში ანტიკური ხელოვნების ნიმუშებს, სკულპტურას, ოქროსა და ვერცხლის სამკაულებს, არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებულ სხვა საგანძურს დაათვალიერებთ. ძირითად სართულზე ქრონოლოგიურადაა განლაგებული ძველი საბერძნეთის კოლექცია, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის X-XI საუკუნეებს მოიცავს. სკულპტურა, სამკაულები, ჭრილაქვების შთამბეჭდავი კოლექცია – ეს ყველაფერი ახალ ექსპოზიციაში 2011 წელს განთავსდა. განსაკუთრებით მდიდარია მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექცია, რომელიც 1300 მონეტას მოიცავს.

ზედა სართულზე ეტრუსკული და რომაული ხელოვნების ნიმუშებია. აღსანიშნავია, რომ ეტრუსკული კოლექცია ერთ-ერთი უმდიდრესია, რომლის ხილვაც იტალიის გარეთაა შესაძლებელი. რომაული კოლექციის საგანძურად იულიუს კეისრისა და კლეოპატრას პორტრეტები ითვლება.

NEUES MUSEUM

ახალ მუზეუმში ორმა უმნიშვნელოვანესმა კოლექციამ დაიდო ბინა. ეგვიპტური და პაპირუსების კოლექცია ნათლად გაჩვენებთ, თუ რა ცვლილებები გაიარა თავისი განვითარების გზაზე ეგვიპტურმა და ნუბიურმა კულტურამ 4 ათასწლეულის განმავლობაში.

კოლექციის ერთ-ერთი ბრილიანტია გვიანი სამეფოს სკულპტურის ბრწყინვალე ნიმუში, ეგრეთ წოდებული „ბერლინური მწვანე თავი“, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 350 წლით თარიღდება. ნეფერტიტის სახელგანთქმული ბიუსტი, რომლის სანახავადაც საგანგებოდ ჩამოდიან ბერლინში, ეგვიპტის მოყვარულებს სრულ ნირვანაში გადაისვრის. ამარნას პერიოდის ნამუშევარი, რომელმაც არა მხოლოდ სკულპტორის ოსტატობის, არამედ დედოფლის დახვეწილი სილამაზის გამოც გაითქვა სახელი, ამ უდიდესი კოლექციის მნიშვნელოვანი ნაწილია. ახალ მუზეუმში წარმოდგენილია ევროპასა და აზიაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა, დაწყებული ქვის ხანის პერიოდიდან. მათ შორისაა შლიმანის ტროას და კვიპროსის არქეოლოგიური მონაპოვარი.



ტროის ოქროულობა, რომელიც შლიმანმა გათხრებისას მოიპოვა, მხოლოდ ასლებითაა წარმოდგენილი (მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ორიგინალები მოსკოვში გაზიდეს და მათ დაბრუნებას პუშკინის მუზეუმი არ აპირებს). საერთოდ, ახალი მუზეუმი ყველაზე უიღბლო აღმოჩნდა – ომის დროს ისე ძლიერ დაზიანდა, რომ ხელახლა მხოლოდ 2009 წელს გაიხსნა. ამიტომაც ის, ექსპოზიციური დიზაინის თვალსაზრისით, ძალზე თანამედროვეა. მაგალითად, ქვის ხანის არტეფაქტებით დამშვენებულ დარბაზებში პრეისტორიული ხანის სცენები ვიდეოგამოსახულებითაა გაცოცხლებული.

PERGAMONMUSEUM

სამუზეუმო კუნძულის ერთ-ერთი მარგალიტი, რა თქმა უნდა, პერგამონის მუზეუმია არა მხოლოდ კოლექციაში დაცული არტეფაქტების მნიშვნელობის, არამედ მათი მასშტაბის გამოც. ეს არის საოცარი შესაძლებლობა, პრაქტიკულად, ხელუხლებლად და სრულად იხილო ანტიკური არქიტექტურის სტრუქტურა მუზეუმის სივრცეში. მუზეუმის კოლექციები საბერძნეთის, წინა აზიისა და ისლამური კულტურის ხელოვნების ნიმუშებს მოიცავს.

პერგამონის ტაძრის, მილეთის ბაზრის ჭიშკრისა და იშტარის ჭიშკრის რეკონსტრუქციის წყალობით, დამთვალიერებელს სრული შთაბეჭდილება ექმნება, რომ დროსა და სივრცეში გადაადგილდება. ფრთოსანი ლომებისა და გრიფონების გამოსახულება მოჭიქული აგურით მოკირწყლულ ბაბილონურ კედლებზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე. პერგამონის ტაძრის ფრიზი, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 180-160 წელს განეკუთვნება, ელინისტური კულტურის შედევრია. ოლიმპიელი ღმერთებისა და გიგანტების შერკინება მუზეუმის სივრცეში კიდევ უფრო შთამბეჭდავად გამოიყურება სკულპტურების საოცარი სიახლოვის გამო.

გერმანელი არქეოლოგების აქტიურობის წყალობით, ბერლინი მესოპოტამიის, სირიისა და ანატოლიის ტერიტორიაზე მოპოვებულ საოცარ არქეოლოგიურ მასალას ფლობს. ნაბუქოდონოსორ მეორის პერიოდის იშტარის ჭიშკრისა და ბაბილონის სარიტუალო პროცესიების გზის რეკონსტრუქცია ამის შესანიშნავი მაგალითია. არანაკლებ მნიშვნელოვანია კაცობრიობისთვის ცნობილი უძველესი წერილობითი დოკუმენტები თიხის ტაბლეტებზე. ლურსმული დამწერლობის ეს ნიმუშები ურუქიდან 4000 წლისაა.

ისლამური ხელოვნების კოლექცია ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავია ევროპაში. დეკორატიული ხელოვნების შედევრები და არქეოლოგიური მასალა VII-XIX საუკუნეთა პერიოდს მოიცავს. ამ შემთხვევაშიც კოლექციის ერთ-ერთი შთამბეჭდავი ნაწილი მშათას ხალიფას სასახლის ფასადის რეკონსტრუქციაა, რომელიც 740 წლით თარიღდება. ქვაზე კვეთის ფილიგრანული ხელოვნება განუმეორებელია. ე. წ. „ალეპოს ოთახი“, რომელიც 1600 წელსაა შესრულებული, მდიდრულად მოხატული ხის პანელების ფერადოვნებით დაგამახსოვრებთ თავს.

ALTE NATIONALGALERIE

ძველი ნაციონალური გალერეა რომანტიკული და იმპრესიონისტული ხელოვნების ნიმუშებს მოიცავს. გალერეის განსაკუთრებული სიამაყეა ადოლფ მენზელის ნამუშევართა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო კოლექცია. მისი ძირითადი ნაწილი პრუსიას ბანკირმა იოჰან ჰაინრიხ ვილჰელმმა გადასცა საჩუქრად 1861 წელს.

ძველი ნაციონალური გალერეის კოლექცია ისტორიულად მიიჩნევა, ამიტომ მას პრინციპულად არ უმატებენ ახლად შეძენილ ნიმუშებს. გამონაკლისი მენზელის კიდევ ერთი ნამუშევარი – „პეტიცია“ გახდა, რომელიც უკვე ისედაც გამორჩეული კოლექციისთვის განსაკუთრებული შენაძენი იყო. გალერეის ექსპოზიცია „გოეთეს ხანის“ ტილოებით და „ნაზარინელების“ ფრესკებით იწყება. „ნაზარინელთა მოძრაობა“ 6-მა სტუდენტმა ჩამოაყალიბა ვენაში 1809 წელს. მათი მიზანი ქრისტიანული ხელოვნების სულიერების აღორძინება იყო. მოძრაობა პოპულარული გახდა და გერმანელი რომანტიკოსები რომში გადასახლდნენ. გალერეაში მათ მიერ რომში კაზა ბარტოლდისთვის შექმნილი ფრესკების ხილვაა შესაძლებელი.

არნოლდ ბიოკლინის სახელგანთქმული „მკვდართა კუნძულის“ ერთ-ერთი ვერსია, პოლ სეზანის, გუსტავ კურბეს, ბარბიზონის სკოლის წარმომადგენლების ნამუშევრები კოლექციის მნიშვნელოვანი ნაწილია.



ALTE NATIONALGALERIE

იმპრესიონისტები და XIX საუკუნის გერმანული ფერწერა

ეს ძველბერძნული ტაძრის ტიპის ნაგებობა 1861 წელს თანამედროვე ხელოვნებისთვის – იმდროინდელი გერმანული ფერწერისათვის აშენდა. საინტერესოა, რომ თავის დროზე ძველი ნაციონალური გალერეა იყო პირველი, რომელმაც იმპრესიონისტული ხელოვნების ნიმუში იყიდა. 1896 წელს შეძენილ კლოდ მონეს ნამუშევარს არაერთი მისი თანამოაზრის ფერწერული ტილო შეემატა.

XIX საუკუნის ბოლოს გალერეაში დიდი სკანდალი მოხდა: დირექტორი გაათავისუფლეს, რადგან მან მუზეუმისთვის გოგენის „ტაიტელი ქალები“ შეისყიდა, კაიზერმა კი ეს ტილო ამორალურად მიიჩნია, თუმცა ამჟამად მუზეუმში სწორედ იმპრესიონისტების ნამუშევრების (სეზანი, მანე, დეგა, რენუარი) სანახავად დადის დამთვალიერებელი.

NEUE NATIONALGALERIE

მოდერნისტული არქიტექტურის საკულტო შენობა

შენობა, რომელიც ამჟამად რეკონსტრუქციის გამო დაკეტილია, არქიტექტორ ლუდვიგ მის ვან დერ როეს ამ მასშტაბის ბოლო ნამუშევარია. პოტსდამერ პლაცის აშენების შემდეგ შენობა ახალ გარემოს შეერწყა და გაერთიანებული ბერლინის კიდევ ერთი სიმბოლო გახდა.

Neue Nationalgalerie თავად არის თანამედროვე ხელოვნების ნიმუში. გალერეის კოლექცია XX საუკუნის ხელოვნებას მოიცავს და ამჟამად მისი ხილვა რამდენიმე მუზეუმშია შესაძლებელი, ესენია: Alte Nationalgalerie, Friedrichswerdersche Kirche, Museum Berggruen, Sammlung Scharf-Gerstenberg და Hamburger Bahnhof – Museum für Gegenwart.

HAMBURGER BAHNHOF — MUSEUM FÜR GEGENWART

ახალი ხელოვნება ძველ ნაგებობაში

ბერლინის რკინიგზის სადგურებს შორის ყველაზე საპატიო და კარგად შემონახული ჰამბურგის სადგური (1846) მატარებლებს არც ისე დიდხანს „მასპინძლობდა“. ის მალე საგამოფენო სივრცედ გადაიქცა; XX საუკუნის დასაწყისში ჯერ ტრანსპორტის მუზეუმად გადაკეთდა, ხოლო 1990-იანებში – უახლესი, 1960 წლის შემდეგ შექმნილი ხელოვნების გალერეად. მუდმივ ექსპოზიციაშია ენდი უორჰოლის, რობერტ რაუშენბერგის, ანსელმ კიფერის, საი ტვომბლისა და სხვა კორიფეების ნამუშევრები. მთელი ერთი ფრთა იოზეფ ბოისის ინსტალაციებს, ნახატებსა და პერფორმანსების ჩანაწერებს ეთმობა.

ღიაა: ყოველდღე – 10.00-18.00.
ბილეთის ფასი: 14€

Invalidenstraße 50-51

BODE-MUSEUM

ევროპული ქანდაკება და მონეტები მთელი მსოფლიოდან

სახელგანთქმული ხელოვნებათმცოდნის, ვილჰელმ ბოდეს სახელობის მუზეუმში ინახება რენესანსის ეპოქის სკულპტურები (შედევრთა შორისაა დონატელოს „მადონა პაციდან“, კანოვას მარმარილოები).

ბიზანტიური ხელოვნების კოლექცია III-XV საუკუნეებს მოიცავს. განსაკუთრებით შთამბეჭდავია რელიგიური

დანიშნულების ნივთები, მათ შორის, სპილოს ძვლისგან გამოთლილი მინიატურის შედევრები, მოზაიკური ხატები. აქვეა ადრექრისტიანული რომაული სარკოფაგებიც.

ნუმიზმატიკური კოლექცია 4000 მონეტას და მედალიონს მოიცავს, აქვე დაცულია სხვადასხვა დროს ფულის ერთეულად გამოყენებული ნივთები, საბეჭდავები და მედლები.
ღიაა: ყოველდღე – 10.00-18.00.
ბილეთის ფასი: 10€

Am Kupfergraben

GEMÄLDEGALERIE

ძველი ხელოვნების საუკეთესო კოლექცია

XIII-XVIII საუკუნეების ფერწერის შედევრები ერთადაა თავმოყრილი. აქ ნახავთ კრანახს, დიურერს, ჰოლბეინს. ამ მხრივ ბერლინის სამხატვრო გალერეას მხოლოდ ვენა და მიუნხენი თუ გაეჯიბრება. ორი დიდი განყო-



ფილება 72 დარბაზს მოიცავს – იტალიური რენესანსი ჯოტოდან ტიციანამდე, ნარჩევი ჰოლანდიელები და ფლამანდიელები, რომელთა შორის იხილავთ პეტრუს კრისტუსის გოგონას ჰიპნოზურ პორტრეტს, უფროსი ბრიუგელის „ნიდერლანდურ ანდაზებს“, რემბრანდტის 16 ტილოს; აქვეა ვერმეერის ორი ნამუშევარი და კარავაჯოს „გამარჯვებული ამური“.

ღიაა: ყოველდღე – 11.00-18.00.
ბილეთის ფასი: 10€

Matthäikirchplatz

ყველაზე ავანგარდული სამუზეუმო შენობა

რთული მოსაძებნია ანალოგი ქვეყნისა, რომელმაც თავის მიერ წამოწყებულ ომში დამარცხების შემდეგ ასე კარგად მოახერხა გაეაზრებინა დაშვებული შეცდომის ტვირთი. გერმანელთა მიერ ფაშიზმის სამარცხვინო წლების გააზრების საუკეთესო მაგალითად ამ ჯერ კიდევ აქტუალური პრობლემის მიმართ არა მხოლოდ მათი თანამედროვე პოლიტიკა, არამედ ებრაული მუზეუმიც შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც ბერლინის ერთ-ერთი აუცილებლად სანახავი ადგილია. მუზეუმის შექმნის იდეა აღმოსავლეთ ბერლინში დაიბადა, თუმცა საბოლოო სახე გერმანიის გაერთიანების შემდეგ მიიღო.

მუზეუმი, სადაც ებრაელი ერის ისტორია, გერმანელი და, კერძოდ, ბერლინელი ებრაელების მიერ განვლილი რთული გზა იქნებოდა ნაჩვენები, არაერთ დისკუსიას იწვევდა. დღეს

თუნუქით აჯედილი ზიგზაგისებური ნაგებობა, რომელიც XVIII საუკუნის სასამართლო კალატაზეა მიშენებული, ამერიკელი დანიელ ლიბესკინდის ფანტაზიის ნაყოფია.



ამ სივრცეში წარმოდგენილი ექსპოზიციები გერმანიის ტერიტორიაზე ებრაული თემის განსახლების ისტორიას ასახავს ანტიკური ხანიდან თანამედროვეობამდე.

მუზეუმი 2001 წელს საზეიმოდ გაიხსნა ცნობილი პიანისტის და დირიჟორის, დანიელ ბარენბოიმის კონცერტით. გარკვეულწილად ის 1938 წელს განადგურებული ებრაელთა მუზეუმის მემკვიდრეა, რომელიც ბერლინში მდებარეობდა და ნაცისტებს ემსხვერპლა; მისი კოლექციიდან, პრაქტიკულად, არაფერი გადარჩა.

მუზეუმის შენობა რამდენიმე ნაწილისგან შედგება. ძირითადი კოლექცია ამერიკელი არქიტექტორის, დანიელ ლიბესკინდის მიერ აგებულ შენობაშია განთავსებული. მისმა მშობლებმა, პოლონელმა ებრაელებმა, ჰოლოკოსტი გამოიარეს.



გერმანიაში ებრაული თემის ასეული წლის ცხოვრების შესახებ ექსპოზიციას სიმწვავესა და დამატებით აქცენტებს თვით კედლები სძენს.

მუზეუმის ერთიანი აგებულება ებრაულ-გერმანული ურთიერთობების თავისებურებებს სიმბოლურად ასახავს: დატეხილი ხაზები, პირდაღებული განაკვეთები, ცარიელი სივრცეები. კულმინაცია კი არის ჰოლოკოსტის კლაუსტროფობიული კოშკი, ცივი ბეტონის „ტომარა“, სადაც ცოტა დამთვალიერებელს თუ შეუძლია ორ წუთზე მეტი გაატაროს.

ღიაა: ორშაბათი – 10.00-22.00,
სამშაბათი-კვირა – 10.00-20.00.
ბილეთის ფასი: 8€

Lindenstraße 9-14

ADLON KEMPINSKI



ბერლინის შუაგულში, მის სავიზიტო ბარათად ქცეული ბრანდენბურგის კარიბჭის შორიახლოს მდებარე სასტუმრო, რომელიც ჯერ კიდევ 1907 წლიდან იღებს სტუმრებს, დახვეწილი სტილითა და ელეგანტურობით გამოირჩევა.

განსაკუთრებულია აქაური მასპინძლობა და მომსახურებაც.

სასტუმროშივე განთავსებული სამი რესტორანი – მათ შორის, მიშლენის ორი ვარსკვლავის მფლობელი Lorenz AdlonEsszimmer-ი და მოდური იაპონურ-ტაილანდური Sra Bua, რომლის საქმიანობასაც ტიმ რაუე (Tim Raue) უძღვება – ნებისმიერი გემოვნების, თვით ყველაზე ჭირვეულ სტუმარსაც აღაფრთოვანებს. Adlon Spa მართლაც რომ მიწიერი სამოთხეა დასვენებისა და გაჯანსაღების მსურველთათვის.

სტანდარტული ნომრის ფასი: 240€-დან

Unter den Linden 77

DAS STUE

Das Stue-მ, რომლის შენობაში გასული საუკუნის 30-იან წლებში დანიის სამეფოს საელჩო მდებარეობდა, უწინდელი დიდებული იერი ესპანელი დიზაინერის, პატრისია ურკუიოლას (Patricia Urquiola) წყალობით დაიბრუნა.

დღეს უკვე მოდურ ამ სასტუმროში დაბინავების უამრავი მიზეზი არსებობს – იქნება ეს თეთრად მბზინავი სპა, Tiergarten-ზე გამავალი ნომრები, სამსართულიანი სამკითხველო დარბაზი თუ მიშლენის ვარსკვლავით დაჯილდოებული ადგილობრივი კონცეპტუალური რესტორანი, რომლის მენიუს შედგენაც კატალონიელ შეფ-მზარეულ პაკო პერესს (Paco Pérez) აქვს მინდობილი.

სასტუმროდან ბერლინის ყველა ღირსშესანიშნაობა ორ ნაბიჯზეა, ოთახებში კი დურბინდებიც დაგხვდებათ, რათა ბერლინის სახელგანთქმული ზოოპარკის ბინადრებსაც უკეთესად ადევნოთ თვალი უშუალოდ ნომრის ფანჯრებიდან.

სასტუმროს ბარში სასმელების ჩამონათვალი ვისკისა თუ კონიაკის ისეთ უჩვეულო დასახელებებს მოიცავს, როგორსაც გერმანიის დედაქალაქში სხვაგან ვერსად გაუსინჯავთ გემოს.

სტანდარტული ნომრის ფასი: 230€

Drakestraße1,Tiergarten

SIR SAVIGNY HOTEL

სასტუმროს თითოეული ნომრიდან დაუვიწყარი ხედები ხელისგულივით მოჩანს. ოთახები დღევანდელი ურბანული გარემოს ნებისმიერი მოთხოვნის გათვალისწინებითაა აღჭურვილი: ხელნაკეთი ავეჯიდან დაწყებული და კითხვისთვის მოსახერხებელი მაგიდისა თუ კედლის სანათებით დამთავრებული. აქაურ, მართლაც რომ მეფურად განიერ საწოლში მოსვენება კი ერთი სიამოვნებაა.

თანამედროვე და თან უაღრესად არისტოკრატიული ეს სასტუმრო შეუდარებელია თავისი დახვეწილობით; გამორჩეულია სასტუმროს სამზარეულოც, რომლის ხორციანი კერძები პირდაპირ აბერდინიდან ჩამოტანილი ნედლეულისაგან მზადდება.

ნომრის ფასი: 200€-დან

Kantstrasse 144, Charlottenburg

THE DUDE

დიდი იშვიათობაა მინიატურულობისა და ფუფუნების ამგვარი უზადო შეხამება! სასტუმროში სულ 27 ნომერია, მაგრამ ის სტუმრებს ვერ აუდის. შენობა მეცხრამეტე საუკუნის ტიპური ქალაქური ნაგებობაა და სრულიად ესადაგება ბერლინისთვის დამახასიათებელ მსუბუქ იუმორს. ყველა ნომერიც ხაზგასმულად რეტრო სტილის ანარეკლს ატარებს – რკინის საწოლებითა თუ ძველებური იერის მქონე პირსაბან-აბაზანებით. სადღეღამისო შინაურული სამზარეულოს წყალობით, საუზმობის მკაცრად დადგენილი დრო არ

არსებობს; რაც შეეხება სადილ-ვახშამს, პირველ სართულზე Brooklyn Beef Club-ია გახსნილი, სადაც უგემრიელეს სტეიკსა და ვისკისა თუ ღვინის იშვიათ სახეობებს შემოგთავაზებენ. რაც შეეხება ვისკის, აქ ამ სასმლის 180 სახეობა გელოდებათ.

სტანდარტული ნომრის ფასი: 230€-დან

KöpenickerStrasse 92, Mitte

THE 25HOURS HOTEL BIKINI

ეს სასტუმრო ზუსტად ისეთივე მრავალფეროვნებით გამოირჩევა, როგორც თავად გერმანიის დედაქალაქი. The 25hours Hotel Bikini ბერლინის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს და დილიდან დაღამებამდე ფუტკრის სკასავით დუღს სიცოცხლით.

დიზაინერ ვერნერ აისლინგერის (Werner Aisslinger) მიერ შექმნილ ამ კოსმოპოლიტურ სივრცეში ყველაფერი ბუნებისა და კულტურის კონტრასტების თამაშზეა აგებული.

შესანიშნავი რესტორნის, ბარის, ღია ტერასისა და იქიდან დანახული ბერლინის დაუვიწყარი ხედების გამო აქაურობას არა მხოლოდ უშუალოდ დაბინავების მსურველი სტუმრები ეტანებიან. სასტუმროს საუკეთესო სივრცე აქვს საქმიანი შეხვედრებისათვის.

NENI RESTAURANT

NENI ის კულინარიული მოზაიკაა, რომელიც ერთმანეთის გვერდიგვერდ ითავსებს სპარსული, არაბული, ებრაული, თურქული, ესპანური, გერმანული და ავსტრიული სამზარეულოების გავლენას.

თავისთავად, ე. წ. Haya Molcho-ს კონცეპტუალური მიდგომა ცოტ-ცოტა ყველაფრის გასინჯვის შესაძლებლობას ითვალისწინებს და სხვადასხვა ხალხთა სამზარეულოების მრავალფეროვანი კერძები სრულიად ბუნებრივად იკავებს ადგილს ერთსა და იმავე სუფრაზე.

MONKEY BAR

The Top Floor Monkey Bar-ის ღია ტერასაზე ჯდომა ერთი სიამოვნებაა.

აქ სტუმრებს სპირტიანი სასმლისა და სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო ღვინოების ფართო არჩევანს სთავაზობენ. აქაური დიჯეი და ცოცხალი მუსიკის მრავალფეროვანი პროგრამა მთელ ბერლინშია ცნობილი. ადგილების დაჯავშნა წინასწარ ჯობია.

WOODFIRE BAKERY

ახალგამომცხვარი პურისა თუ ფუნთუშეულის სურნელით მთელი შენობაა გაჟღენთილი. საცხობში ასევე იყიდება ფუმფულა ფუნთუშები, ხელით ნადღვები კარაქი, სუფთა რძით მომზადებული ყველი და შინაურული მურაბები. **სტანდარტული ნომრის ფასი:** 145€

budapester str. 40

SOHO HOUSE

სასტუმროში სხვადასხვა ზომისა და სტილის 65 ნომერი და 20 საგანგებო აპარტამენტია. შენობის ბოლო სართულზე ღია აუზი, საუცხოო ბარი, რესტორანი და საცეკვაო მოედანია განთავსებული. გასული საუკუნის 20-იანი წლების სტილში მოპირკეთებული ეს შენობა, რომელიც ბერლინის ერთ-ერთ ხალხმრავალ გზაჯვარედინს გადაჰყურებს, 2010 წელს ქალაქის გამორჩეულად მდიდრულ სასტუმროდ გარდაიქმნა. საგულისხმოა მისი ისტორიაც: თავდაპირველად აქ ერთი ებრაული ოჯახის კუთვნილი სავაჭრო ცენტრი მდებარეობდა, ვიდრე ნაცისტებმა არ ჩამოართვეს, ხოლო მერე კომუნისტებმა არ ჩაიგდეს ხელთ. დღეს კი ეს უკვე Mitte-ს უბნის ყველაზე მოდური ადგილია, სიძველისა და თანამედროვეობის ერთმანეთთან ოსტატურად შეხამებულ გარემოში.

იქვეა ბერლინის საუკეთესო კონცეპტუალური მაღაზია, მცირე კინოთეატრი და, აგრეთვე, ბარით აღჭურვილი სამკითხველო, რომ აღარაფერი ვთქვათ მთელ ბერლინში ცნობილ Cowshed spa-ზე.

Soho Berlin-ი მისი მესაკუთრე ჯგუფის პირველი და ჯერჯერობით ყველაზე დიდი პროექტია გაერთიანებული სამეფოს საზღვრებს გარეთ.

ამ დასახელების პირველი სასტუმრო 1995 წელს გაიხსნა თავად ლონდონის სოჰოს უბანში, დღეს კი მას უკვე 18 ფილიალი აქვს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

ნომრის ფასი: 250€-დან

Torstraße 1

VOYAGER რჩეული მარშრუტი

1. **Berliner Dom (Am Lustgarten)** – მთავარი პროტესტანტული ტაძარი ის ნაგებობაა, საიდანაც ბერლინის შესწავლა უნდა დაიწყოთ, მით უმეტეს, რომ წელს რეფორმაციის 500 წლის იუბილე აღინიშნება. ტაძრის წინ ბერლინელების საყვარელ მდელოზე – Lustgarten-ზე შეგიძლიათ წამოწვეთ და დაისვენოთ, ვიდრე „მუზეუმების კუნძულზე“ გადახვალთ.

2. **Neues Museum (Bodestraße 1-3)** – თუ მხოლოდ ერთი დღე გაქვთ ქალაქის გასაცნობად და მუზეუმებიდან ერთი უნდა შეარჩიოთ, დაუფიქრებლად წადით „ახალ მუზეუმში“ ეგრეთ წოდებული „ბერლინური მწვანე თავის“ – ნეფერტიტის სახელგანთქმული ბიუსტის სანახავად. აუცილებლად ნახეთ პლატონის ხელნაწერებიც.

3. შემდეგ **Gendarmenmarkt-ისკენ** – ბერლინის ყველაზე ლამაზი მოედნისკენ გაისეირნეთ, დატკბით ჰარმონიული არქიტექტურული ანსამბლით, რომლის ცენტრში საკონცერტო დარბაზია, ხოლო გარშემო – გერმანული და ფრანგული კათედრალები. შეიძლება ბედმა გაგიღიმოთ და ღია ცის ქვეშ კლასიკური მუსიკის საღამოზეც ამოყოთ თავი.

4. გზა **Holocaust-Mahnmal-ისკენ** განაგრძეთ: ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მემორიალის მიწისზედა ნაწილი 2711 ცალი ბეტონის ფილაა, რომლებიც სამი საფეხბურთო მოედნის ტოლ მანძილზეა განლაგებული. ეს ძეგლი შემზარავად დიდებულია.

5. აქედან სულ მცირე მანძილის დაშორებით **Ebertstraße-ს** გაუყვებით და ბერლინის ყველაზე მთავარი ღირსშესანიშნაობის, Brandenburger Tor-ის (ბრანდენბურგის კარიბჭე) წინ აღმოჩნდებით. ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ ის გერმანული ერთიანობის სიმბოლოდ იქცა.

6. განაგრძეთ გზა **Reichstag-ისკენ (Platz der Republik 1)** – გერმანული დემოკრატიის მრავალტანჯული ბურჯის შენობა ბრიტანელმა ნორმან ფოსტერმა აღადგინა და ნაგებობას ახალი ეფექტური, შუშისა და ფოლადის გუმბათი დაადგა. შეგიძლიათ გუმბათზე ახვიდეთ და ქალაქის შესანიშნავი პანორამით დატკბეთ.

7. **Zoo (Hardenbergplatz 8)** – უძველესი და სახელგანთქმული გერმანული ზოოპარკისკენ გზა ტირგარტენის გავლით განაგრძეთ. ზოობაღი 1844 წელს გაიხსნა და დღემდე მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება.

8. **Bikini Berlin (Budapester Str. 38-50)** – საუკეთესო ადგილია ბერლინური შოპინგისათვის. ცენტრის არატრადიციული კონცეფცია მას გერმანიის დედაქალაქის ყველა სხვა სავაჭრო ცენტრისაგან გამოარჩევს. აქ ნახავთ ბრენდებს, როგორიცაა: Samsøe & Samsøe, Am+Aspesi, Artek Conceptstore, Ikomo, Labo.Art, Manila Grace, Kraft, Goldfisch, Lnfa, Mabba, Mammut, Vans, Closed, Carhartt, Teufel, Gant, აგრეთვე, ძალზე პოპულარული სათვალეების მარკის, Mykita-ს უახლეს კოლექციას.

9. **Monkey Bar (Budapester str. 40)** – ბერლინური დღის დასასრულს Monkey Bar-ის ღია ტერასაზე ჯდომა ერთი სიამოვნებაა. ის The 25hours Hotel Bikini-ს ბოლო სართულზე მდებარეობს. აქ საუკეთესო კოქტეილების და ღვინოების ფართო არჩევანია. დიჯეი და ცოცხალი მუსიკის მრავალფეროვანი პროგრამა მთელ ბერლინშია ცნობილი. ვახშამი შეგიძლიათ ბარშივე შეუკვეთოთ მეზობელი რესტორნის – Neni-ს უგემრიელესი მენიუდან.

რჩეული ადგილები მოძებნეთ VOYAGER-ის რუკაზე.

ტაქსი აეროპორტიდან

ორივე აეროპორტიდან (Tegel, Schönefeld) ქალაქის ცენტრამდე არც ისე დიდი მანძილია, ამიტომ გონივრულია, ტაქსით წახვიდეთ, მით უმეტეს, თუ ორი ან სამი ადამიანი ერთად მგზავრობთ. ყველა ტაქსიში შესაძლებელია საკრედიტო ბარათით გადახდა. ფეხის ქირის დატოვება სავალდებულო არ არის, მაგრამ მასზე არც უარს გეტყვიან. მძღოლი აუცილებლად გადმოვა მანქანიდან და თქვენი ბარგის გადმოსატანად საბარგულს გააღებს.

Tegel-იდან: 10 კმ, 20-30 წუთი, 20-25€

Schönefeld-იდან: 22 კმ, 40-50 წუთი, 35-40€

მატარებელი აეროპორტიდან

Tegel-ის აეროპორტიდან ქალაქის ცენტრამდე სარკინიგზო ხაზი არ არის, Schönefeld-ს კი სარკინიგზო სადგური აქვს, საიდანაც შეგიძლიათ რეგიონული მატარებლით, აეროპორტის ექსპრესით იმგზავროთ RE7 და RB14 ხაზებზე, ასევე, S-Bahn-ის S9 და S45 ხაზებზე.

აეროპორტის ექსპრესი, RE7 და RB14 – მგზავრობის ხანგრძლივობაა 30 წუთი, გადის ყოველ 20 წუთში ერთხელ, 04.40-იდან 23.20-მდე; **ფასი:** 3.20 €

S-Bahn S9 (ქალაქის ცენტრამდე) ან S45 (Südkreuz-მდე) – 45 წუთი, ყოველ 20 წუთში ერთხელ, 04.00-იდან 00.30-მდე; **ფასი:** 3.20€

ავტობუსი აეროპორტიდან

რადგანაც Tegel-ის აეროპორტს მატარებლის სერვისი არ აქვს, შეგიძლიათ ისარგებლოთ TXL Express ავტობუსით, რომელიც Alexanderplatz-ამდე მიდის (გზაში რამდენიმე გაჩერებით). **ის მგზავრობას 40-45 წუთს ანდომებს, გადის ყოველ 7-20 წუთში ერთხელ, 04.30-00.00; ფასი:** 2.60€

ტაქსი ბერლინში

ბერლინში 7000 ტაქსია და ყველა კრემისფერი. მანქანის თავზე დამაგრებული ნიშანი ადვილად შესამჩნევია შორი მანძილიდანაც კი, რადგან ფერებს იცვლის. ქალაქში მრავალი კატეგორიის ტაქსია, ადვილად შესაძლებელია ქუჩაში ტაქსის გაჩერებაც. როცა ბერლინელი მარტო მგზავრობს, ტაქსის მძღოლის გვერდით იკავებს ადგილს, ძირითადად, თანასწორობის ხაზგასასმელად. მგზავრობის საფასურის გადახდისას თანხას ამრგვალებენ და აყოლებენ ფრაზას: „Das stimmt so“, რაც ნიშნავს: „ხურდა დაიტოვეთ“. ბარგისათვის დამატებითი გადასახადი არ არის.

მინიმალური ფასი: 4€, **საშუალო ფასი:** 8€-15€.

ფეხის ქირა: მთლიანი თანხა დაამრგვალეთ, ან 1-5€ დაუმატეთ.

U-Bahn და S-Bahn

ბერლინი ზედმიწევნით დაფარულია სატრანსპორტო ქსელით, რომელსაც U-Bahn ჰქვია. მის ათ ხაზზე 173 სადგურია. S-Bahn-ის 328-კილომეტრიან ქსელში 15 ხაზზე 166 სადგურია, ორბიტული ხაზით, რომელიც ბერლინის ცენტრს ურტყამს წრეს.

მუშაობის განრიგი: ყოველდღიურად 04.00-იდან 01.00-მდე, ყოველ 4-15 წუთში ერთხელ; **ბილეთის ფასი** (U-Bahn/S-Bahn) – ზონა AB: 2.70€, **დღის ბილეთი**: 7€; **Berlin CityTourCard**: 17.50€-39.50€ (48-საათიანიდან 6-დღიან ბილეთამდე).

AMPELMÄNNCHEN

ასეთი შუქნიშნები აღმოსავლეთ ბერლინში 1960-იან წლებში გამოჩნდა. ლეგენდა გვიამბობს, რომ მის დიზაინერს ჩალის ქუდით დამშვენებული გენერალური მდივნის, ჰონეკერის ფოტოსურათის ხილვის შემდეგ შთაგონება ეწვია და ასე გაჩნდა Ampelmännchen – ადამიანი-შუქნიშანი.

კედლის დანგრევის მერე მისი ჩვეულებრივი შუქნიშნებით ჩანაცვლება მოისურვეს, მაგრამ Ampelmännchen-ის დასაცავად საზოგადოებრივი მოძრაობა დაიწყო.

ამიტომაც ეს სიმპათიური შუქნიშნები ტრანსპორტის ნაკადს მთელ ქალაქში დღესაც არეგულირებს.

ის არის სიმბოლო ე. წ. ოსტალგიისა (სევდა გდრ-ის მიმართ; სიტყვა-საგან OST – აღმოსავლეთი).

ადამიანი-შუქნიშანი შესანიშნავი სუვენირიცაა: არსებობს მაღაზიები (www.ampelmann.de), რომლებიც ყიდიან ჩანთებს, სამაგრებსა და მაგნიტებს ამ სიმბოლოს გამოსახულებით.

ეს მშვენიერი გამოსავალია, როცა არ იცი, გერმანიაში მოგზაურობიდან მეგობრებს საჩუქრად რა ჩამოუტანო.

ყავისფერი დათვი

ყავისფერი დათვი, შუასაუკუნეებიდან მოყოლებული, ბერლინის თილისმაა. ოდესღაც ეს ჰერალდიკური სიმბოლო ახლა გაერთიანებული დედაქალაქის ყველა ოფიციალურ დროშაზეა გამოსახული. მას იყენებენ რეკლამებსა და არტისტულ პროექტებში, კინემატოგრაფიაშიც კი – ბერლინის კინოფესტივალის მთავარი პრიზი ხომ ოქროს დათვია.

ბერლინში კონტინენტური კლიმატია, ცივი ზამთრით, ტემპერატურა ხშირად -15°C-მდე ეცემა. გაზაფხულზე საშუალო ტემპერატურა დაახლოებით 10°C-ია. ხანდახან, აღდგომამდე რამდენიმე დღით ადრე, ქალაქში ადრეული, ხანმოკლე გაზაფხული დგება და ტემპერატურა 25°C-მდე იმატებს. ზაფხულობით კი მხურვალე დღეებში თერმომეტრი 35°C-ს აჩვენებს. შემოდგომა ბევრად სასიამოვნოა, მაგრამ ოქტომბრის ბოლოს მოულოდნელად სრულდება.

მზის ამოსვლა და მზის ჩასვლა: მარტი – 06.30-18.30, ივნისი – 05.00-21.30.

სასაათო სარტყელი: GMT/UTC+1 GMT/UTC+2 (ზაფხულში)

წყალსაქაჩები

ძველმოდური წყალსაქაჩები საინტერესო სანახავია და უამრავ ქუჩაზე წააწყდებით, განსაკუთრებით ბერლინის დასავლეთ ნაწილში. ეს ისტორიული და პოპულარული რელიკვიები ჯერ კიდევ მუშაობს და ბერლინელები მათ მშვენივრად იყენებენ.

დილის შვიდ საათსა და თერთმეტ საათს შორის მისალმებისას შემხვედრს **„Guten Morgen“** (დილა მშვიდობისა) უთხარით, შემდეგ, დღის სამ საათამდე – **„Guten Tag“** (დღე მშვიდობისა), დღის ხუთი საათის მერე – **„Guten Abend“** (საღამო მშვიდობისა). მთელი დღისა და საღამოს განმავლობაში დასამშვიდობებლად შეგიძლიათ თქვათ **„Auf Wiedersehen“** (ნახვამდის), ხოლო **„Gute Nacht“**-ის გამოყენებით ერთმანეთს მხოლოდ ოჯახის წევრები და ახლო მეგობრები ემშვიდობებიან, ისევე როგორც იტალიური სიტყვით **„Ciao“** – მას ბერლინელები ხშირად ამბობენ. **„Tschüß!“** კი ნიშნავს: „შეხვედრამდე!“

VOYAGER კომენტარი

რის გაკეთება არ შეიძლება ბერლინში

- **დაგვიანება.** ბერლინელები ძალიან პუნქტუალურები არიან და სხვებისგანაც იმავეს ელოდებიან. რაც მთავარია, წინასწარ დარეკვას და გაფრთხილებას იმის შესახებ, რომ აგვიანებთ, პატივისცემად ჩაგითვლიან და დაასფასებენ.
- **ფულის დემონსტრაციულად ხარჯვა.** ბერლინელები ხელმომჭირნეები არიან და ფასების სხვადასხვაობას გულმოდგინედ აკვირდებიან.
- **ზედმეტი სიმორცხვე.** საკუთარი აზრის დაცვა უნდა შეგეძლოთ. ბერლინი ერთგვარი ურბანული ჯუნგლებია და სიმორცხვეს შესაძლოა სიმხდალის ინტერპრეტაცია მიეცეს. აქ მშიშარა ადამიანების ადგილი არ არის. ამის გათვალისწინებით, უმნიშვნელო წვრილმანის გამო ბოდიშის მოხდას სისუსტედ ჩაგითვლიან. ბერლინელებში პრუსიული მემკვიდრეობა და სიმტკიცე ბატონობს.
- **თითების გატკაცუნება მიმტანის მოსახმობად.** ეს უკიდურესი უხეშობაა და იგივე შეიძლება ითქვას, თუ მიმტანს დაუძახებთ: „Fraulein!“ ან „Jungherr!“. უბრალოდ, შეგიძლიათ თქვათ „Hallo!“ და ხელი დაუქნიოთ – მიმტანი აუცილებლად დაგინახავთ.
- **შეხვედრის გაუქმება უკანასკნელ წამს.** ადგილობრივები ძალიან მოწესრიგებულები არიან. საქმიანი შეხვედრის ბოლო მომენტში გაუქმება გამოუსწორებელი შეცდომაა.
- **რიგში დგომის წესების დარღვევა.** გაუგონარი საქციელი და „მომაკვდინებელი ცოდვაა“.
- **მოწევა იქ, სადაც ეს ნებადართული არ არის.** ბერლინელები ძმიმეწონიანი მწეველები არიან და წარმატებულად აუარეს გვერდი თამბაქოს მოხმარების საწინააღმდეგო კანონს. აქ უამრავი ადგილია, რომელიც მწეველების მიმართ სავსებით „ტოლერანტულია“.

საუკეთესო მომსახურებისა და გამორჩეული გარემოს გათვალისწინებით, 2015 წელს მეორედ დაჯილდოეს მიშლენის ვარსკვლავით.

HORVÁTH

არტისტული მემკვიდრეობა

რესტორანს დიდი ხნის ისტორია აქვს: ის ჯერ კიდევ 1918 წელს იღებდა სტუმრებს, ხის პანელებით გაწყობილ ამ მყუდრო გარემოში მხიარული სიცილი და ღრმაზროვანი ფილოსოფიური საუბრები ისმოდა. დროის გატარება აქ ისეთ ხალხს უყვარდა, როგორებიც იყვნენ: ენდი უორჰოლი, რაინერ ვერნერ ფასბინდერი თუ ოტო ზანდერი და, სხვათა შორის, ბერლინში ყოფნისას დევიდ ბოუიც აქაურობას ანიჭებდა უპირატესობას. 2005 წელს რესტორანი სრულიად განაახლეს ედით ბერლინგერმა და დიტმარ შრაივერმა და მას ავსტრიელი პოეტის, ოდონ ფონ ხორვატის სახელი დაარქვეს.

2010 წელს შეფ-მზარეულად აქ სებასტიან ფრანკი (Sebastian Frank) მოვიდა და, სწორედ მისი ოსტატობის წყალობით, რესტორანმა სულ რაღაც ერთ წელიწადში საყოველთაო აღიარება მოიპოვა. მოგვიანებით ფრანკი აქაურობის მეპატრონეც გახდა და მას მერე რესტორანი ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება მთელ ბერლინში.

შეფის მენიუ: 99.129€; **ღიაა:** სამშაბათი-კვირა – 18.30-22.30, ორშაბათს დაკეტილია.

Paul-Lincke-Ufer 44A

BIEBERBAU

ვეგეტარიანული

2015 წელს მიშლენის ვარსკვლავით დაჯილდოებულ ამ რესტორანში გერმანული სამზარეულოს ვეგეტარიანელებზე გათვლილი უგემრიელესი კერძები დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს სტუმრებზე.

სადილი 2 პერსონაზე: 75€-დან;

ღიაა: ორშაბათი-პარასკევი – 18.00-24.00, შაბათს და კვირას დაკეტილია.

DurlacherStraße 15

NOBELHART&SCHMUTZIG

ნორდული კულინარიით შთაგონებული

ბარი, რომელიც მიშა შოფერის (Micha Schaefer) სამზარეულოს გარს არტყია, მისი ათკერძიანი სადეგუსტაციო მენიუსთვის იდეალური სცენაა. ნორდული კულინარიით შთაგონებულ მენიუში მთავარი აქცენტი ადგილობრივ ინგრედიენტებზეა გადატანილი. კერძები სათუთადაა შეხამებული რესტორნის მფლობელისა და მასპინძლის, ბილი ვაგნერის (Billy Wagner) მიერ დაყენებულ ღვინოებთან; ის ბერლინის ერთ-ერთ საუკეთესო სომელიედაა მიჩნეული.

აქ ყველა სტუმარს მისთვის შესაფერის მენიუს სთავაზობენ. 2015 წელს რესტორანს მიშლენის ვარსკვლავი მიენიჭა.

შეფის მენიუ: 95€

ღიაა: სამშაბათი-შაბათი – 18.30-02.00

Friedrichstraße 218

FRÜHSAMMERS RESTAURANT

თანამედროვე ევროპული

ეს მოდური რესტორანი „გრუნვალდის საჩოგბურთო კლუბის“ კუთვნილ ისტორიულ ვილაშია გახსნილი. საუკეთესო აღმოსავლურ და ხმელთაშუა ზღვის აუზის კერძებს აქ 2015 წელს მიშლენის ვარსკვლავით დაჯილდოებული შეფ-მზარეული სონია ფრუზამერი შემოგთავაზებთ. რესტორანი ღვინოების დიდებული არჩევანითაცაა ცნობილი.

სადილი 2 პერსონაზე: 75€-დან

FlinsbergerPlatz 8

LOKAL

ადგილობრივი ინგრედიენტები

ეს ბერლინური რესტორანი პირველი იყო ქალაქში, რომელიც კერძებში ყველა შესაძლებელ ინგრედიენტებს იყენებდა. განსაკუთრებულ ყურადღებას ადგილობრივ სურსათს აქცევენ. სადა და ხალასი რესტორანი უპრეტენზიო სეზონური მენიუთი და მსუბუქი ატმოსფეროთი მაშინვე დაიპყრობს თქვენს გულს. გახსნიდან ექვსი წლის შემდეგაც კი ის სანიმუშოდ თანამედროვეა და ნამდვილი გერმანული კულინარიის მაგალითია.

ღიაა: ყოველდღე – 17.00-24.00

Linienstraße 160

BOCCA DI BACCO

იტალიური

ცნობილ ადამიანთა თავშეყრის ადგილად ქცეული ეს იტალიური რესტორანი სტუმრებს საუკეთესო სამზარეულოსა და ტოსკანური ნუგბარის დიდ არჩევანს სთავაზობს. აქვეა მდიდარი ენოთეკაც, სადაც სახელგანთქმული იტალიელი მეღვინეების ხუთასზე მეტი დასახელების ღვინო ინახება. მაგიდა აუცილებლად წინასწარ დაჯავშნეთ.

ლანჩი: 22€-დან,
ა ლა კარტი: – 36€-დან.
ღიაა: ორშაბათი-შაბათი – 12.00-24.00, კვირას და დასვენების დღეებში – 18.00-24.00

Friedrichstraße 167/168

RICHARD

ფრანგული

ამ რესტორნის მენიუ საუკეთესო ფრანგული კერძების მრავალფეროვნებით იწონებს თავს. ფრანგული გამოცდილებითვეა ნაკარნახევი ყოველთვიური ე. წ. prifixe მენიუც, რომელიც დიდი არჩევანით გამოირჩევა. 2015 წელს მიშლენის ვარსკვლავით დაჯილდოებულ რესტორანში სტუმრებს გამორჩეულად თანამედროვე გარემო და ამაღლებული განწყობა დახვდებათ. აქ სტუმრობას განსაკუთრებით ვეგეტარიანელებს ვურჩევთ.

სადილი 2 პერსონაზე: 60€; **ღიაა:** სამშაბათი-შაბათი – 19.00-24.00, ორშაბათს და კვირას დაკეტილია.

KöpenickerStraße 174

BANDOL SUR MER

ფრანგული

მეფურ სუფრას გთავაზობთ ქალაქის შიგ შუაგულში, მუდამ ხალხმრავალ ტორშტრასეზე მდებარე ეს ფრანგული რესტორანი, რომელიც ყველაზე ჭირვეული გემოვნების მქონესაც კი აღაფრთოვანებს. აქ შეგიძლიათ მიირთვათ ისეთი კლასიკური კერძები, როგორიცაა foie gras თუ შინაურული წვნიანი. ზაფხულობით უკვე ქუჩაში გამოდგმულ მაგიდებთან მსხდომ სტუმრებს შეუძლიათ გამვლელ-გამომვლელსაც გააყოლონ თვალი. 2015 წელს რესტორანი მიშლენის ვარსკვლავით დაჯილდოვდა.

სადილი 2 პერსონაზე: 55€;
ღიაა: ხუთშაბათი-ორშაბათი – 18.00-01.00, სამშაბათს და ოთხშაბათს დაკეტილია.

Torstraße 167

EINSUNTERNULL

კლასიკური გერმანული

მიშლენის მფლობელი ეს რესტორანი მუდმივად ახალ კულინარიულ მიდგომებს ეძებს. კულინარიის „დიდების დარბაზში“ Einsuntenull-მა გამოჩენისთანავე გამორჩეული ადგილი დაიკავა შეფ-მზარეულ ანდრეას რიგერის (Andreas Rieger) წყალობით. თანამედროვე, მოდური რესტორანში, რომელსაც შიგ ჩაშენებული ერთიანად შუშის სამზარეულო გამოარჩევს, რიგერმა უმაღლესი ხარისხის ნედლეული მართლაც განუმეორებელი გემოსა და სურნელის მქონე კულინარიულ შედევრებად აქცია. გამოცდილი სომელიე და რესტორნის მეპატრონე ივო ებერტი (Ivo Ebert) პირადად შეგირჩევთ თითოეული კერძისათვის შესაფერის ღვინოს. მენიუც იმდენად უჩვეულო შეხამებების მაგალითია, ძნელია რომელიმე ცალკეულ სამზარეულოს მიაკუთვნო. **ლანჩი:** სამშაბათი-შაბათი – 12.00-14.00; **ვახშამი:** ორშაბათი-შაბათი – 19.00-22.30, კვირას დაკეტილია.
ფასი: 3-კერძიანი სადილი – 30€-დან, 10-კერძიანი ვახშამი – 119€-დან

HannoverscheStraße 1

RUTZ

ღვინის ბარი

გემრიელი საჭმლისა და ხარისხიანი სასმლის მოყვარულთათვის აქ ორი სხვადასხვა სივრცეა: პირველ სართულზე შესანიშნავი ღვინის ბარი ეპატიჟება სტუმრებს, მეორეზე – უკვე მიშლენის ვარსკვლავის მფლობელი რესტორანი, რომელიც ხმელთაშუა ზღვის აუზის სამზარეულოთია ცნობილი. ერთიანად მწვანეში ჩაფლული ღია ვერანდა ზაფხულობით ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია მთელ ბერლინში.

აქაური ვინოთეკა 800-ზე მეტი დასახელების რჩეულ ღვინოს ითვლის, რამაც ალბათ განაპირობა კიდეც აქაურობის მეპატრონისთვის, მარკო მიულერისთვის (Marco Müller) მიშლენის მეორე ვარსკვლავის მინიჭება.

მიულერისეული სამზარეულოც ასევე გამოირჩევა სიახლის მუდმივი ძიებითა და სამუდამოდ დასამახსოვრებელი სურნელებით.

სადილი 2 პერსონაზე და 2 ჭიქა ღვინო: 60€.

ღიაა: სამშაბათი-შაბათი – 16.00-23.00, კვირას და ორშაბათს დაკეტილია.

Chausseestrasse 8

FISCHERS FRITZ

საუკეთესო თევზეული

გურმანთათვის ზედგამოჭრილი რესტორანი თევზეულისა და, ზოგადად, ზღვის ნობათის საუკეთესო კერძებითაა ცნობილი. ისტორიული Gendarmenmarkt-ის ხედის მქონე ამ რესტორანში სრულიად განსაკუთრებული განწყობა იგრძნობა. რესტორნის შეფ-მზარეული (Christian Lohse) ორგზისაა მიშლენის ვარსკვლავით დაჯილდოებული.

ღიაა: ორშაბათი-პარასკევი – 06.30-11.00, შაბათს და კვირას – 06.30-11.30, ვახშამი – 18.30-22.30.

ვახშამი 2 პერსონაზე ჭიქა ღვინით: 100€-დან

Charlottenstraße 49

5-CINCO BY PACO PÉREZ

ავანგარდული

სასტუმრო Das Stue-ში გახსნილი ეს რესტორანი სრულიად ავანგარდულ, მრავალფეროვან და გამაბრუებელი სურნელის მქონე უმაღლესი ხარისხის კერძებს შემოგთავაზებთ. Cinco თანაბრად დააკმაყოფილებს თქვენს ხუთივე გრძნობას და ეს ყველაფერი ესპანელი შეფ-მზარეულის, პაკო პერესის (Paco Pérez) უთუოდ ხელოვნებასთან ნაზიარები ოსტატობის შედეგია.

ღიაა: სამშაბათი-შაბათი – 18.30-22.00, კვირას და ორშაბათს დაკეტილია.

Drakestraße 1

გირჩევთ, გაბედოთ და დააგემოვნოთ მთელი მისი 22-კერძიანი მენიუ. შეფის მენიუს ფასი: 90€-დან.

PAULY SAAL

20-იანი წლების გლამური

სახელგანთქმული შეფ-მზარეული არნ ანკერი ბერლინის ამომავალი ვარსკვლავია. მისი კულინარიული ხელწერა წვრილმანებისადმი ყურადღებას, მომზადების ერთიან სტილსა და ზღვის პროდუქტებზე აქცენტირებას მოიცავს. რესტორნის სივრცე, უზარმაზარი ჭერითა და რაკეტის მასიური ქანდაკებით, თქვენზე წარუშლელ შთაბეჭდილებას მოახდენს.

აქაური ღვინოების სიაში მთელი მსოფლიოდან 600-ზე მეტი ღვინოა, ასე რომ, Pauly Saal-ში ექსტრავაგანტურ გურმანულ გამოცდილებას მიიღებთ.

სადილი 2 პერსონაზე ჭიქა სასმლით: 80€;**ღიაა:** სადილი – 12.00-14.00, ვახშამი – 18.00-21.30

Auguststr. 11-13

MOGG

საუკეთესო ხორცეული

ყოფილი ებრაელ გოგონათა სკოლის შთამბეჭდავ შენობაში მდებარე Mogg-ი გაზეთმა New York Times-მა, საუკეთესო ხორცის კერძების გამო, ნიუიორკული რესტორნების რანგში აიყვანა. ასევე გირჩევთ, დააგემოვნოთ უგემრიელესი ბრიოშე ტრიუფელის სოკოთი და კვერცხით.

სადილი 2 პერსონაზე: 55€-დან; **ღიაა:** ყოველდღე – 11.00-22.00

Auguststr. 11-13

LORENZ ADLON ESSZIMMER

ევროპული

გურმანების დამფასებელი, მიშლენის ორი ვარსკვლავის მფლობელი ჰენდრიკ ოტო (Hendrik Otto) აცხადებს: „ჩემი მთავარი სურვილია, საკუთარი რეცეპტებით სხვადასხვაგვარი გრძნობები აღვძრა სტუმრებში, შევთავაზო მათ მოგზაურობა გემო-სურნელების სამყაროში... ამავე დროს, ნებისმიერ ჩემს კულინარიულ ქმნილებას ერთი უაღრესად პირადული თვისება გამოარჩევს: მე არა მარტო მგრძნობელობითი შთაბეჭდილებები შთამაგონებს, არამედ ის ძველი რეცეპტებიც, რომლებიც ოჯახიდან თუ მეგობრებისაგან გადმომეცა. აქედან გამომდინარე, გადამწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებ ზედმიწევნით ზუსტი ინგრედიენტების შეხამებას და მომწოდებლებსაც დიდი სიფრთხილით ვირჩევ“.

სადილი 2 პერსონაზე: 75€-დან;
ღიაა: სამშაბათი-შაბათი – 19.00-22.30, კვირას და ორშაბათს დაკეტილია.

Unter den Linden 77

SEMMLER - DAS RESTAURANT

კლასიკური

მარკუს ზემლერი (Markus Semmler), რომელიც უკვე 17 წელიწადია საუკეთესოთა შორისაა, 2011 წლიდან საკუთარ რესტორანსაც უძღვება (Semmler – Das Restaurant). მისი გამოსარჩევი ნიშანი კლასიკური ყაიდის კერძებია. კვირაში ოთხჯერ სტუმრებს აქ მრავალკერძიანი სადილით უმასპინძლდებიან. სასადილო დარბაზში უაღრესად მყუდრო, შინაურული გარემოა შექმნილი და იქაურობაც შესაბამისადაა გაწყობილი – ვთქვათ, ზემერისავე ბებიის ნაქონი ძველებური ჭურჭლის კარადით...

ღიაა: სამშაბათი-შაბათი – 17.00-22.00, კვირას და ორშაბათს დაკეტილია.

Sächsische Str. 7

BRASSERIE COLETTE

ფრანგული

გერმანიის ყველაზე ცნობილი შეფი ტიმ რაუე (Tim Raue) თავის ფრანგული სტილის რესტორანში Brasserie Colette ტრადიციულ, კლასიკურ კერძებსაც კი სრულიად ახლებურ პეწს მატებს. განსაკუთრებულად გემრიელია ტრიუფელებით გაწყობილი Croque Madame, ღორის ქონში შებრაწული ზღვის ქორჭილა და ასთაკვა ნესვით. ამ ყველაფერს მეტად მყუდრო გარემოში მოგართმევენ, სადაც პირველ რიგში, ერთ კედელთან ჩარიგებული ძველებური ჭურჭლის კარადები მოგხვდებათ თვალში.

ღიაა: ყოველდღე – 12.00-15.00, 18.00-23.00

Passauer Str. 5-7

VOYAGER კომენტარი

6500 რესტორნის და კაფეს არსებობა ბერლინში იმაზე მიგვანიშნებს, რომ ყველაზე პოპულარული ადგილების გარდა ვახშმისთვის მაგიდის დაჯავშნა არსად მოგიწევთ. საშუალო სტატისტიკური ბერლინელი 18.00-ზე ვახშმობს. ოცდაათ წელს გადაცილებული ბერლინელები, რომლებიც სამუშაოს მოგვიანებით ამთავრებენ, ჯერ სადმე ბარში იკრიბებიან, ვახშამს კი უფრო გვიან მიირთმევენ, თან სწრაფად. შუა ხნის და საშუალო ფენის ბერლინელები სასადილოდ გარეთ გადიან, ისინი ვახშამს და, ზოგადად, გემრიელად და ხარისხიანად კვების საკითხებს უფრო მეტ დროს უთმობენ.

REINSTOFF - EDISON HÖFE BERLIN

კრეატიული

მიშლენის ორი ვარსკვლავისა და Gault&Millau-ს 18 ქულის მფლობელი რესტორანი ედისონის იმ ისტორიულ შენობაშია განთავსებული, სადაც რამდენიმე ათწლეულის წინ გერმანელები პირველ გაზის ნათურებს ამზადებდნენ. ამ გამორჩეულ გარემოში შეფ-მზარეულმა დენიელ აშილესმა და ეკონომისტმა საბინ დემელმა მოგვიანებით გურმანთათვის განკუთვნილი რესტორანი გახსნეს, რომლის გარეშეც დღეს ბერლინი უკვე წარმოუდგენელიც კია.

ისტორიული შენობის თავისებურებამ, ბერლინის შუაგულში მდებარეობამ და 2014 წელს საუკეთესო მზარეულად აღიარებული დენიელ აშილესის (Daniel Achilles) ამოუწურავმა ფანტაზიამ დროთა განმავლობაში რაინშტოფი ბერლინის ყველაზე მიმზიდველ რესტორნად აქცია.

5 კერძიანი მენიუ: 110€-დან; **ღიაა:** სამშაბათი-შაბათი – 19.00-24.00, პარასკევს და შაბათს ლანჩი – 12.00-13.30.

schlegelstraße 26c

GRILL ROYAL

საუკეთესო სტეიკი

ბერლინში ამ რესტორანმა სახელი გაითქვა, როგორც ვარსკვლავების საყვარელმა ადგილმა და სწორედ აქ შეგიძლიათ თვალი შეავლოთ ჯორჯ კლუნის, როცა ის ქალაქს სტუმრობს. უზარმაზარი და ელეგანტური დარბაზი მდინარე შპრეეს გვერდით, ხიდის ქვეშ ოსტატურადაა მიმალული. აქ გერმანული, ამერიკული და იაპონური ე. წ. დაძველებული სტეიკების მრავალფეროვნებაა. მათ ბერლინში „ბადალი არ ჰყავთ“. **სადილი 2 პერსონაზე:** 75€; **ღიაა:** ყოველდღე – 18.00-23.30

Friedrichstr. 105b



LE PETIT ROYAL

თევზეული

თანამედროვე ხელოვნების არაერთი ნიმუშით გაწყობილი Le Petit Royal-ი Mitte-ს უბანში მდებარე საყოველთაოდ ცნობილი Grill Royal-ის ფილიალია და ის ერთნაირად იზიდავს როგორც ხელოვნების ახალი მიმართულებების მოყვარულებს, ისე გემრიელი საჭმლის დამფასებლებსაც, თავისი ფრანგული ბისტროს ტიპის მენიუს წყალობით. ძირითადი ყურადღება აქ მაინც ახალდაჭერილი თევზის კერძებსა და საუკეთესო ღვინოებს ექცევა. **სადილი 2 პერსონაზე:** 50€; **ღიაა:** ორშაბათი-შაბათი – 18.00-23.00

Grolmanstraße 59



FACIL

ხმელთაშუა ზღვის სამზარეულო

ბერლინის Mandala Hotel-ის მწვანეში ჩაფლულ შიდა ეზოში გახსნილი ეს რესტორანი ბერლინელი გურმანების თავშეყრის საყვარელი ადგილია.

ახალგაზრდა, თუმცა კი უკვე აღიარებული შეფ-მზარეული მიქაელ კემფი (Michael Kempf) თავის შუშისსახურავიან დარბაზში, ხმელთაშუა ზღვის ხიბლით გაჯერებულ, უგემრიელეს კერძებს შემოგთავაზებთ. მისი ნახელავი იმდენად გემრიელია, კრიტიკოსებმა ის უკვე ორჯერ გამოარჩიეს მიშლენის ვარსკვლავით.

სადილი 2 პერსონაზე: 75€; **ღიაა:** ორშაბათი-პარასკევი – 12.00-15.00, შაბათს და კვირას დაკეტილია.

PotsdamerStraße 3

DATA KITCHEN

ციფრული მომსახურება

Data Kitchen-ში სრულიად ახლებური, ციფრული მეთოდით გემსახურებიან, სასურველი შეკვეთის მიღება უკვე ღილაკზე თითის ერთი დაჭერით ხდება – არანაირი ლოდინი და არანაირი მიმტანები!

ღიაა: ორშაბათი-პარასკევი – 09.00-17.00, შაბათს და კვირას დაკეტილია.

Rosenthaler Str. 38

ZUR LETZTEN INSTANZ

ტრადიციული გერმანული

ისტორიული წყაროების მიხედვით, Zur letzten Instanz-ს 1621 წლიდან ერთი და იგივე ადგილმდებარეობა აქვს, რაც მას ბერლინის ყველაზე ძველ რესტორნად აქცევს. მართალია, გერმანიის დედაქალაქში ნებისმიერი ახალი კულინარიული მიმართულება იოლად იკიდებს ფეხს, მაგრამ ტრადიციულ ბერლინურ სამზარეულოს მაინც არ ემუქრება გაქრობა. „ღორის კანჭი მოშუშული მუხუდოთი“, „ხბოს ღვიძლი ბერლინურად“ და, ასევე, ხორცის შეჭამანდი კარტოფილითა და ბლომად მდოგვით – ეს ის კლასიკური კერძებია, რომლებიც უკვე საუკუნეებია, რაც ნებისმიერ გერმანულ სამზარეულოში მზადდება. სწორედ ამ კერძებით ჯერ კიდევ მე-17 საუკუნიდან ცნობილი, ბერლინის უძველესი რესტორანი Zur Letzten Instanz ისეთ გამოჩენილ ხალხს უწევდა მასპინძლობას, როგორებიც იყვნენ ნაპოლეონი და გოეთე.

ღიაა: ყოველდღე – ორშაბათს 17.00-01.00, სამშაბათი-შაბათი – 12.00-01.00, კვირას – 12.00-22.00.

Waisenstraße 14-16

9 KATERSCHMAUS

თანამედროვე გერმანული

ეს საკულტო რესტორანი ერთ დროს ბერლინის ლეგენდარული ღამის კლუბის, Bar 25-ის ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც 2010 წელს დაიხურა; ხელახლა გახსნის შემდეგ კი უკვე Holzmarkt-ის შემადგენლობაში შედის – იმ პროექტის, რომელიც არა მარტო კულინარიულ, არამედ მხატვრობისა და მუსიკის სფეროსაც მოიცავს. რესტორანმა ქალაქის შემოქმედებით ცხოვრებაში სწორედ ის ნიში დაიკავა, სადაც ე. წ. „ქლაბერები“ დროისა და სივრცის შეგრძნებას კარგავენ. ახლა ამ მდინარისპირა რესტორნის სტუმრობა დღის საათებში ჯობია – განსაკუთრებით მზიან ამინდში. საკვები აქ მსუბუქია და სამზარეულოც მეტწილად ბოსტნეულის მრავალფეროვან კერძებზეა გათვლილი, თუმცა სადილის მენიუში ზოგჯერ გერმანულ კლასიკურ კერძებსაც იპოვით.

ღიაა: ორშაბათი-კვირა – 12.00-16.00, 19.00-22.30.

Holzmarktstraße 25

OH-PANAMA

თანამედროვე გერმანული

ორსართულიანი რესტორანი სტუმარს თანამედროვე გერმანულ სამზარეულოს სთავაზობს. თავად შენობის ინტერიერი ერთობ კონტრასტულია: თუ მეორე სართულზე მაღალი ჭერი, დიდი ფანჯრები და წელში ნატიფად გამოყვანილი სვეტები მოგხვდებათ თვალში, პირველ სართულზე უფრო მყუდრო და ინტიმური ატმოსფერო სუფევს. ზაფხულობით უკვე ეზოში გამოტანილ მაგიდებს განსაკუთრებული ხიბლი ემატება, ხოლო რესტორანთანვე არსებული Tiger Bar-ი საუკეთესო კოქტეილებითა და უშაღლესი ხარისხის ლუდითაა სახელგანთქმული.

ღიაა: სამშაბათი-შაბათი – 18.00-23.00, კვირას და ორშაბათს დაკეტილია.

Potsdamer Straße 91

VOYAGER კომენტარი

ბარებში, ყავის სახლებში, პატარა რესტორნებსა და მაღაზიებში ბარათებს ყოველთვის არ იღებენ, ამიტომ უმჯობესია, გარკვეული რაოდენობის ნაღდი ფული თან იქონიოთ. პატარა კაფეებში საკმარისია თანხა, უბრალოდ, დაამრგვალოთ ან დაბრუნებული ხურდიდან მონეტები დატოვოთ, ხოლო რესტორნებში ფეხის ქირა 5-10%-ია. არ დატოვოთ ფეხის ქირა, თუკი დაწესებულების მეპატრონე გემსახურებათ.

PRATER

უძველესი ბირგარტენი



1837 წლიდან მოყოლებული, რამდენიმე-საუკუნოვანი წაბლის ხეების ქვეშ მდგარ მაგიდებთან სტუმრები ლუდს მიირთმევენ. „მისაყოლებლად“ სოსისს, ბრეცელებსა და კარტოფილის სალათას მოგართმევენ. საღამოს, როცა ფანრებზე გირლანდები აინთება, აქაურობა ნამდვილად ჯადოსნური ზღაპარს ემსგავსება.

ღიაა: ყოველდღე – 12.00-00.00, ცუდ ამინდში დაკეტილია. გადახდა მხოლოდ ნაღდი ფულით შეგიძლიათ.

Kastanienallee 7-9

CAFÉ AM NEUEN SEE

ბირგარტენი

ბერლინის ყველაზე დიდი ლუდის ბაღი (1500 ადგილით) Tiergarten-ის შუაგულში, წარმტაც Neuen See-ში მდებარეობს. ბავარიული სტილის ხის მაგიდებისა და მოდური თეთრი სკამების კომბინაცია, სანთლები და ელეგანტური სუფრები აქაურობას განსაკუთრებით მყუდროს ხდის ცივ, მოღრუბლულ დღეებში. სიცხეში კი უნაკლო ბავარიული ლუდი უდაბნოში წამოსულ წვიმას მოგაგონებთ. მენიუ პატარაა, მაგრამ პიცის განყოფილებაში გემრიელობებს აღმოაჩენთ, რომლებიც ლუდს იდეალურად ესადაგება.

Lichtensteinallee 2, Tiergarten

ქუჩის კვება მხოლოდ აზიური ტრადიცია როდია. რეჰენსბურგში XII საუკუნეში სატვირთო ამწეზე მოწყობილი სამზარეულო მშენებლებს მოხარშული ხორცით უმასპინძლდებოდა. გერმანული სტრიტფუდის ისტორიული კერძია **Drei im Weggla** – სამი ნიურნბერგული ძეხვის ნაჭერი ფუნთუშაში. ფასტფუდისაგან განსხვავებით, სტრიტფუდი ურთიერთობასა და გემრიელად ჭამასთან ასოცირდება, ამიტომაც ბევრი ბაზრობა, სადაც „ქუჩის საკვები“ იყიდება, შუაღამემდე ღიაა.

893 RYŌTEI

იაპონური

Ryotei-ს სამზარეულო განსაკუთრებული კონცეპტუალური ხედვით გამოირჩევა. ხავერდითა და მარმარილოთი გაწყობილ, მრუმე შუქით განათებულ დარბაზში იმდენნაირ კერძს შემოგთავაზებენ, რომ დელიკატესების ამ ფეიერვერკში შეიძლება არჩევანის გაკეთება გაგიჭირდეთ კიდეც. ამიტომ, რამეზე გული რომ არ დაგწყდეთ, მარტივი გადაწყვეტილება უნდა მიიღოთ: უბრალოდ, ხშირ-ხშირად ესტუმრეთ აქაურობას. ამ რესტორანში ყველაფერს ლეგენდარული ბერლინელი რესტორატორის, დაკ ნგოს (Duc Ngo) ხელი ატყვია, ვისი შექმნილიცაა უკვე საკულტოდ ქცეული ბერლინური რესტორნები – Kuchi, Cocolo Ramen და Madame Ngo. ცალკე აღნიშვნის ღირსია აქაური უგემრიელესი სუში და საკეს დიდი არჩევანი.

კერძების ფასი: 5-იდან 32€-მდე მერყეობს, ერთი ბოთლი საკე 35€ ღირს.

ღიაა: სამშაბათი-პარასკევი – 18.30-23.30, კვირას და ორშაბათს დაკეტილია.

Kantstraße 135

KAME

იაპონური კაფე-საცხობი

შარლოტენბურგში გახსნილი Kame პირველი იაპონური კაფე-საცხობია ბერლინში. ყველასთვის ნაცნობი ფუნთუშებისა თუ ჩიზქეიქის ნაცვლად აქ შემოგთავაზებენ შინაური, ორთქლზე გამომცხვარ ფუნთუშებს, „ონიგირაცუს“ (ბრინჯის ბურთულებს) და ორცხობილა „მაჩას“. ამ ეგზოტიკური დელიკატესების შეძენა ყოველდღე შეგიძლიათ დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე.

Leibnizstraße 45

MADAME NGO

ვიეტნამურ-ფრანგული

აქაური მენიუს მთავარ კერძებად სრულიად განუმეორებელი წვნიანები რჩება და სტუმრებიც მეტწილად მათ დასაგემოვნებლად ეტანებიან რესტორანს.

უგემრიელესი წვნიანების დამზადების საიდუმლო კი ასეთია: ხორცი და ძვლები არ უნდა დაიშუროთ. ასე მაგალითად, ერთ-ერთი წვნიანის, Pho Ga-ს მოსამზადებლად, აუცილებლად ფრანგულ ბუნებრივ საკვებზე გამოზრდილ ვარიას არჩევენ, ხოლო Pho Bo-სთვის – მხოლოდ გერმანულ ძროხის ხორცს.

რაც შეეხება რეცეპტს, წვნიანის ყოველი ასი ლიტრის მოსახარშად, არც მეტი და არც ნაკლები, 20 კგ ძვალია საჭირო. შედეგიც შესაბამისია: წვნიანს განუმეორებელი გემო და სურნელი პირველიდან უკანასკნელ კოვზამდე გასდევს; ხორცი კი – ქათმის იქნება თუ საქონლის – მართლაც რომ პირში დნება. ასევე აუცილებლად უნდა გასინჯოთ იქვე სახელდახელოდ გამომცხვარი ხრაშუნა ფუნთუშაც.

თავი კერძების ფასი 11-19€-მდე მერყეობს.

ღიაა: ყოველდღე – 11.30-00.00.

Kantstraße 30

ZENKICHI

იზაკაია

House of Small Wonder-ის ქვეშ ლამის საიდუმლოდ მდებარე Zenkichi, თავისი დამალული სასადილო დარბაზებით, ერთი დიდი ლაბირინთია, რომელსაც პირდაპირ იაპონიაში მიჰყავხართ. ამ იზაკაიაში შეგიძლიათ მიირთვათ ახალთახალი საშიმი, ცხიმიანი შავი ვირთევზა და ქალაქში ყველაზე გემრიელი ტოფუ. იშვიათი საკეების ასეთ მრავალფეროვან არჩევანს ბერლინში სხვაგან ვერ მიაგნებთ.

ღიაა: ყოველდღე – 18.00-24.00

Johannisstr. 20

VOX

აზიური

ეს რესტორანი სტუმრებს შერეულ აზიურ სამზარეულოს სთავაზობს. ქრომით მოპირკეთებულ ღია სამზარეულოში საქმიანად მოფუსფუსე მზარეულების ცქერა უშუალოდ დარბაზიდანვეა შესაძლებელი და ეჭვიც არ შეგეპაროთ, რომ აქ მხოლოდ უმაღლესი ხარისხის დელიკატესებს შემოგთავაზებენ.

კოქტეილების მრავალფეროვანი არჩევანია რესტორნის ბარის მენიუშიც.

ღიაა: ყოველდღე – 18.30-11.00

Marlene-Dietrich-Platz 2

VOYAGER კომენტარი

ბერლინელები უკიდურესად პუნქტუალურები არიან. თუ სადილზე დაგპატიჟეს, ზუსტად იმ დროს უნდა გამოცხადდეთ, რომელიც დათქვით, თუმცა რამდენიმე წუთით დაგვიანებას გაპატიებენ. თავის გასამართლებელ არგუმენტად მანქანების საცობში მოხვედრას ან პარკირებასთან დაკავშირებულ პრობლემებს ვერ მოიშველიებთ.

თუკი რესტორანში სადილობთ და ადგილს წინასწარ დაჯავშნით, არ დაგვიანოთ.

KaDeWe

წარმოიდგინეთ ორი საფეხბურთო მოედანი, რომელიც საჭმლითაა სავსე: დაახლოებით ასი მზარეული, ორმოცი მცხობელი და დესერტების სპეციალისტი KaDeWe-ს ზედა სართულებზე, 30-ზე მეტი ვიტრინის უკან გელოდებათ.

ყველაზე გემრიელ კერძებს ხამანწკების ბარსა და გერმანული ძეხვის გრილში მიაგნებთ.

ღიაა: ორშაბათი-ხუთშბათი – 10.00-20.00, პარასკევს – 10.00-21.00, შაბათს – 09.30-20.00

Tauentzienstr. 21-24

BENEDICT

საფირმო კვერცხი Benedict-ი შეგიძლიათ კოქტეილ „მიმოზას“ ან ყავის აკომპანემენტით მიირთვათ. აქ გემრიელობების დიდი არჩევანია – Texan-ის საუზმე ან დაბრაწული შაშხისა და ყველის სენდვიჩი, რა თქმა უნდა, კვერცხით. არ გამოტოვოთ ბაგელები ავოკადოთი, ბლინები, იოგურთები, ფაფები, მრავალნაირი ახალი ხილი. ამ ხმაურიან, სხვადასხვა ეპოქის ატმოსფეროთი გაჯერებულ კაფეში ჩვეულებრივი ახლად გამომცხვარი პურიც კი ძალიან გემრიელია.

ღიაა: ყოველდღე 24 საათი.

Uhlandstraße 49

ROOFTOP GARDEN RESTAURANT KÄFER

გერმანიის ბუნდესტაგი პარლამენტის ერთადერთი შენობაა მთელ მსოფლიოში, სადაც ჩვეულებრივი რესტორანია გახსნილი, რომელსაც ნებისმიერი მსურველი შეიძლება ესტუმროს. რესტორანი შენობის თავზე, ორანჟერეაში მდებარეობს, საიდანაც ბერლინის თვალწარმტაცი ხედი იშლება. ძირითადად, გერმანული კერძები მხოლოდ ადგილობრივი პროდუქტებისგან მზადდება.

ღიაა: ყოველდღე – 09.00-16.30, 18.30-24.00

Platz der Republik 1

ENGELBERG

Engelberg-ში სტუმრობისას შანსი გეძლევათ, სრულად დატკბეთ ნამდვილი გერმანული საუზმით, რომელიც, ტრადიციულად, ფერმენტირებული ცომით დამზადებული პურისგან, როლებისგან, ათასნაირი ძეხვეულისგან, ყველისა და სპრედებისგან შედგება. Engelberg-ის საიდუმლო შემდეგშია: აქ მთელი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეთა საუკეთესო პროდუქტს გთავაზობენ, რომელსაც მშვენიერ პატიოში მიირთმევთ.

ღიაა: ორშაბათი-პარასკევი – 10.00-18.00, შაბათ-კვირას – 09.30-19.00

Oderberger 21.

MANZINI

ნოსტალგიური ბისტრო Wilmersdorf-ის არტისტულ კვარტალში მხატვრებისა და მწერლებისთვის საყვარელი ადგილია. Manzini ძალიან პოპულარული გახდა და მეორე ფილიალიც გაიხსნა Winterfeldtplatz-ში, მაგრამ თავდაპირველ მისამართზე ერთგულ სტუმრებს კვლავაც მასპინძლობს. აქ საუზმის მირთმევა შესანიშნავი არჩევანია და ადგილსაც ადვილად იპოვით. გვიანი საღამოს სადილისთვის კი აუცილებლად უნდა დაჯავშნოთ მაგიდა. აქაური გემრიელი კერძების გასინჯვა ნამდვილად ღირს, განსაკუთრებით, Wiener Schnitzel-ის, რომელიც თქვენზე წარუშლელ შთაბეჭდილებას დატოვებს. **ღიაა:** ყოველდღე 08.00-01.00.

Ludwigkirchstraße 11

VOYAGER კომენტარი

საუზმე ანუ Fruhstuck-ი დღის მთავარი კვებაა, ბერლინელები მასზე ძალიან დიდ დროს ხარჯავენ – 06.00-ზე იწყებენ, რადგან მათი უმეტესობა 07.00-ზე სამსახურში უნდა იყოს. უფრო კრეატიული ადამიანები, რომელთა სამუშაოც 09.30-იდან იწყება, ასე ადრე არ საუზმობენ, მაგრამ Fruhstuck-ი ყველას რუტინულ ყოფაში არსებობს, სულ ერთია, სახლში თუ გარეთ – ბევრი კაფე და რესტორანი შემოგთავაზებთ საუზმის მენიუს, რომელიც შუადღემდე გრძელდება.

11.30-იდან იწყება მცირე ლანჩის შესვენება. ბერლინელების უმეტესობა ლანჩს ფეხზე მდგომი შეექცევა – მაგ., რაიმე სენდვიჩს, რომელიც ქალაქის 2800 სენდვიჩ-ბარიდან ერთ-ერთშია დამზადებული. ნებისმიერი, ვინც თავს დაჯდომის უფლებას მისცემს, მხოლოდ წვნიანით, სალათით ან სხვა მსუბუქი კერძით შემოიფარგლება.

ყველა რესტორანი, რომელიც ამ საათებში ღიაა, სტუმრებს Mittagsmenu-ს სთავაზობს – სწრაფ, ცხელ და მსუბუქ ლანჩს. გერმანელები მცირე დროს გამოყოფენ ლანჩისთვის და მასში 15€-ზე მეტს არ ხარჯავენ.

GROSZ

1911 წელის აგებულ Haus Cumberland-ში საკულტო Grosz კაფე და რესტორანი ნამდვილი გასტროიმპერიაა, ამიტომაც განსაკუთრებულ საუზმეებს შემოგთავაზებთ. მთელი დღის განმავლობაში სავსე Grosz-ის კარი მხოლოდ ყავის დასალევად და გაზეთის საკითხავად შესული სტუმრებისთვისაც კი ღიაა.

ღიაა: ყოველდღე – 09.00-23.00

Kurfürstendamm 193/194

MUSTAFA'S GEMÜSE KEBAB

გერმანიაში საუკეთესო, 1972 წელს ბერლინში გამოგონებული დონერ ქაბაბი რომ აქ მზადდება, ამის საუკეთესო მტკიცებულება მერინგდამის მოედანთან გაჯიმული საშუალოდ 2-საათიანი რიგია.

ღიაა: 10.00-14.00

Mehringdamm 32

NUR GEMÜSE KEBAB

მათ, ვისაც რიგში დგომისთვის დრო არ აქვს, მეორე ვარიანტად შეუძლიათ არანაკლებ გემრიელი საქაბაბე განიხილონ. ის საოცარ ქათმის ქაბაბს სთავაზობს კლიენტებს. აქ ყველაფერი ახალია – გრილზე შემწვარი ბოსტნეულით დაწყებული, საუკეთესო ხორცით დასრულებული. ქაბაბს 8 სახის სოუსთან (ქარი, ავოკადო, ჰუმუსი, ჩილი და სხვ.) შემოგთავაზებენ.

Hermannstraße 113

ROGACKI

დასავლეთ ბერლინის ეს ლეგენდარული ადგილი, რომლის ისტორიაც 1930-იან წლებში დაიწყო, საუკეთესო ხორცის კერძებს, ძეხვეულსა და შებოლილ ზღვის პროდუქტებს შემოგთავაზებთ. სწრაფი ლანჩი გერმანული ძეხვით მათი საფირმო მომსახურებაა. შეგიძლიათ მიირთვათ შებოლილი მტკნარი წყლის კალმახი ან გველთევზა. ორივე მათგანი ქალაქის გარშემო მდებარე ტბებში ახლად დაჭერილია.

Wilmersdorfer 145-146

MARKTHALLE NEUN

ბერლინის კულინარიული ავანსცენის უდავო ეპიცენტრი – უმშვენიერესი ბაზრობის ჰოლი ქალაქის ყველაზე ცნობილი საყასბოს (Kumpbel & Keule), ამერიკული სტილის ბარბექიუს (Big Stuff), იტალიური საცხობის (Sironi), შებოლილი თევზის კომპანიისა (Glut & Späne) და შინაური ლუდსახდელის (Heidenpeters) საერთო სახლია. ამას გარდა, Marthalle Neun-ი ყოველკვირეულ „ქუჩის საკვების ხუთშაბათსა“ და ყოველთვიურ „საუზმის ბაზრობას“ (ყოველ მესამე კვირადღეს) ატარებს; დღეისათვის ეს საუკეთესო ქუჩის ბაზრობებია ბერლინში.

Eisenbahnstr. 42-43

THE BIRD

ეს ბერლინის ყველაზე ცნობილი ნიუიორკული სტეიკ-ჰაუსია. ალბათ შემთხვევითი არაა, რომ The Bird-ი ქალაქში ყველაზე სახელგანთქმულ ბურგერს გთავაზობთ. თუკი აქაური სტეიკის გასინჯვას გადაწყვეტთ, ადგილი ბევრად ადრე უნდა დაჯავშნოთ. სტეიკი ამერიკიდან იგზავნება და შემდეგ ოცდაათი დღის განმავლობაში მშრალად ძველდება.

Am Falkplatz 5



HACKESCHEHÖFE

ბერლინის ეს ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი და ხალხმრავალი ადგილი აუცილებლად უნდა მოინახულოთ თუნდაც მისი სრულიად მოდერნული იერისა და იქ გამეფებული ატმოსფეროს გამო. რამდენიმე სხვადასხვა ბარის, რესტორნისა და კლუბის ერთობლიობა ამ სივრცეს ბერლინის ღამის ცხოვრების მთავარ ცენტრად აქცევს.

Rosenthalerstrasse-სა და Sophienstrasse-ს შორის მოქცეულ 27000 კვ. მ ფართობზე რამდენიმე კულტურული დაწესებულება, კაფე, მაღაზია, კინოთეატრი და საცხოვრებელი სახლიცაა განთავსებული. სივრცე OranienburgerStraße-ს ირგვლივ საუკეთესო ადგილია დაუვიწყარი საღამოს გასატარებლად. აქ ერთმანეთს ენაცვლება არაერთი რესტორანი, თუმცა ეს უბანი უამრავი ბარითა და ღამის კლუბითაც მდიდარია. სასიამოვნო დროის გატარება კინოთეატრებშიც შეიძლება და, ასევე, ვარიეტე „ქამელეონსა“ (Varieté Chamäleon) თუ მრავალთაგან რომელიმე სამხატვრო გალერეაში. აქ ყველაფერს სიახლის ელფერი დაჰკრავს და მოდერნული სტილით გამოირჩევა. არაფერი სჯობს რომელიმე ქუჩის კაფეში დაჯდომასა და ბერლინური ღამის ცხოვრების ცქერას – მით უფრო, რომ ბარი იქნება, კაფე, კინოთეატრი თუ უბრალო თეატრი, აქ ყველაფერი დილამდე მუშაობს.

RosenthalerStraße 40/41

BURGERMEISTER

Schlesisches Tor U-Bahn-ის სადგურის ქვეშ, ხალხმრავალი ქუჩის შუაგულში მდებარე ყოფილ საზოგადოებრივი საპირფარეშოს შენობაში ჩიზბურგერის შეკვეთა ნამდვილად არ ულერს ისე, როგორც გასტრონომიული ნეტარება, თუმცა Burgermeister-თან ჩამწკრივებული ხალხის რიგი საწინააღმდეგოზე მეტყველებს. არსებობს კიდევ ერთი ფილიალი – Kotbusser Tor-ში.

Oberbaumstr. 8

VOYAGER კომენტარი

რას ჭამენ გერმანიაში? ბევრ ბოსტნეულს, ნაკლებ ხილს და ძალიან ბევრ ხორცს. პროდუქტის მდიდარ ასორტიმენტს თავისი უარყოფითი მხარეებიც აქვს: გერმანელების დიდი ნაწილი სიმსუქნეს და დიაბეტის მეორე ტიპს უჩივის.
ერთი მხრივ, ხორცი ორგანიზმს ცილებით, ვიტამინებითა და მიკროელემენტებით უზრუნველყოფს, მეორე მხრივ კი, ხორცის დიდი რაოდენობით მიღება ორგანიზმში ქოლესტერინის და ცხიმოვანი მჟავების სიჭარბეს იწვევს. გერმანელი დიეტოლოგები თვლიან, რომ ჯანსაღი კვებისთვის სასურველია კვირაში არა უმეტეს 300-600 გრამი ხორცის, მთლიანი მარცვლეულისგან გამომცხვარი პურის, ნაკლები ალკოჰოლის, მეტი ხილის, მინერალური წყლისა და ნაკლები შაქრის შემცველი პროდუქტის მიღება.

CODA DESSERT BAR

ნიუ-იორკსა და ლონდონში პოპულარობის მოხვეჭის შემდეგ ეგრეთ წოდებულმა „დესერტ-ბარებმა“, ბოლოს და ბოლოს, ბერლინშიც დაიმკვიდრა სათანადო ადგილი. Coda Dessert Bar-ი გერმანიაში პირველი ამგვარი წამოწყება იყო და ის მალევე იქცა ნამდვილ სამოთხედ ტკბილეულის მოყვარულთათვის. მიშლენის ვარსკვლავის სამგზის მფლობელი რენე ფრანკი თავისი განუმეორებელი საკონდიტრო ნაწარმითაა ცნობილი. დაუშრეტელი ფანტაზიის, დაუღალავი შრომისა და თამამი გადაწყვეტილებების წყალობით, ის მართლაც ისეთ საოცრებებს ქმნის, როგორიცაა შავი შოკოლადის ტორტი ქლიავით, მიწის თხილითა და ვარდკაჭკაჭათი. ამ სიტკბოებას აქვე უზადოდ შეზავებული სხვადასხვა კოქტეილიც ძალიან უხდება.

Friedelstraße 47

DU BONHEUR

შესაძლოა არც აპირებდეთ, ბერლინში ყოფნისას ფრანგულ საცხობს ესტუმროთ, მაგრამ Du Bonheur-ის ეკლერები და ცომეული ისეთი დახვეწილი ტექსტურითა და არომატით გამოირჩევა, რომ ალბათ თავს ვერ შეიკავებთ, თუკი ოდნავ მაინც „მსუნაგი“ ხართ.

Brunnenstr. 39

FASSBENDER & RAUSCH

ტრადიციული შოკოლადის ნაწარმი სრულიად არატრადიციული სახითაა წარმოდგენილი – იქნება ეს ბრანდენბურგის კარიბჭე, იმპერატორ ვილჰელმის სახელობის ტაძარი თუ შოკოლადისაგან აგებული რაიხსტაგის შენობა. აქ, ამ ნამდვილ შოკოლადის ტაძარში პირის ჩატკბარუნების მოყვარულებს ნებისმიერ თამამ მოლოდინსაც კი გაუმართლებენ და ნაირგვარი ევროპული ტკბილეულის უამრავ ნაირსახეობას შესთავაზებენ, იქვე გახსნილი კაფე და რესტორანი კი სრულიად ახლებური ნამცხვრებისა და შოკოლადის მენიუებითაა ცნობილი.

Charlottenstraße 60

1900 CAFÉ BISTRO

იატაკიდან ჭერამდე ძველებური ავეჯით, ლამფებითა და ხალიჩებით სავსე კაფე „1900“ შუადღისას მოულოდნელ ნუგბარს შემოგთავაზებთ და თქვენც აუცილებლად მოგინდებათ ქლიავით, ვაშლით, მოცხარითა და ყავისფერი შაქრით დამზადებული ძველმოდური ტარტი მიირთვათ. აქ ყველაფერი ხელით კეთდება, გვარიანი ულუფები მადისაღმძვრელი და გემრიელია.

Knesebeckstraße 76

ZEIT FÜR BROT

მოემზადეთ Zeit für Brot-ის წინ რიგში ჩასადგომად, რადგან აქაურ დარიჩინიან პურზე მთელი ბერლინი ლაპარაკობს. Zeit für Brot-ში სტუმრობა გერმანული საუზმე Stulle-სთვისაც (მთლიანი ხორბლის პურის როლი ყველითა და შაშხით) ღირს, მოზრდილი ფინჯანი ყავისთვისაც და, უბრალოდ, აქაური დიდებული პურისთვის.

Alte Schönhauser 4

VOYAGER
რეკომენდაცია

THE STORE KITCHEN

ამ შთამბეჭდავ მოდისა და დიზაინის მაღაზიაში თანამედროვე რესტორანიც იმალება – რამდენიმე ბრიტანელი შეფ-მზარეულით, რომლებიც უგემრიელეს კერძებს ამზადებენ თანამედროვე ბრიტანული და ოტოლენგური სტილის კულინარიით.

ლანჩზე ეს რესტორანი ბერლინში საუკეთესო ვეგეტარიანული კერძებით გაგაკვირვებთ, ხოლო შაბათ-კვირას მენიუს ხორცი და ზღვის პროდუქტებიც ემატება.

ღია: ორშაბათი-შაბათი – 10.00-19.00, კვირას დაკეტილია.

Torstraße 1

BONANZA COFFEE HEROES

მათ ბერლინში პირველებმა შეიტანეს მენიუში ყავა Flat White. Bonanza ქალაქის უამრავ რესტორანს ამარაგებს ყავის მარცვლებით და მისი მაღაზია, რომელიც Mauepark-თან ახლოს მდებარეობს, ფინჯანი ყავის დასალევად ბერლინში ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია. Kreuzberg-ში, მოხალული ყავის საწყობთან, მეორე მომაჯადოებელი კაფე გახსნეს, რომელიც Adalberstraße-ს უკან დამალულ შიდა ეზოში მდებარეობს.

Oderberger 35

ბერლინის ბარების უმეტესობაში მოწევა დაშვებულია (გარკვეულ ადგილებში 21.00-ის შემდეგ); რესტორნებში მხოლოდ ტერასაზე ეწევიან. ერთი კოლოფი სიგარეტის ფასია 5-7€.

„რედ კაფე დაინინგის“ ახალი რესტორანი და ყავა SPECIALTY

საფირმო (Specialty) ყავა – ეს დასახელება მიუთითებს მდიდარი, გემრიელი და საინტერესო არომატის მქონე იმ ყავის მარცვლების თავისებურებებზე, რომლებიც განსაკუთრებულ, იდეალურ მიკროკლიმატსა და ნიადაგზე მოჰყავთ და მათი წყალობით სასმელში განუმეორებელი არომატი გროვდება. ამგვარი პირობები უმთავრესად კოლუმბიაში, ეთიოპიაში, ბრაზილიაში, ინდონეზიასა და ვიეტნამშია. ყავა Specialty სწორედ ამ ქვეყნებიდან იგზავნება მთელ მსოფლიოში და ამჯერად – უკვე საქართველოშიც.

ჩვენს რეცეპტორებამდე სრულყოფილად რომ მოაღწიოს, ყავამ რამდენიმე მნიშვნელოვანი საფეხური უნდა გაიაროს. მოხალვა, დაფქვა და მოდუღება ამ ციკლის ის ფაზებია, რომლებსაც ყავა Specialty სწორად და დროულად, აუცილებლად ჭიქაში მოხვედრამდე სულ რამდენიმე წუთით ადრე გადის. ასეთი საგანგებო პროცედურების დაცვით მომზადებული, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოტანილი (რუანდა, ჰონდურასი, გვატემალა და ეთიოპია) ნამდვილი ყავის მარცვლების მიქსის მირთმევა მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე „რედ კაფე დაინინგის“ ახალ რესტორანში შეგიძლიათ.

ყავა Specialty უგემრიელესი სასმელია. ყოველი ჭიქა განსხვავებულ გემოსა და არომატებს გთავაზობთ. ის მალე იქცევა თქვენთვის ცხოვრების სტილის გამოხატულებად. ეს ყავა მართლაც რომ ხელოვნების ნიმუშია. მილენიუმის თაობას ჭეშმარიტად არტისტული პროდუქტები ხიბლავს; ამ ყავაში კი ახალი არომატების შექმნის უსაზღვრო შესაძლებლობები ვლინდება.

ამ გამორჩეული ყავის გარდა, „რედ კაფე დაინინგი“ მრავალ სიახლეს სთავაზობს მომხმარებელს: ორიგინალური კონცეფცია, უცხო, ეგზოტიკური არომატები და გემოები, თანამედროვე სტილით მომზადებული ტრადიციული ქართული კერძები, უგემრიელესი ადგილობრივი და ევროპული სამზარეულოს სინთეზი, რომელიც ლონდონიდან „რედ კაფე დაინინგისთვის“ მოწვეულმა კონსულტანტმა ჯარედ ბრაიანტმა ქართველ სპეციალისტებთან ერთად საგანგებოდ შეიმუშავა...

„რედ კაფე დაინინგის“ ქსელი დეველოპერული კომპანია „რედიქს ჯგუფის“ HoRECA-ს ქსელში შემავალი კვების ობიექტია, რომელსაც თბილისში ამჟამად უკვე 3 ფილიალი აქვს: ვაჟა-ფშაველას გამზირი #71, ლეონიძის ქ. #2 (თავისუფლების მოედანი) და მარჯანიშვილის ქ. #8.

რეკლამა



BAR TAUSEND

სულ ცოტა ხნის წინ შედგენილ ბერლინის საუკეთესო ბარების სიაში Bar Tausend-ის სახელწოდებას აუცილებლად ამოიკითხავდით. ის ახლაც განსაკუთრებულთა ჩამონათვალშია, თუნდაც მისი ადგილმდებარეობის გამო. ბარი Friedrichstrasse-ს სადგურთან, მატარებლის ლიანდაგების ქვეშაა მიმალული. როცა ბარის კარებს იპოვით, ზარი უნდა დარეკოთ და მასპინძელი შეგიპატიჟებთ. დეკორი ძალიან დახვეწილი და შემოქმედებითია. უზარმაზარი თვალის ფორმის სარკე თქვენს ყურადღებას მაშინვე მიიქცევს. აქ ჭერზეც სარკეებია. Bar Tausend-ში შესანიშნავი ჯგუფები, DJ-ები და არტისტები უკრავენ. კოქტეილის სმისას იგრძნობთ ვიბრაციას, რომელსაც თქვენ ზემოთ მოძრავი მატარებლები იწვევს.

Schiffbauerdamm 11

REINGOLD

მდიდრულად დეკორირებულ ბარში ტყავის კომფორტულ სავარძლებში მოკალათებული სტუმრები გემრიელად შეექცევიან წასახემსებელ კერძებსა და კოქტეილებს. აქაურობა თანამედროვე სტილისა და ძველმოდური შარმის ნაზავია. გრძელ ბართან ძალიან ბევრი დასაჯდომი ადგილია, თუმცა დარბაზი მუდამ სავსეა, რადგან ეს Mitte-ში საუკეთესო ბარია. კვირის ბოლოს DJ-ს ცოცხალი სეტები ეწყობა, ჯაზის, სვინგისა და ჰიპ-ჰოპის ნაზავი.

Novalisstraße 11

SCHWARZE TRAUBE

Kreuzberg-ის სახელგანთქმული ბარის წვეროსანი მეპატრონე ბერლინის ლეგენდად იქცა მას შემდეგ, რაც საავტორო კოქტეილებმა 2013 წელს „Germany's Best Mixologist"-ის წოდება მოუტანა. ეს ძალიან პატარა კოქტეილების ბარია, შიგნით მოსახვედრად კარზე უნდა დააკაკუნოთ.

უზარმაზარი ყინულის ნატეხები და ძველი ჭიქები იდეალურად შეესაბამება კერძებს. აქ მენიუ არაა, მიმტანი უბრალოდ გკითხავთ, რომელ არომატებს ანიჭებთ უპირატესობას და მეპატრონე კოქტეილს სპეციალურად თქვენთვის მოამზადებს.

Wrangelstraße 24,Kreuzberg

BAR MAQUÉS

მენიუში სასმელების სია არ არის, ბარმენები ოსტატურად დაგიმზადებენ კოქტეილს თქვენი გემოვნებით. შეგიძლიათ, უბრალოდ, ჯინი და ტონიკიც შეუკვეთოთ, აქ ხომ 100-ზე მეტი სახეობის ჯინია. განსაკუთრებული ხარისხის გამო ამ ბარში კოქტეილები, ბერლინის სტანდარტების გათვალისწინებით, ოდნავ ძვირია. ეს პატარა, მყუდრო სივრცეა მხოლოდ რამდენიმე მაგიდით, მეგობრული ატმოსფეროთი და მართლაც უნიკალური კოქტეილებით.

Graefestraße 92

ბერლინის ბარებში კოქტეილის საშუალო ფასია 8€.

GREEN DOOR

კოქტეილის მოყვარულებს აქ 1995 წლიდან მასპინძლობენ და 500-ზე მეტი სხვადასხვაგვარი სასმლის არჩევანს სთავაზობენ. რაც შეეხება დასახელებას, ის აშკარად ამერიკაში „მშრალი კანონის" დროის გამოძახილია, როცა მწვანედ შეღებილი კარი ისეთ ადგილზე მიანიშნებდა, სადაც დალევა მოხერხდებოდა.

Winterfeldtstraße 50

PAULY SAAL BAR

ბარი განსაკუთრებით მიმზიდველია მათთვის, ვისაც ოციანი წლების „ოქროს ხანის" გარემოსთან სურს ზიარება. აქ ასევე შეგიძლიათ დააგემოვნოთ შეფ-მზარეულ არნე ანკერის საუცხოო ნახელავი, თანაც რესტორნის ფასებთან შედარებით ბევრად იაფად და არც დიდხანს ლოდინი მოგიწევთ.

Auguststrasse 11-13

IMMERTREU

ამ საგულდაგულოდ გადამალულ ბარში საუკეთესო კოქტეილს აღმოაჩენთ. დიზაინი სადაა, დარბაზი – ბუნდოვნად განათებული, წითელი ფარდებითა და ბრინჯაოსფერი ბზინვარებით. აქაურ კოქტეილების მენიუში კრეატიულ სასმელსაც იპოვით და კლასიკად ქცეულ დასახელებებსაც. შეკვეთას ვინტაჟური ჭიქებით მოგართმევენ.

Christburger Str. 6

TIGER BAR

ბერლინის კულინარიული სამყაროს ცნობილმა წარმომადგენელმა, ლუდვიგ კრამერ-კლეტმა საკუთარი Tiger Bar-ი გახსნა, რომელიც სწრაფად იქცა წმინდა წყლის მარგალიტად ღამღამობით სმის მოყვარულთათვის.

Potsdamer Straße 91

BUCK & BRECK

ამ შესანიშნავ ბარში მოსახვედრად კარებზე დამაგრებულ პატარა ზარზე უნდა დარეკოთ. თუკი შეგიშვებენ, მაშინ მზად უნდა იყოთ გერმანიის ყველაზე ექსკლუზიური და საუკეთესო კოქტეილების მისართმევად. აქ კლასიკური და ინოვაციური სასმელები იდეალურადაა წარმოდგენილი.

Brunnenstr 177, Mitte

LIMONDIER

ამ კოქტეილის ბარში ტრადიციებს დიდ პატივს სცემენ. ბარი ოციანი წლების სტილშია დეკორირებული. გამორჩეული სასმელებია Negron და Paloma, უცნაური სახელწოდების Fog Cutter ან Spiced Figs Swizzle-ც შესანიშნავია. დახვეწილ და ნატიფ ჭიქებს -27°C-მდე მანამ აცივებენ, სანამ მათში სასმელს ჩაასხამენ, რომ სიგრილე დიდხანს შეინარჩუნოს.

Nostitzstraße 12

e-space

თბილისი, ვარდების რევოლუციის მოედანი

შპს „ი-სპეის" პირველი ქართული კომპანიაა, რომლის მიზანია ელექტრომანქანების პოპულარიზაციის ხელშეწყობა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა.
„ი-სპეის" ასევე ფლობს საქართველოში ელექტრომობილების დამტენების ერთადერთ ქსელს.

www.e-space.ge • +995 32 2 433 473 • FB.com/ltd.espace

BERGHAIN

ტექნოს ლეგენდარული ფაბრიკა

ძველი ელექტროსადგურის შენობაში განთავსებული კლუბი ორი რამითაა სახელგანთქმული: საღამომარათონებით, რომლებიც მომდევნო შუადღემდე გრძელდება და რომელთა დამთავრებისას ზოგიერთი სტუმარი გარეთ ნახევრად უგონო მდგომარეობაში გაჰყავთ; და მითიური ცერბერის მსგავსი ფეისკონტროლით, რომელიც ნახევარკილომეტრიან რიგში მდგომ ყოველ მესამე ადამიანს კლუბში არ უშვებს. თუ როგორ შეაღწიოთ Berghain-ში, ამის თაობაზე ინტერნეტში რჩევების გრძელ სიას აღმოაჩენთ („ჩაიცვით დაუდევრად“, „არ დახედოთ ტელეფონს“, „ილაპარაკეთ გერმანულად“), მაგრამ ყველა კრიტერიუმი, რომელთა მიხედვითაც კარში მდგარი მოღუშული მამაკაცები პრეტენდენტებს აფასებენ, „მეცნიერებისათვის“ უცნობია.

Panorama Bar

მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო ღამის კლუბად აღიარებული Berghain-ის ზედა სართულზე Panorama Bar-ია. რეპერტუარში აქცენტი ყოველთვის ჰაუსზე კეთდება და ამ ჟანრის ყველა ვარიაცია იკვრება. Berghain-ის მძიმე ტექნოსგან განსხვავებით, აქ უფრო მელოდიური და დამამშვიდებელი მუსიკა ისმის. ეს დასვენებისთვის იდეალური ადგილია.

შეგიძლიათ სასმელი შეუკვეთოთ, სული მოითქვათ და ახალი ძალებით დაბრუნდეთ Berghain-ის მთავარ საცეკვაო მოედანზე. თუმცა, თუკი ჰაუსის ნამდვილი მოყვარული ბრძანდებით, აქაურ ატმოსფეროს ადვილად ვერ შეელევით. Panorama Bar-ში მოხვედრა რთულია ლოგიკური მიზეზების გამო: თქვენ ჯერ Berghain-ის ფეისკონტროლი უნდა გაიაროთ – ამით ყველაფერი ნათქვამია!

Säule

ეს Berghain-ის კიდევ ერთი დანამატია, რომელიც წლეულს გაიხსნა. აქ ტექნოსა და ჰაუსისგან განსხვავებულ მუსიკას მოისმენთ. Säule სივრცეა, სადაც უფრო „ბნელი“, ექსპერიმენტული ელექტრონული ჟანრი ბატონობს. Säule თავიდანვე საიდუმლოების ბურუსმა მოიცვა. გახსნის შემდეგ, მუსიკალური მიმართულების წყალობით, ეს ადგილი მისტიკურობას კვლავ არ კარგავს.

შესვლა: 10-18€

Am Wriezener Bahnhof, Friedrichshain
berghain.de

OHM

განსხვავებული სივრცე

ცნობილი მეზობელი კლუბის, Tresor-ის მსგავსად, ელექტრონული (და არა მარტო) მუსიკით დაინტერესებული ადამიანებისთვის საყურადღებო კლუბია. OHM 60-იანებში აშენებული ინდუსტრიული ქარხნის, Kraftwerk-ის ერთ-ერთ პატარა ოთახშია განთავსებული.

კლუბის 3/4 ნაწილი დიდი კვადრატული ბარისგან შედგება და მის მოპირდაპირე მხარეს DJ booth-ი და საცეკვაო ადგილიცაა. OHM-ის ინტერიერი კრამიტის კედლებითაა აგებული, კედლების გასწვრივ კი ხის ჩამოსაჯდომებია განთავსებული.

OHM, ძირითადად, ექსპერიმენტულ, ნოიზ, ტექნო, ელექტრო, ჰაუს ჟღერადობებზეა ორიენტირებული, თუმცა ეს ჟანრების მოკლე ჩამონათვალი რეალურად არ ასახავს კლუბის პროგრამის მრავალფეროვნებას. ერთ საღამოს შეიძლება 3-საათიანი ნოიზ და ატონალური პერფორმანსი დაგხვდეთ და მეორე დღეს ჯაზ-ფიუჟენ ბენდი უკრავდეს. კლუბის მცირე ზომა და ინტიმური სიტუაცია შესვლისთანავე სასიამოვნო განწყობას ქმნის.

აღსანიშნავია, რომ OHM-ში მოხვედრა ყველას შეუძლია (+18); კარზე არ არსებობს „დრესკოდი“ ან რაიმე მსგავსი ვერიფიკაციის მითითება.

კლუბის პროგრამა ასევე ღიაა ხელოვნების სხვა დარგებისთვის და ხშირად მოიცავს რეგულარული წვეულებებს, რომლებიც აკავშირებენ მუსიკას, ინსტალაციებს და პერფორმანსებს.

ზუკა ბაბუნაშვილის რეკომენდაცია:

ბერლინში მოხვედრილ ადამიანს, რომელიც შეიძლება არც იყოს ამ სფეროთი დაინტერესებული, აუცილებლად ვურჩევდი ამ ადგილის მონახულებას – ბევრჯერ ყოფილა, რომ ეს სივრცე ახალი დაკვირვებებით, ემოციებით და მოულოდნელი აღმოჩენებით გაოცებულს დამიტოვებია. **თითქმის ყველა ღონისძიებაზე მოხვედრა 5-იდან 10€-მდე ღირს, რაც სხვა ადგილებთან შედარებით ბევრად ხელმისაწვდომი ფასია.**

Köpenicker Str. 70
www.ohmberlin.com

TRESOR

ტექნომიმართულების ვეტერანი

Tresor-ი 1991 წელს გაიხსნა დაბომბილ შენობაში, გაუშენებელ ადგილას, როგორიც იმხანად პოტსდამერ პლაცი იყო. დეტროიტულმა ტექნომ ჩამოცვენის პირას მყოფი ჭერი შეაზანზარა. მალე კლუბი უფრო პირქუშ შენობაში გადავიდა – მიტოვებულ ელექტროსადგურში. ამჟამად აქ იმათი შვილები ერთობიან, ვინც ერთ დროს ჯეფ მილზის პირველ დიჯეი-სეტებზე ძველ Tresor-ში ცეკვავდა.

შესვლა: 10-18€

Köpenicker Straße 70

SAMEHEADS

საუკეთესო ელექტრონული მუსიკა

ერთდროულად ბარიცაა, კლუბიც, გალერეაცა და მოდური ბუტიკიც. ზოგიერთ დღეს კინოჩვენებაც იმართება, ოღონდ თან იქონიეთ თბილი ტანსაცმელი – კინოთეატრი ცივ სარდაფშია მოწყობილი. ყოველ ხუთშაბათს აქ შეკრებილი საზოგადოება გონებას ავარჯიშებს – ეს ვიქტორინის დღეა.

სამუშაო დღეებში Sameheads კაფეს და ბარის ფუნქციას ასრულებს, შაბათ-კვირას კი კლუბად იქცევა ხოლმე. ინტერიერი კიჩისა და სხვადასხვა მიმდინარეობის ნაზავია – ურთიერთგამომრიცხავად დაუდევარიც და პრეტენზიულიც. საკლუბო ღამეების მუსიკა მრავალფეროვანია, შეგიძლიათ დისკოს ჰანგებზე იცეკვოთ, ან ექსპერიმენტული მუსიკის რიტმს აჰყვეთ. კლუბში ცხოვრება ჩქეფს და საუკეთესო ელექტრონული მუსიკა ისმის.

შესვლა: 10-15€

Richardstraße 10, Neukölln

ARENA CLUB

ტექნოს დაბადების ეპოქა

მდინარე შპრეეზე მდებარე Arena Club-ი იდეალურად ასახავს ადრეული ბერლინის საკლუბო კულტურასა და ტექნოს დაბადების ეპოქას. ის უზარმაზარი კომპლექსის, Arena Berlin-ის ნაწილია და ვინტაჟურ, ყოფილ საბოილერო შენობაშია. დიდი სივრცე, ხის საცეკვაო მოედანი, მინის ბლოკები, თვალისმომჭრელი, ფერადი საკლუბო განათება და ინდუსტრიული ელემენტები საუკეთესო ელექტრონულ მუსიკასთან ერთად განსაკუთრებულ ატმოსფეროს ქმნის. Arena Club-ს მთელი მსოფლიოდან სტუმრობენ ტექნოს მოყვარულები, ღამეს ცეკვაში ატარებენ, შემდეგ კი ყოველთვის ბრუნდებიან. Red Robin, Ellen Allien და Format B – მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ მნიშვნელოვანი არტისტებიდან, რომლებიც აქ საღამოებს მართავენ. კლუბის ფეისკონტროლის კრიტერიუმებზე დანამდვილებით შეგვიძლია გითხრათ: დაივიწყეთ ჯინსები ან სპორტული ფეხსაცმელი, „დაუდევრად, მაგრამ ჭკვიანურად“ შეიმოსეთ. კლუბი 500 ადამიანს იტევს.

შესვლა: 10€

Eichenstraße 4, Treptow

LOOPHOLE

ექსპერიმენტული ელექტრონული მუსიკა

Neukölln-ის ალტერნატიული ხიბლი, გარეუბნის ჭუჭყიანი ატმოსფერო და ჰიპსტერული სულის ყივილი ერთბაშადაა კონცენტრირებული ღამის კლუბ Loophole-ში. ყოფილი საროსკიპოს შენობაში გახსნილ კლუბში არტისტები, მუსიკოსები, მუსიკის მოყვარულები და ჰიპსტერთა ჯგუფები თავდავიწყებით ცეკვავენ. რეპერტუარი მუდმივად ცვალებადია: ექსპერიმენტული ელექტრონული მუსიკა, ბლექმეტალი, დიფ-ჰაუსი, უხეში, ალტერნატიული ჟღერადობის საქსოფონის საღამოები, კიჩური რიტმები და ა. შ.

აქ წელიწადში ერთხელ Berlinale-ს ალტერნატივა – Boddinale იმართება. შეიძლება ითქვას, რომ ეს ცნობილი საერთაშორისო კინოფესტივალის „პანკური“ ვერსიაა, თავისი ჟიურით, ნომინაციებითა და ჯილდოებით. ამ კლუბში წვეულებები დაუვიწყარია, სტუმრები გაუთავებლად ცეკვავენ (რბილ, მყუდრო დივანზე ხანმოკლე შესვენებებით). დრესკოდი სულაც არაა პრეტენზიული – ჩვეულებრივი ან ჰიპსტერული სამოსით აქაურ სიტუაციას ადვილად მოერგებით.

შესვლა: 10-18€

Boddinstraße 60

://ABOUT BLANK

ორი საცეკვაო მოედანი და პატარა ტყე

://about blank დიდი კომპლექსია, რომელიც სხვადასხვა სივრცეს აერთიანებს, მთლიანობაში კი ეს არაჩვეულებრივი კლუბია. გაზაფხულიდან შემოდგომამდე გარე ტერიტორიას ხსნიან – უზარმაზარ ბაღს, სადაც ორი საცეკვაო მოედანი და პატარა ტყეა.

მასში საწოლები და ტახტებია მიმოფანტული. აქ მრავალფეროვანი წვეულებები იმართება, ამიტომ მნიშვნელობა არ აქვს, რას ანიჭებთ უპირატესობას, აუცილებლად შეარჩევთ ისეთ საღამოს, რომელიც სწორედ თქვენთვისაა ზედგამოჭრილი.

ზამთრის მოახლოებასთან ერთად ბაღი იხურება და კლუბი ახლებურ ატმოსფეროს იძენს. შიგნით, ერთ საცეკვაო სივრცეში სიბნელეა, ცხელა და სტუმრები მძიმე ტექნოს რიტმზე იოფლებიან, მეორე დარბაზი კი უფრო მსუბუქი, მეგობრული ადგილია, სადაც ყველა ჟანრის მუსიკას უკრავენ, რომელზეც ცეკვა სასიამოვნოა. ://about blank-ში შესვლა ისევე რთულია, როგორც Berghain-ში. ამ ორ კლუბს თითქმის ერთნაირი ფეისკონტროლის კანონები აქვს, ასე რომ, მოემზადეთ! **შესვლა:** 2-10€

Markgrafendamm 24

ბრჯყვიალა ბერლინში, ყველა სხვა ევროკული ქალაქის მსგავსად, დიდი სავაჭრო ცენტრები და ყველა ცნობილი მოდის სახლია, თუმცა სხვა დედაქალაქებისგან განსხვავებით აქ არის ის მაღაზიები, რომლებსაც სხვაგან ვერსად ნახავთ, ამიტომ თქვენი შენაძენი ყოველთვის განსხვავებული და ორიგინალური იქნება. ბერლინი ყველაზე დემოკრატიული ევროკული ქალაქია და ეს შოპინგზეც აისახება – აქ თავის მოსაწონს ყველა გემოვნების და ფინანსური შესაძლებლობის ადამიანი იპოვის. ხელმისაწვდომი ფასები, ორიგინალური სტილი და განსხვავებული ატმოსფერო ბერლინის მთავარი მახასიათებელია.

THE STORE

რთულია მოიფიქრო იმაზე მარტივი და უბრალო სახელი, ვიდრე The Store (ინგ. მაღაზია), მაგრამ ამ მაღაზიას არც სჭირდება უფრო მეტი ხმაური. აქაურობის მთავარი იდეაა, შემოგთავაზონ ლამაზი ნივთები ლამაზი ცხოვრებისთვის: ექსკლუზიური ტანსაცმელი, აქსესუარები, უნიკალური ჟურნალების მაგიდები, არომატული სანთლები. თუ მოდის სამყარო გიყვართ, მაშინ ამ მაღაზიას არავითარ შემთხვევაში აუაროთ გვერდი.

აქ The Row-ს, Proenza Schouler-ის, Balenciaga-ს და Ann Demeulemeester-ის საუკეთესო და უახლესი კოლექციებია წარმოდგენილი. ბუტიკის გარდა შეგიძლიათ ესტუმროთ კაფეს, სილამაზის სალონს, ბიბლიოთეკას და ბარს, სადაც უგემრიელესი წვენებია.

Torstrasse 1, Mitte

THE CORNER

ეს კონცეპტუალური მაღაზია ბერლინის მოდის სცენაზე 10 წლის წინ გამოჩნდა. დღეს ბრენდი 3 მაღაზიითაა წარმოდგენილი, მათგან ორ მთავარ მაღაზიას სიმბოლურად The Corner East და The Corner West ჰქვია.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე 20 წელია, რაც კედელი დაინგრა, აღმოსავლეთ და დასავლეთ ბერლინელებს მაინც განსხვავებული სტილი და გემოვნება აქვთ. The Corner East-ში ახალგაზრდა და ავანგარდული დიზაინერების საძიებლად უნდა წახვიდეთ, უფრო ბურჟუაზიულ The Corner West-ში კი – მსოფლიო ბრენდების უნიკალური ნივთების შესაძენად. მამაკაცებს The Corner Men-ი გაახარებს, სადაც უახლესი გაჯეტებიდან დაწყებული, ტანსაცმლით და მოდური აქსესუარებით დასრულებული, მათთვის ყველაფერია და თანაც საუკეთესო.

Französische Strasse 40, Mitte

KaDeWe

KaDeWe-ს კარები ბერლინში ჯერ კიდევ 1907 წელს გაიხსნა. ლონდონის Harrods-ის და პარიზის Galeries Lafayette-ის მსგავსად, Kadewe მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვან უნივერმაღად ითვლება. მარლენ დიტრიხი, ბილი უილდერი, ლიზ ჰარლი, ევა ჰერიგოვა, რობი უილიამსი, პრინცესა ბეატრისი და პრინცესა ევგენია იორკიდან, პრეზიდენტები, პოლიტიკოსები – Kadewe ყოველთვის მასპინძლობდა პოპულარულ ადამიანებს.

გარდაქმნების სიყვარული, ინოვაციური დიზაინი, ინტერნაციონალური ტრენდები, კოსმოპოლიტურობა, ორიგინალური პერფორმანსები, საახალწლო ინსტალაციები ვიზიტს დაუვიწყარს ხდის.

Kadewe-ში წარმოდგენილია ყველა საუკეთესო ბრენდი და ექსკლუზიური სამოსი მთელი მსოფლიოდან. აქ შეგიძლია ისეირნო, გაეცნო ახალ ტენდენციებს, შეიძინო სასურველი ნივთები, ან ისადილო ცნობილ Feinschmeckeretage-ში, ევროპის ყველაზე დიდ Food Court-ში.

ღიაა: ორშაბათს და პარასკევს – 10.00-21.00,
სხვა დღეებში – 09.30-20.00; კვირას დაკეტილია.

Tauentzienstraße 21-24

Kurfurstendamm, რომელსაც მოკლედ ხშირად Ku'dam-ადაც იხსენიებენ, Tauentzienstrasse-სთან ერთად ბერლინში შოპინგისათვის მთავარი მისამართია.

Tauentzienstrasse-ზე ბევრი საერთაშორისო სახელის მქონე სავაჭრო სახლის მაღაზიაა – მათ შორის, Niketown და Uniqlo. რაც შეეხება Kurfurstendamm-ს ბულვარ Uhlandstrasse-სა და Abenauerplatz-ს შორის კი, ისეთ მქუხარე სახელებსა აქვთ „დაპყრობილი", როგორიცაა: Bulgari, Chanel, Louis Vultton, Valentino და Gucci.

Uhlanbstrasse-ს მიმდებარე შედარებით უფრო წყნარ ქუჩებზეც ზეთანამედროვე ბუტიკებში ასწლოვანი ისტორიის მქონე იმ ცნობილი მარკების ნაწარმსაც შეხვდებით, რომელთა მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება სრულიად წარმოუდგენელია მოდისა თუ დიზაინის სამყაროში.

Kurfurstendamm-ს პარალელური Kantstrasse მეორე მთავარი სავაჭრო ქუჩაა ბერლინის Charlottenburg-Wilmersdorf-ის უბანში. აქ ასევე მრავლადაა ინტერიერის დიზაინერთა სტუდიოებიც. თავის მხრივ, **Suarezstrasse** ანტიკვარიატით ვაჭრობის ცენტრად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო Stilwerk-ზე კი ავეჯით მოვაჭრეები და თანამედროვე დიზაინის ისეთი წარმომადგენლები ჭარბობენ, როგორიცაა: Bang&Olufsen, Bulthaup და Ligne Roset. შოპინგის მოყვარულები არაერთ მომცრო ფერადოვან მაღაზიას, გალერეასა თუ რესტორანს ნახავენ Savygnyplatz-ზეც.

Gendamermenmarkr-ზე ასევე მდებარეობს მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ხალხმრავალი სავაჭრო ცენტრი The Corner Berlin, სადაც უამრავი მაღაზია, ბუტიკი, საგამოფენო გალერეა და კაფეა განთავსებული. სახელოვანი დიზაინერების ნახელავის გვერდით, აქ მოდის სამყაროში შედარებით ახლად გამოჩენილ დიზაინერთა მიერ შექმნილ სამოსელსაც ნახავთ – ისევე, როგორც სხვადასხვა აქსესუარს, კოსმეტიკურ ნაწარმს და ა.შ.

Mitte-ს შედარებით მომცრო მყუდრო ქუჩებში ბევრი საინტერესო გალერეა და ტანსაცმლის მაღაზიაა. Mulackstrasse და Gipsstrasse სულაც მინი სოჰოდ გადაიქცა.

VOO STORE

სივრცე, რომელშიც ცნობილი კონცეპტუალური Voo Store-ი მდებარეობს, ძველად მლესავების მაღაზიის ტერიტორიას წარმოადგენდა. ამჟამად ის ყველაზე მოდურ ჰიპსტერულ კროიცბერგის რაიონშია და ერთნაირად საინტერესოა მოდის, ხელოვნების და დიზაინის მოყვარულთათვის. აქ იპოვით ტანსაცმელს, ფეხსაცმელს და აქსესუარებს – მზის სათვალეებით, სამკაულებით და საათებით დაწყებული, სახლის დეკორატიული ნივთებით დამთავრებული. Voo Store-ში ნახავთ ისეთი თანამედროვე და საინტერესო ბრენდების პროდუქციას, როგორიცაა: Acne, Stine Goya, Don't Shoot The Messengers, Wood Wood და Vintage Designs.

Oranienstrasse 24, Kreuzberg



BIKINI BERLIN

50-იანი წლების ბერლინური მოდერნიზმის ძეგლი Bikinihaus და სავაჭრო ცენტრის არატრადიციული კონცეფცია Bikini Berlin-ს ბერლინის ყველა სხვა სავაჭრო ცენტრისაგან გამოარჩევს.

აქ ნახავთ ბრენდებს: Samsøe & Samsøe, Am+Aspesi, Artek Conceptstore, Ikomo, Labo.Art, Manila Grace, Anna Kraft, Goldfisch, Lnfa, Mabba, Mammut, Vans, Closed, Carhartt, Teufel-ს, Gant-ს, აგრეთვე, ძალიან პოპულარული სათვალეების მარკის, Mykita-ს უახლეს კოლექციას.

Budapester Str. 38-50

ANDREAS MURKUDIS

თავისი სახელობის სივრცის მფლობელმა ანდრეას მურკუდისმა საკუთარი კარიერის 15 წელი ხელოვნებას მიუძღვნა: იგი მართავდა ბერლინის მუზეუმს – Museum Der Dinge-ს. მოგვიანებით ანდრეასი კომერციამ გაიტაცა და გადაწყვიტა მაღაზია გაეხსნა ყოფილი ტიპოგრაფიის შენობაში, ბერლინის ცენტრში, პოტსდამერ შტრასეზე, თუმცა სახელოვნეო წარსული ასე ადვილად არ ანებებს თავს.

მის მიერ შერჩეული ნივთები ყოველ სეზონზე ისეთია, თითქოს მფლობელი სამუზეუმო კოლექციას აგროვებდა: ლუქსკატეგორიის ცნობილი დიზაინერების პროდუქციასთან ერთად აქ ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევრების შეძენაც შეგიძლიათ.

Potsdamer Strasse 81







JIL SANDER

JIL SANDER-ის მაღაზიას ბერლინში ახალი დიზაინი აქვს. ინტერიერი ჰარმონიულად ერწყმის ბრენდის კოლექციას: კონსტრუქციის ელემენტები, სუფთა ხაზები და თანამედროვე სტილი JIL SANDER-ის ვიზუალურ იდენტობას და ესთეტიკას კარგად ასახავს. გაფორმებაში ოსტატურადაა გათამაშებული ბუნებრივი და სინთეტიკური ქსოვილების კონტრასტი, განსაკუთრებით რეზინის გამოყენებისას. არაჩვეულებრივად მოფიქრებული განათება მშვიდ, ინტიმურ ატმოსფეროს ქმნის.

Kurfürstendamm 185; jilsander.Com

VOYAGER კომენტარი

FRAU TONISPARFUM

ბებიის სუნამოებით შთაგონებულმა სტეფანი ჰანსენმა (Stephanie Hanssen) ბოლოს და ბოლოს მაინც აისრულა დიდი ხნის ოცნება – პარფიუმერიული ბუტიკი გახსნა და მას ბებიის პატივსაცემად Frau TonisParfum დაარქვა. ამ თითქოსდა არაფრით გამორჩეულ სივრცეში, სადაც ძირითადი ადგილი შუშის ბოთლებით სავსე თაროებს უკავია, ერთიანად თეთრი ინტერიერი ქმნის ნოსტალგიური მშვენიერების განცდას. რაც შეეხება სურნელებას: მაგალითად, Vial (No. 37) მარლენ დიტრიხის საყვარელი სუნამოს სუნითაა შთაგონებული, Sminta (No. 20) კი რაღაცით Chanel No. 5-ს წააგავს; ხოლო ვისაც ეს არჩევანი არ აკმაყოფილებს, აქ კიდევ უამრავ სხვა სუნამოს შესთავაზებენ.

Zimmerstraße 13

ტრადიციულად, ფასდაკლებები ზაფხულში და ზამთარშია. ზაფხულის ფასდაკლებები ივლისის ბოლო ორშაბათს იწყება, ზამთრისა კი – იანვრის ბოლო ორშაბათს და ორი კვირის განმავლობაში გრძელდება. დაკლებულ ფასებს აღნიშნავს ბრენდი წარწერით: REDUZIERT, ტრადიციული % და ყველასთვის ცნობილი SALE. ზაფხულის ფასდაკლებას SOMMERSCHLUSSVERKAUF ჰქვია, ზამთრისას კი – WINTERSCLUSSVERKAUF.

გერმანიის ტერიტორიის ფართობი 357 340 კმ²-ია და ის სიდიდით ევროკავშირის ქვეყნებს შორის მეოთხეა საფრანგეთის, ესპანეთისა და შვედეთის შემდეგ.

გერმანია ევროკავშირში ყველაზე მჭიდროდ დასახლებული სახელმწიფოა (82,3 მln მცხოვრებით).

მოსახლეობის 20,3%-ს (16,4 ადამიანი) მიგრაციული წარსული აქვს, მათგან 9,2 მილიონი გერმანიის მოქალაქეა, 7,2 მილიონი კი – უცხოელი.

4 ეროვნული უმცირესობა გერმანიის „ძირეულ ხალხად“ არის აღიარებული: დანიელები (50 000) და ფრიზეები (60 000), ლუქიცელი სორბები (60 000), აგრეთვე, გერმანელი რომები (70 000).

გერმანიის მშპ-ის მოცულობა 2016 წელს **3 144 მილიონი ევრო**
ინფლაცია – 1,8%, ეკონომიკური ზრდა – 0,6%
უმუშევრობა – **3,9%**
შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე – **38 114€**
destatis.de

2030 წლისთვის გერმანიის მშპ 160 მილიარდ ევრომდე გაიზრდება.



გერმანიის ეკონომიკა სიდიდით მეოთხეა მსოფლიოში.

ყველაზე დიდი მანძილი ჩრდილოეთიდან სამხრეთ საზღვრამდე 876 კმ-ს, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთ საზღვრამდე 640 კმ-ს უტოლდება.

ჩრდილოეთით ესაზღვრება ჩრდილოეთის ზღვა, დანია და ბალტიის ზღვა,
აღმოსავლეთით – პოლონეთი და ჩეხეთი,
სამხრეთით – ავსტრია და შვეიცარია,
ხოლო დასავლეთით – საფრანგეთი, ბელგია, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები.



numbeo.com

გერმანიის მცხოვრები დაახლოებით 80 000 მამაკაცი 1,50 მ-ზე დაბალია, ხოლო 70 000 ქალი – 1,90 მ-ზე მაღალი.

1990 წლისთვის ქორწინების გარეშე დაბადებული იყო გერმანელი ბავშვების 15%, 2010 წლისთვის კი – 33%.

2016 წელს გერმანელოვანი მოსახლეობის 7,75 მილიონმა წარმომადგენელმა თავი ვეგეტარიანელად აღიარა, 900 000-მა – ვეგანად.

საშუალოსტატისტიკური ზრდასრული გერმანელი საფულით 103 ევროს (ნაღდ ფულს) ატარებს. მობილური ტელეფონითა და ინტერნეტით გადახდის ტენდენცია თანდათან იზრდება, თუმცა უპირატესობა მაინც ნაღდ ფულს ენიჭება – ხუთიდან ოთხი ტრანზაქცია გერმანიაში სწორედ ნაღდი ფულის გადარიცხვით ხორციელდება.

1902 წელს ქვეყანაში 605 000 ჯარისკაცი იყო, ხოლო 2015 წელს სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვი 177 069-ს შეადგენდა (მათგან 19 284 ქალია).



Thomas Müller
ყველაზე გავრცელებული გერმანული გვარ-სახელია.

ქვეყანაში 72 მln ვეღოსიპედია; დიასახლისების 30% დიდ ქალაქებში გადაადგილების საშუალებად ვეღოსიპედს იყენებს.

საშუალოდ, გერმანელი ყოველდღე ფეხით 1,5 კმ-ს გადის.

10-იდან 17 წლამდე მოზარდები გერმანიაში დღეში საშუალოდ 37 წუთს ვარჯიშობენ.

ბიონაწარმის ყოველწლიური ბრუნვა 7,6 მლრდ ევროს შეადგენს. 23 500 ბიომეურნეობას სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 6,3% უჭირავს.

გერმანიის კლიმატი ზომიერია: ივლისში საშუალო ტემპერატურული მაქსიმუმი 21,8°C-ია, მინიმუმი კი – 12,3°C. იანვარში საშუალო ტემპერატურული მაქსიმუმი 2,1°C-ია, მინიმუმი – -2,8°C.

გერმანიაში 117 მილიარდერი ცხოვრობს, ეს ევროპის უმდიდრეს ადამიანთა 8%-ია.

გერმანია მწვანე ქვეყანაა, მისი ტერიტორიის მესამედი ტყითაა დაფარული. 2%-ზე მეტი ტბებს, მდინარეებსა და სხვა წყალსატევებს უკავია.

2020 წელს ქვეყანაში 1 მln ელექტრომობილი ივლის.

ელექტროენერგიის 26% ენერგიის განახლებული წყაროებით გამომუშავდება. 2050 წლისთვის საჭირო ელექტროენერგიის 80%-ს სწორედ ასეთი წყაროები გამოიმუშავებენ.

გერმანია მსოფლიოს ყველაზე ეკოლოგიურად სუფთა მრეწველობის მქონე ქვეყანაა.

გერმანული ელექტროძრავების სიგრძე 1,79 მln კილომეტრია; მაღალი ძაბვის სადენები დედამიწის ეკვატორს 45-ჯერ შემოევლება.

გერმანიაში წელიწადში მზე 1 670 საათს ანათებს.

გერმანია იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც 1916 წელს ზაფხულის დრო შემოიღო.

მრავალფუნქციური კომპლექსი

KING DAVID

განსაკუთრებული შეთავაზება

20 თვიანი 0%-იანი შიდა განვადება

#არაჩვეულებრივისახლი

EUROPEAN PROPERTY AWARDS DEVELOPMENT

in association with

The Telegraph

★★★★★

BEST MIXED-USE DEVELOPMENT GEORGIA

King David
by Rezid Holding GmbH

2016-2017

EUROPEAN PROPERTY AWARDS DEVELOPMENT

Award Winner

RESIDENTIAL HIGH-RISE DEVELOPMENT GEORGIA

KIND DAVID
by Rezid Holding GmbH

2017-2018

EUROPEAN PROPERTY AWARDS

გამარჯვებული პროექტი ნომინაციებში:

"საუკეთესო მრავალფუნქციური კომპლექსი საქართველოში"
და
"საუკეთესო მრავალსართულიანი საცხოვრებელი
პროექტი საქართველოში"

200 18 18

მ. ალექსიძის ქუჩა №12,
საქართველო, თბილისი, 0160

SALES@KDR.GE

WWW.KDR.GE

გერმანია

აკა მორჩილაძე

ბრძენი ფილოსოფოსების, საუკეთესო მანქანების, გენიალური მხატვრების, უჭკვიანესი მეცნიერების, ღონიერი სოფლებისა და მყარი ქალაქების, მხეცი ფეხბურთელების, მრუმე ლუდის, დაუნანებელი ულუფების, შესაშური წესრიგის, შენების ჟინის, შხუილა გზების, გვარიანი სუსხის, გამთენიიდან მუშაობის, უკვდავი უნივერსიტეტების და კიდევ მრავალი ათასი რამის ქვეყანა – გერმანია დღეს ევროპის მეთაურია.

ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ და ის კი ნამდვილია, რომ ამ შეძლების ქვეყანა გაერთიანებულ ევროპაში ალბათ არ მოიძებნება, რასაც ახალი ამბების ყოველდღიური, უსასრულო წყების მხოლოდ სათაურების შემხედვარეც იოლად გავიფიქრებთ ხოლმე. კანცლერი მერკელი, მისი გადაწყვეტილებები, ჭკუა-გონება, აწყობილი სისტემა, აწყობილი ქვეყანა, მდინარეებად მომდინარე შემოსავალი და ასე შემდეგ გერმანიას ბედის მძებნელთათვის სასურველ ქვეყნად აქცევს ხოლმე. სხვა საქმეა, რომ გერმანიაში არაევოკავშირელის კანონიერად ცხოვრება და საქმიანობა გრძელი და რთული ამბავია, თუმცა ბოლო ოცდახუთი წელიწადია იქ ათასობით ქართველი ცხოვრობს და ბევრად მეტი კი მიდი-მოდის, ან ერთხელ მაინც ყოფილა, ნაირგვარი საქმის გამო.

ამიტომ, ერთი შეხედვით, გერმანია უცნობი ქვეყანა არ უნდა იყოს. თუ ამას დავუმატებთ, რომ გერმანიაში სწავლა უფასოა და ბევრი ქართველი სტუდენტიც მიემგზავრება, მცდელობა, რომ ამ ქვეყნის შესახებ რაიმე ახალი ან ამოუცნობი თქვა, უმადური საქმე გამოვა.

უბრალოდ, ის მაინც უნდა ითქვას, რომ გერმანია ალბათ ყველაზე გახსნილი ქვეყანაა ევროკავშირის თუ, საერთოდ, ევროპის ქვეყნებს შორის. ეგებ ეს მისი კანონებით დიდად არ გამოიხატებოდეს და უცხოელისთვის სხვას უფრო რბილი კანონები ჰქონდეს, მაგრამ გერმანია მაინც ყველაზე გახსნილი ქვეყანაა. არა მხოლოდ იმიტომ, რომ მილიონობით ლტოლვილს გაუღო კარი, არამედ იმიტომაც, რომ დიდად ინტერესდება უცხოთა კულტურით და ამას დიდი თანშეზრდილი ბუნებრივობით აკეთებს.

ევროპაში, სადაც ყველას თავისი ჰყოფნის და, მეტიც, ხშირად არავინ იცის, იმ თავისს რა უყოს, გერმანია სწორედ საპირისპირო დამოკიდებულებით გამოირჩევა. მაგალითად, გერმანელები თარგმნიან ყველაზე მეტ წიგნს უცხო ენებიდან. მგონი, იმაზე ათჯერ მეტს, ვიდრე ინგლისელები.

გერმანელები აწყობენ უცხოელი არტისტების ყველაზე მეტ გამოფენას და შესაშური მუდმივობით იწვევენ უცხოელ შემოქმედთ თავიანთ ქვეყანაში; უნიშნავენ მათ სტიპენდიას და ურჩევენ სახელოსნოებს, სანაცვლოდ კი მათგან არაფერს ითხოვენ, გარდა იმისა, რომ თავიანთი საყვარელი საქმე აკეთონ და ასე დაუსრულებლად.

ეს ამბავი ერთგვარად მოულოდნელი მასშტაბისაა დღევანდელ ევროპაში, თუმცა უკვე იმდენ ხანს არსებობს და მოქმედებს, რომ ტრადიციულიც შეიძლება ვუწოდოთ. ამგვარი, ასე ვთქვათ, ყოფითი რამეები რომც არ ვახსენოთ, ისეც ვიცით, რომ გერმანია დიდი ქვეყანაა. დიდიცაა და ღრმაც, მდიდარიც და შთამბეჭდავიც. ეს გასაოცრად ტევადი და მრავალფეროვანი ქვეყანაა.

გერმანიის ისტორია ისე მიედინებოდა, რომ იქ საუკუნეების განმავლობაში ლამის ყოველი მიწა, საჰერცოგო და სამეფო კი არა, ქალაქიც კი დამოუკიდებლად ვითარდებოდა: რომის საღვთო იმპერიის თავისუფალი ქალაქები, ჰანზის ქალაქები და ასე შემდეგ. ამიტომ ნებისმიერ გერმანულ ქალაქში, პირველ ყოვლისა, მისი სიმკვიდრე დაგაფიქრებს.

გერმანიაში არაფერია დროებითი და, მგონი, არც არასდროს ყოფილა. ყველაფერი ნაფიქრი, ნაგები და ნაკეთებია სამუდამოდ – ჰანოვერშიც, პასაუშიც, ვაიმარშიც, აუგსბურგშიც, თითქოს მიძინებულ მანგეიმშიც, გრავიურებიდან გადმოსულ აახენშიც, 1945-ში მიწასთან გასწორებულ დრეზდენშიც, ცივი ზღვით თბილად მსუნთქავ ჰამბურგშიც, იმ ჩუმსა და შეძლებულ შტუტგარტშიც, ღონიერ მიუნხენშიც და ღია ბერლინშიც.

ყველგან ყველაფერი მუდმივია და ზოგჯერ იმასაც გაიფიქრებ, რომ არა მხოლოდ მარშალის გეგმებითა და მსგავსი რამეებით წამოდგა ფაშიზმისგან განადგურებული გერმანია ფეხზე, არამედ სწორედ ამ სიმკვიდრით, იმ დიდი საგანძურით, რომელიც გერმანულმა გონებამ შვა და გერმანულმა ხელმა ქმნა საუკუნეების განმავლობაში.

იცით, როგორ არის? – ეს გონებრივი სიმდიდრე და სიუხვე, რითაც ალბათ, საქმე საქმეზე რომ მიდგება, სხვა ქვეყნებიც დაიკვეხნიან, გერმანიაში რაღაცნაირად შთამბეჭდავია, ამიტომ გერმანიის მთავარი საგანძური ეგებ ბიბლიოთეკაც იყოს, რადგან იქ შენახულია უთვალავი გერმანული ფიქრი, სამყაროს ფიქრად რომ იქცა, და იმ თაროებიდან იშზირებიან ადამიანები კანტიდან ჰაიდეგერამდე და გოეთედან და ფონ კლაისტიდან თომას მანამდე და დობლინამდე.

გერმანიის მზერა კი, ნამდვილი გერმანული მზერა, ერთგვარად გერმანიის დამოკიდებულებაც კი სამყაროსადმი ნამდვილად დარჩენილია ჰეგელის სიცოცხლის მიწურვილის პორტრეტში, იაკობ შლეზინგერს რომ დაუხატავს. აი, გერმანია. აი, გერმანიის ძალაც და აზრიც და მისი აზრის ძალაც. გერმანია ასეთი თანამედროვეა და ასეთი განვითარებული, მაგრამ მასში წარსულისას არა მხოლოდ ხედებს და არქიტექტურას შეიგრძნობ. არის ხოლმე წუთი, როცა თავს ცოცხალ შუასაუკუნეებში აღმოაჩენ. ეს ეგებ უქმე დღეების საქალაქო ბაზრობებზე იგრძნო, სადაც, გეოგრაფიას გაეჩინა და, გლეხურ ღვინოსაც იყიდი კარგა დიდი ბოთლით, მაგრამ უფრო ძლიერად ასეთი განცდა შემოდგომით შემოგეყრება ხოლმე, სახალხო დღესასწაულების დროს.

ამ გრძელ და მილეთის ღრეობა-ქეიფობაში ბრეხტის პიესებიც გაგახსენდება, ოცდაათწლიანი ომიც, აჯანყებული მიჰაელ კოლჰაასიც, რეფორმაციაც და ფრანც მოორიც და იმ მოხატულ ჰუმპენსაც ისეთი სითამამით გაიქნევ და გამოიქნევ, რომ ლუდის დაღვრასაც არ მოერიდები; რაც მთავარია, იმ ლიტრიანსაც შეირგებ, იმ თეთრ ბავარიულ სოსისსაც და შემთბარ კომბოსტოს მწნილსაც, ძველი გერმანული სურათი კი სამუდამოდ დაგამახსოვრდება. რა უნდა თქვა?! გერმანია გერმანიაა. ამ სიტყვის უკან შენახული ძალა საგრძნობია, ამ ძალის უკან არსებული გონება – შთამბეჭდავი, სურათები კი – უთვალავი.

ბერლინი

აკა მორჩილაძე

ბერლინი როგორია და – სასიამოვნო და ადამიანური. მთავარი რა არის ამ ქალაქში და – თავისუფლება. ყველაზე საინტერესო კი ის გამოდის, რომ იქ ჩასვლისას – მატარებლით შეხვალ, თუ თვითმფრინავით დაფრინდები – თავისუფლების ბერლინური შეგრძნება უხმაუროდ, თითქოს ჰაერთან ერთად გერტყმის გარს. შეიძლება მას რაღაცნაირი სიმშვიდის თუ სიხალვათის იერი ჰქონდეს, შეიძლება დაცვის თანამშრომლის მიერ ცოდნით გახვეული თამბაქოს კვამლის სახით მოგევლინოს, შეიძლება ავტობუსში შემწკრივებული არაშთამბეჭდავი ჩემოდნების და ჩანთების მწკრივიდან მოიწევდეს შენკენ და შეიძლება სულაც ახალგაზრდების თვალშისაცემი სიჭარბით შემოგიტიოს, რაც სულაც არაა გასაკვირი, რადგან ბერლინი ბევრწილად ახალგაზრდების ქალაქი გამოდის, თუმცა ალბათ თავისუფლება ამით არ დაწყებულა.

ლამის ნახევარი საუკუნის განმავლობაში კედლით გაყოფილ ქალაქს დიდი ისტორია აქვს და ამ ისტორიას ახლავს ის სიდიადე და განუმეორებლობა, რომელიც ახლავს ხოლმე ევროპის დედაქალაქების სიდიადეს და განუმეორებლობას, მაგრამ დღევანდელ ბერლინში ამისკენ არ მიილტვიან. როგორღაც ისეა, რომ ბოლო დიდი ომის დროს დაქცეული და, ისევე როგორც მთელი გერმანია, ოთხად გაყოფილი ბერლინი მეტად თავისებურად განვითარდა და მის მოძრაობასა და სუნთქვაში არაფერია ისეთი, რასაც ევროპის სხვა დედაქალაქებში ვიპოვით.

რახან დღეს მისი მემარცხენეობა და მხოლოდ ბერლინური ახალგაზრდული გასართობებია მოდაში, უნდა ითქვას, რომ ამ ქალაქში ორივე ჰიტლერამდე არსებობდა და, მგონი, თავისუფლების ეს ამბავი სწორედ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო, თუმცა დღემოკლე გამოდგა, რადგან იმათ, ვინც მაშინ ბერლინს დაეპატრონა და მთელ მსოფლიოსაც ეპატრონებოდა, არც ერთი მოსწონდათ, არც მეორე.

იმისთვის, რომ ვიცოდეთ, რას ვნახავთ ბერლინში, უნდა ვიცოდეთ, რას ვერ ვნახავთ იქ. ჰოდა, იქ ვერ ვნახავთ ათასფუნტიან კოსტიუმში გამოწყობილ კაცს, რომელსაც ცალ ხელში კეისი უჭირავს, მეორეში – სენდვიჩი და, ჰალსტუხაფრიალებული, გიჟივით მისდევს მატარებელს, რათა ლონდონის სიტის დროზე უწიოს. იქ ასევე ვერ ნახავთ ტაქსის მომლოდინეთა სამასკაციან რიგს, პარიზის რომელიმე სადგურთან რომ იცის ხოლმე, შიგ გარეული ქუჩის თაღლითებით, რომლებიც ამ რიგში უცხოელების ამოცნობას ღამობენ და მათ ოქროს ბეჭედს უწვდიან, რათა ცნობილ ფანდზე წამოაგონ. იქ ვერ შეხვდებით ვერც უდარდელ და ზანტ გამყიდველებს ათენიდან, საცობში გაკვეტებულ რომაულ მოპედებს, მადრიდულ შუაღამის ხვატს და ზაფხულის თვლემას, კოპენჰაგენის სიძვირეს, ციურიხის დუმილს, ბრიუსელის სისველეს, ამსტერდამის დაბზარულ ტურიზმს და მრავალ სხვასაც.

ეს ყველაფერი სხვა, დიდი ქალაქებისაა. ბერლინიც ასეთივე დიდი ქალაქია, ოდინდელი საიმპერიო სუნთქვით და მოედნებით, ლეგენდარული შენობებით, ღრმა ისტორიით და პერსონაჟებით, საოცარი მუზეუმებით, ძველი ხეივნებით, უბარმაზარი მაღაზიებით, ტრანსპორტით, ათასი ეროვნების ადამიანით, მაგრამ მაინც სულ სხვაა.

რაღაც თითქოს ამოუცნობი ურბანული მაგიით, ისე ხდება, რომ ტურისტისთვისაც კი, მთავარ რამედ არა მაინცდამაინც ბერლინის განთქმული ადგილების დათვალიერება აღმოჩნდება, არამედ ამ ქალაქის ყოველდღიურობა. სწორედ ახლანდელ ბერლინში ცხოვრებაა ამ ქალაქის მთავარი ატრაქციონი და აქ ყველა პატარა ამბავს, სიგარეტის კიოსკს, შნაპსის ბრტყელ ბოთლს, ჩინურ ბარათების მაღაზიას, იტალიურ კაფეს, ბერლინურ დონერს, იაფად ნაშოვნ პიჯაკს, ძველმანების ბაზარზე საათებით სავსე ყუთში ხელის ჩაყოფას თუ წიგნების მაღაზიაში საათობით გამოკეტვას სრულიად განსაკუთრებული გემო და სურნელი აქვს.

ჩვეული საქალაქო ხმაური აქ სულაც არ არის ყურსმიჩვეული რამ. ისე გამოდის, რომ აქაური განთქმული და სანიმუშო სიმწვანე და რაღაცნაირად მოხერხებული, დაუძაბავი წესრიგი, მოზომილი ნაბიჯი და, იმავდროულად, სწორი და ურყევი სისწრაფე, ომის შემდგომ ნაშენები საცხოვრებელი უბნების მოხერხებულობა, გადარჩენილთა სილამაზე ჯამში იმას იწვევს, რომ აქ სრულიად გარკვევით ისმის ეკლესიის ზარების ხმა, რაც ამ გაქანების ქალაქებში კარგა ხანია ჩაყლაპა ცხოვრებამ თუ კლაქსონმა. ქალაქის შენებისთვის საჭირო ჭკუა და ფიქრი აქ არა მხოლოდ იერში გამოიხატება, არამედ ადამიანზე ქალაქის მორგებულობასა და სასიამოვნოდ ყოფნის შესაძლებლობაში.

რახან ბერლინში მთავარია მისი ერთადერთი და განუმეორებელი თავისუფლება, რა გასაკვირია, რომ აქ ყველაფერს განსაკუთრებული გემო ჰქონდეს და ყველას განსაკუთრებული იერი ედოს. ოღონდ, ეს კი უნდა ვიცოდეთ ასეთ დროს, რომ გაპრანჭულობა და გადაპრანჭულობა აქ არაფერ შუაშია. თუკი რამეა გაუპრანჭავი, სწორედ ბერლინი. ახლა კი ამბობენ, რომ ეს არაგაპრანჭულობა და სისადავე იქცა სწორედ მის მთავარ გაპრანჭულობად, ტრენდად და მიმზიდველობადო, მაგრამ ქალაქი ნამდვილად არ ფიქრობს ბევრს ამის შესახებ.

კი, ბევრი რამე სწორედ აქედან წამოვიდა. არის ბერლინში საგრძნობი მუშურ-სტუდენტური სული, სწორედ აქ და ამ სულში მაგარი სწორედ ისაა, რომ ის უკიდურესად ქალაქურია და როცა ხელოვნებას დაუმეგობრდება ხოლმე, იმის ფასი ძნელად რომ რამე შეიტკბოს ასეთი რამეების მოყვარულმა ადამიანმა. ჰოდა, ეს სული კარგა ასზე მეტი წლის წინანდელია და დღეს კი – განვითარებული და მორგებული მთელი ქალაქის ცხოვრებას, სადაც ძალიან კარგად შერწყმია გერმანული ქალაქების სხვა უკვდავ, ბიურგერულ სულს და, ასევე, პოლიტიკას, ტექნოლოგიებს, გერმანულ ამბავს, ათას სხვა რამეს.

რა ნაზავიც გამოვიდა, ერთადერთია მსოფლიოში. ბერლინში სიმდიდრის გამოფენა ძნელია და არც კარგ რამედ ითვლება. ერთ დროს გამოსაფენი არაფერი იყო და, საერთოდ, როცა ქალაქი ამ სტუდენტურ-მუშურ სულს მიჰყავს, იქ ბრილიანტები არ ბრწყინავს. აქ იმდენი და ისეთი რამეებია უფასო, რომ სხვაგან ვერც წარმოიდგენ. ოღონდ რამე ნახე, დაათვალიერე, საიდანმე გადმოიხედე და ვინ ოხერი?! თხუთმეტიოდე წლის წინანდელი საქალაქო ლოზუნგიც – „ბერლინი ღარიბია, მაგრამ მომხიბვლელი“ („Berlin ist arm, aber sexy“) – კვლავ ძალიან კოხტად ერგება იქაურობას. დაუმატეთ, რომ ეს არის მუსიკის, ხელოვნების, ღამის ცხოვრებისთვის კარგახსნილი ქალაქი, სადაც პარკები ტყეებს ჰგავს და განთქმული გერმანული მანქანები თითქმის არ გაწუხებენ.

ბერლინის თავისუფლება კი არ არის მხოლოდ კანონებით გამაგრებული თავისუფლება. ასეთი ლიეჟშიც მოიძებნება, ბირმინგემშიც, ოდენსეშიც და სენ ნაზერსა და უელვაშიც. ეს უფრო სხვა რამეა, რაც ალბათ ყველამ და ყველაფერმა ერთად შექმნა ამ ქალაქში: უბრალო ადამიანებმაც, გემოვნებებმაც, მოხელეებმაც, ამინდმაც, ხასიათმაც, ხელოვნებამაც, დიდმა ომმაც, რომელმაც ის დაანგრია... და ალბათ წარმოდგენებმა მომავლის შესახებ. ეს უკანასკნელი ეგებ მხოლოდ დაბოლოება იყოს ბერლინის სულის საოცარ ნაგებობაში, მაგრამ უმისოდ არც ეს სული იარსებებდა და არც მისი ასეთი მიმზიდველობა.

ოდესღაც, კედლის დანგრევის შემდეგ, ალექსანდრპლაცის მიდამოებში ბლომად იყიდებოდა ღია ბარათები შიგ ჩადგმული გამჭვირვალე კაფსულებით. ბარათს ეწერა: „ბერლინის ჰაერი“. აღარ ვიცი, ახლა რა გაქანებით იყიდება ასეთი რამეები. თან, მერე და მერე ამგვარი სუვენირი ბევრ ქალაქსა და ქვეყანაშიც გამოჩნდა და გვარიანად გაცვეთილ ხატადაც იქცა. იქ და იმ დროს კი ის ნამდვილი იყო, გაერთიანებული ბერლინის ჰაერი თავისუფლების ჰაერს გულისხმობდა.

ბერლინის მითოსი

გიორგი მაისურაძე

მითოსი, ერთი ძალიან ძველი განმარტებით, არის ის, რაც **არასდროს მომხდარა**, მაგრამ **ყოველთვის ხდება**. მითოსის მომაჯადოებელ ძალას სწორედ ამგვარი **პარადოქსი** განაპირობებს: ის **რეალურ** ამბებზე კი არაა დამოკიდებული, არამედ თვითონვე **ქმნის** რეალობას, რომელიც უფრო **ცოცხალი** და **დამაჯერებელია**, ვიდრე **ფაქტები**. თუკი ფაქტებით **ისტორიები** იწერება, რაც **წარსულის** გახსენებას შესაძლებელს ხდის, მითოსით **მარადისობა იქმნება**, რომელიც **მუდმივ აწმყოშია** და მისი **განჯადოება** არანაირ რაციონალიზმს აღარ შეუძლია.

ბერლინის მითოსიც რაციონალიზმის ეპოქად წოდებულ XIX საუკუნეში დაიბადა და ის არც საგმირო-ეპიკური შინაარსის ყოფილა, როგორც ახალი დროების მითების უმეტესობა, და არც რაიმე სხვა ამაღლებული შინაარსის მოვლენას უკავშირდებოდა. ერთი გადმოცემის თანახმად, 1870 წელს, როდესაც გაერთიანებულ გერმანიას იმპერია ეწოდა, ამ იმპერიის შემქმნელი, რაიხსკანცლერი ოტო ფონ ბისმარკი წინააღმდეგი ყოფილა, რომ დედაქალაქის პატივი ბერლინს მინიჭებოდა. იგი ამბობდა, რომ ბერლინი ქალაქი კი არა, „მაიმუნების თავშესაფარია“.

ასეთი რეპუტაცია ბერლინს უკვე იმ დროს არსებულმა მისმა კულტურულმა სიჭრელემ და ქალაქში ჩაბუდებულმა სხვადასხვა სახის რევოლუციურმა მუხტებმა შეუქმნა. ბერლინის მითოსი სწორედ ასეთმა კონტრასტებმა შექმნა: ერთი მხრივ, იმპერიული ძალაუფლების ცენტრი, თავისი სამხედრო და პოლიციური აპარატებით, მის პარალელურად კი, რევოლუციური ჯგუფების მიწისქვეშეთი, მეამბოხე სტუდენტებით, რომლებიც მთელი სამყაროს გარდასაქმნელად ემზადებოდნენ, რადიკალური სახელოვნებო სცენით და ყველაზე აღვირახსნილი ბოჰემით.

როცა ბერლინი იმპერიის დედაქალაქი გახდა, მის შუაგულში მდებარე გიგანტური პარკის, ტირგარტენის ცენტრში გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს ქანდაკებიანი უზარმაზარი სვეტი – ზიგესზოილე (გამარჯვების სვეტი) აღიმართა, ხოლო თავად პარკის ტერიტორიაზე ყველა ცნობილი გერმანელი მწერლის, ხელოვანის, მეცნიერისა თუ პოლიტიკოსის ქანდაკებები დაიდგა. ახლად გაერთიანებული გერმანია საკუთარ თავს „პოეტებისა და მოაზროვნეების“ ქვეყნად წარმოაჩენდა, თუმცა უკვე XIX საუკუნის დამდეგს გაჩენილი ეს საამაყო ტიტული ჯერ გერმანელმა ფილოსოფოსმა ფრიდრიხ ნიცშემ, რომელიც ახლად აღზევებულ გერმანულ ნაციონალიზმსა და იმპერიალიზმში მსოფლიო მასშტაბის კატასტროფების მოახლოებას ხედავდა, მოგვიანებით კი ავსტრიელმა პუბლიცისტმა კარლ კრაუსმა, რომელიც გერმანიის მიერ წამოწყებული მსოფლიო ომის და ნაცისტური მესამე რაიხის მომსწრე იყო, „მსაჯულთა და ჯალათთა“ ნაციად გადააკეთეს.

თავად პარკის ტერიტორია, სადაც გერმანული კულტურის ყველაზე ცნობილი წარმომადგენლების ძეგლები ბინადრობენ, უკვე XIX საუკუნიდან მოყოლებული, დღემდე მთელი ევროპის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე დიდი „ქრუზინგის“ არეალია ანუ ადგილი, სადაც ადამიანები ერომანეთს ანონიმური სექსისთვის ხვდებიან. ჟან ჟენეს რომანში „მკვდრების დღესასწაული“, რომელშიც მოქმედების ერთი ხაზი 1935 წლის ბერლინში ვითარდება, გესტაპოს ჯალათსა და 15 წლის ჰიტლერიუგენდელ ბიჭს შორის სასიყვარულო ისტორიაა მოთხრობილი, რომელიც სწორედ ტირგარტენში იწყება, თანაც ზუსტად იმ დროს, როდესაც ნაცისტურ გერმანიაში ჰომოსექსუალობა სასტიკად იდევნებოდა.

სექსუალური თავისუფლება ბერლინის სამარკო ნიშანია. შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ სექსუალური რევოლუციის იდეა სწორედ ბერლინში გაჩნდა, ხოლო მისმა ავტორმა, ფსიქოანალიტიკოსმა ვილჰელმ რაიხმა 1931 წელს ბერლინში პოლიტიკური მოძრაობა წამოიწყო, რომლის მიზანიც მოსახლეობის, განსაკუთრებით მისი გაჭირვებული ფენების, სექსუალური განათლება იყო. რაიხის რწმენით, რეპრესიული სექსუალური მორალისა და ცრურწმენებისგან გათავისუფლება ადამიანებს ნევროზებისა და პერვერსიებისგან განკურნავდა და, პოლიტიკური თვალსაზრისითაც, ნიადაგს გამოაცლიდა ძალადობრივ, ჩაგვრასა და სიძულვილზე დამყარებულ ავტორიტარულ იდეოლოგიებსა და რეჟიმებს. უკვე XX საუკუნის დასაწყისში, განსაკუთრებით „ვაიმარის რესპუბლიკის“ პერიოდში (1918-1933) ბერლინი ღამის სექსუალურ აღვირახსნილობასთან იგივდებოდა.

ამ დროს გადაიქცა გერმანიის დედაქალაქი ღამის ცხოვრების მსოფლიო ცენტრად, საითაც მთელი მსოფლიოდან მოედინებოდა გართობისა და ხორციელი თავდავიწყების მოყვარულთა ნაკადები, რაც არაერთ ლიტერატურულ თუ კინონაწარმოებში აისახა. სამაგალითოდ, კრისტოფერ იშერვუდის რომანის, „მშვიდობით, ბერლინის“ და მის მიხედვით ამერიკელი რეჟისორის, ბობ ფოსის მიერ გადაღებული „კაბარეს“ გახსენებაც შეიძლება.

ბერლინის ბოჰემა არა მხოლოდ სექსუალურ თავისუფლებას მოწყურებულებს იზიდავდა, არამედ სწორედ აქ ისახებოდა და იქმნებოდა იმ დროისათვის ყველაზე რევოლუციური, პირველ რიგში, თავისი სოციალური განზომილებითა და კრიტიკით გამორჩეული ხელოვნება. 1920-იან წლებში ბერტოლტ ბრეხტმა და კურტ ვაილმა თეატრალური და მუსიკალური ხელოვნების ისეთი ნიმუშები შექმნეს, როგორიცაა „სამგროშიანი ოპერა“ და „ქალაქ მაჰაგონის აღზევება და დაცემა“. ამ დროს ბერლინი ევროპული მოდერნიზმის ერთ-ერთი ცენტრი იყო.

ამ დროს გადაიქცა გერმანიის დედაქალაქი ღამის ცხოვრების მსოფლიო ცენტრად, საითაც მთელი მსოფლიოდან მოედინებოდა გართობისა და ხორცისული თავდავიწყების ნაკადები.

1933 წელს, როდესაც გერმანიაში ხელისუფლებას ჰიტლერი და მისი ნაცისტური პარტია დაეუფლა, ბერლინის, როგორც შემოქმედებითი თუ პიროვნული თავისუფლების აღთქმული მიწის, მითოსსაც ბოლო მოეღო და მესამე რაიხის დედაქალაქი თავისუფლების დათრგუნვის მსოფლიო ცენტრად იქცა. იმავე წლის მაისში ჩატარდა თანამედროვე სამყაროში მანამდე უპრეცედენტო აქცია: ბერლინის უნივერსიტეტის ეზოში ნაცისტური იდეოლოგიით მოწამლულმა სტუდენტებმა ნაციზმისთვის მიუღებელი წიგნები, მათ შორის, უკვე გერმანული ლიტერატურისა და ფილოსოფიის კლასიკური ნიმუშები დაწვეს. ნაცისტები ბერლინშიც და მთელ გერმანიაშიც იმის განადგურებას შეუდგნენ, რაც გერმანული კულტურის განსაკუთრებულ სახეს ქმნიდა. ბერლინში ნაცისტებმა ჯერ კაფეები და კლუბები დაარბიეს, შემდეგ, „გადაგვარებული ხელოვნების“ იარლიყით, გერმანული მოდერნიზმის ნიმუშების განადგურებას შეუდგნენ. ჰიტლერის გეგმის თანახმად, ბერლინის ადგილას, ფაქტობრივად, ახალი ქალაქი უნდა აშენებულიყო და მას სახელად გერმანია დარქმეოდა.

მეორე მსოფლიო ომში თითქმის მთლიანად დანგრეული ბერლინიდან ორად გაყოფილი ქალაქი ამოიზარდა, რომელიც 1961 წელს აშენებულმა ბეტონის კედელმა ორ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ ქალაქად აქცია: აღმოსავლეთი ბერლინი საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ მყოფი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ძალაუფლების ცენტრი იყო, დასავლეთი კი პოლიტიკურადაც, კულტურულადაც და სოციალურადაც თავისუფლების კუნძულად იქცა.

იმისათვის, რომ დასავლეთი ბერლინი არ დაცარიელებულიყო, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ ქალაქის მცხოვრებთათვის უზარმაზარი შეღავათები დააწესა. ამან საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ბერლინის, როგორც ახალგაზრდების, მემარცხენე აქტივისტების, ემიგრანტებისა და ალტერნატიული კულტურის თავშესაფრის, მითოსს. ამ პერიოდის დასავლეთი ბერლინი მითიურ ადგილს უფრო ჰგავს, ვიდრე XX საუკუნის დასავლურ ევროპულ ქალაქს.

დასავლეთი ბერლინის დაკავებულ სახლებში – ანუ მიტოვებულ სახლებში, რომლებშიც ადამიანები ბინის ქირის გარეშე ცხოვრობდნენ – ხშირად პოლიგამიურ კომუნებს აარსებდნენ, არაფრით იზღუდავდნენ თავს, არც სამუშაო სტრესით და არც წარმატებასა და კარიერაზე ფიქრით.

დასავლეთი ბერლინი უტოპიური თავისუფლების სიმბოლოდ იქცა, სადაც თითქოს ყველაფერი ნებადართული იყო – სექსიც, ნარკოტიკებიც, უსასრულო გართობაც და ყოველგვარი ბიურგერული წესებისგან გათავისუფლებული უზრუნველი ცხოვრებაც. აქ შეიძლებოდა ადამიანი ღარიბი, მაგრამ ბედნიერი ყოფილიყო. კულტურა, რომელიც ამ ქალაქში იქმნებოდა, რეალობად ქცეული კონტრკულტურა იყო.

თვით 1951 წელს დაარსებული ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალი „ბერლინალე“ ალტერნატიული, არაკომერციული კინოს ყველაზე დიდ ფესტივალად იყო ჩაფიქრებული და თითქმის საუკუნის ბოლომდე ამ სტატუსს ინარჩუნებდა. ამასობაში დადგა 1989 წელი და კედელიც დაინგრა. 90-იანი წლების დასაწყისიდანვე, დასავლურ-ბერლინური ყოფიერების სიმსუბუქე აღმოსავლეთი ბერლინის ცენტრალურ უბნებსაც მოედო. მიტოვებულ და დაცარიელებულ შენობებს არა მხოლოდ საცხოვრებლად იკავებდნენ, არამედ მხატვართა სახელოსნოების, გალერეების, თეატრებისა თუ კლუბების მოსაწყობადაც. XX საუკუნის ბოლო ათწლეულში, უფრო ადრე, სანამ გაერთიანებული გერმანიის დედაქალაქის სტატუსს დაიბრუნებდა, ბერლინი ტექნოს და კლუბების მსოფლიო დედაქალაქად იქცა.

ტექნო დასავლეთის ინდუსტრიულ თუ პოსტინდუსტრიულ გარემოში გაჩენილი მუსიკალური კულტურაა, რომელიც თავდაპირველად მუშა-ახალგაზრდობის გართობისა და თვითგამოხატვის ფორმად მიიჩნეოდა და მიტოვებულ ფაბრიკა-ქარხნების შენობებს იყენებდა გართობისა და შთაგონების სამყაროდ. ბერლინი ამ კონტრკულტურის იდეალური გარემო იყო.

დასავლეთი ბერლინი უტოპიური თავისუფლების სიმბოლოდ იქცა, სადაც თითქოს ყველაფერი ნებადართული იყო – სექსიც, ნარკოტიკებიც, უსასრულო გართობაც და ყოველგვარი ბიურგერული წესებისგან გათავისუფლებული უზრუნველი ცხოვრებაც.

კედლის დემონტაჟთან ერთად აღმოსავლეთი ბერლინის მთელი უბნები დაცარიელდა, გაუქმებული საწარმოებისა და ფაბრიკების შენობებში კი ტექნოკლუბები გაიხსნა. აღმოსავლეთ ბერლინში გახსნილმა ერთ-ერთმა პირველმა ტექნოკლუბმა, რომელიც დღემდე „ტრეზორის“ სახელით არსებობს, ის შენობა დაიკავა, რომელშიც ნაცისტური გერმანიის სახელმწიფო ხაზინა ინახებოდა.

1989 წელს ჯერ კიდევ დასავლეთ ბერლინში მსოფლიოში პირველი ტექნოპარადი ჩატარდა, რომელსაც Love Parade ეწოდა. ამ დღეს ბერლინის ქუჩებში 150 ადამიანი გამოვიდა და სატვირთო მანქანაზე დადგმულ დინამიკებში ხმამაღლა ჩართული ტექნოს ფონზე ცეკვით მოძრაობდა. ეს პარადი ორგანიზატორებმა პოლიტიკურ მანიფესტაციად გამოაცხადეს, თუმცა მათი ერთადერთი გზავნილი სხეულის ექსტაზური მოძრაობები იყო. ტექნოს თან ახლდა თავისი ნარკოტიკები: ექსტაზი, ამფეტამინი, სფიდი და MDMA, რომელიც ტრადიციული მარიხუანისა და ჰაშიშის თანხლებით ამ ახალი ალტერნატიული კულტურის ფსიქოდელურ გარემოს ქმნიდა. 1999 წელს, ანუ დაარსების მეათე წლისთავზე, Love Parade-ის მონაწილეთა რიცხვი 150-იდან 1,5 მილიონამდე გაიზარდა.

ტექნოს კულმინაციად მაინც 2006 წელს ბერლინში გახსნილი, მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ცნობილი ტექნოკლუბი „ბერგჰაინია“. ამ ოთხსართულიან გიგანტში ყველანაირი ნარკოტიკული, ალკოჰოლური თუ სექსუალური ექსცესები არათუ „ნებადართულია“, არამედ იდეალურად ორგანიზებულიც, ისე რომ სიამოვნების მიღების ფორმები მათი სურვილებად გაჩენამდეა შემოთავაზებული. ეს კი, საბოლოო ჯამში, იმ ექსცესური კულტურის იმიტაციას ქმნის, რომელიც დაუგეგმავი და წინასწარ მოფიქრებული ფორმების გარეშე 1990-იანი წლების ბერლინმა შვა.

საერთოდ, თანამედროვე, 2010-იანი წლების ბერლინი საკუთარი ოცი წლის წინანდელი სახის იმიტაციას ჰგავს, რომელმაც ქალაქი ჰიპსტერების აღთქმულ მიწად აქცია. ტექნომაც, ისევე როგორც მისმა დედაქალაქმა, თანდათანობით დაიწყო კონტრკულტურულობის აურის დაკარგვა და კომერციალიზაციისა და ჯენტრიფიკაციისკენ სვლას შეუდგა.

არადა, ბერლინის განსაკუთრებულ აურას, რაც მას ყველა დასავლური მეტროპოლისისგან გამოარჩევდა, ძალაუფლების ცენტრებსა და მათ პარალელურად სრულიად სუბვერსიულ კონტრკულტურას შორის გადაულახავი კონტრასტები ქმნიდა. ქალაქის სიიაფეც კულტურული და სოციალური სიჭრელითა და ძლიერი პროლეტარული სუბკულტურით იყო განპირობებული. ყველა ის კულტურული ფორმა თუ მიმდინარეობა, რომელიც ბერლინში გაჩნდა, გერმანიისთვის შეუფერებელი, მოუწესრიგებლობისა და ქაოსური სპონტანურობის გარემოთი იკვებებოდა, რომლის განსახიერებაც თავად ბერლინი იყო და გარკვეულწილად დღესაც რჩება. პირველ რიგში, ესაა უამრავი სხვადასხვა კულტურისა და სოციალური ფენის მშვიდობიანი თანაარსებობის უნიკალური შემთხვევა. ბერლინში ყველა ემიგრანტია და მაინც ყველა ისე გრძნობს თავს, როგორც საკუთარ სახლში.



სპეციალური ყურები ვაგნერის ფესტივალისთვის

ლაშა ბუღაძე

1.

ბაიროითის საფესტივალო თეატრი არა მხოლოდ უნიკალური აკუსტიკით არის გამორჩეული, არამედ იმითაც, რომ ის მხოლოდ ერთი კომპოზიტორის მუსიკალური ნაწარმოებებისთვის აშენდა და იდეის ავტორიც და, პრინციპში, არქიტექტორიც სწორედ ეს კომპოზიტორი იყო – დიდი ეგოცენტრიკოსი და „მომავლის მუსიკის“ კონცეფციის პრაქტიკოს-თეორეტიკოსი, გენიალური და არც მანამდე და არც მას შემდეგ არსმენილი მუსიკალური დრამებისა და მისტერიების ავტორი, დემაგოგი და მრავალთა კერპი რიჰარდ ვაგნერი...

მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში ვაგნერი ერთდროულად უმკლავდებოდა ორ ვეებერთელა საქმეს: გრანდიოზული ტეტრალოგიის, „ნიბელუნგების ბეჭდის“ წერის პარალელურად (რომელიც ოთხი საღამოს განმავლობაში სრულდება), ის არქიტექტორ გოტფრიდ ზემპერთან ერთად აშენებდა თავისივე „მუსიკალური დრამებისთვის“ განკუთვნილ საფესტივალო თეატრს. ხელოვნებათა ერთიანობის (Gesamtkunstwerk) ვაგნერისეულ ფილოსოფიურ-მხატვრულ კონცეფციას ბაიროითის საფესტივალო თეატრში უნდა შეესხა ხორცი.

რიჰარდ ვაგნერი, მისი მეუღლე კოზიმა ვაგნერი, კომპოზიტორი ფრანც ლისტი, მორის როზენტალი

ვაგნერი კულტურის ისტორიისათვის აქამდე უცნობი ომებითა და ექსცენტრული თავდაჯერებულობის წყალობით აღწევდა ყოველ მძიმე გამარჯვებას, რომელსაც საბოლოოდ „მწვანე ბორცვამდე“ (ბაიროითამდე) უნდა მიეყვანა, თუმცა ვაგნერის გამარჯვების მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, მისივე მუსიკა იყო, რომელსაც თუკი სრული სამყარო ვერა, ადამიანთა ყური მაინც უნდა შეეცვალა – ანუ ხელოვნების აღქმის ვაგნერამდელი არსებული ჩვევა. მუსიკა მისთვის არა მხოლოდ ესთეტიკა, არამედ სამყაროს იდუმალების აღწერის თუ ახსნის ინსტრუმენტი იყო, რის გამოც მის თავდადებულ მიმდევრებად იქცნენ ნიცშე და ბოდლერი, ლისტი და რენუარიც კი, რომ არაფერი ვთქვათ მეფეთა შორის ყველაზე უცნაურზე – მეფე ლუდვიგ მეორეზე და უამრავ სხვაზე, ვისაც ვაგნერის წყალობით ნელ-ნელა ეცვლებოდა ბგერების აღქმის ორგანო – ყური.

2.

„რიჰარდს მძიმე ღამე ჰქონდა“, „რიჰარდს კარგად ეძინა“, „რიჰარდს შუაღამისას გაეღვიძა“, „რიჰარდმა შფოთიანი ღამე გაატარა“, „რიჰარდი თავის ტკივილმა გააღვიძა“. ვაგნერის ცოლის, კოზიმას დღიურში ყველაზე ხშირად ეს სიტყვები მეორდება. კოზიმა ვაგნერმა 1869 წლის პირველ იანვარს შვილის, ზიგფრიდის გაჩენიდან რამდენიმე დღეში დაიწყო დღიურის წერა და 14 წელი წერა – ვიდრე ვაგნერის სიკვდილის დღემდე, 1883 წლის 13 თებერვლამდე.

ვაგნერი ვენეციაში მოკვდა, სარკის წინ მდგომი, როცა ბაფთას იკრავდა კისერზე. მისი ბოლო სიტყვები იყო: „Mein Uhr“ („ჩემი საათი“), ხოლო საწერ მაგიდაზე დაუსრულებელი სტატია დარჩენოდა: „ქალური საწყისის შესახებ ხელოვნებაში...“

კოზიმა ხუთი შვილით და ქმრის კუბოთი დაბრუნდა ბაიროითში, სადაც ვაგნერს თავისი მუსიკის ფესტივალი დაეარსებინა რამდენიმე წლით ადრე. კოზიმას მამამ, ფერენც ლისტმა ვაგნერის ნეშტის მსვლელობას მუსიკალური ნაწარმოები – „სამგლოვიარო გონდოლა“ უძღვნა.

კოზიმა ვაგნერმა ქმარი ვილა „ვანფრიდის“ ბაღში დაკრძალა და ქმრის ბოლო წლების გრანდიოზული ქმნილების – ბაიროითის ფესტივალის გაძღოლას შეუდგა. კოზიმა სათუთად უფრთხილდებოდა ყველაფერს, რაც რიჰარდ ვაგნერის მსოფლმხედველობას, სახელს, ბიოგრაფიასა და შემოქმედებას უკავშირდებოდა.

როცა ვაგნერის სიკვდილის შემდეგ მომაკვდავი მამა ჩაუვიდა ბაიროითში, ვილა „ვანფრიდში“ კი არ მიიყვანა, არამედ განცალკევებით უქირავა სახლი და მომვლელ-მსახურებიც იქ გაუგზავნა. მიზეზი კი თავადვე ახსნა: ლისტი რომ ვაგნერის სახლში აღსრულებულიყო, „ვანფრიდი“ მის სახელთანაც იქნებოდა დაკავშირებული, „ვანფრიდის“ ისტორიის ერთპიროვნული მფლობელი კი რიჰარდ ვაგნერი უნდა ყოფილიყო. უნდა აღინიშნოს, რომ მამამ უდრტვინველად და აუღელვებლად მიიღო ქალიშვილის არგუმენტი – ის მშვიდად მიიცვალა ვაგნერის ისტორიის „მახლობლად“.

თუმცა ყოველთვის როდი იყო ასეთი – ვიდრე დღიურის წერას შეუდგებოდა, მანამდე ვაგნერის არა, მაგრამ აი, ვერდის ოპერებისთვის დამახასიათებელ ინტრიგაში კი ნამდვილად გაება, ოღონდ მთელ ამ „იტალიურ ოპერას“, საბოლოოდ, ვაგნერთან ქორწინება მოჰყვა.

კოზიმას ქმარი ჰანს ფონ ბიულოვი იყო – XIX საუკუნის უდიდესი დირიჟორი, ბერლინის ფილარმონიული ორკესტრის დამაარსებელი და ვაგნერის ოპერათა უპირველესი პროპაგანდისტი, მაგრამ, ბიულოვისდა სამწუხაროდ, მის მუსიკალურ კერპს კოზიმა შეჰყვარებოდა.

რა დასამალია და – ვაგნერი მანამდეც აღმოჩენილა მსგავს უხერხულ ვითარებაში: წლების წინ კომპოზიტორს თავისი მეგობარ-მეცენატის მეუღლე, მატილდე ვეზენდონკი შეუყვარდა (მისი იზოლდეს პროტოტიპი „ტრისტანიდან“), თუმცა წინა შემთხვევისგან განსხვავებით, ვაგნერმა აღარ მოისურვა არალეგიტიმურ შეყვარებულ-ტრისტანად ყოფნა და, თავისდა უნებურად, მისი საძულველი იტალიური ოპერის მსგავს ხათაბალაში გაება: ერთი მხრივ, მას საშინლად არ უნდოდა ერთგული დირიჟორის დაკარგვა (რადგან ეს კაცი ისევე უყვარდა, როგორც მისი ცოლი ან, ჰა, ცოტათი ნაკლებად), მაგრამ, მეორე მხრივ, უკვე აღარც კოზიმას გარეშე შეეძლო ცხოვრება.

მოჭორავეთა ქოროს ხმამ ბიულოვის ყურამდეც მიაღწია, თუმცა არ აუღელვებია: ცოლის ღალატს კიდევ დაიჯერებდა, მაგრამ ღმერთისას (ვაგნერისას) – არასდროს.

ვაგნერმა თავის მთავარ მშველელსა და თაყვანისმცემელს, ბავარიის ახალგაზრდა მეფე ლუდვიგ მეორეს სთხოვა მისი და ბიულოვების ღირსების დაცვა. მეფემ, მართალია, ჭორების ამკრძალავი კანონის შექმნა ვერ უზრუნველყო, მაგრამ ხალხს საჯაროდ განუცხადა, რომ ამგვარი „უტაქტო ვარაუდებით“ სწორედ იგი გრძნობდა თავს შეურაცხყოფილად და არა ვაგნერ-ბიულოვები. თუმცა საბოლოოდ თავადვე დარჩა გულნატკენი, რადგან თუკი თავიდან ეჭვი არ ეპარებოდა, რომ კომპოზიტორი ლოენგრინის გედივით უმწიკვლო იყო, ერთ მშვენიერ დღეს მისთვისაც ცხადი გახდა, რომ ვაგნერს დირიჟორ ბიულოვის ცოლთან ჰქონდა რომანი.

ბაიროითის ფესტივალი

ოჯახის დანგრევის შემდეგ „ღმერთისგან“ ნაღალატევი ბიულოვი სწრაფადვე გაეცალა ახლად გამოჩეკილ ვაგნერებს, თუმცა მისმა მუსიკალურმა ათეიზმმა არც თუ ისე დიდხანს გასტანა: ვაგნერმა იგი მალევე დააბრუნა მიუნხენში, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ამ კაცზე უკეთ ვერავინ უდირიჟორებდა მის მუსიკალურ დრამებს. მიუხედავად იმისა, რომ ბიულოვი საშინლად შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, მაინც დაბრუნდა, რადგან ზუსტად იცოდა, რომ თუკი რამე გაახალისებდა, ეს ისევ და ისევ ვაგნერის მუსიკა იქნებოდა (ოღონდ თავად ვაგნერის გარეშე). არა, ბიულოვი ნამდვილად არ ყოფილა სუსტი ან უპრინციპო – ამ ადამიანს მთელი გაერთიანებადი გერმანია ისე იცნობდა, როგორც შეუპოვარ, მაღალზნეობრივ და დამაფრთხობლად გონებამახვილ მოსაუბრეს (აქ მისი თითქმის ისევე ეშინოდათ, როგორც ბისმარკის); ეს, უბრალოდ, ვაგნერი ფლობდა მონუსხვის მაგიურ უნარებს, რადგან ყოველთვის ისე გამოდიოდა, რომ სწორედ მისგან დაზარალებულები გრძნობდნენ თავს დამნაშავეებად და არა პირიქით. ვაგნერი ნებისმიერ შემთხვევაში მართალი რჩებოდა.

განა ფილოსოფოს ფრიდრიხ ნიცშესაც ასე არ მოუვიდა?! არა, არა, ცოლი არ ჰყოლია – ამ მხრივ ვაგნერს გადაურჩა, მაგრამ განაწყენებულობის ეგზისტენციალური მიზეზები მასაც ბლომად ჰქონდა. თავდაპირველად ისიც ვაგნერის მეხოტბე და მეგობარი იყო (ის თვითონვე უკითხავდა კომპოზიტორს თავის ფილოსოფიურ შედევრს – „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან“) და სრულიად აღფრთოვანებული იჯდა ვაგნერის მუსიკით შემინებული პეტრე ჩაიკოვსკის გვერდით ბაიროითის პირველ ფესტივალზე, თუმცა მოგვიანებით, როცა კომპოზიტორის ბოლო ოპერა-მისტე-

ვილა „ვანფრიდის“ შიდა ეზო

რიის, „პარციფალის“ ლიბრეტო წაიკითხა, მოულოდნელად მტრად მოეკიდა თავის ძველ კერპს და ვაგნერის გარდაცვალებიდან სამ წელიწადში ღვარძლიანი და უცნაური წიგნი – „Niezsche contra Wagner“ („ნიცშე ვაგნერის წინააღმდეგ“) დაწერა, სადაც, არავინ იცის, გულწრფელად თუ ვაგნერიანელთა გასაბრაზებლად, მთელი მსოფლიოს გასაგონად დასძახა, რომ ჭეშმარიტება ბიზეს „კარმენში“ ეპოვა და არა ვაგნერის მუსიკაში (როგორც ჩანს, „ანტიქრისტეს“ დამწერ „გვიანდელ“ ნიცშეს „წარმართობიდან“ „ქრისტიანობაში" გადასვლა ვერ ეპატიებინა „გვიანდელი“ ვაგნერისათვის), თუმცა უკვე ტურინში, როცა ცოტაღა უკლდა გონების სრულ დაბნელებამდე, კოზიმა ვაგნერს სრულიად გიჟური ბარათი გაუგზავნა და თავისი ახალი იდენტობების ჩამოთვლის შემდეგ („ინდოეთში ბუდა ვიყავი, საბერძნეთში – დიონისე...“) რიჰარდ ვაგნერობაში გამოუტყდა კომპოზიტორის ქვრივს.

დამარცხებები ცხოვრებაში ვაგნერსაც ბლომად ეგემა. მუდმივი მიუსაფრობისა და დევნილობის გამო (დრეზდენის რევოლუციურ მოვლენებში მონაწილეობისთვის ვაგნერს გერმანულ მიწებზე შესვლის უფლება არ ჰქონდა), სასოწარკვეთილების ჟამს, ის სიკვდილის თუ სიმშვიდის მაძიებელ „მფრინავ ჰოლანდიელს“ უწოდებდა საკუთარ თავს და რომ არა ერთი მეტად უცნაური და საბედისწერო საღამო, ალბათ ვერც თავის სენტას მიაგნებდა ვერასდროს და ვერც მუსიკალურ ვალჰალას წამოჯიმავდა ბაიროითის მიწაზე...

ვინფრედ ვაგნერი, რიჰარდ ვაგნერის რძალი შვილთან, ზიგფრიდთან და ადოლფ ჰიტლერთან ერთად ვილა „ვანფრიდის“ ბაღში, 1938 წელი

დიდი ხნის უშედეგო ძებნის შემდეგ, შეშინებულ ვაგნერს ბავარიის ახალგაზრდა მეფის მდივანმა, ბ-ნმა პფისტერმაისტერმა მიაგნო და მისი უდიდებულესობა ლუდვიგ მეორის წერილი გადასცა ბეჭდითურთ. ლუდვიგი ვაგნერის ოპერებზე გაზრდილი ყმაწვილი იყო და, მამის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ასულმა, პირველ განკარგულებად ვაგნერის მიუხეხნში ჩამოყვანა ბრძანა: თქვენს ტანჯვას ბოლო მოეღოო, წერდა კომპოზიტორს, ამიერიდან მე დაგიცავთ, თქვენ კი მხოლოდ მუსიკაზე უნდა იფიქროთო...

3.

ოთხმოცდაათ წელს გადაცილებულმა კოზიმა ვაგნერმა შვილს, ზიგფრიდს გადააბარა ფესტივალის მართვა, თუმცა თავად ზიგფრიდიც მალე მიიცვალა, რის შემდეგაც მისმა ცოლმა, წარმოშობით ინგლისელმა ვინიფრედ ვაგნერმა ითავა ფესტივალის გაძღოლა. ეს ხანა ყველაზე მძიმე პერიოდია ბაიროითისთვის. ვინიფრედი ჰიტლერს ემეგობრებოდა (შესაძლოა უყვარდა კიდეც) და ზოგჯერ „ვოლფის“ (ჰიტლერის ზედმეტსახელი) არჩევინებდა დირიჟორებსა და მომღერლებს. ჰიტლერს ყველაზე მეტად ტენორი მაქს

ბაიროითის საფესტივალო თეატრი

ლორენცი ჰყვარებია, ცხონებული ზიგფრიდ ვაგნერის კრიტიკას კი საჯაროდაც არ ერიდებოდა – ამ ბისექსუალმა ებრაელი მუსიკოსები მოამრავლა ბაიროითში.

ვინიფრედისა და ჰიტლერის ეპოქის დასრულების შემდეგ, ბაიროითის ნახევრად დანგრეული თეატრი (მოკავშირეთა თვითმფრინავების ბომბებმა დრეზდენივით მიწასთან გაასწორა მუსიკალური ბაიროითი) ვაგნერის შვილიშვილებმა, ვილანდ და ვოლფგანგ ვაგნერებმა აღადგინეს. დღეს კი ფესტივალს ვოლფგანგ ვაგნერის ორი ქალიშვილი – კრიტიკოსთა მიერ მრავალგზის გათათხული კატარინა და ევა ვაგნერები მართავენ. კატარინა სკანდალურ სპექტაკლებს დგამს – „მაისტერზინგერების“ პერსონაჟებს თავისი დიდი პაპების, ვაგნერისა და ლისტის უშველებელი ნიღბებით დაარბენინებს სცენაზე, ხოლო კრიტიკოსების პროტესტს პასუხობს, რომ იგი სულაც არ არის ვალდებული ვინმეს შეუთანხმდეს, თუ როგორ უნდა წარმოაჩინოს საკუთარი დიდი პაპები თავისივე სპექტაკლში. ვერაფერს იტყვი – პასუხი მართლაც არ დაეწუნება... რომ არაფერი ვთქვათ თავად პაპებზე.

ასე რომ, ვაგნერსა და ვაგნერებზე ზუსტად ისევე კამათობენ, როგორც საუკუნე-ნახევრის წინათ, როცა XIX საუკუნე ვაგნერიანელებად და ანტივაგნერიანელებად იყო დაყოფილი, ბაიროითი კი დღემდე მაგნიტივით იზიდავს მუსიკის ჯადოქრის სამყაროსთან შეხების სურვილით ყურებშეცვლილ უამრავ პილიგრიმს.

DIE BUNDESREPUBLIK DEUTSCHLAND

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲐ, ᲡᲐᲡᲐᲚᲗᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲘ 1949 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲗᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ.

გერმანია ადმინისტრაციულ-ტერიტორიულად **16** თანაბარუფლებიან სუბიექტად – ფედერალურ მიწად (Bundesland) იყოფა, მათგან **5** აღმოსავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე შეიქმნა, **11** – დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე.

გერმანიაში სამი ქალაქი-სახელმწიფოა – **ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, ᲑᲠᲔᲛᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲰᲐᲛᲑᲣᲠᲒᲘ.** ყველაზე პატარა მიწის – ბრემენის ფართობი **419 კვ. კმ**-ია და **657 000** მცხოვრებს მოითვლის.

ბადენ-ვიურტემბერგი ევროპის რეგიონთა შორის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებულია. ზაარი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნახევრად სუვერენული სახელმწიფო იყო საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ და მხოლოდ 1957 წლის პირველ იანვარს შევიდა გერმანიის შემადგენლობაში, როგორც მე-10 ფედერალური მიწა.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲘᲬᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ

ბადენ-ვიურტემბერგი (შტუტგარტი)
ბავარია (მიუნხენი)
ბერლინი (ბერლინი)
ბრანდენბურგი (პოტსდამი)
ბრემენი (ბრემენი)
თიურინგია (ერფურტი)
მეკლენბურგ-წინა პომერანია (შვერინი)
რაინლანდ-პფალცი (მაინცი)
ზაარლანდი (ზაარბრიუკენი)
საქსონია (დრეზდენი)
საქსონია-ანჰალტი (მაგდებურგი)
შლეზვიგ-ჰოლშტაინი (კილი)
ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალია (დიუსელდორფი)
ქვემო საქსონია (ჰანოვერი)
ჰამბურგი (ჰამბურგი)
ჰესენი (ვისბადენი)

გერმანიის მცხოვრებთა **20,3%**-ს (16,4 მლნ ადამიანი) **ᲛᲘᲒᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ** აქვს, აქედან **9,2 ᲛᲚᲜ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲐ**, 7,2 მლნ კი – უცხოელი (მათ რიცხვში არიან იმიგრანტები, გერმანიაში დაბადებული უცხოელები და ადამიანები, რომელთა ერთ-ერთი მშობელი იმიგრანტი ან უცხოელია).

უდიდეს ეთნიკურ უმცირესობას გერმანიაში ქმნიან თურქული წარმოშობის ადამიანები (3,5 მლნ, რომელთაგან 1,3 მლნ გერმანიის მოქალაქეა). გერმანიაში პირველი თაობის ბევრი თურქი იმიგრანტი 1961 წელს სამუშაო ძალის შესახებ თურქეთთან დადებული შეთანხმების საფუძველზე ჩავიდა. მეორე დიდ ჯგუფს შეადგენენ ყოფილი იუგოსლავიის მცხოვრებნი.

ᲛᲘᲒᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ 56%-Ს ᲓᲦᲔᲡ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲐᲥᲕᲡ.

მიგრანტებს თავიანთი წვლილი შეაქვთ გერმანიის საზოგადოებრივ და ეკონომიკურ განვითარებაში. ფედერალური მთავრობა აპირებს შემდგომშიც ხელი შეუწყოს იმიგრაციას, მათ შორის, სპეციალისტთა უკმარისობის გამო, რომელიც დემოგრაფიული ცვლილებებიდან გამომდინარეობს.

DIE BUNDESREPUBLIK DEUTSCHLAND

გერმანულად – **DEUTSCHLAND** უკავშირდება ძველ გერმანულ სატომო სახელს – Diutisce. ლათინურად – Germania მომდინარეობს Ger, Germani, Germanus-იდან, რაც გალების კელტური ტომის ენაზე „მეზობელს“ ან „ძმას“ უნდა ნიშნავდეს;

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲔᲜᲐ – გერმანული

ᲠᲔᲚᲘ�გᲘᲐ – კათოლიციზმი (31,7%), პროტესტანტიზმი (31,3%)

დღეს გერმანულ საზოგადოებაზე უდიდეს გავლენას ახდენს დემოგრაფიული ცვლილებები. 1990 წლიდან შობადობა დაბალ მაჩვენებელზე შეჩერდა: საშუალოდ, 1,4 ბავშვი ერთ ქალზე; ბერტელსმანის ფონდის კვლევის თანახმად, 2050 წლისთვის შრომისუნარიანი ასაკის გერმანელთა რაოდენობა ამჟამინდელი 45 მლნ-დან 29 მლნ-მდე შემცირდება.

> თუ იმიგრაცია არ გაგრძელდა, გაიზრდება დაწოლა სოციალურ დაზღვევაზე, უპირველეს ყოვლისა კი, საპენსიო სისტემაზე, რომელიც „თაობათა შეთანხმებას“ ეფუძნება: ეს „შეთანხმება“ გულისხმობს, რომ ეკონომიკურად აქტიური მოქალაქეები თავიანთი შენატანებით ანაზღაურებენ მათ პენსიას, ვინც ასაკის გამო აღარ მუშაობს, იმ მოლოდინით, რომ მომავალი თაობა უკვე მათ საპენსიო ანაზღაურებას უზრუნველყოფს.

გერმანია მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, 1945 წელს 4 საოკუპაციო ზონად გაყვეს. 1949 წელს ამერიკული, ფრანგული და ბრიტანული ზონებისგან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა შეიქმნა, საბჭოთა ზონისაგან — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. 1961 წელს აღიმართა ბერლინის კედელი, რომელიც, „მშვიდობიანი რევოლუციის“ სახელით ცნობილი გდრ-ის მოქალაქეთა მოძრაობის შედეგად, 1989 წელს დაინგრა, **ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲙᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲓᲐ.**

PLUS

ურთიერთობას
მოაქვს პლუსი

დააგროვეთ PLUS ქულები
SOLO ბარათით გადახდისას
და გადაცვალეთ PLUS
კატალოგის განსაკუთრებულ
საჩუქრებზე

www.plus.ge

ყოველ გადახდილ
1 ლარზე დააგროვებთ
2.5 PLUS-ს

ყოველ გადახდილ
1 ლარზე დააგროვებთ
2 PLUS-ს

ზუმერი
ZOOMMER

629 000

SAMSUNG
GALAXY S8

ქრონიკი

295 000

ქალის
საათი
TISSOT

Chronograph
watches & jewellery

149 000

ბეჯედი
APM Monaco
Meteorites

Kvareli Eden

135 000

1 ღამე
2 ადამიანისთვის

captain plus

1 450 000

ტური ბალის
კუნძულებზე

MAGELLAN

189 000

სასაჩუქრე
ბარათი –
500 ₾

ალკორიუმი
ALCORIUM

49 000

შამპანური
MOET & CHANDON
BRUT IMPERIAL

CROWNE PLAZA®
AN IHG® HOTEL
BORJOMI

Where Hospitality Meets The Nature

A: 9 Baratashvili str., Borjomi, Georgia
T: +995 322 221 221

W: crowneplaza.com
E: info@cpborjomi.com

გაძლიერებული გერმანული

ლაშა ბუღაძე

იოჰან გუტენბერგისადმი მიძღვნილი ინსტალაცია, ბერლინი, 2006 წელი

**ვარ ანტიფაშისტი და ანტიფაუსტი.
იმ ღიგე ცხოვრება უნდ აინ ქაოსი.
დას ისტ სასურველი, მაინ ოფიციერენ,
დემ ცაიტ ცუმ ფაუსტ ცოტა შვაცირენ.**

**იოსიფ ბროდსკი, „ორი საათი რეზერვუარში“
(ვახუშტი კოტეტიშვილის თარგმანი)**

„ნულ კლასში“ სწავლა ორიოდე წლის მოთავებული გვქონდა, როცა ჩვენი გერმანულის მასწავლებელმა ფრაუ მარინემ ზუსტად დიდი დაფის თავზე ჩამოგვიკიდა გერმანული ლიტერატურის ორი კლასიკოსის – ფრიდრიხ შილერისა და იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთეს პორტრეტები. „აი, ესაა გერმანული ლიტერატურა“, – ახედა ფრაუ მარინემ პორტრეტებს (რომელთა ჩარჩოებიც, არ დავმალავ, გერმანოფილი მამა-ჩემის ნახელავი გახლდათ) და გაძლიერებული გერმანულით შეუდგა ჩვენს სწავლებას. გაძლიერებულით კი იმიტომ, რომ ჩვენს სკოლას – მეექვსედ წოდებულს – „გაძლიერებული გერმანული“ უნდა შეესწავლებინა მოსწავლეებისთვის. საბჭოურ პერიოდში რომანტიკულად აღმაფრთოვანებლად ჟღერდა სიტყვები – „გაძლიერებული გერმანული“ და სახელმძღვანელო წიგნის სახელწოდებაც კი – Deutsch intensiw, მაგრამ საწყის კლასებში სწავლება იმდენად „გაძლიერებული“ აღმოჩნდა, რომ ბევრნი დიდად ვერც გავცდით სახელმძღვანელოს პირველ ოთხ-ხუთ გვერდს, რამაც, ფაქტობრივად, ჩვენ თვალწინ აურია ნერვული სისტემა ჩვენს ფრაუ მარინეს.

ცოდნის მხრივ (ოღონდ არა ენის ცოდნის), პრინციპში, პირადად მე ბევრი არაფერი მქონდა საწუწუნო, რადგან დეიდაჩემის უნიკალური თოჯინური თეატრის წყალობით (რომელიც მას, არც მეტი, არც ნაკლები, ჩვეულებრივი სკამისგან შეექმნა), შინაარსის დონეზე მაინც ვიცოდი „ნიბელუნგების საგა“ და დოქტორ ფაუსტის ამბები, მაგრამ, ფრაუ მარინესთვის სამწუხაროდ, ჩემმა გერმანულმა ვერაფრით ააღწია იმ დონემდე, რომ ყველა სიტყვა გამეშიფრა თუნდაც შილერის Der Handschuh-ში.

თუმცა, რაც თავი მახსოვს, გერმანული ლიტერატურა სულ იყო ჩემს ირგვლივ – კედელზე, დაფის ზემოთ თუ სახლში, წიგნების თაროებზე, და იყო, რაც მთავარია, „ნულ კლასში“ შესვლამდეც, როცა ჯერ კითხვაც არ ვიცოდი, მაგრამ უკვე ჩემ მიერ წაკითხულ წიგნებად ვთვლიდი იმ წიგნებს, რომელთაც ძილის წინ მიკითხავდნენ მშობლები. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, „ძმები გრიმების ზღაპრები“ იყო.

ჩემთვის, ისევე როგორც მილიონობით ბავშვისთვის მთელ მსოფლიოში, გერმანული ლიტერატურა ორი ფილოლოგისა და ენათმეცნიერის – იაკობ და ვილჰელმ გრიმების მიერ ჩაწერილი, შეგროვებული თუ შეთხზული ზღაპრებით იწყება. ალბათ ცოტანი თუ იქნებიან ისეთები, ვისაც „ბრემენელი მუსიკოსები“, „მძინარე მზეთუნახავი“, „ჰენზელი და გრეტელი“, „ჭკვიანი ელზა“ და დაულეველი ტკბილი ფაფის ზღაპარი მაინც არ ჰქონდეთ მოსმენილ-დათვალიერებულ-წაკითხული: „ქოთანო, შეწყვიტე!“

ყველა საუკუნეს ჰყავს თავისი დიდი მეზღაპრე: თუკი მე-18 საუკუნე შარლ პეროსია, მე-19 საუკუნის დასაწყისი (ანდერსენამდე) ძმებ გრიმებს ეკუთვნით... გერმანული ლიტერატურაც ზღაპრით იწყება, თქმულებით, ნიბელუნგებისა და ღმერთკაცების ფათერაკებით, სადაც გმირები შიშის შეცნობას ცდილობენ და სადაც ღმერთებს ისევე უყვართ და სძულთ, როგორც ეს მათ მეტოქე უკვდავ მოკვდავებს სჩვევიათ...

გერმანული შუასაუკუნეების შესახებ მე და ჩემმა კლასელებმა ცხვარიჭამიაში გატარებული სასკოლო არდადეგების დროს შევიტყვეთ, სადაც სხვა მშობლებთან ერთად ჩამოსულმა მამაჩემმა „პროფესიული“ კუთხით სცადა ჩვენი გართობა და პირდაპირ ასფალტზე გვახატვინა ის სარაინდო თავგადასავლები, რომელთაც საღამოობით გვიყვებოდა ხოლმე. ეს ამბები კი მრგვალი მაგიდის რაინდების შესახებ იყო, რომელთა სახელებიც თავადვე შეგვარქვა მე და ჩემს რამდენიმე თანაკლასელს და ჩვენც მანამდე ვიცხოვრეთ „პარციფალის“ და „სერ ლანსელოტის“ სახელებით, ვიდრე ეზოს ფეხბურთის დიდოსტატი სხვა მამა არ ჩამოვიდა და „ლივერპულის“ და „იუვენტუსის“ ნაკრებებად არ დაგვყო.

პოემა „პარციფალის“ ავტორი გერმანელი „რუსთაველი“ – პოეტი ვოლფრამ ფონ ეშენბახია, რომელიც, თუკი ისტორიულ ცნობებს ვენდობით, სწორედ იმ წლებში მოღვაწეობდა, როცა შოთა რუსთაველი წერდა თავის „ვეფხისტყაოსანს“. ვოლფრამ ფონ ეშენბახი 1170 წელს დაიბადა, შოთა რუსთაველი – 1160/65 წელს, თუმცა ჩვენთვის არა მხოლოდ თარიღების დამთხვევა, არამედ ორი დიდი პოემის იდეური კავშირია მნიშვნელოვანი: ორივე პოემა ძიების და მოპოვების პროცესზეა, ორივე პოემაში მიილტვიან არაამქვეყნიური და, იმავდროულად, ხილული მიზნისკენ: ვოლფრამთან – გრაალისკენ, რუსთაველთან – ნესტან-დარეჯანისკენ („ნესტან დარე ჯჰან“-ის, რომელიც ქვეყნად არ არის), რაც ორივე შემთხვევაში ყოვლისმომცველი სიყვარულის ენერგიის სიმბოლოს გამომხატველია.

მართალია, სხვადასხვა საშუალებით და ფორმით, მაგრამ რაინდები ერთსა და იმავე გზას გადიან ორივე პოემაში: ვნებებთან ბრძოლისა და სიყვარულის ძალით განწმენდის, რომელთა ღვთაებრივ თავგადასავალსაც თითქმის ერთდროულად თხზავს გეოგრაფიულად ათასობით კილომეტრით ერთმანეთისგან დაშორებული, თუმცა სულიერად და იდეალებით ერთიანი ორი დიდი ქრისტიანი ანუ ევროპელი პოეტი.

სწორედ ქრისტიანობის, უფრო სწორად, დასავლური ქრისტიანობის საეკლესიო მოდელის კრიტიკის წყალობით იშვა გერმანული ლიტერატურული ენა, რომელიც ბიბლიის გერმანულად თარგმნის შედეგად წარმოიქმნა; ეს ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ერთმა უბრალო მღვდელმა ვიტენბერგის ტაძრის კარზე ააკრა კათოლიკური ეკლესიის მამხილებელი ცნობილი „ოთხმოცდათხუთმეტი თეზისი“, რასაც ამ ტექსტის ავტორის კათოლიკური ეკლესიიდან განკვეთა და დაწყევლა, შემდეგ კი რეფორმაციის დაწყება მოჰყვა. კრიტიკულ მღვდელს მარტინ ლუთერი ერქვა, რომელმაც, რომის თვალთახედვით, მუტევებელი ცოდვა ჩაიდინა: გერმანელებს გერმანულად უთარგმნა ბიბლია, რაც, ცხადია, არ შეიძლებოდა, რადგან საეკლესიო ენად ლათინური ითვლებოდა და ბიბლიის ყველა სხვა ენაზე თარგმნა უპატიებელ მკრეხელობად მიაჩნდათ, ხოლო ლუთერის აზრით, სწორედ ეს ოფიციალური ლათინური იყო იმის მიზეზი, რომ სასულიერო პირები სათავისოდ ინტერპრეტირებდნენ ახალ აღთქმას და, სხვა ყველაფერთან ერთად, ამ გზითაც ცდილობდნენ ლათინურის არმცოდნე „უბრალო ხალხის“ მართვა-მანიპულირებას.

ლუთერის ბიბლია იყო მსოფლიოში პირველი წიგნი, რომელიც გუტენბერგმა დაბეჭდა თავის ახლად შექმნილ სტამბაში. ეს ბიბლია იყო მსოფლიოში პირველი ბესტსელერი და პირველი წიგნი, რომელიც ცენზურას დაექვემდებარა – რომის პაპმა გერმანული ბიბლიის განადგურება ბრძანა, რაც, მადლობა ღმერთს, არ გამოუვიდა. ლუთერის არ იყოს, გერმანულადვე თარგმნის ბიბლიას ამ ენაზე დაწერილი ყველაზე ცნობილი ტრაგედიის მთავარი გმირი – ფაუსტი, რომელიც ვაიმარის პატარა საჰერცოგოს დიდი ჰერცოგის საიდუმლო მრჩეველმა, პოეტმა იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთემ უკვდავყო თავის ორნაწილიან შედევრში, ფილოსოფიურ პოემაში, რომელშიც მოხუცი ფაუსტი გარიგებას დებს მეფისტოფელთან... მაგრამ, თუკი ფაუსტის „უკვდავმა სუბსტანციამ“ (სულმა) ტრაგედიის მეორე ნაწილის ბოლოს მაინც დააღწია თავი „ნგრევის დემონს“ (მეფისტოფელს), უკვე მეოცე საუკუნის ტექსტში, თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსში“ ტრაგიკულად და სიმბოლურად აღიწერა ის კატასტროფა, თუ როგორ დადო გერმანიამ ნაციზმთან საბეღისწერო ხელშეკრულება...

„იქ, სადაც წიგნებს წვავენ, ოდესმე ადამიანებსაც დაწვავენ“, – წერდა პოეტი ჰაინრიხ ჰაინე ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლამდე ერთი საუკუნით ადრე და, თითქოს მომავალს ჭვრეტდაო, სწორედ მისი წიგნები დაწვეს ნაცისტებმა ერთ-ერთ პირველივე ბაკქანალიაზე სხვა „არასუფთა გერმანული სისხლის მქონე“ ან „გერმანიის მოღალატე ავტორების“ წიგნებთან ერთად, მათ შორის, ზიგმუნდ ფროიდის, ჰაინრიხ მანის, ბერტოლტ ბრეხტის, ალბერტ აინშტაინის, ჰერმან ჰესეს და კიდევ მრავალის...

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი გერმანულენოვანი ლიტერატურა, უმეტესწილად, სწორედ დანაშაულის, ომის ექსტრემალური აბსურდულობის და ტრავმის მრავალგვაროვან საკითხებს იკვლევს, რაც ყველაზე მძაფრად ისეთი გერმანელი ავტორების ტექსტებიდან იკითხება, როგორებიც არიან: გიუნტერ გრასი, ჰაინერ მიულერი, ჰანა არენდტი, ჰაინრიხ ბიოლი, პეტერ ვაისი და სხვები...

დღეს გერმანია ევროპაში ყველაზე დიდი „მკითხველი“ ქვეყანაა, რის შთამბეჭდავ დადასტურებად მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური წიგნის ბაზრობა – Frankfurter Buchmesse გამოდგება. ცხადია, შორეულ საბჭოურ წარსულში ვერც ფრაუ მარინე წარმოიდგენდა და ვერც ჩვენ, მისი მოწაფეები, რომ 2018 წელს დამოუკიდებელი საქართველო მიიღებდა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის მთავარი სტუმარი ქვეყნის სტატუსს, და რომ იმათი წიგნებიც კი იქნებოდა გერმანულად წარმოდგენილი, ვინც ოდესღაც ტყავის სასკოლო ჩანთით დაატარებდა მსოფლიოში ყველაზე მძიმე და სქელტანიან სახელმძღვანელოს – Deutsch intensiv...

შესაძლოა სწორედ ამ წიგნით სწავლობდა „გაძლიერებულ გერმანულს“ თბილისის გერმანული სკოლის მოსწავლე და დღეს კი თანამედროვე გერმანული ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეული ავტორი – ნინო ხარატიშვილი, რომლის პიესები და რომანები (განსაკუთრებით კი მისი ათასრვაასგვერდიანი რომანი „მერვე სიცოცხლე“) გამოგნებელი წარმატებით სარგებლობს გერმანიაში. სასიხარულო და, პრინციპში, ზოგჯერ დაუჯერებელიც კია, რომ გერმანიაში თითქმის არ არსებობს მეტ-ნაკლებად დიდი წიგნის მაღაზია, სადაც გერმანულად თარგმნილი ქართული წიგნი არ მოიპოვებოდეს.

ჰოდა, ამის შემდეგ როგორ არ უნდა გამახსენდეს ისევ და ისევ მრავალგზის ხსენებული ფრაუ მარინე, რომელიც ამ ქვეყანაზე საუბრისას (სადაც, სხვათა შორის, არასდროს ყოფილა) რომანტიკულ-შეყვარებულ-გარინდებული ტონით ამბობდა ხოლმე:

**„JA, MEINE LIEBEN,
DEUTSCHLAND ERKENNT
DER WELT DURCH BUECHER...“**

LESS IS MORE

LUDWIG MIES VAN DER ROHE *

რაც ნაკლები, მით უკეთესი

ნიკა ჩხაიძე

გერმანული არქიტექტურის ისტორიაში, როგორც ევროპის ცენტრს შეეფერება, თითქმის ყველა სტილი და მიმართულება არსებობდა, უძველესი დროიდან დაწყებული, ბაროკომდე. მიუხედავად ომის საშინელებისა, რეკონსტრუქციის შემდგომ ქვეყანამ ეს სული შეინარჩუნა.

გერმანული მიდგომა სიმარტივესა და ფორმების თანამედროვე, მარტივი აღქმისადმი ჯერ კიდევ ნეოკლასიციზმის პერიოდიდან იღებს სათავეს – კარლ-ფრიდრიხ შინკელის შემოქმედებიდან. ბერლინის „ხელოვნების აკროპოლისის“ ანუ „მუზეუმების კუნძულის“ ერთ-ერთი ავტორი – ფრიდრიხ შინკელი პირველი იყო, ვინც გერმანიაში მოდერნიზმის მახასიათებლებით აღბეჭდილი შენობა ააგო.

1932 წელს ჰენრი-რასელ ჰიჩკოკმა და ფილიპ ჯონსონმა გამოსცეს წიგნი – „თანამედროვე არქიტექტურა“. ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში მოწყობილი გამოფენის შემდეგ ეს წიგნი თანამედროვე არქიტექტურის კონსტიტუცია გახდა და მის დამფუძნებლებად, ლე კორბუზიესთან ერთად, ორი გერმანელი არქიტექტორი, ბაუჰაუსის სკოლის პირველი და ბოლო რექტორები – ვალტერ გროპიუსი და ლუდვიგ მის ვან დერ როე „დაკანონა“.

შინკელის ნეოკლასიცისტური არქიტექტურის განსაკუთრებულ დახვეწილობასა და სინატიფეს ყველაზე კარგად აღიქვამთ, თუ ალტეს მუზეუმის (Altes Museum) წინ გადაშლილ მწვანე ესპლანადაზე წამოწვებით.

Altes Museum

პარადოქსია, რომ ორ მსოფლიო ომს შუა წარმოშობილი ვაიმარის რესპუბლიკის პერიოდში, ქარტეხილების, ინფლაციების, რევოლუციური ქარბუქისა და საყოველთაო ფსიქოზის ფონზე, გერმანულ არქიტექტურაში არაერთი გარღვევა მოხდა, რამაც უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა თანამედროვე არქიტექტურული ესთეტიკის ჩამოყალიბებაში.

ბერლინი 20-იან წლებში ორ პოლუსს – პარიზსა და მოსკოვს შორის არსებობდა. პარიზული კაბარეების და დროსტარების იმპორტი ბერლინში ახლად შექმნილ საბჭოთა რესპუბლიკათა კავშირში გაბატონებულ ავანგარდს შეერწყა. ეკონომიკა კატასტროფულ მდგომარეობაშია, ხელოვნება კი ყვავის – მხატვრობა, მუსიკა, ბალეტი, არქიტექტურა აღმავლობის გზაზეა. ახალი იდეების და გაბედული ძიებების ხანა დგას. სწორედ ამ დროს გამოიკვეთა თანამედროვე არქიტექტურის 3 ახალი მიმართულება.

* *არქიტექტორ ლუდვიგ მის ვან დერ როეს გამონათქვამი – „რაც ნაკლები, მით უკეთესი“, ზუსტად გამოხატავს მოდერნისტული არქიტექტურის არსს.*

Einsteinturm, Observatorium

ექსპრესიონიზმი

პირველი გარღვევა არქიტექტურაში ექსპრესიონიზმის ფარგლებში ხდება. ომის შემდგომი ხელოვნება, განსაკუთრებით კი მხატვრობა, ექსპრესიულად გამოხატავს თავის განწყობებს, ცხოვრებისეულ რეალობას ექსპრესიულად და მისტიკურობით ასახავს ნამუშევრებში (ოტო დიქსი, მაქს ბეკმანი, მაქს ერნსტი და ა. შ.). საბჭოთა ავანგარდი, კონსტრუქტივიზმი და ელ ლისიცკის იდეები მნიშვნელოვნად ასაზრდოებენ ექსპრესიონიზმს. არქიტექტორებიც ამ სტილს მისდევენ, მაგალითად, ერიხ მენდელსონი.

ახალი რეალიზმი

ძვირი და პრაქტიკაში რთულად განსახორციელებელი ექსპრესიონისტული არქიტექტურა მოგვიანებით გეზს იცვლის. ჰოლანდიური ავანგარდის და De Stijl-ის გავლენით 20-იანი წლების ბოლოს ახალი მოძრაობა გაჩნდა – Neue Sachlichkeit (გერმ. ახალი საგნობრიობა), რაც შეიძლება გადაითარგმნოს, როგორც „ახალი რეალიზმი“. არქიტექტურაში ამ სტილს, აგრეთვე, საფუძვლად დაედო ფრენკ ლოიდ რაიტის კონცეფციები.

ახალი ხედვის – Neue Sachlichkeit-ის იდეა იყო მაქსიმალური პრაქტიკული ფუნქციონალიზმი. ის რადიკალურად განსხვავდებოდა რთული და „ჩახლართული“ ექსპრესიონიზმისაგან. ამას პრაქტიკული და პოლიტიკური კუთხითაც ჰქონდა საფუძველი. ომის შემდგომი

paul heyse strasse 2 Berlin, Bruno Taut

გერმანია აღდგენას საჭიროებდა. ამერიკული ფინანსური დახმარებით შემუშავებული „საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამა“ ფუნქციურ Cost-Effectiveness-ს და მინიმალისტურ არქიტექტურას მოითხოვდა.

Wilskistrasse Berlin, Bruno Taut

ამ გამოწვევის საპასუხოდ გერმანული არქიტექტურა „ახალი რეალიზმის“ სტილში იწყებს მუშაობას. იქმნება ფრანკფურტის განვითარების გეგმა და დასახლებების მთელი რიგი Neue Sachlichkeit-ის არქიტექტურულ სტილში შენდება. ინდუსტრიასა და არქიტექტურას შორის მუდმივი კავშირი ჩამოყალიბდა. ეს რევოლუციური გარღვევა იყო, რომელმაც მრავალი თაობის ესთეტიკური მსოფლმხედველობა შეცვალა, თუმცა მომდევნო წლებმა ყველაფერი დროებით შეაყოვნა...

ბაუჰაუსი

ამ ახალი ვიზუალური ესთეტიკის ჩამოყალიბებას, ახალი ფორმებისა და მოცულობების დანერგვას თავისი საგანმანათლებლო სისტემა სჭირდებოდა. სწორედ ასეთად მოგვევლინა ბაუჰაუსი. დღეს ეს სახელწოდება გაცილებით მეტია, ვიდრე ვაიმარში დაარსებული პატარა სასწავლებელი. ვალტერ გროპიუსის საორგანიზაციო და არქიტექტურულმა გენიამ შექმნა სკოლაში ლეგენდარული პედაგოგები შეეკრიბა: კანდინსკი, მოჰოი-ნადი, ოსკარ სლემერი, პაულ კლეე და ა. შ. სკოლამ უმნიშვნელოვანესი გავლენა იქონია იმ პერიოდის გერმანულ (და არა მარტო) არქიტექტურასა და დიზაინზე. 1933 წელს სკოლის დირექტორი ლუდვიგ მის ვან დერ როე იყო. გესტაპომ სკოლა დახურა და მის ვან დერ როე, ისევე როგორც ვალტერ გროპიუსი და სხვა ლეგენდარული „ბაუჰაუსელები“, აშშ-ში წავიდა. სწორედ ამერიკაში პოვა მათმა იდეებმა ხორცშესხმა. იქ შექმნილმა პროექტებმა და პედაგოგიურმა საქმიანობამ უდიდესი წვლილი შეიტანა თანამედროვე არქიტექტურული ენის დანერგვაში.

BAUHAUS-ARCHIV/MUSEUM FÜR GESTALTUNG

ბაუჰაუსის სკოლა ვაიმარში 1919 წელს დაარსდა, მაგრამ 1933 წელს ნაცისტებმა დახურეს. ამ მიმდინარეობამ მთელ მსოფლიოში შეცვალა წარმოდგენა იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ნივთები და გარემო, რომლებიც ადამიანის ირგვლივაა – საშაქრეებით დაწყებული, ქალაქებით დამთავრებული. ბერლინის მუზეუმი არა იმდენად დიზაინის გამოფენაა (თუმცა აქ სავარძლებისა და არქიტექტურული მაკეტების ნახვაც შეგიძლიათ), რამდენადაც ერთი დიდი მოთხრობა რევოლუციური მეთოდების, იდეებისა და ბაუჰაუსის სკოლის პროფესორთა შესახებ.

ამ შენობის პროექტის ავტორი ბაუჰაუსის სკოლის დამფუძნებელი ვალტერ გროპიუსია.

ღიაა: ორშაბათი, ოთხშაბათი-კვირა – 10.00-18.00

ბილეთის ფასი: სამშაბათიდან პარასკევის ჩათვლით – 8€, ორშაბათი, შაბათი-კვირა – 10€

Klingelhöferstraße 14

სამი რჩეული „ბერლინური“ შენობა

ბერლინი განსაკუთრებული შემთხვევაა გერმანიასა თუ მთელ მსოფლიოში. მისი არქიტექტურა ძველი იმპერიული ქალაქის ადგილას აშენებული სოციალისტური და კაპიტალისტური ქალაქების ურთიერთდაპირისპირებაა. ეს სანახაობა საოცარ კოლაჟს ქმნის. ბერლინის კედლის დაცემის შემდგომ ქალაქი ავანგარდის ერთ-ერთი ფლაგმანის და თავისებური „ფილტრის“ როლს იბრუნებს. ბერლინში იფილტრება საბჭოთა ცენზურისგან გათავისუფლებული აღმოსავლეთის ქვეყნების ხელოვნების ნაკადი. ეს ფუნქცია მას ნაწილობრივ დღესაც უნარჩუნდება, თუმცა უფრო ტურისტულ სახეს იღებს.

1

2

მეორე მხარესაა კარლ-მარქს-ალეე – ყოფილი სტალინალეე – საბჭოთა ბანაკის არქიტექტურის საყოველთაო მაგალითი. მისი რეკონსტრუქცია 50-იან წლებში განხორციელდა. მნიშვნელოვანია, რომ ჰერმან ჰენსელმანი – პროექტის მთავარი არქიტექტორი, ავანგარდიდან მოსული და საბჭოთა ეკლექტიკაში წასული, მსოფლიო არქიტექტურის ერთ-ერთი დიდი ფიგურა იყო.

პოტსდამერ პლაცის რეკონსტრუქცია. „სონის“ ცენტრი – პოტსდამერ პლაცის რეკონსტრუქცია ომის შემდგომი რეკონსტრუქციის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია გერმანიაში. მარტო ჰელუნ იანის „სონის“ ცენტრი და რენცო პიანოს მთელი კვარტალი საკმარისია ამის ნათლად დასანახად.

3

50-იან წლებში აგებული **ბერლინის ფილარმონია** ჩემი საყვარელი შენობაა ბერლინში. ჰანს შარუნის შენობა გარეგნულად და ინტერიერითაც მნიშვნელოვანი გარღვევა იყო იმ წლებში. ის დღესაც ერთ-ერთ საუკეთესო საკონცერტო დარბაზად არის მიჩნეული სცენის გარშემო განლაგებული ტერასებისა და შეკიდული ჭერის გამოყენების გამო. თუკი ჰამბურგში მოხვდებით და ამ ქალაქის ულტრათანამედროვე ფილარმონიას ნახავთ (Elbphilharmonie, Herzog & de Meuron), აუცილებლად შეამჩნევთ ბერლინის ფილარმონიის შტრიხებს მის არქიტექტურაში.

გამოფენების კალენდარი

2017

26–28 ოქტომბერი www.tbilisihealthforum.ge	THF'17 – თბილისის მედიცინის ფორუმი • **სამედიცინო აღჭურვილობა** სამედიცინო ტექნოლოგიისა და აღჭურვილობის საერთაშორისო გამოფენა • **ესთეტიკური მედიცინა** ესთეტიკური მედიცინის საერთაშორისო გამოფენა • **სტომატოლოგია** სტომატოლოგიისა და სტომატოლოგიური აღჭურვილობის საერთაშორისო გამოფენა
9–12 ნოემბერი www.bookexpo.ge	თბილისის წიგნის დღეები 2017
20–22 ნოემბერი www.agroexpo.ge	AGRO FOOD DRINK TECH EXPO GEORGIA სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამამუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების მე-17 საერთაშორისო გამოფენა
1–2 დეკემბერი	თბილისის სკოლების გამოფენა
8–9 დეკემბერი www.elcommexpo.ge www.aquatherm.ge	ELCOMM CAUCASUS 2017 / AQUATHERM TBILISI 2017 • ენერგეტიკის, ელექტროტექნიკისა და კომუნიკაციის მე-4 საერთაშორისო გამოფენა • გათბობის, წყალმომარაგების, სანტექნიკის, კონდიცირების, ვენტილაციისა და აუზის მოწყობილობების მე-4 საერთაშორისო გამოფენა

2018

23–24 თებერვალი www.educationfair.ge	IEFG – განათლების საერთაშორისო გამოფენა უმაღლესი და პროფესიული განათლების, საზღვარგარეთ სწავლისა და სტუდენტური სერვისების მე-8 საერთაშორისო გამოფენა
12–14 აპრილი www.tourismexpo.ge	CTF'18 – CAUCASUS TOURISM FAIR მე-20 საერთაშორისო ტურისტული გამოფენა
26–29 აპრილი www.buildexpo.ge	CAUCASUS BUILD 2018 მშენებლობისა და ინტერიერის 23-ე საერთაშორისო გამოფენა
17–20 მაისი	TAF'18 – TBILISI ART FAIR
14–16 ივნისი www.winexpo.ge	WINEXPO GEORGIA'18 • ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-11 საერთაშორისო გამოფენა • ღვინის მე-10 საერთაშორისო კონკურსი

გამოფენების ცენტრი ექსპოჯორჯია | www.expogeorgia.ge | expo@expogeorgia.ge | +995 32 234 11 00

მომავლის მშენებელი

სალომე დადუნაშვილი

იურგენ მაიერი მსოფლიო არქიტექტურის უკვე ამოსული „სუპერნოვაა“ – ვარსკვლავი, რომელმაც თავისი აზროვნების თავისუფლებით და, ამავე დროს, თავშეკავებული პრაგმატულობით მსოფლიოში უკვე არაერთ სივრცეს უცვალა სახე. მას შემდეგ, რაც ესპანეთში, სევილიაში მისი წყალობით სოკო-ქოლგა „მეტროპოლ პარასოლი“ ამოიზარდა, ეს ხელოვნური ტყე უძველეს სივრცეში მხოლოდ ახალი, მიმზიდველი ინფრასტრუქტურული ერთეული კი არა, ქალაქის ორგანული ნაწილი გახდა. საქართველოში მის მიერ განხორციელებული არაერთი პროექტიც (მესტიის აეროპორტი, სარფის სასაზღვრო გამშვები პუნქტი) მოწმობს, რომ მაიერს არც ფანტაზია და ინვაიერმენტული გემოვნება ღალატობს.

მას შემდეგ, რაც შტუტგარტის და პრინსტონის უნივერსიტეტები დაამთავრა, იურგენ მაიერს ერთი წუთითაც არ აქვს მოსვენება. 1996 წელს დაარსებული მისი არქიტექტურული კომპანიის ბიურო არა მხოლოდ ათობით ულტრათანამედროვე შენობის პროექტს ახორციელებს, არამედ ინსტალაციებს, ობიექტებსა და ინტერიერებსაც ქმნის. მისი ნამუშევრები უკვე არაერთ მუზეუმში იფინება, მეტიც, პერმანენტულ კოლექციაში ინახება კიდეც – მაგალითად, ბერლინის კუნსტ ბიბლიოთეკაში, ნიუ-იორკის „მომაში“, არქიტექტურის მუზეუმში მიუნხენში.

იურგენ მაიერს საკუთარი მკვეთრად გამოხატული სტილი აქვს, ამიტომაც მისი ნამუშევრების ცნობა არ გაგიჭირდებათ. მათი ნახვა კი მთელ მსოფლიოშია შესაძლებელი – ამერიკაში, ბელგიაში, გერმანიაში, ესპანეთში. მაგალითად, Schlump One-ის საოფისე და უნივერსიტეტის შენობები ჰამბურგში, ან სასამართლოს შენობა ბელგიაში, ჰასელტში; მუზეუმ „გარაჟის“ მულტიფუნქციური შენობა კი, რომლის 7 სართულსაც 4 განსხვავებული ფასადი აქვს, წელს მაიამის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ახალი სივრცე გახდება.
იურგენ მაიერის კომპანია მთელ მსოფლიოში მუშაობს, თუმცა ახლა სულ უფრო და უფრო მეტ პროექტს ახორციელებს ბერლინში. როგორც თავად ამბობს, იგი „უფრო და უფრო მეტად ხდება ბერლინელი არქიტექტორი“.

როგორ იწყებთ ახალ პროექტზე მუშაობას, რა არის აუცილებელი იმისთვის, რომ პირველი ხაზი გაავლოთ?

ცხადია, აუცილებელია გარემოს შესწავლა, შემდგომ – შენობის დანიშნულებისა და ფუნქციის განსაზღვრა. საერთოდ, მე მრავალფეროვანი ურბანული სივრცის მომხრე ვარ, მომწონს სხვადასხვა ხმა არქიტექტურაში და არა სრული ჰარმონიზაცია. ცხადია, ქალაქში უნდა იყოს გარკვეული არქიტექტურული პოლიტიკა, მაგრამ ასევე უნდა იყოს უნიკალური განსხვავებული ხმები და ამ ხმებს ერთმანეთთან გასაუბრების საშუალება უნდა მივცეთ.

თავისთავად, ეს ძალიან ამაღელვებელი პროცესია. მე მისი ყველა ნაწილი მომწონს – კლიენტთან პირველი გასაუბრებიდან დაწყებული, საბოლოო პროდუქტის ხილვით დამთავრებული.

როცა მუშაობას იწყებ, რა თქმა უნდა, ყოველთვის გსურს, რომ ეს საუკეთესო პროექტი იყოს. ფანტაზია აქტიურად მუშაობს. შემდეგ კი მშენებლობისას აკვირდები, როგორ ისხამს ხორცს ჩანაფიქრი, რომელიც აქამდე მხოლოდ იდეა იყო. ამიტომ ყველა ეტაპს თავისი განსაკუთრებული ემოცია ახლავს თან.

შეიცვალა თუ არა თქვენი წარმოდგენა არქიტექტურის, როგორც პროფესიის, შესახებ მას შემდეგ, რაც აქტიურად დაიწყეთ მუშაობა?

ჩვენ ძალიან გაგვიმართლა, რომ საშუალება გვაქვს და უნიკალურ პროექტებს ვაკეთებთ. გაგვიმართლა კლიენტებში, რომლებიც ჩვენს ცნობისმოყვარეობას და არქიტექტურისადმი შემოქმედებით მიდგომას იზიარებენ. ნამდვილად არ ველოდი, რომ მოდერაცია არქიტექტორის სამუშაოს ესოდენ მნიშვნელოვანი ნაწილი იქნებოდა.

მე მრავალფეროვანი ურბანული სივრცის მოხრე ვარ, მომწონს სხვადასხვა ხმა არქიტექტურაში და არა სრული ჰარმონიზაცია.

იურგენ მაიერი

შენ, პრაქტიკულად, ინტელექტუალურ ქსელს განაგებ, რომლის მეშვეობითაც სუფთა იდეა ახალი ტექნოლოგიების გამოყენების წყალობით ისხამს ხორცს. ეს კარგ მანევრირებას მოითხოვს. აქვე უნდა დაარეგულირო ურთიერთობა გარემოსთან, კონტრაქტორებთან, რაც ხშირად სულაც არ არის ადვილი და სახალისო საქმე, მაგრამ უნდა გაკეთდეს.

რომელი პროექტი მიგაჩნიათ საეტაპოდ თქვენს კარიერაში?

გააჩნია, კარიერის რომელ ეტაპს გადავხედავთ. პირველი დიდი წარმატება შტუტგარტში თაუნჰოლის შენობა იყო. მას ძალიან დიდი პოზიტიური გავლენა ჰქონდა მთელ ქალაქზე – არა მხოლოდ არქიტექტურული, არამედ ინფრასტრუქტურული თვალსაზრისითაც.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იყო საქართველოში განხორციელებული პროექტები, რომლებიც აკუპუნქტურული მეთოდით განთავსდა ქვეყნის სხვადასხვა სივრცეში. საქართველოში ყველაზე მიმზიდველი ის იყო, რომ შენობათა უმეტესობა, რომლებიც დავაპროექტეთ, ტრადიციულად, არ შენდება არქიტექტურის მაღალი სტანდარტებით – მაგალითად, სასაზღვრო გამშვები პუნქტი, რომელიც სარფში აშენდა. აქ კი საშუალება მოგვეცა ასეთი შენობებისთვის სულ სხვა დატვირთვა და ფასეულობა მიგვეცა. ეს ნამდვილად უნიკალური შემთხვევა იყო. ამ ეტაპზე ინსტიტუციურ პროექტებს ვახორციელებთ და ეს კიდევ სულ სხვა მიმართულებაა არქიტექტურაში. ამიტომ ყოველთვისაა რაღაც სასწავლი და აღმოსაჩენი.

არსებობს თუ არა მოდური ტენდენციები არქიტექტურაში?

რა თქმა უნდა, არის ტალღები. ახლა ახალი პოსტმოდერნიზმი სუფევს. ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ჟინმა, რომელიც ბოლო წლებია ბატონობდა, გადაიარა. მეორეხარისხოვანი გახდა. ის უფრო პრაქტიკულმა მიდგომამ შეცვალა, რომელიც ფორმალურად ისტორიულ ტენდენციებსა და ფორმებს ეხმაურება ცოტა აბსტრაქტული სახით.

სოციალური ჩართულობა ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, ეს არქიტექტურის უფრო აქტივისტური ფორმაა. გაჩნია, რა დონეზე მოღვაწეობ. სულ არის რაღაც გარკვეული ინტერესების ღრუბლები, რომლებიც მეტ ან ნაკლებ ყურადღებას იპყრობს.

ძალიან საინტერესოა იმაზე დაკვირვება, თუ როგორ ცვლის შენებისა და დიზაინის პროცესს ციფრული ტექნოლოგიები. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ყველაფერი იცვლება. მაგალითად, ქუჩები, რომლებიც ადრე ძალიან ხმაურიანი ან დაბინძურებული იყო, ელექტრომანქანების გაჩენასთან ერთად მშვიდი და საცხოვრებლად უფრო მიმზიდველი იქნება; ასევე, მდინარის სანაპიროები, რომლებიც ესოდენ გვიყვარს. ისინი ადრე ყველაზე ხმაურიანი ადგილები იყო ქალაქში. ეს, ცხადია, საცხოვრებელი ფართების ფასის ცვლილებას იწვევს, რაც თავისთავად მოქმედებს ქალაქის განვითარებაზე. ძალიან რთული და არაერთგვაროვანი პროცესია.

ყველა თაობას თავისი წარმოდგენა აქვს იმაზე, თუ რა არის თანამედროვე არქიტექტურა. აქ ბალანსის დაცვაა აუცილებელი. აი, მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის მერე ბერლინში სურდათ მთლიანად დაენგრიათ ყველაფერი ძველი და ახალი ფართო გზატკეცილები აეგოთ. დაიწყეს კიდევაც ამის კეთება, მაგრამ შემდეგმა თაობამ თქვა, რომ მათ არ სჭირდებოდათ ეს ახალი გზები და ქალაქის გარკვეული ისტორიული უბნების დაცვა უნდოდათ. 80-იანმა წლებმა პოსტმოდერნისტული მიდგომა მოიტანა, ამას უნიფიკაციის პროცესი მოჰყვა და ასე შემდეგ...

ბატონო იურგენ, ბერლინი უნიკალური ქალაქია. ის წლების განმავლობაში ორად იყო გაყოფილი და ორივე მხარე დამოუკიდებლად ვითარდებოდა. როგორ „შენდება“ დღეს გერმანიის დედაქალაქი, თუ არსებობს გარკვეული არქიტექტურული უნიფიკაციის პოლიტიკა?

რა თქმა უნდა. ის პირველი ველური აღტაცება დასრულდა და ახლა ბერლინში არც თუ ისე ბევრი ღია სივრცე და თავისუფლებაა ამ მხრივ. ეს ქალაქი უფრო და უფრო სტრუქტურირებული, ძვირი და კონსერვატიული ხდება. ჯერ კიდევ იგრძნობა განსხვავება მის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებს შორის, თუმცა აქამდე ფინანსური ნაკადი, ძირითადად, აღმოსავლეთისკენ იყო მიმართული. ახლა, ჩემი აზრით, აუცილებელია დასავლეთსაც მიექცეს ყურადღება, სადაც ინფრასტრუქტურაა გასაუმჯობესებელი.

ადრე იყო ძალიან ბევრი ეგრეთ წოდებული ღია სივრცე, უამრავი კლუბი, არტისტების სტუდიები და ყველაფერი ცენტრში იყრიდა თავს. ეს ბერლინს აცოცხლებდა. ახლა, ცხადია, ყველაფერი გაძვირდა და, მათ შორის, რენტაც გაიზარდა, ამიტომ არტისტები თავიანთი სახელოსნოებიანად ტოვებენ ცენტრს.

განვითარებას ცოტა ხელს უშლის ინვესტორთა პასიურობაც. მაგალითად, ბევრი შენობა უკვე იყიდეს საპენსიო ფონდებმა ან სხვა სახის საფინანსო ჯგუფებმა, რომლებიც არაფერს აკეთებენ მათ გასავითარებლად. ამის გამო, სამწუხაროდ, ცხოვრება ისე აღარ დუღს, როგორც ადრე.

თუმცა ფაქტია, რომ სხვა ევროპულ ქალაქებთან შედარებით ბერლინი მაინც გაცილებით უფრო თავისუფალი სივრცეა. სამწუხაროა, რომ აღარ არის ისეთი არტისტული, გახსნილი და მჩქეფარე ცხოვრება, როგორიც იყო, მაგრამ ბერლინი ამ სახეს ჯერ კიდევ ინარჩუნებს. საერთოდ, ყველაფერი იცვლება.

რა მიმართულებით ვითარდება ბერლინი არქიტექტურული თვალსაზრისით?

ცხადია, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ქალაქი, პრაქტიკულად, დაიკარგა, განადგურდა მეორე მსოფლიო ომის დროს, ამიტომ მისი არქიტექტურული განვითარებაც ამ ფაქტს ვერ ასცდა. მთავარი მიმართულება იყო ქალაქის ურბანული სტრუქტურის აღდგენა და არა საინტერესო არქიტექტურული ფორმების ძიება. ახლა რაც შენდება, ესეც ძალიან პრაქტიკული სივრცეებია. ცხადია, საინტერესო და ინოვაციური პროექტებიც განხორციელდა, მაგრამ ეს უფრო გამონაკლისი იყო, ვიდრე წესი. ამ მხრივ სიტუაცია არ შეცვლილა. ბერლინი მუდმივად შენდება, მაგრამ პრაგმატული მიდგომა არქიტექტურისადმი მნიშვნელოვანი ტენდენციაა.

რის ნახვას ურჩევდით ადამიანს, რომელიც პირველადაა ბერლინში?

მე ბერლინში მოგზაურობას დასავლეთიდან აღმოსავლეთით დავიწყებდი, გარეუბნიდან ცენტრისკენ და შემდეგ ისევ ქალაქგარეთ დავბრუნდებოდი. ვანზეეს ტბიდან ბისმარკ-შტრასეს გავლით 17 ივნისის ქუჩაზე გავიდოდი და უნტერდენ ლინდენზე აღმოვჩნდებოდი. შემდეგ ალექსანდერპლაცსა და კარლ-მარქს-შტრასეზე გავისეირნებდი. ტიერგარტენში გავივლიდი და ბრანდენბურგის კარიბჭეს მივადგებოდი; უნტერ დენ ლინდენის მერე სტალინისტური არქიტექტურის უნტებს ვნახავდი. „ნოიე ნაციონალ გალერი“ უაღრესად საინტერესო სივრცეა, რომელიც, სამწუხაროდ, ამჟამად დაკეტილია, მაგრამ ეს მის ვან დერ როეს პროექტია და მისი ნახვა ღირს.

„ბიკინი ჰოტელში“ თუ ცხოვრობთ, თვალწინ გეშლებათ გედეჰთნისქირხეს (Gedächtniskirche) შესანიშნავი ხედი, რომელიც ფრანც შვეშტენმა და ეგონ ეიერმანმა ააშენეს და ბერლინში ჩემი საყვარელი შენობაა.

აუცილებლად შედით შიგნით. დღის სინათლეს უეცარი ბინდი ცვლის და ფერადი ვიტრაჟი საოცრად იკითხება. ეს ნამდვილად უნიკალური შენობაა. და როცა ბერლინის გულში, მიტეში ისეირნებთ, შეგიძლიათ Johannisstrasse 3-ში ჩვენი აშენებული ახალი საცხოვრებელი სახლიც მოინახულოთ.



იურგენ მაიერის კომპანია მთელ მსოფლიოში მუშაობს, თუმცა ახლა სულ უფრო და უფრო მეტ პროექტს ახორციელებს ბერლინში. როგორც თავად ამბობს, იგი „უფრო და უფრო მეტად ხდება ბერლინელი არქიტექტორი“.

„როცა მუშაობას იწყებ, რა თქმა უნდა, ყოველთვის მსურს, რომ ეს საუკეთესო პროექტი იყოს. ფანტაზია აქტიურად მუშაობს. შემდეგ კი მშენებლობისას აკვირდები, როგორ ისხამს ხორცს ჩანაფიქრი, რომელიც აქამდე მხოლოდ იდეა იყო. ამიტომ ყველა ეტაპს თავისი განსაკუთრებული ემოცია ახლავს თან“.



ელექტრონიდან დოიჩლანდ

გერმანული ელექტრონული მუსიკის უძველესი ისტორია

კახა თოლორდავა

პირველად იყო ჰერმან ფონ ჰელმჰოლცი და მისი ნაშრომი „ბგერის აღქმა, როგორც მუსიკის თეორიის ფიზიოლოგიური საფუძველი“. ეს წიგნი 1870 წელს გამოიცა. მერე კი იყვნენ მაქს კოლი, იორგ მაგერი, მარტინ ტაუბმანი, ბრუნო ჰელბერგერი, ფრიდრიხ ტრაუტვეინი, ჰერალდ ბოდეოსკარ ვერლინგი, ვოლია სარაგა და კიდევ ძალიან ბევრი გერმანელი, რომელთა შესახებაც შესაძლებელია ცოტამ იცოდეს, მაგრამ ეს ის ადამიანები არიან, რომელთა გარეშეც მსოფლიოს აკუსტიკური კულტურა ისეთი არ იქნებოდა, როგორიც დღეს გვაქვს. სხვათა შორის, საკლუბო კულტურაც...

იორგ მაგერი



ჰერმან ფონ ჰელმჰოლცი

თუმცა...

ელექტრონული მუსიკის საფუძვლების შესახებ ნებისმიერი ტექსტის ანალოგიური შესავალი, განსაკუთრებით პიონერების სახელების და გვარების ჩამოთვლისას, განსხვავებული იქნებოდა ფრანგების, ამერიკელების, იტალიელების, რუსების ან ინგლისელების შემთხვევაში და, ამავე დროს, ყველა ამ ტექსტში აუცილებლად თვალშისაცემი იქნება ერთი მსგავსება – ელექტრონული მუსიკის საფუძვლებთან არამუსიკოსები დგანან.

ვოლია სარაგა

მაშ ასე, თავიდან თუ დავიწყებთ, მაშინ...

პირველად იყვნენ არამუსიკოსები, გამომგონებლები თუ მეცნიერები და მათი ინტერესი, უფრო მეტი გაეგოთ ბგერის შესაძლებლობების, მისი ბუნების შესახებ. ხშირად მათ კვლევებს საერთო არაფერი ჰქონდათ მუსიკასთან (კვლევებს, როგორც წესი, კვლევითი ცენტრები და უნივერსიტეტები აფინანსებდნენ), მაგრამ როდესაც ელექტრონულად გაძლიერებული ბგერის სიხშირეები აკუსტიკურად აღქმადი ხდებოდა, სწორედ იქ ჩნდებოდა დაინტერესების ის ხარისხი, რომელმაც ნელ-ნელა შეცვალა პლანეტის აკუსტიკური გარემო. სწორედ მათ დააწყებინეს და განუვითარეს მუსიკოსებს და მუსიკალური ინსტრუმენტების შემქმნელებს განსხვავებული ყურისგდების კულტურა.

მერე კი იყო ასობით უცნაური დასახელების მანამდე არარსებული მუსიკალური აპარატი, მოწყობილობა თუ ინსტრუმენტი, რომელთა ჩამოთვლისას გეოლოგიურ წარსულში არსებული ცხოველები შეიძლება გაახსენდეს ადამიანს: ჰელმჰოლცის სინთეზატორი (1905), ელექტროფონი (1921), სპარაფონი (1924), კლავიატურშპარაფონი (1928), პარტიტუროფონი (1930), კალეიდოფონი (1939), ჰელერტონი (1929), ტერმენვოქსი (1920), მარტენო (1928), მელოდიუმი (1938), მიქსტურტრაუტორიუმი (1936), მელოქორდი (1947) და კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი სხვა (ინსტრუმენტების შექმნის პროცესი დღემდე გრძელდება), ვიდრე სინთეზატორების და კომპიუტერის, როგორც მუსიკალური ინსტრუმენტის, გამოყენებამდე.

ახალი ტექნოლოგიების და მუსიკის შეხების წერტილების ისტორიული ფაზების შესახებ დღესაც ტომები იწერება, ყველა ეს ნაშრომი პირდაპირ კავშირშია ელექტრონული ბგერის ბუნებასთან, სხვანაირად არ შეიძლება იყოს; და ნებისმიერ ასეთ შემთხვევაში ყველას კარგად ესმის ერთი რამ – ელექტრონული მუსიკის საწყისები არაა ამერიკელების, ბრიტანელების, ფრანგების, იტალიელების თუ გერმანელების საკუთრება და ეს იმიტომ, რომ რადიკალური ტექნიკური თუ მუსიკალური იდეებით შეპყრობილი ადამიანები არ შეიძლება იყვნენ ერთი რომელიმე კონკრეტული ტერიტორიის საკუთრება და რადგანაც ეს ნამდვილად ასეა, მაშინ უდავოა ისიც, რომ არსებობდა პირდაპირი თუ ირიბი ინტერაქცია იმ ადამიანებს შორის, რომელთაც სამყაროს აკუსტიკურად ახლებურად აღქმა დაიწყეს და სანამ კაცობრიობა ინდუსტრიულ სივრცეებში გაჩენილი, ხარისხობრივად ახალი ხმაურის ენერგიას და სიჩქარეს ეჩვეოდა, ეს ადამიანები, მათივე თქმით, ტრადიციული მუსიკის ჩრდილქვეშ გათანგულნი, ამ ხმაურის მუსიკად გარდაქმნაზე ფიქრობდნენ. ძალიან ბევრს. ძალიან მიზანმიმართულად. მათ შორის, გერმანიაშიც...

გერმანელებზე ხშირად ხუმრობენ ხოლმე, რომ ელექტრონულ მუსიკაში ისინი ფეხაკრეფით, ყნოსვა-ყნოსვით შევიდნენო. ჯერ თეორია, მერე პრაქტიკა. მოკლედ, ძალიან გერმანულად. ასეა თუ ისე, 1951 წლისათვის მათ უკვე ჰქონდათ ელექტრონული მუსიკის სტუდია დასავლეთ გერმანიის რადიოს კიოლნის წარმომადგენლობის (WDR) შენობაში და საკმაოდ მკაფიო ხედვა, თუ როგორი იქნებოდა მომავლის მუსიკა. სტუდიის ერთ-ერთი დამაარსებელი, მუსიკოლოგი, კომპოზიტორი და რადიოპროდიუსერი ჰერბერტ ეიმერტი წერდა:

> **„ელექტრონული მუსიკა არის და რჩება ჩვენი მუსიკის ნაწილად და ის გევრად უფრო მეტია, ვიდრე უბრალო „ტექნოლოგია“. მეორე მხრივ, ფაქტია ის, რომ მისგან არ უნდა ელოდონ... ტრადიციული მუსიკის უბრალო იმიტაციას... ჩვენ ვამჯობინებთ აღვიქვათ ის (ელექტრონული მუსიკა), როგორც თვით ბგერის შესაძლებლობა...“**

ბგერის შესაძლებლობებზე და ამ შესაძლებლობების მუსიკად ქცევაზე მუშაობა ორ ფრონტზე მიმდინარეობდა – გერმანულსა და ფრანგულზე. ფრანგებმა იმავე, 1951 წელს აამუშავეს თავისი ელექტრონული მუსიკის სტუდია საფრანგეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთ შენობაში (RTF), მაგრამ ისინი წინ უსწრებდნენ გერმანელებს იმით, რომ ეს სტუდია შედეგი იყო ლამის ათწლიანი თანამშრომლობისა ისეთ მუსიკოსებს შორის, როგორებიც იყვნენ: პიერ შაფერი თავისი „დაძებნილი“ საუნდებით შექმნილი „კონკრეტული მუსიკით“, პიერ ანრი და ჟაკ პულენი. როგორც ამბობენ, ამ ორ სტუდიაში მომუშავე ადამიანებს ჯირივით სძულდათ ერთმანეთი – იმდენად, რომ ერთ-ერთმა გერმანელმა მუსიკოსმა მოგვიანებით აღიარა, 50-იანებში ორი ტიპის ცივი ომი გვქონდა: ერთი – საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის, მეორე კი – WDR-სა და RTF-ს შორისო.

ასეა თუ ისე, ეს კონკურენცია ორივე სტუდიისთვისაც საინტერესო აღმოჩნდა და, ზოგადად, ელექტრონული მუსიკის შემდგომი განვითარებისთვისაც. თუ კიოლნს დავუბრუნდებით, იქაურ სტუდიაში ელექტრონულ ბგერაზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა ისეთი ინტერესი გამოიწვია, რომ სტუდიაში მომუშავე მუსიკოსების თუ ინჟინრების ლექციებს მთელი ქვეყნის მასშტაბით ათასობით ახალგაზრდა

Kraftwerk



კარლჰაინც შტოკჰაუზენი

შტოკჰაუზენი წარმოადგენდა ყველაფერ იმას, ერთად თავმოყრილს, პლუს თავის ხშირად ზედმიწევნით ნოვატორულ იდეებს, რაც ჰელმჰოლციდან მოყოლებული ვითარდებოდა გერმანიაში და, როგორც ჩანს, ამ იდეებისადმი მზადყოფნა, ზოგადად, ახალი თაობის გერმანელ მუსიკოსებში, სხვადასხვა მიზეზთა გამო, იმდენად მომწიფებული და დროული იყო, ხოლო შტოკჰაუზენის გავლენა მათზე, იმდენად დიდი, რომ სამოციანების დასასრულს მისმა ერთ-ერთმა მოწაფემ – ჰოლგერ შუკაიმ, ახალი გერმანული ექსპერიმენტული მუსიკის უდავო პიონერმა, ბუდისტურად, ხუმრობანარევი სერიოზულობით განაცხადა: „შტოკჰაუზენი უნდა მოვკლათ, თორემ საკუთარ თავს ვერასდროს ვიპოვით მუსიკაში!“

ესწრებოდა, მათ შორის, 24 წლის კარლჰაინც შტოკჰაუზენიც. იგი პირველად 1952 წლის დარმშტადტის საზაფხულო სკოლაში გამართულ ლექცია-მოსმენას დაესწრო და სულ მალე თავად შევიდა კიოლნის სტუდიაში თავისი პირველი ელექტრონული ოპუსის – Studie I-ის ჩასაწერად, რომელიც მთლიანად სინუსოიდური ბგერითი ტალღისთვის იყო შექმნილი.

მოკლედ, მერე იყო კარლჰაინც შტოკჰაუზენი...

რა თქმა უნდა, გულდასაწყვეტია, როდესაც ბევრი ძალიან მნიშვნელოვანი სახელის გაწევა გიხდება გვერდზე ერთი ადამიანის გამო, რამდენად მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს ეს ადამიანი, მაგრამ სხვა გზა არ არის, რადგანაც შტოკჰაუზენი ერთ-ერთი ის კარია, თანამედროვე გერმანელი მუსიკოსებისათვის კი ერთადერთი, საიდანაც ელექტრონულმა მუსიკამ ან, უფრო სწორად, ყველაფერმა, რაც ასეთი ელექტრონული ბგერის შესაძლებლობებთან მიმართებაში ხდებოდა აკადემიურ სივრცეში, პოპულარულ კულტურაში შეაღწია (ბოლოს და ბოლოს შტოკჰაუზენის პორტრეტი „ბითლზის“ „სერჟანტ პეპრის“ ალბომის ყდაზეც ხომ მოხვდა!), პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, გერმანულ პოპულარულ კულტურაში.

დაწყებული გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან, შეიძლება ითქვას, რომ შტოკჰაუზენი წარმოადგენდა ყველაფერ იმას, ერთად თავმოყრილს, პლუს თავის ხშირად ზედმიწევნით ნოვატორულ იდეებს, რაც ჰელმჰოლციდან მოყოლებული ვითარდებოდა გერმანიაში და, როგორც ჩანს, ამ იდეებისადმი მზადყოფნა, ზოგადად, ახალი თაობის გერმანელ მუსიკოსებში, სხვადასხვა მიზეზთა გამო, იმდენად მომწიფებული და დროული იყო, ხოლო შტოკჰაუზენის გავლენა მათზე, იმდენად დიდი, რომ სამოციანების დასასრულს მისმა ერთ-ერთმა მოწაფემ – ჰოლგერ შუკაიმ, ახალი გერმანული ექსპერიმენტული მუსიკის უდავო პიონერმა, ბუდისტურად, ხუმრობანარევი სერიოზულობით განაცხადა: **„შტოკჰაუზენი უნდა მოვკლათ, თორემ საკუთარ თავს ვერასდროს ვიპოვით მუსიკაში!“**

მერე კი იყო კრაუტროკი...
ეს ტერმინი მუსიკის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე იდიოტური იარლიყია, ერთი კარგი ინგლისელი კაცის უკბილო ხუმრობა. ის არაფერზე მიანიშნებს გარდა იმისა, რომ ეს

WDR-ის სტუდია

გერმანული მოვლენაა და თუ ბრიტანელი ხარ, მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან ოცი წლის შემდეგ, უბრალოდ, უფლება არ გაქვს, გერმანელები არ გააქილიკო; მაგრამ ამ იარლიყმირტყმულმა, კონტრკულტურულ სივრცეში გაჩენილმა აკუსტიკურმა მდგომარეობამ და მასში მოღვაწე მუსიკოსებმა გერმანია საბოლოოდ დაიტანეს იმ რუკაზე, რომლის აკუსტიკური ტოპოგრაფია, უბრალოდ, საშუალებას აღარ იძლევა, თანამედროვე მუსიკაზე საუბრისას – იქნება ეს ავანგარდი, მინიმალიზმი, ფსიქადელია, თავისუფალი იმპროვიზაცია თუ ნებისმიერი სხვა ჟანრი და, რა თქმა უნდა, თანამედროვე ელექტრონული მუსიკაც და მისი განტოტებები – გვერდი აუარო მუსიკის „ტევტონურ“ ფაზას.

„კოსმიშე მუზიკ“ (კოსმოსური მუსიკა) – ასე უწოდებდა „კრაუტროკერების“ გარკვეული ნაწილი იმ აკუსტიკურ მოვლენას, რომელიც თავადვე შექმნეს და მიუხედავად იმისა, რომ ნაწილს იმ „კრაუტროკული“ მუსიკისა, რომელიც ბერლინში, მიუნხენში, კიოლნსა თუ დიუსელდორფში იქმნებოდა, პირდაპირი კავშირი არ ჰქონდა ელექტრონულ მუსიკასთან, დღეს ნებისმიერი ახალგაზრდა დიჯეი მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში უყოყმანოდ იტყვის, რომ კრაუტროკი გადამწყვეტი ფაზა იყო ელექტრონული მუსიკის შემდგომი განვითარებისათვის არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ ბრიტანული და, ზოგადად, დასავლური პოპულარული მუსიკალური კულტურის განვითარებაში – არა მარტო მუსიკის, არამედ ჩანასახში მყოფი, მაგრამ უკვე საკმაოდ დინამიკური სცენის ინფრასტრუქტურის თვალსაზრისითაც.

ამიტომაც მოუხშირეს სამოცდაათიანების დასაწყისში როკის ვარსკვლავებმა – დევიდ ბოუიმ, იგგი პოპმა, ლუ რიდმა და სხვებმა გერმანიაში სიარულს. მათ ძალიან კარგად იცოდნენ, თუ რას ეძებდნენ იქ. მოუსმინეთ ისეთ „კრაუტროკულ“ ბენდებს და მუსიკოსებს, როგორებიც არიან: Tangerine Dream,

Cluster, Ash Ra Tempel, Can, Neu!, Amon Düül II Popol Vuh, Faust, Klaus Schulze – და ადვილად დარწმუნდებით ამაში. გერმანელმა მუსიკოსებმა სამუშაო მასალად აიღეს ყველაფერი, რაც მოსწონდათ მსოფლიო მუსიკალურ კულტურაში, დაწყებული „პინკ ფლოიდით“, ჯეიმს ბრაუნით, „ბიჩ ბოისით“ თუ ფრენკ ზაპათი და დასრულებული „კონკრეტული მუსიკით“, მინიმალიზმით, აფრიკული მუსიკით, იგივე შტოკჰაუზენით, და შექმნეს რაღაც ისეთი, შესრულებული ადრეულ, უახლეს თუ თვითნაკეთ ელექტრონულ და ელექტრონულ ფილტრებში გატარებულ კონვენციურ ინსტრუმენტებზე, რაც მანამდე არავის არასდროს მოუსმენია.

მათ ახალი, ომისშემდგომი გერმანია სამეცნიერო-ფანტასტიკური ქვანრის ქვეყნად აქციეს, საკუთარი მუსიკა კი – ამ ქვეყნის საუნდტრეკად. მათ შეძლეს ის, რამაც პოპულარული მუსიკა მომავალში შეაგდო...



ბოლოს კი იყო Kraftwerk-ი...
Kraftwerk-ი კრაუტროკის სივრცეში წარმოქმნილი ბენდია, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით მათ პირდაპირი და ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს თანამედროვე ელექტრონული მუსიკის ტერიტორიაზე გაჩენილ ნ ე ბ ი ს მ ი ე რ ჟანრზე. მათ წაშალეს ზღვარი „სერიოზულ“ და „არასერიოზულ“ ელექტრონულ მუსიკალურ მდგომარეობებს შორის. მათ შექმნეს ტრადიცია იმ მუსიკაში, რომელიც ტრადიციის საყრდენს იყო მოცილებული. Kraftwerk-მა გერმანული ელექტრონული მუსიკა ისეთ სწრაფ „ავტობანზე“ გაიყვანა, ახალი საუნდით, ბგერასთან მიდგომის განსხვავებული ხარისხით, ადამიანის, ტექნოლოგიის და მუსიკის ისეთი უცნაური ნაზავით, რომ დღეს ბევრი სერიოზულად სვამს ასეთ კითხვას: „ხომ არ არის Kraftwerk-ი „ბითლზზე“ უფრო გავლენიანი ბენდი?“

აქედან იწყება ელექტრონული რევოლუცია მუსიკაში და გერმანული „ელექტრონიშე“ დე-ენ-ემის გააქტიურება. აქედან ყველა გზა გერმანიაში მიდის და უკვე არც არავინ კითხულობს:

„რატომ გერმანია?“



დასლერების საგა

ბიძინა ბარათაშვილი

ამ წერილის თემა მოულოდნელად შეირჩა – თავდაპირველად გერმანული ფეხბურთის მდიდარი ისტორიის საინტერესო მომენტებზე ვაპირებდი საუბარს. მერე კანის ყოველწლიურ სატელევიზიო ბაზრობაზე (MIPCOM) ჩავედი და ჩემი ყურადღებაც პირველივე დღეს კომპანია Global Screen-ის სტენდზე გამოფენილმა უცნაურმა ექსპონატმა მიიპყრო – ხელოვნური ბალახის პატარა ნაგლეჯზე ძველი ყავისფერი ბურთი იყო მოთავსებული, წარწერით: „WM 1954 in die Schweiz. Finale am 4 Juli 1954 in Bern. Deutchland: Ungarn 3:2. Weltmeister Deutc land“ („1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატი. 4 ივლისი, ბერნი. ფინალი: გერმანია – უნგრეთი 3:2. მსოფლიოს ჩემპიონი: გერმანია“).

მალე გავარკვიე, რომ კომპოზიცია ახალი გერმანული მინისერიალის სარეკლამო კამპანიის ნაწილი ყოფილა, თავად პროექტი კი თურმე მსოფლიო სპორტული სამყაროს ორი უდიდესი ბრენდის (Adidas და Puma) შემქმნელი ძმები დასლერების ცხოვრებასა და მძაფრ პაექრობას ეძღვნება...
ამაზე საინტერესო და დამაინტრიგებელ საკითხავს ვერც ვინატრებდი, რაშიც შემდგომ დღეებში მოკვლეულმა მასალამ საბოლოოდ დამარწმუნა. ვფიქრობ, მკითხველიც წერილიდან ბევრ უცნობ და დასამახსოვრებელ დეტალს შეიტყობს...

ფილმ-სერიალს (MIPCOM-ზე ის ორივე ფორმატში იყო წარმოდგენილი) გერმანულ ორიგინალში „Die Dasslers“ („დასლერები“) ჰქვია, ინგლისურენოვან ვერსიას – „Rivals Forever“ („მუდმივი მეტოქეები“). გადაღება 2017 წელს დასრულდა და მას მერე „ოსკაროსანი“ პროდიუსერების – კირინ ბერგისა და მაქს ვაიდემანის (2006 წელს მათ აკადემიის ჯილდო მოიგეს ფილმით „სხვების ცხოვრება“ – „Das Leben der Anderen“. 2-მილიონიანი ბიუჯეტის ფილმმა გაქირავებიდან 77 მლნ მოიტანა) ნამუშევარმა უკვე რამდენიმე პრესტიჟული პრემიის მოპოვება მოასწრო. ეს არცაა გასაკვირი, რადგან პროდიუსერთა დუეტის გარდა ფილმს ჰყავს შესანიშნავი სცენარისტი – კრისტოფ ზილბერი (საერთაშორისო EMMY ფილმისთვის „დღე სასწაულისთვის“ – „Das Wunder von Kärnten“), მთავარი როლების კარგი შემსრულებლები – კრისტიან ფრიდელი და ჰანო კოფლერი და, რაც მთავარია, ურყევი საფუძველი – ძმები დასლერების ფანტასტიკური საგა...

რუდოლფ დასლერი 1898 წლის 26 მარტს დაიბადა, მისი უმცროსი ძმა ადოლფი – 1900 წლის 3 ნოემბერს. ისინი თავიდანვე სრულიად განსხვავებულები იყვნენ. ადოლფი – მშრომელი, მუდამ პროგრესზე ორიენტირებული, შესანიშნავი სპორტსმენი – ბავშვობიდან ფეხბურთს მისდევდა და სიცოცხლის ბოლომდე ჯანსაღი ცხოვრების წესს იცავდა. საოჯახო საქმეც მისი წყალობით დაიწყო: მან მეწაღე მამის, კრისტოფ დასლერის პროფესია ახალ დონეზე აიყვანა და ამისთვის პირველ ოფისად მრეცხავი დედის სამუშაო სივრცე გამოიყენა. სწორედ იქ მიიწვია ძმები ცელეინები, რომლებიც მისი სპორტული ფეხსაცმლისთვის ქაცვებს ამზადებდნენ.
1923 წელს მისი ინიციატივით იქვე მივიდა სამუშაოდ რუდოლფიც. სექსის, ჯაზისა და კრივის მოყვარულს, უფროს ძმა ფრიცთან ერთად პირველ მსოფლიო ომშიც მოესწრო მონაწილეობა და შემდგომ წლებში პოლიციელადაც ემუშავა. ამბობენ, 3 წლამდე ვერ ლაპარაკობდაო, მხოლოდ ერთ სიტყვას იმეორებდა – Bobby, რაც, ლოგიკურად, პირველ მეტსახელად ექცა. საერთო ბიზნესში თავის წილად რუდოლფმა საბეჭდი მანქანა ჩადო!

1924 წლის პირველ ივლისს გაიხსნა დასლერების კომპანია Gebrüder Dassler, რომლის ნაწარმიც ადგილობრივმა სპორტსმენებმა უკვე 1928 წლის ოლიმპიადაზე გამოსცადეს. 4 წლის შემდეგ ლოს-ანჯელესში არტურ იონატმა „დასლერს“ ბრინჯაოს მედალი მოუტანა, 1936 წლის ბერლინის თამაშები კი ჯესი ოუენსის 4 ოქროს მედლითა და 5 ოლიმპიური რეკორდით აღინიშნა! ნაქირავებ სამრეცხაოში საკერავ აპარატად გადაკეთებული ველოსიპედით დაწყებული ბიზნესი 2 ფაბრიკამდე გაფართოვდა, ყოველდღიური ნორმა 1000 წყვილ ფეხსაცმელს გაუტოლდა, ხოლო გაყიდვა 400 000 მარკის ნიშნულს მიუახლოვდა. თითქოს ყველაფერი იდეალურად ვითარდებოდა, მაგრამ ყველაზე მძიმე გამოცდა დასლერებს წინ ელოდა...

1933 წლის 1-ლ მაისს სამივე ძმა ფაშისტური პარტიის წევრი გახდა, ამათგან რუდოლფი აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ საქმიანობაში და არასოდეს აკრიტიკებდა ნაცისტებს, რამაც შედარებით ლიბერალ უმცროს ძმასთან ურთიერთობა გაუფუჭა. დაპირისპირებას სხვა მიზეზებიც ჰქონდა: რუდი უმცროს ძმას ისედაც წარმატებული მოდელების გაუთავებელ გაუმჯობესებაზე ფიქრს საყვედურობდა, ადის კი არ მოსწონდა რუდოლფის ქედმაღლობა და ბოჰემური ხასიათი.

ომის პირველივე დღეებიდან ძმების ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა, კონფლიქტში მათი მეუღლეებიც (ფრიდლ შტრასერი და კატრინა მერიტცი) ჩაერთნენ. ერთი ვერსიით, საბოლოო განხეთქილების მიზეზად იქცა ადის მიერ ბომბსაფარში ამერიკული დაბომბვის დროს ნათქვამი ფრაზა: „ნაბიჯვრები ისევ დაბრუნდნენ!“ ახალმოსულმა რუდიმ და მისმა ცოლმა ეს სიტყვები საკუთარი მისამართით მიიღეს, ადი კი შემდგომში ამტკიცებდა, ამერიკელ მფრინავებს ვგულისხმობდიო.

1943 წლის მარტში რუდოლფი, „ტოტალური მობილიზაციის“ ფარგლებში, ფრონტზე გაიწვიეს – ჯერ გლაუჰაუში, მერე – ტუშინში, სადაც „ქათმის სიბრძავე“ მოიმიზეზა და მბეჭდავთა ბიუროს მიეკედლა. 1945 წლის იანვარში იგი წითელი არმიის შენაერთებს გამოექცა, ჰერცოგენრაუჰში დაბრუნდა და მალე გესტაპოს ტყვეობაში აღმოჩნდა დეზერტირობის ბრალდებით. დიდი ალბათობით, მისი სიცოცხლე დაჰაუში დასრულდებოდა, მაგრამ საკონცენტრაციო ბანაკში გადაყვანისას ამერიკელებმა გაათავისუფლეს, ივლისში კი თვითონვე დაიჭირეს... გესტაპოსთან თანამშრომლობისთვის! დაჰაუს ნაცვლად იგი ჰამელბურგის ინტერნირებულთა ბანაკში მოხვდა, სადაც შეიტყო, რომ, სავარაუდოდ, იქ თავისი ძმის დასმენით გაამწესეს!

რაღა გასაკვირია, რომ 1946 წელს გათავისუფლებულმა რუდიმ ადის მალევე გადაუხადა სამაგიერო – „დენაციფიკაციის“ პროცესზე დაკითხვისას განაცხადა, ადოლფის ინიციატივით ფაბრიკაში სამხედრო წარმოება დაინერგა, თვითონ კი მუშებს პოლიტიკური აგიტაციით ამხნევებდაო! სასამართლომ უმცროსი დასლერი დამნაშავედ ცნო...

1948 წლის აპრილში ძმები საბოლოოდ გაიყარნენ და საოჯახო ბრენდიც გაქრა. სანაცვლოდ სპორტულმა სამყარომ 2 ახალი დასახელების კომპანია მიიღო: ADDAS და RUDA. ორივე ერთი პრინციპით შეიქმნა: ძმებმა თავიანთი სახელისა და გვარის პირველი ასოები შეკრიბეს, თუმცა არცერთმა არ ივარგა და შესაცვლელი გახდა. საბოლოოდ, ადიმ დასახელებას ერთი ასო დაუმატა და ADIDAS მიიღო, რუდის კი თავისი თავაშვებული ახალგაზრდობა გაახსენდა და კომპანიას მაშინდელი საყვარლების მიერ მერჩეული მეტსახელი – PUMA დაარქვა.

50-იანი წლები „საოჯახო ომის“ კულმინაციად იქცა. ორივე კომპანია საფეხბურთო საქმეებში ჩაება, ორივე წარმატებით. ჰერცოგენრაუჰში ორივემ საფეხბურთო გუნდი ჩამოაყალიბა, მათი თანამშრომლები სხვადასხვა მარკის ლუდს სვამდნენ და შვილებიც კი სხვადასხვა საბავშვო ბაღში დაჰყავდათ!

ამავე დროს, „პუმამ“ კონტრაქტები გააფორმა დორტმუნდის „ბორუსიასთან“, „აინტრაჰტთან“, „შტუტგარტსა“ და „კაიზერსლაუტერნთან“ (მათ შორის, მომავალ მსოფლიო ჩემპიონ ჰორსტ ეკელსა და ვერნერ ლიბრიხთან). 1954 წლის 23 მაისს გამართულ გერმანიის პირველობის ფინალში ჩემპიონ „ჰანოვერის“ 8 ფეხბურთელს „პუმას“ ბუცები ეცვა. მოდელები Super Atom (მოსახსნელი ქაცვებით; პირველი სერიული გამოშვება) და Brasil დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

კიდევ უფრო წინ წავიდა „ადიდასი“: 1949 წელს გამოვიდა რეზინის, მოსახსნელქაცვიანი ბუცების პირველი მოდელი, მომდევნო წელს – თოვლსა და ჭყაპში თამაშს მორგებული. ადი პირადად ესწრებოდა 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატის (გერმანელთა გამარჯვებით დასრულდა) მატჩებს და საკუთარი წარმოების ფეხსაცმელს ყოველ კონკრეტულ გრუნტსა და ამინდის ცვლილებას უსადაგებდა. ამ დროისათვის მას, ვილი ზელტენრახთან პარტნიორობით, უკვე მოესწრო 1952 წლის ოლიმპიელთა შემოსვა ძველი „დასლერიდან“ „ნასესხები“ 2-ზოლიანი მაისურისთვის მესამის დამატებით შექმნილი ფორმით, რომელიც დღემდე რჩება ბრენდის საფირმო ნიშნად. კიდევ ერთ ინოვაციად უნდა ჩაითვალოს

1956 წლის ოლიმპიადაზე „ადიდასის“ რეკლამის განთავსების ხელშეკრულება, რამაც სპორტის კომერციალიზაციის თანამედროვე ერას ჩაუყარა საფუძველი.

1954 წლის ტრიუმფმა „ადიდასის“ უპირატესობა აშკარა გახადა. მიუხედავად ამისა, რუდოლფი დანებებას არ აპირებდა და აკი სასამართლო პროცესიც მოუგო უმცროს ძმას, როდესაც 1958 წლის ჩემპიონატზე გამარჯვებული ბრაზილიის ნაკრების მაგალითზე დაყრდნობით (სამხრეთელები „პუმას“ ბუცებით თამაშობდნენ), „ადიდასს“ ხმარებიდან ამოაღებინა სარეკლამო სლოგანი: „Adidas – მსოფლიოში საუკეთესო სპორტული ფეხსაცმელი“. თავის მხრივ, „ადიდასი“ მუდმივად ადანაშაულებდა მეტოქეს ტექნოლოგიების მიტაცებაში. ცნობილია ადის ასეთი ფრაზა: „რუდოლფს რომ ყოველი ქურდობისთვის ჩემგან ამორტყმული პანღური ნასვრეტად დასტყობოდა, შვეიცარიულ ყველს დაემსგავსებოდა!“

60-იანი წლების ბოლოს მამების საქმე შვილებმა გადაიბარეს. მათი კონფლიქტიც ბრაზილიელთა ეკიპირების გამო - დაიწყო. 1970 წლის მუნდიალის დაწყებამდე არმინ დასლერმა „პუმაში“ სამუშაოდ მიიწვია ჟურნალისტი ჰანს ჰენინგსენი, რომელსაც სამხრეთამერიკელი ფეხბურთელების გადმობირება დაევალა. ბიძაშვილ ჰორსტთან ჯენტლმენური შეთანხმებით, არმინმა ჰენინგსენს პელესთან ამ თემაზე საუბარი აუკრძალა, მაგრამ „მეფემ“ თვითონ მოინდომა სარფიანი კონტრაქტის გაჩარხვა და „პუმაც“ დახარბდა ამგვარ შანსს, რასაც ახალი სკანდალი მოჰყვა. საოჯახო ომი ახალ თაობას გადაედო...

ამბობენ, რომ 70-იანი წლების დასაწყისში იმპერიის დამაარსებელი ძმები რამდენჯერმე მალულად შეხვდნენ ერთმანეთს. 1974 წლის სექტემბერში რუდის ჯანმრთელობა საბოლოოდ მოიშალა – ფილტვის კიბო დაუდგინდა. სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე ოჯახის მოძღვარი ტელეფონით დაუკავშირდა ადის და ძმასთან გამოსამშვიდობებლად იხმო...

ნებისმიერ სხვა ქვეყანაში ამ ადგილიდან ძმების შემრიგებელი, ცრემლის მომდენი უკანასკნელი შეხვედრის დეტალებს მოგიყვებოდით: ამერიკაში სასწრაფოდ მოძებნიდნენ ჰეფი ენდის საუკეთესოდ დამწერ სცენარისტს, იტალიურ ვერსიაში უთუოდ ოჯახურ-ნათესაური მოტივები იძალებდა, ფრანგები აქცენტს მომაკვდავი რუდოლფის რაიმე სევდანარევ, მახვილგონივრულ ფრაზაზე გააკეთებდნენ... გერმანული რეალობა გაცილებით ცივი და უხეში გამოდგა.

დიეგო არმანდო მარადონა

პელე – ედსონ არანტეს დუ ნასიმენტუ

ადიმ, მართალია, მღვდლის პირით პატიება შეუთვალა უფროს ძმას, მაგრამ მასთან მისვლა კატეგორიულად იუარა. მისი ოჯახის ოფიციალური რელიზი კი ასეთი იყო: **„ადოლფ დასლერის ოჯახს რუდოლფ დასლერის სიკვდილთან დაკავშირებით არანაირი კომენტარის გაკეთება არ სურს“.**

P. S. დღეს ჰერცოგენრაუჰის მდინარე აურაჰის ორივე ნაპირზე ისევ დგას Adidas-ის და Puma-ს სათავო ოფისები, მაგრამ აქ დასლერები აღარ მუშაობენ...

ადიმ შვილებს 500-მილიონიანი აწყობილი იმპერია დაუტოვა. ერთი ხანობა მას უნარიანად ხელმძღვანელობდა უფროსი ვაჟი – ჰორსტი (1936-87), რომელმაც სხვადასხვა დროს ჯერ ფრანგული Adidas-ი დააფუძნა, მერე – საცურაო კოსტიუმების მწარმოებელი გიგანტი Arena, ბოლოს კი ჟოაო აველანჟთან ერთად სათავე დაუდო სპორტის სპონსორობის საერთაშორისო პროექტებს. სამწუხაროდ, მისი დები ასეთივე გაქანების ვერ აღმოჩნდნენ. ჰორსტის სიკვდილის შემდეგ მათ მალე გაფლანგეს ქონების ნაწილი და საბოლოოდ აქციების 80% 440 მილიონ მარკად მიჰყიდეს ფრანგ ბერნარ ტაპის. ამგვარად, 1990 წლის შემდეგ „ადიდასი“ აღარ არის დასლერების საოჯახო ბიზნესი.

დღეს კონცერნი Adidas აერთიანებს რამდენიმე კომპანიას: Adidas, Reebok, Runtastic, Matix, TaylorMade... თანამშრომელთა რიცხვი 53 000-ს გადასცდა, წლიური გაყიდვები 19,2 მილიარდ ევროს შეადგენს (2017), სუფთა მოგება – 720 მილიონ ევროს.

მდინარის მეორე ნაპირზე Puma-ს ოფისია. რუდის უფროსმა ვაჟმა – არმინმა (1929-1990) ჯერ მამის ანდერძი გააპროტესტა და უმცროსი გერდი თითქმის უსაქმოდ დატოვა, მერე Puma პროვინციული კომპანიიდან მსოფლიო მასშტაბის ბრენდად აქცია, მაგრამ 1989 წელს ძმები იძულებულნი გახდნენ, აქციების 72% შვეიცარიული Cosa Liebermann-ისთვის მიეყიდათ. 2015 წლის მონაცემებით, Puma საგრძნობლად ჩამორჩება „მეზობელ-ნათესავს“, მაგრამ მისი მაჩვენებლები მაინც საკმაოდ შთამბეჭდავია: 11 000 დასაქმებული, წლიური გაყიდვები – 3,3 მილიარდი ევრო, სუფთა მოგება – 37 მილიონი ევრო.

„ევროპაცენტრი“, კადრი კინოფილმიდან „მიმინო“

გაქექილი მოსტაფილოსფრო ტყავის მოკრძალებული ხიბლი

სალომე დადუნაშვილი

წარმოდგენა არ მაქვს, თებერვლის ერთ მზიან დღეს (რაც უიშვიათესი შემთხვევაა ბერლინში) რატომ გადავწყვიტე ფეხსაცმლის შესაძენად წასვლა. თუმცა ამას აღარც აქვს მნიშვნელობა. მთავარია, რომ ამ წამოწყებამ უნიკალურ აღმოჩენებამდე მიმიყვანა.

ეს შეხვედრა არასოდეს დამავიწყდება: უთოს ფორმა ჰქონდა, მოქნილობითა და ელეგანტურობითაც სწორედ ამ უკანასკნელს ან მეორე მსოფლიო ომის დროინდელ წყალქვეშა ნავს წააგავდა. ოდნავ გაქექილი მოსტაფილოსფრო წითელი ტყავისგან შეკერილ ზედაპირზე განგებ ეტყობოდა უპასუხისმგებლო ქირურგის მიერ მდარედ გაკერილი ჭრილობის მაგვარი ნაწიბურები. მყარი და რბილი, აშკარად კომფორტული, კაუჩუკის გაუგებარი ფერის ძირზე ჩამოსხმული ფეხსაცმლის ტყავის ზედაპირი მსხვილი და საიმედო ნაკერით მაგრდებოდა. ლანჩა ისეთი განიერი ჰქონდა, რომ ყველაზე ზორბა ფეხიც კი თავისუფლად იგრძნობდა თავს კარგი ხარისხის, გამძლე, საიმედო და ალბათ სამუდამო ხმარებისთვის შეკერილ ამ ფეხსაცმელში. ტყავის ზედაპირზე მორცხვად მიკრული ორი მოვერცხლისფრო მოუქნელი ყვავილი, რომელიც თითქოს ბოდიშს იხდიდა აქ აღმოცენებისთვის, ჩურჩულით გვამცნობდა, რომ ფეხსაცმელი ქალის იყო.

თითქოს ეს არ იყო საკმარისი – ამავე „სტილის“ კომფორტული და გამძლე მისი მეგობრები მწყობრ რიგებად ჩამწკრივებულიყვნენ მაღაზიის თაროებზე და ზოგი ურცხვად, ზოგიც კი თავჩაქინდრული მიმტკიცებდნენ, რომ ქალის ფეხსაცმელებთან მქონდა საქმე. განსაკუთრებულ ტრაგიზმს სიტუაცია საზაფხულო, ღია მოდელებში აღწევდა. აქ ყვავილნარის სიმრავლე და ფეხის ნატიფი თითების კეკლუცად გამოსაჩენი ჭრილები კიდევ უფრო ამძაფრებდა დიზაინისა და კომფორტის უშედეგოდ შეჯვარების კრახით გამოწვეულ სურათს. ნანახით გაოგნებული, სხვა მაღაზიაში გავეშურე, მერე კიდევ სხვაში, მერე კიდევ სხვაში. სიტუაცია უიმედო იყო, მე ვიტყოდი, ტრაგიკულიც კი. ახალგაზრდული ამბიცია და მაქსიმალიზმი მარწმუნებდა, რომ შეუძლებელია ევროპის უძლიერესი ქვეყნის დედაქალაქში ქალებს მხოლოდ ამ ტიპის ფეხსაცმელებით ევლოთ, რეალობა კი სულ სხვა – არასაიმედო სურათს მიხატავდა. ბოლოს, რა თქმა უნდა, დავნებდი, თუმცა მოსტაფილოსფრო ტყავის ზედაპირზე მიკრული ვერცხლისფერი ყვავილების ხატება დიდხანს დამდევდა თან.

ნუ გეშინიათ, ეს დიდი ხნის წინათ იყო. ბერლინის კედელი სულ ცოტა ხნის დანგრეული იყო და გერმანელ ქალებს მის ნანგრევებზე ალბათ სწორედ ასეთი ფეხსაცმელებით ეადგილებოდათ სიარული.

ნელ-ნელა ყველაფერი შეიცვალა და ჩემი ძველი მეგობრები, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, კვლავაც დიდი წარმატებით სარგებლობენ, თაროზე სხვა ტიპის ფეხსაცმელებთან ერთად იყოფენ ადგილს.

ბერლინში, ისევე როგორც ევროპის სხვა დიდ ქალაქებში, გარკვეული „დრეს კოდი“ არსებობს. აქ არავის აცვია ზედმეტად გამომწვევად. ეგრეთ წოდებული „ინტელექტუალური შიკი“, პრაქტიკული, კარგი ხარისხის ტანსაცმელი, რომელიც მცირე დეტალებში ავლენს დიზაინერულ ნამუშევარს, ხელოვანთა წრის წარმომადგენლებს უყვართ. ძალიან პოპულარულია „სექონდ ჰენდისა“ და მისი უფრო ამაღლებული ვერსიის, ვინტაჟის ზოგიერთი დიზაინერის ტანსაცმელთან შერევა. თუმცა ამ სტილის წარმატებით ტარება რჩეულთა ხვედრია. ბერლინში ბევრი სტუდენტი და ახალგაზრდაა. გარკვეულწილად ქალაქს ჩაცმის სტილს მათი ენერგია კარნახობს.

გერმანული მოდის სამყარო ყოველთვის პასუხობდა საზოგადოების მოთხოვნას. ტანსაცმელი უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, ხარისხიანი, გამძლე და კომფორტული და თუ ამისთვის აუცილებელია ცოტაოდენი მოსტაფილოსფრო ტყავის გამოყენება, დაე, ასე იყოს.

საუნივერსიტეტო ქვეყანა

მარიკა შალიკაშვილი

გერმანული სასწავლო მოდელის ყველაზე დიდი უპირატესობა უფასო განათლებაა. სახელმწიფო უნივერსიტეტების რაოდენობა ფასიან სასწავლებლებს მნიშვნელოვნად აჭარბებს და ისინი ხელმისაწვდომია როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი სტუდენტებისთვის. კერძო სასწავლებლებში განათლებას მოსახლეობის მხოლოდ 5% იღებს.

გერმანია, როგორც საუნივერსიტეტო ქვეყანა, უცხოელი სტუმრებისთვის, იქნება ეს დამწყები სტუდენტი თუ მეცნიერი, მრავალმხრივაა საინტერესო:

- უნივერსიტეტების მაღალი აკადემიური დონე;
- გერმანული საინჟინრო განათლების აღიარებული ხარისხი;
- სწავლების საერთაშორისო სტანდარტები: საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ინგლისურ ენაზე;
- უფასო სწავლება ან სწავლის დაბალი საფასური, ევროგაერთიანების სხვა წევრ ქვეყნებთან შედარებით ცხოვრების იაფი პირობები.

გერმანიაში 440 უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაა, რომელთა უმრავლესობა სახელმწიფოა (360-მდე). მათ შორისაა ძველი უნივერსიტეტები კლასიკური სპეციალობების ფართო სპექტრით და, ამავე დროს, მრავალი შედარებით მცირე ზომის უნივერსიტეტი თანამედროვე და პრაქტიკაზე ორიენტირებული სპეციალობებით. გერმანიაში სწავლის მსურველებს 12 000 სპეციალობასა და საგანს შორის შეუძლიათ გააკეთონ არჩევანი.

უნივერსიტეტები „ცოდნის გლობალური საზოგადოების“ ეპოქაში

გერმანიის საუნივერსიტეტო სისტემისთვის, ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის რეფორმის დროიდან ანუ XIX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, დამახასიათებელია სწავლების ისეთი სტილი, როდესაც სწავლება ეფუძნება დისკუსიას მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის. ლექცია, როგორც ცოდნის გადაცემის ფორმა, როდესაც ერთი ლაპარაკობს და დანარჩენები ჩუმად იწერენ, უფრო მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა. სკოლაში, ჰუმბოლდტის აზრით, მასწავლებელი მოსწავლეებს ემსახურება, მაგრამ უნივერსიტეტში პროფესორებიც და სტუდენტებიც ერთობლივად ემსახურებიან მეცნიერებას. მაშინ ეს რევოლუციური იდეა იყო, რომლის წყალობითაც, გერმანული უნივერსიტეტები მსოფლიოში საუკეთესო გახდა.

ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის შემოღების შემდეგ სისტემა ოდნავ შეიცვალა: ბაკალავრიატის დროს სწავლების ლექციური ფორმა ანუ ცოდნის სუფთა გადაცემა ჭარბობს, მაგისტრატურაში კი კვლავ მეტი მნიშვნელობა ენიჭება სემინარებსა და დისკუსიებს.

გერმანიის უმაღლესი განათლების სისტემაში დღემდე რჩება უნივერსიტეტების სამი ტიპი, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გაჩნდა. პირველ რიგში, ეს არის „ქალაქწარმომქმნელი“ უნივერსიტეტები, რომლებიც ქალაქის სოციალურ სტრუქტურას განსაზღვრავენ. ასეთი საუნივერსიტეტო ქალაქების კლასიკური მაგალითია ჰაიდელბერგი, მარბურგი და ტიუბინგენი. მეორე ტიპი არის უნივერსიტეტები, რომლებიც დიდ ქალაქებში ან ფედერალური მიწების დედაქალაქებში მდებარეობს და „საგანმანათლებლო პოლიტიკის შუქურის“ როლს ასრულებენ. მათთვის, როგორც წესი, დამახასიათებელია სასწავლო პროგრამების მოდერნიზაციის სწრაფი ტემპები.

დაბოლოს, მესამე ტიპის უნივერსიტეტები, რომლებიც მაქს პლანკის სახელობის საზოგადოების ინსტიტუტებთან ან ლაიბნიცის სახელობის საზოგადოების დაწესებულებებთან თანამშრომლობენ. ამ უნივერსიტეტებში ბევრი გამოჩენილი მეცნიერი მუშაობს, რომელთაგან არაერთი ნობელის პრემიის ლაურეატია. ეს უნივერსიტეტები სამეცნიერო სამყაროში ფართოდ არის ცნობილი და ისინი ელიტური განათლების და უმაღლესი სამეცნიერო დონის (Exzellenz) ყველაზე ნათელ მაგალითად გვევლინებიან.

დუალური სისტემა

როდესაც გერმანული მოდელის თავისებურებაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, აღსანიშნავია სწავლის ე. წ. დუალური სისტემა – დასაქმებამდე მისასვლელი მაქსიმალურად მოკლე გზა, რაც კოლეჯის სტუდენტს საშუალებას აძლევს, მომავალ პროფესიას უშუალოდ სამუშაო ადგილზე საწარმოო პროცესში ჩართულობით დაეუფლოს. პროფესიულ განათლებას სტუდენტი დასაქმების პარალელურად იღებს, სახელმწიფო კი დამსაქმებელს პროფესიულ პროგრამაში ჩართული სტუდენტის ხელფასის ნაწილს უნაზღაურებს.

ამ მიმართულების დანერგვაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მე-19 საუკუნის გერმანიაში მიღებულმა ე. წ. „ხელოსანთა კანონმა“. კონკრეტული სპეციალობის მოკლე ვადაში ხარისხიანად ათვისების შესაძლებლობამ დუალური განათლება პროფესიული განათლების უფრო მოქნილ და ეფექტიან მეთოდად აქცია.

გერმანიაში დუალურმა განათლებამ ბიზნესის თითქმის ყველა სფეროში შეაღწია. ის 346 ძირითად და 46 ახალ, მოთხოვნად პროფესიას მოიცავს. დუალურმა განათლებამ გერმანია იმ ქვეყნად აქცია, სადაც დასაქმებული ახალგაზრდების პროცენტული მაჩვენებელი ევროპის მასშტაბით ყველაზე მაღალია.

გერმანიის საუკეთესო უნივერსიტეტების ხუთეული

1. **ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი** – გერმანიის ყველაზე ძველი უნივერსიტეტი, რომელსაც ფილიალები აქვს ამერიკაში, ჩილესა და ეგვიპტეში. მის შემადგენლობაში შედის რამდენიმე სამეცნიერო ინსტიტუტიც. მისი ცნობილი კურსდამთავრებულები არიან: ჰეგელი, მენდელეევი, მანდელშტამი, ჰელმუტ კოლი, გებელსი და სხვები.
2. **მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტი** – არა მხოლოდ გერმანიის, არამედ ევროპის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სასწავლებლად ითვლება. მის ანგარიშზე 34 ნობელიანტია. მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების სიაში ის მეცამეტე ადგილს იკავებს, ხოლო „დერ შპიგელის“ რეიტინგების მიხედვით, საუკეთესო უნივერსიტეტად ითვლება ისტორიის, სოციოლოგიის, მედიცინისა და ბიოლოგიის მიმართულებით. მისი ცნობილი კურსდამთავრებულები არიან: პატრიკ ზიუსკინდი, რაინერ მარია რილკე, რიჰარდ შტრაუსი, იან ფლემინგი, მაქს ვებერი და სხვები.
3. **მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი** – შედის მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების YU-9 გაერთიანებაში და ერთადერთი გერმანული ტექნიკური უმაღლესი სასწავლებელია, რომელიც მსოფლიოში საუკეთესოთა სიაშია. მის კურსდამთავრებულებს ხშირად შეხვდებით ისეთ მსხვილ კორპორაციებში, როგორიცაა, მაგალითად, BMW და Siemens.
4. **ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი** – ელიტური სასწავლებელია, რომლის ძლიერი მხარე საერთაშორისო ურთიერთობებია. მას მსოფლიოს ყველა კონტინენტზე 100-ზე მეტი პარტნიორი ჰყავს. არის „ერასმუსის“ პროგრამის აქტიური მონაწილე, რის წყალობითაც, არაერთი გაცვლითი პროგრამა ხორციელდება. მისი ცნობილი კურსდამთავრებულები არიან: გერტა მიულერი, ქენძაბურო ოე, გერჰარდ ერტლი.
5. **გეორგ ავგუსტის სახელობის გეტინგენის უნივერსიტეტი** – 1737 წელს დაფუძნებული ეს უმაღლესი სასწავლებელი ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სასწავლო დაწესებულებად ითვლება მედიცინის, ბიოლოგიისა და საბუნებისმეტყველო მიმართულებით. აქ მიიღო განათლება ნობელის პრემიის 47-მა ლაურეატმა, მათ შორის, ოტო ბისმარკ-შენჰაუზენმა და არტურ შოპენჰაუერმა.

შესაძლებლობები უცხოელი სტუდენტებისთვის

გერმანიაში განათლების მიღების მსურველ საერთაშორისო სტუდენტთა რიცხვი, ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის შემდეგ, ყველაზე მაღალია. უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები გერმანიაში სტუდენტებს 1381 საერთაშორისო კურსს სთავაზობენ და საგნების შესწავლა სხვადასხვა ენაზეა შესაძლებელი, შესაბამისად, გერმანიაში დღეისათვის 301 000 უცხოელი სტუდენტი სწავლობს. გერმანული ენის დიპლომს (DSD) 870 სკოლა გასცემს; გერმანიის მიერ გაცემულ ბაკალავრისა და მაგისტრის დიპლომს საერთაშორისო აკრედიტაცია აქვს. ამასთანავე, ევროკავშირის ქვეყნებს შორის გერმანიას ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დასაქმების მაჩვენებელი აქვს. ასევე, მსოფლიოს 72 ქვეყანაში არსებობს 140-ზე მეტი გერმანული სკოლა, სადაც საშუალოდ 20 800 გერმანელი და 61 000 უცხოელი მოსწავლე ირიცხება.
იმის გამო, რომ უცხოენოვანი კურსების პარალელურად სახელმწიფო უნივერსიტეტებში ლექციების უმეტესობა გერმანულ ენაზეა, სავალდებულოა გერმანული ენის ცოდნა, რასაც ენის კურსებთან ერთად გოეთეს ინსტიტუტი უზრუნველყოფს, რომელსაც 159 ფილიალი აქვს 98 ქვეყანაში.

გერმანიაში განათლების მიღების მსურველებს ასევე ეხმარება German Academic Exchange Service (DAAD) – გაცვლითი სასწავლო ცენტრი, რომელიც დაინტერესებულ ახალგაზრდებს სწავლის ხელსაყრელ ვარიანტებს სთავაზობს. ორგანიზაციამ გასულ წლებში 70 000 გერმანელ და 50 000 საერთაშორისო სტუდენტს მისცა გრანტი.

ხარჯები:

ცხოვრება: 400-იდან 800€-მდე;

კვება: 200-იდან 400€-მდე;

დაზღვევა: 40-იდან 70€-მდე;

ტრანსპორტი: 50€.

მუშაობა სწავლის პარალელურად:

ვინაიდან არდადეგები გერმანიაში წელიწადში 5 თვეს გრძელდება, სტუდენტს უფლება აქვს კვირაში 20 საათი იმუშაოს. საშუალო ანაზღაურება საათში 5-10€-ა. საიმიგრაციო კანონმდებლობით, გერმანიაში სწავლის დასრულების შემდეგ საერთაშორისო სტუდენტებისთვის სამუშაო უფლების მიღება მარტივია.

აზიური სამზარეულო გერმანული სოუსით

ტიმის სამზარეულო, რომელიც რამდენიმე აზიური ტრადიციული სამზარეულოს კერძების მის მიერ დამუშავებული ვერსიებითაა ცნობილი, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და „ცხელი“ ადგილია გერლინში და მსოფლიოში საუკეთესო 34 რესტორნის სიაში შედის.

სალომე დადუნაშვილი

ტიმ რაუე 43 წლისაა, თუმცა მისი რესტორანი **ბერლინის** ერთ-ერთ ყველაზე გამოცოცხლებულ და **ეკლექტიკურ** უბანში, **კროიცბერგში** გურმანების **მექად** იქცა. მას შემდეგ, რაც 1998 წელს „წლის აღმოჩენის“ **სტატუსი** მიიღო რესტორან KAISERSTUBEN-ში მოხდენილი **რევოლუციისთვის**, ტიმმა არაერთი წამყვანი პოზიცია გამოიცვალა, არაერთი ჯილდოს მფლობელი და აღიარების ღირსი გახდა – მათ შორის, მისი რესტორანი GAULT MILLAU-ს და CONDÈ NAST TRAVELLER-ის მიერ შედგენილ მსოფლიოს **საუკეთესო რესტორნების** სიაშიც მოხვდა. 2007 წელს იგი GAULT MILLAU-მ **„წლის შეფად“** დაასახელა და **მიშლენის** პირველმა **ვარსკვლავმაც** არ დააყოვნა. ტიმ რაუემ 2010 წელს სასტუმრო ADLON-ის შეფობა საკუთარ რესტორანს – MÂ TIM RAUE-ს ანაცვალა, რომელსაც დღეს უკვე **მიშლენის 2 ვარსკვლავი** აქვს.

როგორ გადაწყვიტეთ, რომ მზარეული გამხდარიყავით? ვინ იყო თქვენთვის შთაგონების წყარო? ჩვენ არაერთი ისტორია გვსმენია, რომელშიც შეფები ყვებიან, რომ მათი ოჯახის წევრები კულინარიული ოსტატობით გამოირჩეოდნენ და მათი გადაწყვეტილება დედების ან ბებიების ბრალია...

სიმართლე გითხრათ, უბრალოდ, სამსახური მჭირდებოდა. როცა მე-10 კლასი დავამთავრე, სკოლაში სპეციალური ორგანიზაციიდან 3 სხვადასხვა პროფესიის ათვისების წინადადება მივიღე. ეს სახელმწიფოებრივი ინსტიტუტია, რომელიც თინეიჯერებს პროფესიის არჩევაში ეხმარება. მათი წინადადება ასეთი იყო: მებაღე, მღებავი ან შეფი. მე უკანასკნელი ავირჩიე.

ბერლინი ძალიან სახასიათო ქალაქია. თუ ითვალისწინებდით მის უნიკალურ თვისებებს, როცა ახალი რესტორნის კონცეფციას ქმნიდით?

მარი ანი ჩემი ბიზნესპარტნიორია, მასთან ერთად ჩავიფიქრე ეს რესტორანი. ჩვენ, უბრალოდ, იმის კეთება გვინდოდა, რაც ჩვენთვის საყვარელი და ახლობელი იყო, განსაკუთრებით იმ დროს. ეს უნდა ყოფილიყო უნიკალური რესტორანი, რომელიც საჭმლის მომზადების ჩემეულ ვერსიას შესთავაზებდა კლიენტს. ეს იყო ტაილანდური გემოების ნაზავი, იაპონურ პურიზმსა და საჭმლის მომზადების კანტონურ სტილთან ერთად.

რა გაძლევთ ახლის გამოგონების ინსპირაციას ამ მუდმივად ცვალებად ქალაქში? თქვენი მშობლიური უბანი, კროიცბერგიც კი რადიკალურად შეიცვალა თქვენი ბავშვობის შემდეგ.

ყველაზე დიდ ინსპირაციას აზიაში მოგზაურობისგან ვიღებ, ასევე, ხელოვნებისა და მოდის სამყაროდან.

ვინ არიან თქვენი რესტორნის კლიენტები? ადამიანები, რომლებიც თქვენი მუდმივი კლიენტები ხდებიან, ნამდვილი ბერლინელები არიან თუ მოგზაურები?

ჩვენ ძალიან მრავალფეროვანი პუბლიკა გვყავს. რა თქმა უნდა, ბევრია საერთაშორისო დონის გურმანი, რომელიც ამ მიზნით მოგზაურობს სხვადასხვა ქვეყანაში. ასეთი ადამიანები მსოფლიოს 50 საუკეთესო რესტორნის სიის მიხედვით გეგმავენ საკუთარ ცხოვრებას.

„ლანგუსტინი ვასაბით კანტონურად“, „პეკინური იხვი ტიმ რაუეს ინტერპრეტაციით“, „შებრაწული გოჭი დაშით (იაპონური წვნიანის სახეობა) და იაპონური მდოგვით“ – ეს იმ კერძთა მცირე ჩამონათვალია, რომელთა გამოც ტიმთან რესტორანში მაგიდის დაჯავშნა დიდი ხნით ადრე მოგიწევთ.

თავგამოდებული გურმანები ცდილობენ ეგრეთ წოდებული The KRUG Table-ი დაჯავშნონ. ეს მასიური მუხის მაგიდა მაქსიმუმ 10 სტუმარს იტევს და უშუალოდ სამზარეულოსთანაა განლაგებული. აქედან სამუშაო პროცესი შესანიშნავად ჩანს. გარდა ამისა, შეგიძლიათ განსაკუთრებული, მხოლოდ ამ მაგიდისთვის შექმნილი მენიუს კერძები და შამპანური მიირთვათ.

რატომ აირჩიეთ აზიური სამზარეულო თქვენი რესტორნის მენიუს ძირითადი იდეისთვის?

2003 წელს სრულიად გადარეული ვიყავი ამ გემოების გამო. სინგაპურში ჩავედი პირველად და მაშინ მომეცა საშუალება შესანიშნავი ტაილანდური, იაპონური და კანტონური საკვები გამესინჯა.

ვეგეტარიანული და ვეგანური მოძრაობა ძალიან პოპულარულია მთელ მსოფლიოში. უფრო და უფრო მეტი რესტორანი ცდილობს ამ ტენდენციას აუწყოს ფეხი და მათ მენიუშიც ბევრ ვეგანურ კერძს აღმოაჩენთ. ამას იმითაც ხსნიან, რომ თუ ადამიანები კვებით ჩვევებს არ შევიცვლით, შეუძლებელი იქნება პლანეტის მოსახლეობისთვის აუცილებელი რაოდენობის საკვების წარმოება. თქვენ მენიუში გაქვთ ვეგეტარიანული საკვები, მაგრამ არა ვეგანური. ეს თქვენი რესტორნის კონცეფციის ნაწილია, თუ ჯერ ვერ ახერხებთ ცოტაოდენი ცხოველური წარმოშობის პროდუქტის გარეშე ახალი კერძების შექმნას?

ყველაფერი უფრო მარტივადაა: სიმართლე გითხრათ, უბრალოდ, არ მაინტერესებს და არ მინდა ვეგანური საჭმლის კეთება.

როგორ ირჩევთ პროდუქტებს თქვენი სამზარეულოსთვის? როცა ახალ კერძზე ფიქრობთ, რა მოდის პირველი – ინგრედიენტების იდეა თუ საფინალო რეზულტატი, რომლის მიღწევაც გსურთ?

ყველა კერძი, რომელსაც ვიგონებ, სხვადასხვა ისტორიის მქონეა. ეს შეიძლება იყოს ორიგინალური კერძი, რომელიც რაღაც ახალი ელემენტებით გავამდიდრეთ და სხვა კერძად ვაქციეთ – მაგალითად, ინგრედიენტები შევცვალეთ, კრევეტები ვასაბით ვასაბიან ლანგუსტინად ვაქციეთ. შეიძლება კერძის გამოგონებისაკენ ხელოვნებამ მიბიძგოს, როგორც ეს ელიზაბეთ პეიტონის მიერ დახატული პორტრეტის შემთხვევაში მოხდა.

ამ შთაბეჭდილებისგან იშვა თევზი სპრატი ჰაბანეროთი და საიმპერატორო ხიზილალით. ხანდახან ინსპირაცია, უბრალოდ, პროდუქტიდან მოდის – ასე მოხდა თევზი ჰამაჩის შემთხვევაში.

სიმართლე გითხრათ, ტენდენციები სულაც არ მადარდებს.

ჩინური სამზარეულო ასობით წლისაა და კვლავაც ყველაზე პოპულარულია.

მას იაპონიაში ხშირად უმად მიირთმევენ, მე კი მისი სერვირება სხვაგვარად მსურდა. ეს პროდუქტი მომზადებისას ძალიან მალე შრება, ამიტომ გამოსავალი ვიპოვეთ – ახლა „ჰამაჩი კონფის“ ჯეიდ სოუსთან ერთად მივართმევთ კლიენტებს.

რომელი პროდუქტების გარეშე არ შეგიძლიათ ცხოვრება და რომელს არ გამოიყენებთ არასოდეს?

არ მიყვარს თირკმელები, ამიტომაც არასოდეს ვამზადებ კერძს ამ პროდუქტის გამოყენებით. ჩემთვის აუცილებელია ცოტაოდენი სიტკბო, სიმჟავე და სიცხარე ყველა კერძში. ასევე აუცილებელია მწიფე ხილის გამოყენება, ციტრუსისა და ძმრის არომატები. კიდევ, არ შემიძლია 17 სახეობის ჩილი მაინც არ მქონდეს, როცა საკვებს ვამზადებ.

რომელ კერძს ანიჭებთ უპირატესობას საკუთარ მენიუში?

ჩემი ყველა კერძი საკუთარი შვილივით მიყვარს.

შეგიძლიათ რეკომენდაცია გაუწიოთ რომელიმე კერძს გერმანული ტრადიციული სამზარეულოდან, რომელიც ყველა მოგზაურმა უნდა გასინჯოს?

ოჰ, ასეთი ძალიან ბევრია! თანაც საქმე ხომ კერძში არაა: საქმე შეფშია, რომელიც ამ კერძს მოამზადებს, ამიტომაც სწორად უნდა ამოირჩიოთ ადგილები ტრადიციული საკვების გასასინჯად.

საბედნიეროდ, მთელ გერმანიაში არაერთი ახალგაზრდა შეფია, რომელიც მალე ვარსკვლავი გახდება. ისინი ადგილობრივი პროდუქტებით და თავიანთი ინდივიდუალური სტილით ქმნიან ახალ გერმანულ სამზარეულოს.

მაღალი სამზარეულოს სამყარო დროდადრო ახალ ტენდენციებს ემორჩილება. მაგალითად, მხოლოდ სეზონური პროდუქტების გამოყენება, ფერმენტაცია. თქვენი აზრით, რა იქნება ახალი ტენდენციის ტალღა მომავალში?

სიმართლე გითხრათ, ტენდენციები სულაც არ მადარდებს. ჩინური სამზარეულო ასობით წლისაა და კვლავაც ყველაზე პოპულარულია.

ხშირად დიდი შეფები თავიანთი კერძებით ჩვენს გრძნობებს ატყუებენ. ვხედავთ ყვავილს და მას ქათმის გემო აქვს, ლოლიპოპს კი – წვნიანის. რას ფიქრობთ ასეთ ექსპერიმენტებზე?

საერთოდ არ მაინტერესებს ამ ტიპის სამზარეულო და არც მზადების ასეთი წესი. ჩვენს რესტორანში ადამიანებს მაღალი ხარისხის საკვებს ვთავაზობთ და არა რაღაც გასართობ კერძებს.

RESTAURANT
TIM RAUE

სადილი
ოთხშბათი-შაბათი
სამზარეულო:
12.00-13.00
რესტორანი
იკეტება: 15.00
ვახშამი
ხუთშაბათი-
შაბათი
სამზარეულო:
19.00-21.00
რესტორანი
იკეტება: 24.00

Rudi-Dutschke-Str. 26
tim-raue.com

RHEINISCHER SAUERBRATEN

წითელი ღვინის ან ძმრის მარინადში დამუშავებულ საქონლის შემწვარ ხორცს ხშირად მოხარშული კარტოფილი და მჟავე კომბოსტო აქვს გარნირად (მარინადში დამუშავების პროცესი 10 დღეს გრძელდება).

EISBEIN MIT SAUERKRAUT UND KLÖSSEN

ღორის კანჭი მჟავე კომბოსტოთი და კარტოფილის ბურთულებით. ჩვეულებრივ, ღორის კანჭი შემწვარია; რაც შეეხება Klößen-ს, გარნირის ეს სახეობა ხშირად ცომის ან კარტოფილისგან მზადდება მოხარშვით და ბურთულების ფორმა აქვს.

SCHNITZEL

შნიცელი, იგივე შემწვარი ხორცი ხშირად სხვადასხვა გარნირთან ერთად იჭმება, თუმცა კარტოფილით და სოკოს კრემით განსაკუთრებულად გემრიელია. შნიცელის დასამზადებლად საჭირო ხორცი, რომელსაც ცომში ავლებენ, შეიძლება იყოს ღორის, ქათმის ან საქონლის.

GRÜNKOHL UND PINKEL

ხახვთან ერთად მოშუშული მწვანე კომბოსტო და შემწვარი სარდელი ბრემენისთვის სახასიათო კერძია, ის კარამელიზებულ მოხარშულ კარტოფილთან ერთად იჭმება და ზამთრის კერძად მიიჩნევა.

MAULTASCHEN

ეს კერძი ბევრს რავიოლის აგონებს. პასტის ცომში გახვეული პროდუქტი, როგორიც არის, მაგალითად, ხორცი ან ისპანახი, შემწვარი ან მოხარშული სახით იჭმება. ის განსაკუთრებულად გემრიელია გერმანიის სამხრეთში.

KÖNIGSBERGER KLOPSE

ნაღების სოუსში ჩაწყობილი ხორცის ბურთულები გატარებული ხორცისგან, კვერცხისა და ლიმონის ქერქისგან მზადდება, ზოგჯერ სუნელებს უმატებენ. ხშირად მოგართმევენ მოხარშული კარტოფილის ან ბრინჯის თანხლებით.

BEER'N, BOHN UN SPECK

მსხალი, მწვანე ლობიო და სტეიკი ადრეული შემოდგომის კერძია და მას ხშირად მოხარშულ კარტოფილთან ერთად მოგართმევენ. ის ტიპურია ჰამბურგისთვის, თუმცა მთელ ჩრდილოეთ გერმანიაშია გავრცელებული. ტკბილი და ცხარე ინგრედიენტების ნაზავი განსხვავებულ, საოცარ გემოს ქმნის.

FRITTATENSUPPE

საქონლის ნახარშში შერეულ „ნუდელსს“ ხშირად აყრიან ქონდართან ერთად გამომცხვარ თხელ პურისებრ ბლინებს, რომლებიც წვრილად არის დაჭრილი.

SPARGEL (ASPARAGUS)

ის, ვისაც არ სურს ხორციანი კერძის მიღება აპრილიდან ივნისის ბოლომდე, თითქმის ყველგან იპოვის სპარგით დამზადებულ კერძებს. უგემრიელესია სპარგის კრემსუპი, რომელიც კარაქისა და თეთრი ღვინისგან მზადდება. შეგიძლიათ მიირთვათ სპარგის პიცაც.

NORDDEUTSCHE KRABBEN

ჩრდილოეთ გერმანიაში გავრცელებული კრაბისგან მრავალ საინტერესოდ მომზადებულ კერძს გასინჯავთ. მაგალითად, Büsumer Krabben-ი ძალიან ტიპური კრაბის სახეობაა, ის მხოლოდ 9.5 სანტიმეტრია, ღია ყავისფერი.

დღეს დელიკატესად მიჩნეული ეს კრაბი დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა ღარიბთა საჭმელად. მას საკმაოდ ნაზი და მსუბუქად მოტკბო გემო აქვს და ხშირად პურსა და კარაქთან ერთად მიირთმევენ.

გარდა ამისა, ჩრდილოეთში კრაბს ნახავთ ყველანაირ საჭმელთან ერთად: სალათებში, წვნიანებში, ცივი, ცხელი, შემწვარი თუ მოხარშული სახით.

KARTOFFELSALAT

ეს კერძი ძალიან ხშირად იჭმება ძეხვეულსა და შნიცელთან ერთად. კარტოფილის სალათა მოხარშულ და დაჭრილ კარტოფილში შერეული ხახვის, ძმრისა და მდოგვისგან მზადდება.

KARTOFFELSUPPE

ერთგვაროვანი წვნიანი, რა თქმა უნდა, კარტოფილისგან მზადდება და მისი მომზადების ტექნოლოგია გერმანიის ბუნდესლანდების მიხედვით ძალიან მრავალფეროვანია, თუმცა ძირითადი ინგრედიენტი ყოველთვის აქტიურად არის წარმოდგენილი. ხშირად შეხვდებით წვნიანში ჩაჭრილ Weisswurst-საც.

BUTTERBROT

რაინის მხარეში მას Bütterken-ი, საქსონიაში – Bemme, ბერლინში კი Stulle ჰქვია. 1525 წელს მარტინ ლუთერმა ეს ბუტერბროდი აღწერა, როგორც „შესანიშნავი საჭმელი ბავშვებისთვის“.

ის ოდესღაც მხოლოდ კარაქწასმული პურის ნაჭერი იყო. დღეს ბუტერბროდს ამზადებენ ლორისგან, ძეხვისაგან, ყველისაგან.

გერმანულ კულინარიაში ბუტერბროდს შეუცვლელი ადგილი უჭირავს.

DÖNER KEBAB

Döner Kebab-ის რეცეპტი ბერლინში 1972 წელს შეიქმნა თურქული ანალოგის მიხედვით.

შებოლილი ან გრილზე შემწვარი წვრილად დაჭრილი ხორცი ცხარე წიწაკაში ან ქორფა ბოსტნეულშია გარეული და ლავაშში ან ფუნთუშაშია მოთავსებული. ის ყოველთვის გაჯერებულია დამახასიათებელი სოუსით.

RIPPCHEN

ნეკნები სხვადასხვა ფორმით და სახით შეიძლება მიირთვათ – როგორც გრილზე ან ღუმელში შემწვარი, ისე მოხარშული.

საქონლის ან ღორის ნეკნებს ხშირად სპეციალურ სოუსთან ერთად მოგართმევენ, გარნირად კარტოფილს აყოლებენ, შემწვარს – შემწვარი სახით, მოხარშულს – მოხარშული სახით.

GOULASH

უნგრული წარმოშობის მიუხედავად ეს წვნიანი კერძი გერმანიაში ძალიან უყვართ.

ის საქონლის ხორცისგან, ბოსტნეულისა და ტომატისგან მზადდება და ხშირად ცხარე წიწაკას უმატებენ.

რას სვამენ გერმანიაში

COLD BREW COFFEE

ამბობენ, რომ ეს, უბრალოდ, ცივი ყავაა, მაგრამ საქმე მთლად ასეც არ არის. ის ძალიან გემრიელი და სასარგებლოა. Cold Brew Coffee ნაკლებად შეიცავს მწარე ნივთიერებებსა და მჟავებს, ვიდრე მისი ცხელი ნაირსახეობა. ვისაც მგრძნობიარე კუჭი აქვს, მაგრამ ყავა ძალიან უყვარს, ეს სასმელი მათთვის იდეალურია. მომზადებისას ახალდაფქულ ყავის ფხვნილსა და ცივ წყალს ერთმანეთში ურევენ, 12 საათს აჩერებენ და ფილტრავენ. ეს ყავა შეგიძლიათ ნაღებთან ან ნაყინთან ერთად მიირთვათ.

შორლე და ლიმონათები

კიტრი გამაგრილებელ ზემოქმედებას არა მხოლოდ კოსმეტიკური ნიღბის გამოყენების დროს ახდენს. აბა, სცადეთ, კიტრის წვენს შაშკვლავის (ბაზილიკის) ფოთოლი დაუმატეთ და ამ სასმელს მაშინვე დააფასებთ. არსებობს მეორე ვარიანტიც – ლავანდის ლიმონათი, რომელსაც პროსეკოს დაუმატებთ. თუ ალკოჰოლიანი სასმელი არ გიყვართ, ქაცვის ან ვაშლის შორლე მიირთვით.

წყალი

ნუთუ შეიძლება ერთი ბოთლი მინერალური წყალი 30 ევრო ღირდეს?! ეს ფასი ალბათ ზედმეტად ბურჟუაზიულად მოგეჩვენებათ და მართალიც იქნებით. ზოგიერთ რესტორანში სპეციალურ „წყლის რუკასაც“ შემოგთავაზებენ. მაგალითად, შესაძლოა გასინჯოთ წვიმის წვეთებისგან შეგროვებული, მყინვარიდან აღებული, ოკეანის სიღრმეების ანდა დაბალანსებული მინერალებით გაჯერებული წყალი.

ამას გარდა, გერმანიაში უამრავი მინერალური წყაროა, რომლებიდანაც უმაღლესი ხარისხის წყალი მოედინება. დაბოლოს, ყველაზე იაფფასიანი და ხელმისაწვდომი საშუალება – უბრალოდ, ონკანი მოუშვით და დალიეთ.

გერმანიაში ძეხვის მომზადების უძველესი ტრადიციები არსებობს, რომლებიც რეგიონების მიხედვით განსხვავდება. ძეხვეული (ძეხვები და სოსისები) სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: ROHWÜRSTE, KOCHWÜRSTE, BRÜHWURSTE.

ROHWÜRSTE

ძეხვეულის ამ სახეობას მიეკუთვნება დამარილებით, შებოლვითა და გამოშრობის ტექნოლოგიებით დამზადებული ძეხვები. მათ შორის არის, მაგალითად, Deutsche Salami (გერმანული სალიამი) და Bratwurst-ების, იგივე შესაწვავი ძეხვების ნაირსახეობა, რომელიც გერმანიის ყველა რეგიონს თავისებური სახით აქვს წარმოდგენილი, თუმცა ყველაზე ცნობილი მათ შორის Thüringen-ისა და Nuernberg-ის ნაირსახეობებია. მისი ნაწილი Brühwurste-ის სახეობასაც მიეკუთვნება. მას ყველაზე ხშირად გრილზე შემწვარს მიირთმევენ.

KOCHWÜRSTE

ძეხვეულის ეს სახეობა სხვებისგან იმით განსხვავდება, რომ ბევრი დასახელების ძეხვი ნაწლავში ან კონკრეტულ დამუშავების პროცესში ფორმებში თავსდება, შემდეგ კი საჭიროებისამებრ ერევა სისხლი და ღვიძლი და გაცხელება-გაცივების მეთოდით იღებს საბოლოო სახეს. ასეთი ძეხვის ტიპს მიეკუთვნება, მაგალითად, Blutwurst-ი, რომლის შემადგენელი ძირითადი კომპონენტიც ღორის სისხლია.

Münchner Weisswurst – თეთრი ძეხვის ამ სახეობიდან განსაკუთრებით გავრცელებულია მიუნხენური წარმოშობის. მას, ტრადიციულად, დღის 12 საათამდე, საუზმესა და სადილს შორის პერიოდში მიირთმევენ ცხელ წყალში გაცხელების ან მოხარშვის შემდეგ. ჩვეულებრივ, ტკბილ მდოგვსა და Brezeln-თან ერთად ჭამენ, უხდება თეთრი ლუდიც. არ დაგავიწყდეთ, რომ სანამ ჭამას დაიწყებთ, კანი უნდა მოაშოროთ.

BRÜHWURSTE

ძეხვის ეს სახეობა ჭამის წინ იხარშება და ხშირად საქონლის და ღორის ხორცისგან, ცხიმისა და წყლისგან მზადდება. გატარებულ ხორცს უმატებენ წყალს ყინულის სახით და მაღალ ტემპერატურამდე (68°C) აცხელებენ, რის შემდეგაც ისევ აცივებენ. ეს საშუალებას იძლევა, რომ ძეხვი დიდხანს შეინახოს. მხოლოდ ამის შემდგომ უმატებენ დანამატებსა და არომატიზატორებს. ამ სახეობის ძეხვეულს მიეკუთვნება, მაგალითად:

Bockwurst – ბავარიული წარმოშობის სარდელი, რომელსაც მოხარშულს ან შემწვარს ჭამენ.

Frankfurter Würstchen – იგივე ფრანკფურტერის სოსისი მხოლოდ ღორის ხორცისგან მზადდება და სასურველია, რომ მხოლოდ Frankfurt am Main-ში წარმოებული მიირთვათ. ეს მისი წარმოშობის ადგილიც არის, მას სხვანაირად Vienner Frankfurter-საც უწოდებენ. სოსისის ვენური ვერსია იმით განსხვავდება, რომ მასში საქონლის და ფრინველის ხორციც ურევია.

Leberkäse – პაშტეტისებრი ძეხვი სინამდვილეში მხოლოდ 5% ღვიძლს შეიცავს, დანარჩენი ხშირად საქონლისა და ღორის ხორცისგან მზადდება. მხოლოდ ბავარიაში თუ ნახავთ ამ ძეხვს ღვიძლის შემცველობის გარეშე. ის იჭმება როგორც ცივი, ისე ცხელი, შემწვარი სახით.

Jagdwurst – მონადირის ძეხვი, ძირითადად, ცივად იჭმება, თხლად დაჭრილი სახით; კერძებიდან მაკარონს, სალიანკასა და კარტოფილის წვნიანს უმატებენ ხოლმე.

Bierwurst – მას ბავარიელები გემრიელ ლუდთან და პურთან ერთად მიირთმევენ, განსაკუთრებით გავრცელებულია სამხრეთ გერმანიაში. ძეხვის ამ სახეობას ხშირად ნივრის გემო დაჰკრავს და ძალიან უხდება მდოგვი.

Bierschinken – ამ ტიპის ძეხვების მეფედაც არის ცნობილი, მის შემცველობაში შედის ღორის, საქონლისა და ფრინველის გატარებული ხორცი, ასევე, დიდად დაჭრილი საქონლის ხორცის ნაჭრები. ძეხვის ეს სახეობა შეგიძლიათ სქლად დაჭრილი მიირთვათ, ან პურთან ერთად – თხლად დაჭრილი.

CURRYWURST

გერმანიაში ეს ძეხვი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი საჭმელია, ის უფრო კერძია, ვიდრე ძეხვი და ხშირად შემწვარს მიირთმევენ. დაჭრილი ძეხვი ტომატის სოუსსა და ზემოდან მოყრილ ქარის სანელებელთან ერთად განსაკუთრებულად გემრიელია.

ALLGÄUER BERGKÄSE

ის მაგარი ყველის სახეობებს მიეკუთვნება, მზადდება კონკრეტულ ტერიტორიებზე მობინადრე საქონლის რძისაგან, გარეგნულად ყვითელია, ყავისფერი ქერქით. გემო საოცრად ნაზი და არომატული აქვს.

ZIEGENKÄSE

ალთენბურგის ცხვრის ყველი რბილი ყველის სახეობას მიეკუთვნება. მასში ძროხის რძესაც ურევენ. ყველს რბილი თეთრი ქერქი აქვს, შიგნით ღია ყვითელი ნაზი მასაა, რომელშიც გარეულია კვლიავი.

ALLGÄUER EMMENTALER

ემენტალერის ეს სახეობა IX საუკუნიდან მზადდება შვეიცარიული რეცეპტით, ძროხის რძისგან. ყველი გლუვი და ოქროსფერია, სახასიათო ალუბლისხელა ნახვრეტებით. მის ნაზ და პიკანტურ გემოს თხილისებური არომატი და მსუბუქი სიცხარე დაჰკრავს.

OBAZDA

ბავარიული წარმოშობის ყველის კრემისებური ნაირსახეობაა, რომლის შემადგენლობაშიც სხვა ყველები (Camembert ან Brie, Romadur, Limburger), სუნელები და წიწაკა შედის. რბილი ყველები ხანგრძლივად ინახება კარაქისა და სხვა ინგრედიენტების შერევის გზით.

გერმანიაში ყოველწლიურად საშუალოდ კაცზე 20კგ 150-მდე სახეობის ყველი მზადდება.

BREZEL

ბრეცელი ტრადიციული გერმანული ცომეულია. ის სხვადასხვა სახისაა: დიდი და პატარა, ტკბილი და მარილიანი, ზემოდან მოყრილი სეზამის მარცვლებით ან მზესუმზირით, მაგრამ ყველაზე გავრცელებული მაინც მარილმოყრილია. ბავარიაში მას შუადღისას მიირთმევენ ტრადიციულ Weisswurst-სა და ლუდთან ერთად. შვაბური ვერსიის თანახმად კი, ბრეცელი კარაქთან ერთად უფრო გემრიელია.

PUMPERNICKEL

ფუმფერნიქელი შავი პურის განსაკუთრებული სახეობაა, რომელიც მთელ მსოფლიოშია ცნობილი. ის მუქი ფერისაა, მაგარი და მოტკბომომჟავო გემო აქვს, მიუხედავად იმისა, რომ მზადების პროცესში შაქარი არ გამოიყენება. ტრადიციულად, პური ჭვავის მარცვლებისა და ფქვილისაგან მზადდება და, სულ ცოტა, 16 საათის განმავლობაში ცხვება. თუ მას შეფუთული სახით შეინახავთ, ერთი წელი არაფერი მოუვა.

BRÖTCHEN

ბროთჰენები, იგივე პატარა პურები ტიპური ცომეულია, რომელიც ნებისმიერ კერძთან შეგიძლიათ მიირთვათ. გარეგნულად ის ფუნთუშას ჰგავს, თუმცა ვერ ნახავთ ტკბილი სახით. ხშირად ზემოდან მოყრილი აქვს მზესუმზირის, სეზამის მარცვლები ან ყაყაჩოს თესლი. ყველაზე ხშირად მას მაინც დილით, ახალგამომცხვარს, საუზმეზე მიირთმევენ კარაქგადასმულს, ყველთან, ძეხვეულთან, მაგრად მოხარშულ კვერცხთან ერთად.

VOLLKORNBROT

ხორბლის მარცვლებისგან დამზადებული ამ პურის შემადგენლობის 90% ხორბლის ფქვილია, დანარჩენ 10 %-ს წყალი, საფუარი, მარილი და სუნელები შეადგენს. მყიდველებს ხშირად უჭირთ ვიზუალურად მისი სხვა სახეობებისგან გარჩევა. პურის ეს სახეობა განსაკუთრებით ჯანსაღ პროდუქტად ითვლება და მას ხშირად ბიომაღაზიებში შეხვდებით.

PLÄTZCHEN

საშობაო ნამცხვრების ერთ-ერთი სახეობაა. პატარა ზომის ვანილის და დარიჩინის ნამცხვარში ხშირად ურევენ თხილს, შოკოლადს და ჯემს. ყველა ოჯახს საკუთარი რეცეპტი აქვს და მის გამოცხობაში ყველა ასაკის ადამიანი მონაწილეობს.

QUARKKEULCHEN

ყავასთან მისაყოლებელი შემწვარი ხაჭოს ბურთულები ხაჭოს ცომის, დარიჩინის, ლიმონისა და ქიშმიშისგან მზადდება; მას ვაშლის მუსს უსვამენ ან, უბრალოდ, შაქრის პუდრს აყრიან.

CHRISTSTOLLEN

ესეც საშობაო ნამცხვარია, რომელსაც გერმანიაში ყველა საშობაო სუფრაზე იხილავთ. მძიმე ცომში ხშირად ურევენ ნუშს, ქიშმიშს, სუნელებს, ლიმონისა და ფორთოხლის ცედრას. განსაკუთრებით ცნობილია დრეზდენის Christstollen-ი.

KAISERSCHMARRN

ახლად გამომცხვარი, წვრილად დაჭრილი კარამელიზებული ბლინი ხშირად შერეულია ხილის სოუსსა და ნაყინთან. ის ერთდროულად ნაზიცაა და არომატულიც.

SCHWARZWÄLDER KIRSCHTORTE

კრემიანი დესერტების მოყვარულთათვის ეს ტიპური გერმანული დესერტი აუცილებლად გასასინჯთა სიაში უნდა იყოს. შავი შოკოლადის ტორტი ჰაეროვანი კრემით და ალუბლებით მართლაც რომ განსაკუთრებულად გემრიელია გერმანიაში.

FRÜCHTEBROT-ADVENTIS

გერმანიაში შობისთვის და წინასაშობაო პერიოდში სხვადასხვა ტიპის ტკბილეული ცხვება. მათ შორის ტრადიციულია ხილის პური.

ტკბილ ცომში უხვად არის შერეული ქლიავის, ვაშლის, ატმის და ლეღვის ჩირი, ზოგჯერ თხილი, ნიგოზი ან ფიჯვის ნაყოფი.

ბევრ ოჯახს ხილის პურის დამზადების საკუთარი რეცეპტი აქვს.

გერმანიაში 300 სახეობის, 1200-ზე მეტი დასახელების პურეულს შეხვდებით. ერთი მოსახლე საშუალოდ წელიწადში 80 კგ პურს მიირთმევს.

DER PHARISÄER

ტიპური ჩრდილოეთგერმანული ნაციონალური სასმელი ყავის სახეობაა, რომლითაც ხელებს, გულსა და სულს გაითბობთ. ეს მაგარი ყავა დაგარწმუნებთ, რომ უალკოჰოლო სასმელიც შეიძლება იყოს ბედნიერების და სიხარულის წყარო.

ინგრედიენტები: რომი, შაქარი და ყავა, ზემოდან ნაღები. **გაითვალისწინეთ ამ სასმლის დალევის მთავარი წესი: მორევა არ შეიძლება!**

„რისლინგის სასწაული“

თეა სხიერელი

რისლინგი მთელი სამყაროა თავისი მილიონი ელფერით. ის შეიძლება ძალიან მშრალი იყოს, ანდა დელიკატურ ხილის ნოტებს შეიცავდეს. რისლინგის სახესხვაობა დამოკიდებულია იმაზეც, თუ რა სიმაღლეზე მდებარეობს ვენახი.

რისლინგის ხარისხის გაუმჯობესება ახალ ათასწლეულში კლიმატის დათბობით აიხსნება. კვლევები, რომლებიც რეინგაუში ჩატარდა, აჩვენებს, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში რეგიონში საშუალო ტემპერატურამ ერთი გრადუსით მოიმატა; გერმანული მეღვინეობის წარმატებასა და „გიგანტურ გარღვევაში“ გადამწყვეტ როლს სწორედ ეს მცირე სხვაობა ასრულებს. მაგალითად, ე. წ. ეკსლეს გრადუსი (ღვინის ბადაგის სიმკვრივის მაჩვენებელი), რომელიც შაქრის შემცველობას განსაზღვრავს, არსებითად შეიცვალა. თუ 30 წლის წინ ის ეკსლეს სკალაზე 71 გრადუსს შეადგენდა, დღეს 90-ს აჭარბებს. რისლინგი საგრძნობლად დატკბა და მკაფიო მჟავე გემოც დაკარგა.

მსოფლიო მასშტაბით რისლინგის წარმოებაში გერმანიის წილი დაახლოებით 60 პროცენტია. აღმოჩნდა, რომ ხანგრძლივი მწიფობის ყურძნის ჯიშებს ყველაზე მეტად სწორედ ჩრდილოეთის ველები მიესადაგება. ამ კლიმატის წყალობით იქმნება მრავალფეროვანი, რთული არომატი და სასიამოვნო, ამჯერად უკვე მცირედ მომჟავო გემობრივი ელფერი.

Saarland-სა და Mosel-ის ციცაბოებზე მოყვანილი რისლინგი თავის განუმეორებელ ღირსებებს სამ უმთავრეს ფაქტორს უნდა უმადლოდეს: მდინარის ხეობას, რომელსაც ლამის ვერტიკალურად მიუყვება ნაპირები; ფიქლის ნიადაგებს; ვეგეტაციის ხანგრძლივ პერიოდს. ამის წყალობით იქმნება ღვინოები, რომლებსაც მაღალი მჟავიანობა ახასიათებს. ყველაზე ტკბილ ღვინოებშიც კი ალკოჰოლის შემცველობა 7-8 პროცენტია, მათ გემოს ძლიერი არომატი ამშვენებს და მინერალური მარილების მაღალი შემცველობის გამო დალევის შემდეგ გემო პირში ხანგრძლივად ნარჩუნდება.

Mosel-ის როგორც მშრალი, ისევე ტკბილი რისლინგი თავისუფლად შეძლებს გაეჯიბროს ელეგანტურ ღვინოებს, რომლებიც უფრო გრილ კლიმატურ რეგიონებში მოყვანილი ყურძნისგან მზადდება. ამიტომ უფრო და უფრო მეტი ტოპ-მწარმოებელი ცდილობს, ვენახი ძველ ფერდობებზე გააშენოს. ეს ადგილები რთულად დასამუშავებელია, მაგრამ შედეგი ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. აუცილებლად მიირთვით პფალცის რისლინგი, რომელიც დატვირთული გემოთი და ხილის (გრეიპფრუტის, ატმის) არომატებით გამოირჩევა.

Rheinhessen-ი მევენახეობის უდიდესი რაიონია, რომელიც ადრე ტკბილი Liebfraumilch-ის წარმოებასა და ექსპორტს ეწეოდა. თუმცა დღეს ამ ჯიშის წარმოშობის ადგილებშიც კი (რაინის სანაპიროებზე, ვორმსის წმ. მარიამის ეკლესიის ვენახებში) კეთილშობილი სახეობის რისლინგი მოჰყავთ. ის სახეობებიც კი, რომლებიც მდინარე ნაეს ნაპირებზე ხარობს, ჩინებული გემოთი და სურნელოვანი ბუკეტით გაგაკვირვებთ.

გერმანიაში ღვინოს 13 რეგიონში, 102 000 ჰა-ზე არსებული ვენახების მოსავლისგან აწარმოებენ. ვაზის ჯიშების უმეტესობა ადგილობრივი წარმოშობისაა. 2016 წელს ღვინის ნაწარმის მოცულობაა 9,5 ჰლ შეადგინა. ე. წ. ბიოღვინის რაოდენობა ბაზარზე 4-5%-ია.

გერმანიაში დაახლოებით 140 ჯიშის ყურძენი მოჰყავთ, თუმცა მათგან ყველაზე გავრცელებული მხოლოდ 24-მდე ჯიშია – უპირველესად, თეთრი რისლინგი და მიულერ-ტურგაუ. გერმანია 65% თეთრ და 35% წითელ ღვინოს აწარმოებს.

გერმანია რისლინგის ნამდვილ სამშობლოდ მიიჩნევა. RIESSLINGEN-ის სახელით ის XV საუკუნიდანაა ცნობილი და GOUAIS BLANC-ის ჯიშისგან დაიბადა. ორივე რაინის სანაპიროებზე მოჰყავდათ. 1716 წელს ბენედიქტელმა აბატმა იოჰანეგერგის მონასტრის ვენახებში მხოლოდ რისლინგი გააშენა. სულ მალე აქ უკვე 294 000 ძირი რისლინგი ხარობდა და ეს ჯიში რეინგაუსა და მოზელში გავრცელდა.

როგორ ავირჩიოთ

თეთრი ღვინის მარკებს შორის რისლინგი ყველაზე დახვეწილი და მომხიბვლელია, მაგრამ სანამ ამას შეიგრძნობდეთ, აუცილებლად მოგიწევთ ეტიკეტის გულდასმით წაკითხვა. ყურადღება მიაქციეთ შემდეგ მახასიათებლებს:

მჟავიანობა და შაქრიანობა

რისლინგის მთავარი ღირსება მისი გამორჩეული მჟავიანობაა. შაქრის ყველაზე მაღალი შემცველობის მქონე მარკებშიც კი, მჟავიანობის წყალობით, რისლინგის გემო ტკბილსა და ცინცხალს შორის იდეალურად დაბალანსებულია.

არომატების მრავალსახოვნება

ციტრუსების ელფერი რისლინგისთვის ტიპურია. თუ ახალ ღვინოს აირჩევთ, იცოდეთ, რომ მისი ბუკეტი ვაშლისა და მსხლის ტონებით, ასევე ბენზოლის (ნავთის, დიზელის), დამწვარი რეზინის ნოტებით ხასიათდება, რომლებიც ჰარმონიულად ერწყმის ღვინის ერთიან გემოს, ხოლო დავარგებული (ძველი) რისლინგი, ზემოთ ჩამოთვლილ ღირსებებთან ერთად, მდიდარია თაფლის ტონებითაც; ახალი სადესერტო მარკები ეგზოტიკური ხილის, თეთრი ყვავილების, ატმის სურნელით გამოირჩევა, ხოლო დავარგებული სადესერტოები – ყველანაირი ხილის ჩირის ბუკეტით.

კატეგორიები

KABINETT

ყველაზე მშრალი, როგორც წესი, ყველაზე მარტივი;

SPÄTLESE

მეტ-ნაკლებად მოწეული ყურძნისგან დაწურული;

AUSLESE

კარგად დამწიფებული ნაყოფისგან დამზადებული;

BEERENAUSLESE

გადამწიფებული, დაჩამიჩებული, ნარჩევი მარცვლებისაგან დამზადებული სახეობა;

EISWEIN

ღვინო, რომლის დასამზადებლადაც ყურძენი პირველი ყინვების დაწყებამდე იკრიფება;

TROCKENBEERENAUSLESE

ან, უბრალოდ, TBA, გამომშრალი, ნარჩევი, მხოლოდ სრულიად ობმოკიდებული მარცვლებისგან დამზადებული.

QMP – QUALITÄTSWEIN MIT PRÄDIKAT ყველაზე ხარისხიანი ღვინის კატეგორიაზე მიუთითებს. ყურადღება მიაქციეთ მოსავლის აღების დროს – ადრეული ან გვიანი. რაც უფრო გვიანი და კეთილშობილი ობითაა დაფარული მოსავალი, ღვინო მით უფრო ტკბილია, ე. ი. შეფასების ამ სისტემის გათვალისწინებით, უკეთესია.

შაქრიანობის მაჩვენებლის სისტემის გარდა არსებობს VDP კლასიფიკაციაც, რომლის მიხედვითაც, მშრალი ღვინოები (TROCKEN) არანაკლებ ხარისხიანია, ვიდრე ტკბილი – VDP GG (VDP GROSSES GEWÄCHS)/ QUALITÄTSWEIN TROCKEN.

VOYAGER რეკომენდაცია

STEINWIEGE RIESLING 2015

წარმოებულია Württemberg-ში
100% Riesling
მეღვინეობა: Schnaitmann
მშრალი
გრეიპფრუტის, მწვანე ვაშლისა და ლაიმის ინტენსიური გემო; კარგად დაბალანსებული, მინერალების ნოტებით.
ფასი: 20€-დან

NEU-BAMBERGER RIESLING 2015

წარმოებულია Rheinhessen-ში
100% Riesling
მეღვინეობა: Christian Steitz
მშრალი
ლიჩის სურნელითა და კარგად დაბალანსებული, ლაიმისა და ბურკის გემოთი.
ფასი: 25€-დან

JOHANNISBERGER KLAUS RIESLING SPÄTLESE 2015

წარმოებულია Rheingau-ში
100% Riesling
მეღვინეობა: Johannishof, Johannes Eser
ტკბილი
მდიდარი, ღრმად კონცენტრირებული ხილის გემოები; დაბალანსებული, მდიდარი ტექსტურით. **ფასი:** 25€-დან

გერმანული ლუდი

კანონს ლუდის სიწმინდის დაცვის შესახებ 500 წელი შეუსრულდა. 1516 წლის 23 აპრილს ინგოლშტადტში ჰერცოგმა ვილჰელმ IV-მ გამოსცა კანონი, რომელიც ლუდის დამამზადებლებს გარკვეული წესების დაცვას ავალდებულებდა. ეს არის მსოფლიოში უძველესი ლუდის ხარისხის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც გერმანიაში ლუდის გამოსახდელად მხოლოდ სვია, ალაო, წყალი და საფუარი უნდა გამოყენებინათ. ამ კანონს დღემდე უპირობოდ იცავენ ტრადიციულ გერმანულ ლუდსახარშებში.

ლუდის სახდელები

გერმანიაში ლუდის **1388 საწარმოა**. ეს ქვეყანა ერთ სულ მოსახლეზე ლუდის სახდელების რაოდენობით მსოფლიო ლიდერია. მათი 70% ბავარიაში, ბადენ-ვიურტემბერგსა და ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიაში მდებარეობს. ლუდის საწარმოების რიცხვი ბერლინშიც თანდათან იზრდება – უფრო მეტად მცირე ლუდის სახდელების ხარჯზე, რომლებიც ე. წ. „კრაფტულ“ ლუდს (Kraft Beer) აწარმოებენ.

წარმოების სტატისტიკა

2016 წელს გერმანიაში **95,6 ათასი ჰლ ლუდი აწარმოეს**. გერმანელი ლუდის მწარმოებლები ევროპაში პირველ ადგილს იკავებენ. მეორე ადგილზეა რუსეთი (81,6), მას მოსდევს დიდი ბრიტანეთი (41,2) და პოლონეთი (39,8). მსოფლიო მასშტაბით, ჩინეთის (**492,1**), ამერიკის (**225,9**) და ბრაზილიის (**140,4**) შემდეგ, გერმანია მეოთხე ადგილზეა.

ექსპორტი

წელიწადში 1,69 მლრდ ლიტრზე მეტი

გერმანული ლუდი **საზღვარგარეთ გადის.** ყველაზე მსხვილი შემსყიდველები იტალია, საფრანგეთი და ნიდერლანდები არიან, რომლებიც ჩინეთსა და აშშ-ს უსწრებენ.

უჩვეულო სტატისტიკა

არსებობს სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც გერმანელები ლუდის მსმელი ერია, თუმცა ისინი არც ევროპის და არც მსოფლიო ჩემპიონები არ არიან. ეს ტიტული ჩეხებს ეკუთვნით.

საშუალოდ, წელიწადში **თითოეული ჩეხი 144** ლიტრ ლუდს სვამს, **გერმანელი – 107** ლიტრს.

საუკეთესო სამეული

HACKER-PSCHORR
ტიპი: **Oktoberfest Märzen**
ალკოჰოლის შემცველობა: **6%**
Hacker-Pschorr Bräu GmbH-ის ლუდსახარში, დაფუძნებულია მიუნხენში 1417 წელს, ლუდის სიწმინდის კანონის მიღებამდე 99 წლით ადრე.

SCHNEIDER WEISSE TAP 6
ტიპი: **Weizenbock**
ალკოჰოლის შემცველობა: **8.2%**
მწარმოებელი: Weisses Bräuhaus G. Schneider & Sohn GmbH

AUGUSTINER HELLES
ლაგერის ტიპის
ალკოჰოლის შემცველობა: **5.2%**.
მწარმოებელი: Augustiner-Bräu, ლუდსახარში დაფუძნებულია მიუნხენში 1328 წელს.

ყოველწლიურად გერმანიაში ლუდის მოხმარება საშუალოდ 2 ლიტრით კლებულობს. გერმანელები უპირატესობას მინერალურ წყალს ანიჭებენ და წელიწადში საშუალოდ 150 ლიტრს სვამენ.

გავრცელებული სახეობები – PILS თუ WEIZEN?

Pils ყველაზე პოპულარული გერმანული ლუდია. ქვეყნის ჩრდილოეთში ის ბაზრის 70%-ს იკავებს.

Pils გამჭვირვალე, ოქროსფერ-ქარვისფერი ლუდია სვიის მომწარო გემობრივი ელფერით. მას თაყვანისმცემლები არა მხოლოდ ჩრდილოეთში, არამედ დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიაშიც ჰყავს.

ამ ლუდს სახელი ჩეხეთის ქალაქ პლზენის გამო დაერქვა: XIX საუკუნის შუა ხანებში იქ ლუდის ხარისხი ისეთი დაბალი იყო, რომ „ლიცენზიის მქონე მოქალაქეთა ჯგუფმა“ გადაწყვიტა, ლუდსახარში აეშენებინა. ლუდის მხარშველი იყო ბავარიელი იოზეფ გროლი, რომელმაც პლზენში ძირეული აფუების რეცეპტი ჩაიტანა.

ძირეულ აფუებაში ლუდის ხდის ისეთი მეთოდი იგულისხმება, რომლის დროსაც საფუარი დუღილის პროცესის შემდეგ კასრის ძირზე ეშვება (თავიდან ლუდის წარმოებაში ზედა აფუების წესი გამოიყენებოდა, როცა საფუარი სითხის ზედა ნაწილში რჩება). Pils-ს სპეციალური, ტიტის ფორმის მინის კათხაში ჩამოსხმულს შემოგთავაზებენ.

Weizenbier (ხორბლის ლუდი), ასევე ცნობილი, როგორც „თეთრი ლუდი“ გერმანიას სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ სვლით იპყრობდა. ლუდის სახეობებს შორის ის „ყველაზე უფრო ბავარიულად“ მიიჩნევა და ხანგრძლივი ისტორია აქვს.

ხორბლის ლუდი ბავარიაში ჯერ კიდევ ჩვ. წ. პირველ საუკუნეებში დამკვიდრდა. ასწლეულების შემდეგ ვითარება უცებ შეიცვალა, როცა 1567 წელს ბავარიის ხელისუფალმა ხორბლის ლუდის წარმოება აკრძალა. მიზეზი ძალზე საეჭვო ჩანდა: „სასმელი უსარგებლოა“, რადგან „კვლავ და კვლავ დალევის სურვილს აღძრავს“. არადა, სინამდვილეში, მმართველებს არ სურდათ, მეტად საჭირო და ფასეული ხორბალი ლუდის ხარშვაზე დახარჯულიყო. თუმცა ბავარიის კურფიურსტებმა თავიანთთვის პრივილეგიები დაიტოვეს და ხორბლის ლუდი მათი გამდიდრების წყაროდ იქცა.
დღეს ხორბლის ლუდის წარმოებაზე არანაირი აკრძალვა აღარ არსებობს. მისთვის დამახასიათებელი ხილის არომატებისა და ნახშირმჟავების გამო ლუდის ეს სახეობა განსაკუთრებით ზაფხულშია პოპულარული. მას მაღალი, ოდნავ გაღუნული კათხებით სვამენ, რომლებში ლუდის ჩამოსხმაც თავისებური ხელოვნებაა.

CRAFT BEER

აუცილებლად გასინჯეთ ახალი გერმანული „კრაფტული“ ლუდი (ინგ. Craft – ხელობა). დღეს მრავალი პატარა საწარმო „ლუდის სიწმინდის კანონს“ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. ამერიკიდან და სკანდინავიიდან გერმანიაში შემოიჭრა ახალი მოძრაობა – ექსპერიმენტატორი, მეამბოხე, საავტორო ლუდის მწარმოებლებით. ეს დიდ ქალაქებში არსებული მოდური ლუდსახარშებია, რომელთა ნაწარმი განსაკუთრებული გემოთი გამოირჩევა. მთავარი ინგრედიენტები სვია, ქერი და საფუარია (ოღონდ არომატიზებული), მაგრამ იგრძნობა ციტრუსის გემო, სამხრეთული ხილის ან წითელი კენკრის სურნელი.

თუ ლუდში მალე ხილი ან სუნელები აღმოჩნდება, შეეგუება კი ამას „კანონი ლუდის სიწმინდის შესახებ“? შესაძლოა გამონაკლისები დაუშვან. მარკები Leipziger Gose და Berliner Weisse განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობს, თუმცა ბავარიაში – არა, სადაც „სიწმინდის“ კანონებს მკაცრად იცავენ. არადა, Craft Beer-ის სულ უფრო მეტი ნოვატორი-მწარმოებელი ჩნდება, რომელიც 500-წლიან კანონს „ხელთათმანს ესვრის“.

გერმანიის დედაქალაქი ბერლინი ცდილობს „კრაფტული“ მოძრაობის ეპიცენტრი გახდეს.

ლუდის რეგიონული სახეობები

ჩრდილოეთ გერმანიაში, უპირველესად, ბავარიაში ფართოდაა გავრცელებული Lager ანუ Exportbier – ასევე ცნობილია, როგორც Bayrisch Hell. ეს ლუდი მცირე რაოდენობით სვიას შეიცავს, მოტკბო გემო დაჰკრავს და იფილტრება, რის გამოც ეწოდა მას Hell ანუ „ნათელი“.
რაინზე გელოდებათ სულ ცოტა, ორი საგანგებო სასმელი – Kölsch (კიოლნიდან) და Alt (დიუსელდორფიდან). 1986 წლის Kölsch-Konvention-ის ხელშეკრულების თანახმად, ამ სახეობის ლუდი კიოლნსა და მის გარშემო მხოლოდ 24 საწარმოს შეუძლია დაამზადოს. Altbier-ი კი უმთავრესად დიუსელდორფში იხარშება. მისი წარმოება ლუდის ხდის ტრადიციულ, ზედა აფუების მეთოდს ემყარება. სასმელი ქარვისფერია, მომწარო გემო დაჰკრავს და ძალზე „კარგად ისმება“.

ბერლინსაც აქვს ლუდის საკუთარი სახეობა, რომელმაც ბოლო წლებში პოპულარობა ხელახლა მოიპოვა. ეს არის Berliner Weisse. შუშხუნა, ოდნავ მომჟავო სასმელი ჯერ კიდევ XVI საუკუნეში იწარმოებოდა. მას ჟოლოს ან ჩიტისთვალას სიროფს ურევენ და საწრუპავი ჩხირებით მიირთმევენ.

როდესაც გერმანიაში ლუდს უკვეთავთ, აუცილებლად დააზუსტეთ, კონკრეტულად რომელი ლუდი მსურთ, თუ არადა, მიუნხენში ხორბლის ლუდს Weizenbie-ს, კიოლნში Kölsch-ს, ჰამბურგში Astra-ს ბრენდის ლუდს, დიუსელდორფში Alt-Bier-ს მოგიტანენ.

OKTOBERFEST

„ოქტობერფესტი“ მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური სახალხო ზეიმია და ამის გამო ბავარიის დედაქალაქში საგანგებო მდგომარეობაც კი ცხადდება. უშუალოდ ამ დღესასწაულზე მიუნხენში სხვადასხვა ქვეყნიდან 6,4 მილიონი სტუმარი მოემგზავრება.

ზეიმი უკვე 200 წელია იმართება ტერეზიენვიზზე და 17 დღეს გრძელდება. მიუნხენის ლუდსახარშებში ამ დღეებისთვის ლუდს საგანგებოდ ხდიან. წელს 6.2 მილიონმა სტუმარმა 7.5 მილიონი ლიტრი ლუდი მიირთვა.

პირველი „ოქტობერფესტი“ 1810 წელს ჩატარდა ბავარიელი პრინცის, ლუდვიგისა და პრინცესა ტერეზა ფონ საშენ-ჰილდბურგჰაუსენის ქორწილის აღსანიშნავად. მაშინ ეს ფესტივალი 12 ოქტომბერს დაიწყო და ხუთ დღეს გასტანა. მას შემდეგ ყოველწლიურად ტარდება და რადგანაც სექტემბრის ღამეები უფრო თბილია, ამიტომ სწორედ ამ თვეში გადმოიტანეს.

მიუნხენის მცხოვრებლები „ოქტობერფესტს“ „Die Wiesn“-ს უწოდებენ მისი ჩატარების ადგილის, Theresienwiese-ს გამო. ფესტივალის ტერიტორია 34,5 ჰექტარია. წელს მასში 545 ბიზნესკომპანია მონაწილეობდა.

2017 წლის ოფიციალურ ლუდის ფასებს თუ გადავხედავთ, The Mass ანუ ერთი ლიტრი ლუდი დაახლოებით 10.60-10.95€ ღირდა. შარშანდელთან შედარებით, ფასი საშუალოდ 2,55%-ითაა გაზრდილი.

როგორც წესი, ლუდის ფასი ყოველწლიურად საგრძნობლად იმატებს, თუმცა ნამდვილად უჩვეულოა ის, რომ არაალკოჰოლური სასმელებიც ბევრად გაძვირდა.

ნესები

- ამ ფესტივალებზე უამრავი სტუმარი ფოლკლორულ სამოსშია გამოწყობილი. მამაკაცებს ტყავის შარვალი და კუბოკრული პერანგი აცვიათ, ქალებს – სარაფანი დირნდლი.
- თუ „ოქტობერფესტის“ სტუმრობას ტრადიციული ბავარიული სამოსით გეგმავთ, გაითვალისწინეთ: არ შეიძლება ამ ტანსაცმელზე სპორტული ფეხსაცმლის ჩაცმა.
- სოფლურ ტყავის შარვალს კარგად ესადაგება სამოგზაურო მოკლეყელიანი ჩექმები, ქალებმა უმჯობესია მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი არ ჩაიცვათ, რადგან ხის სკამზე ცეკვა გაგიჭირდებათ.
- თუ დირნდლში გამოეწყობით, გახსოვდეთ: თუ კაბის მარცხენა ბაფთა გახსნილი გექნებათ, ეს ნიშნავს, რომ ახალი ურთიერთობისთვის მზად ხართ.

ტრადიციული კოსტიუმი

დირნდლი და ტყავის შარვალი „ოქტობერფესტის“ (და არა მხოლოდ) ნამდვილ დრესკოდად იქცა. ეს ტანსაცმელი უკვე დიდი ხანია მხოლოდ „ტრადიციულ კოსტიუმად“ აღარ მიიჩნევა. პირიქით, ჩვეულებრივ გასართობ საღამოებზეც კი ის მოდური ტრენდია, თანაც არა მხოლოდ გერმანიის სამხრეთში, არამედ მაინის ჩრდილოეთითაც კი. ოდესღაც ეს მშვენიერი სამოსი სოფლის მცხოვრებლებისა და მსახურების ყოველდღიური ჩასაცმელი იყო, თუმცა XIX საუკუნის ბოლოს ალპებში დირნდლსა და ტყავის შარვლებში გამოწყობილი ტურისტებიც გამოჩნდნენ: ეს მდიდარი ადამიანების საზაფხულო კოკეტური თამაშები გახლდათ, თანაც სიცხეში გასეირნება მოხერხებულ შორტებსა და დეკოლტე დირნდლში უფრო სასიამოვნო იყო, ვიდრე ფრაკსა და გრძელ კაბაში.

ქალის კოსტიუმი

ტრადიციულად, ქალის გერმანული ეროვნული ტანსაცმელი კორსაჟისა და კოფთისგან, ნაოჭიანი ქვედაკაბისა და წინსაფრისაგან შედგებოდა. ზოგიერთ მხარეში, მაგალითად, ჰესენში რამდენიმე სხვადასხვა ზომის ქვედატანს ერთად იცვამდნენ. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ბავარიელი ქალები ქვედატანის მაგიერ გრძელ კაბებში გამოწყობილნი დადიოდნენ.

დღეს ქალის გერმანული ეროვნული სამოსი ორ სახეობად იყოფა: ტრახტენი და დირნდლი. დირნდლი ბიუსტჰალტერის, ფართო ბლუზის, კორსეტის (ან ჟილეტის), ნაოჭიანი ქვედატანის, შიდა ქვედაკაბისა და წინსაფრისაგან შედგება. წინსაფარი, როგორც წესი, ნაქარგობით, ლენტებითა და მაქმანებითაა დამშვენებული. ისტორიულად, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, სად იყო შეკრული ბაფთა – ქვრივი ქალები მას შუაში იმაგრებდნენ, გასათხოვრები – მარცხნივ, გათხოვილები კი – მარჯვნივ.

მამაკაცის კოსტიუმი

მამაკაცის ეროვნული ტანსაცმელი მრავალფეროვანი და საინტერესოა. ტყავის შარვალი (Lederhose) ორგვარია: მოკლე (Kurz Lederhose) და სამი მეოთხედი სიგრძისა (Kniebund). მას ახლავს პერანგი, ჟილეტი, სერთუკი (Loden), ბუმბულიანი ან ბეწვის ქაჩაჩიანი შლაპა (Seppel), გეტრები (Leferl) და სქელძირიანი მოკლეყელიანი ჩექმები.

მამაკაცის სერთუკის სიგრძე მის ოჯახურ მდგომარეობას გამოხატავს. დაქორწინებული კაცი გრძელ შავ სერთუკს იცვამს, ხოლო დასაოჯახებელი – მოკლეს. მამაკაცის კოსტიუმის ატრიბუტია პატარა სანადირო დანა (Trachtenmesser), რომლისთვისაც შარვალზე მარჯვენა მხარეს ჯიბეს საგანგებოდ აკერებენ. შარვალს წინ აქვს სარქველი, რომელიც ორი ღილით იკვრება. ჩვეულებრივ, ის ისეთივე ნაქარგობითაა დამშვენებული, როგორითაც დანის ჩასადებად განკუთვნილი ჯიბე. შარვალს აჭიმებით იმაგრებენ, რომლებიც სალტეზე ღილებით იკვრება, მკერდზე კი სიგრძის დასარეგულირებელი ბალთები აქვს.

ბავარიის მცხოვრებლები ტრადიციულ ეროვნულ კოსტიუმებს არა მხოლოდ დღესასწაულებზე, არამედ ყოველდღიურადაც იცვამენ, ეს კარგი გემოვნების მაჩვენებელია და პრესტიჟულადაც მიიჩნევა. ეროვნული კოსტიუმები საკმაოდ ძვირადღირებულია – ერთი კომპლექტი 700-800€ ღირს.

წინ აჭიმებს შეიძლება ჰქონდეს სამკერდე ზღუდარი ან პატარა თასმები, რომლებიც წელზე იკვრება. ზღუდარიც ხშირად ნაქარგითაა გაწყობილი, მაგალითად, ბავარიის გერბის გამოსახულებით (ბავარიის დროშისფერი თეთრ-ლურჯრომბებიანი ფარი, რომელიც ორ ლომს უჭირავს). აჭიმების ქსოვილიც ამოქარგული ფერადი ორნამენტითაა გაწყობილი, მათში აუცილებლად მთის ედელვაისი დომინირებს. ჟილეტები უმეტეს შემთხვევაში წინ ამოჭრილია და აჭიმების ზღუდარი მომხიბვლელად მოჩანს.

შლაპებს ვიწრო ფრთები აქვს და ხვეული თასმები ამშვენებს, ბუმბული და ბეწვის ქაჩაჩი კი, სამონადირეო ტრადიციის მიხედვით, მოკლული დათვის ულვაშების სიმბოლური გამოსახულებაა. წარსულში მოკლე ჩექმებს შიშველ ფეხებზე იცვამდნენ. ახლა კი გეტრები (Leferl) ე. წ. მსუბუქი შალის „გოლფებად“ იქცა, რადგან ადრინდელი სამონადირეო ფუნქცია დაკარგა.

ბავარიის ფედერალური მიწის დედაქალაქი მიუნხენი (1,4 მლნ მცხოვრები) გერმანიის სიდიდით მესამე ქალაქია.

გერმანული დიზაინის, მოდისა და სტილის ცენტრი საუკეთესო სასტუმროებით, უმდიდრესი სამუზეუმო კოლექციებით, ულამაზესი სასახლეებითა და ბაღებით, მრავალფეროვანი არქიტექტურული შედევრებითა და გასტრონომიული აღმოჩენებით გამოირჩევა.

ლუდი და ფეხბურთი მიუნხენთან დაკავშირებული სტერეოტიპებია; ამას გარდა, აქ განსაკუთრებით უყვართ გერმანული ავტომობილები, ამიტომაც ეს ქალაქი „მამაკაცთა სამოთხედაც" მიიჩნევა.

FRAUENKIRCHE

ქალაქის ცენტრში მდებარე წმინდა ქალწული მარიამის ტაძარი მიუნხენის სიმბოლოა. მის უმშვენიერეს, ხახვის ფორმის გუმბათით დაბოლოებულ კოშკურებს შორიდანაც შენიშნავთ.



გვიანდელი გოთიკის სტილის, პავილიონის ტიპის ნაგებობა XV საუკუნეში აუშენებიათ. აქ ბოლო ხუთი საუკუნის ხელოვნების შედევრებია თავმოყრილი.

Frauenplatz 12

MARIENPLATZ/NEUES RATHAUS

რატუშასთან მდებარე, ღვთისმშობლის კოლონით და შადრევნით დამშვენებული მოედანი 1158 წლიდან მიუნხენის გულია. ყოველდღიურად ასობით ადამიანი ადევნებს თვალს Neues Rathaus-ის ფასადზე გამართულ მექანიკური თოჯინების მუსიკალურ სპექტაკლს – გლოკენშპილს.

რატუშის საათი 43 ზარითა და ადამიანის სიმაღლის 32 ფიგურით შუასაუკუნეების ცხოვრების სურათებს გამოსახავს.

10 ათას კვ. მ შენობაში 400 ოთახია. XIX საუკუნის მიწურულიდან აქ ქალაქის საბჭო განთავსდა. ნაგებობის გვერდითაა XV საუკუნის რატუშაც, გვიანდელი გოთიკის ნიმუში, რომლის ძირითად ნაწილში სათამაშოების მუზეუმი მდებარეობს.

კოშკზე ასვლა ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 10-იდან 19 საათამდე შეგიძლიათ.

Marienplatz 8

ALLIANZ ARENA

არქიტექტურული ფირმის, Herzog & de Meuron-ის დაპროექტებული სტადიონი FC Bayern München-ისა და TSV 1860 München-ის საფეხბურთო გუნდების სამფლობელოა. მისი შენება 2002 წელს დაიწყო, პირველი თამაშები კი 2005 წელს ჩატარდა. 2006 წლის მსოფლიო თასის ნახევარფინალში აქ ერთმანეთს პორტუგალიისა და საფრანგეთის ნაკრებები შეხვდნენ. სტადიონის 3 ტერასაზე განლაგებული 69 901 სკამი სახურავის ქვეშაა მოქცეული. გულშემატკივრებისთვის სტადიონის ტერიტორიაზე სხვადასხვა მაღაზია მუშაობს. **ღიაა:** ყოველდღე – 10.00-19.00

Werner-Heisenberg-Allee 25

BAYERISCHE STAATSOPER

ორჯერ დაქცეული და ორჯერვე აღდგენილი ეროვნული თეატრის შენობა, რომელიც ძველბერძნული ტაძრის კლასიცისტურ სტილშია აგებული, ბავარიის სახელმწიფო ოპერის, ასევე, სახელმწიფო ბალეტის „სამყოფელია". ეს ის ადგილია, სადაც გასაოცარ საოპერო და საბალეტო სპექტაკლებს იხილავთ.

Max-Joseph-Platz 2

ODEONSPLATZ / THEATINERKIRCHE

Theatinerkirche St. Kajetan – იტალიური გვიანდელი ბაროკოს სტილის ეკლესია, ქვის ლომებითა და ბავარიის არმიის მხედართმთავრების ბრინჯაოს ქანდაკებებით დამშვენებული თაღედი (ფლორენციის ლანცის გალერეის ზუსტი ასლი) და კაფე „ტამბოზი" (მიუნხენის უძველესი ყავახანა) – ეს ყველაფერი შეგიქმნით შთაბეჭდილებას, თითქოს იტალიაში იმყოფებით. Theatinerkirche St. Kajetan-ის მსუყე ყვითელი ფერის ნაგებობას ბავარიის ლურჯი ცის ფონზე სპილენძით მოპირკეთებული კოშკურები და დიდებული გუმბათები ამშვენებს.

KARLSPLATZ STACHUS

მიუნხენის ერთ-ერთ უმთავრეს მოედანს ოფიციალურად კურფიურსტ კარლ თეოდორის სახელი ჰქვია, ხოლო არაოფიციალურად – შტახუსი, ლეგენდარული ლუდხანის, Sankt-Eustachius-ის პატივსაცემად. კარლსტორის კარიბჭიდან მიუნხენის საფეხმავლო ზონა იწყება, ამიტომ მოედანზე ყოველთვის ხალხმრავლობაა.

შტახუსის შადრევანი ზაფხულის ცხელ დღეებში მოგზაურებს ახალისებს. აქ ქალაქის ტრანსპორტის თითქმის ყველა ხაზი იკვეთება. მიწისქვეშა სავაჭრო ცენტრს ყოველდღიურად 160 ათასი ადამიანი სტუმრობს. ის ყველაზე დიდია ევროპაში.

Karlsplatz 1



FRIEDENSENGEL

38 მ სიმაღლის სვეტიდან ქალაქს „მშვიდობის ანგელოზის" ფიგურა გადმოჰყურებს. სვეტი 1899 წელს გერმანია-საფრანგეთის ომის დასრულებისა და ვერსალის მშვიდობის ზავის 25 წლისთავზე დაიდგა.

Prinzregentenstraße



ALTER PETER

XI საუკუნეში აგებული წმ. პეტრეს ტაძარი მიუნხენის ყველაზე ძველი საეკლესიო შენობაა. კოშკის გუმბათიდან თვალწინ ფანტასტიკური ხედი გადაგეშლებათ, კარგ ამინდში – თვით ალპებამდეც კი.

Rindermarkt 1

ALTER HOF

მიუნხენის ალტერ ჰოფი (ძველი სამეფო მამული) ქალაქის უძველესი ნაგებობაა (XII ს.). საღვთო რომის იმპერიის იმპერატორის, ლუდვიგ IV-ისა და ჰერცოგ ჰენრიხ ლომის ყოფილი რეზიდენცია ხუთი ფრთისგან შედგება. მეორე მსოფლიო ომის დროს ალტერ ჰოფი დაინგრა, მაგრამ 1950-იან წლებში ძველი ნახაზების მიხედვით აღადგინეს. სასახლე ჩრდილოეთის მხრიდან თაღით უკავშირდება რენესანსის სტილის ნაგებობას, რომელშიც ადრე საჯინიბოები და ჰერცოგ ალბერტ V-ის მიერ შეგროვილი ხელოვნების ნიმუშთა კოლექცია იყო განთავსებული.
ღიაა: ორშაბათი-შაბათი – 10.00-18.00; შესვლა უფასოა.

Alter Hof 1



WESTPARK

უმშვენიერესი პარკი 1983 წელს მებაღეობის საერთაშორისო გამოფენის-
თვის გაშენდა. 60 ჰექტარზე გაშლილი მწვანე ზონა თავისი ვარდების უნიკალური ბაღითაა სახელგანთქმული, რომელშიც 500 ქვეყნიდან ჩამოტანილი 20 ათასი სხვადასხვა სახეობის ვარდი ხარობს. პარკში არის ტბა, საზაფხულო თეატრი, ფერწერული შადრევნები და XVIII საუკუნის გერმანული მამული, რომელიც ეთნომუზეუმიდან გადმოიტანეს. აქვე ნახავთ ჩინურ და იაპონურ ბაღებს.

Preßburgerstr. 35

ENGLISCHER GARTEN

მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი საქალაქო პარკი, მიუნხენის ინგლისური ბაღი 4,17 კვ. კმ-ზეა გაშლილი. ის 1792 წელს არქიტექტორმა შკელემ და გრაფმა ტომპსონმა შექმნეს.

ინგლისური ბაღის ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობა ჩინური კოშკია, რომლის გვერდითაც 7000-ადგილიანი ლუდის ბაღი მდებარეობს.

აქვეა მონოპტერის მრგვალი, ბერძნული სტილის ნაგებობა (1836), რომლიდანაც შესანიშნავი ხედი იშლება.

Englischer Garten 3

SCHLOSS NYMPHENBURG

500 კვ. მ ფართობის დიდებული ნაგებობა, უმშვენიერესი ბაღითა და მუზეუმებით, დამთვალიერებლებს ბავარიის მონარქიის ეპოქაში ამოგზაურებს. ოდესღაც აქაურობა ვიტელსბახების დინასტიის სამფლობელო იყო.

მნახველთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სამეფო საჯინიბოები ეტლებისა და ფაეტონების უნიკალური კოლექციით, ფაიფურის მუზეუმი, სარკეებიანი დარბაზი, პარკი წყლის კასკადებით, პატარა ტბებითა და სასახლეპავილიონებით.

Schloß Nymphenburg 1

MUNICH RESIDENZ

ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ამ სასახლეს ხუთი ასწლეულის განმავლობაში აგებდნენ, გადააკეთებდნენ და ხელახლა აშენებდნენ. ეს განსაცვიფრებელი კომპლექსი ევროპის დიდებულ ნაგებობათა რიცხვშია და შთამბეჭდავ საგანძურს ინახავს.

ის წარსულში ბავარიის ჰერცოგთა, კურფიურსტთა და მეფეთა რეზიდენცია იყო.

Residenzstraße 1

SCHLEISSHEIM SCHLOSS

სასახლის როგორც ძველი, ისე ახალი ნაგებობა მიუნხენის განაპირას, ჩრდილოეთით მდებარეობს. 1623 წელს აშენებული ძველი სასახლე, გვიანდელი რენესანსის ნაგებობა, საცხოვრებელი ციხე-კოშკია, ახალი კი XVIII საუკუნეშია აშენებული და ბავარიის ჰერცოგის, ვილჰელმ V-ისთვის ყოველდღიური საზრუნავისაგან განრიდებისა და განმარტოების ადგილი იყო.

ღიაა: 09.00-18.00, ორშაბათობით დაკეტილია.

ტრანსპორტი: მიუნხენიდან S-Bahn #1 (მიმართულება Freising / Flughafen-იდან Oberschleißheim-მდე, სასახლე გაჩერებიდან 15 წუთის სავალზეა); ასევე, **ავტობუსი:** 292 ან 295, გაჩერება Schloss-მდე.

Max-Emanuel-Platz 1

GLYPTOTHEK

გლიპტოთეკა და ძველეგვიპტური ხელოვნების მუზეუმი კონიგსპლაცზე უძველესი ხელოვნების ნიმუშების უმნიშვნელოვანესი საცავია.

13 სწორკუთხა, კვადრატული და მრგვალი დარბაზი შიდა ეზოს გარს ერტყმის, ხოლო შესასვლელის წინ 12 იონიური სვეტი დგას. ფრონტალური ნაწილი ქალღმერთ ათენას ეძღვნება, გარე კედლები ნიშებში ჩადგმული ქანდაკებებითაა დამშვენებული. აქ ნახავთ ქანდაკებების ძველბერძნულ და ძველრომაულ კოლექციას, რომელიც მეფე ლუდვიგ I-მა შეკრიბა.

კოლექციის უმნიშვნელოვანეს ექსპონატად ბარბერინიში ნაპოვნი მარმარილოს ფავნი მიიჩნევა, რომელიც პერგამონის სკოლის (ძვ. წ. 200 წ.) უცნობი ოსტატის ნახელავია.

ღიაა: სამშაბათი-კვირა – 10.00-17.00, ოთხშაბათს – 10.00-20.00; **ფასი:** 3.50€

Königsplatz

DEUTSCHES MUSEUM FÜR WISSENSCHAFT UND TECHNIK

გერმანიის პოლიტექნიკური მუზეუმი 1903 წელს ინჟინერმა ოსკარ ფონ მილერმა დააარსა. ის მსოფლიოში უდიდესია და 73 ათას კვ. მ-ს მოიცავს. კოლექციაში 28 ათასი ექსპონატია, რომელთა სანახავად აქ ყოველწლიურად 1,5 მლნ ადამიანი მოდის.
აქვეა პლანეტარიუმი, სადაც ნახავთ ვარსკვლავიანი ცის რუკას მნათობების სახელწოდებებით. მუზეუმში 50-ზე მეტი თემატური ექსპოზიციაა – მუსიკალური ინსტრუმენტები, ტელეკომუნიკაციის, ქიმიის, ფიზიკის, გემთმშენებლობის, საავიაციო ინჟინერიის და ა. შ. ნიმუშები.
ღიაა: ყოველდღე – 09.00-17.00;
ფასი: 8.50€

Museumsinsel 1

BMW WELT, MUSEUM & WERK

აქ შეგიძლიათ BMW-ს საოცარი მიღწევები იხილოთ. BMW Welt, ულტრათანამედროვე არქიტექტურითა და ინოვაციური კონსტრუქციული გადაწყვეტით, მაღალი ტექნოლოგიებისა და ხარისხის სამყაროში გეპატიჟებათ: დაათვალიერებთ BMW Group-ის უახლეს მოდელებს (BMW, MINI და Rolls-Royce Motor Cars).

1973 წელს გახსნილ მუზეუმში კი კონცერნის 90-წლიან ისტორიას, რეტრომოდელებსა და მომავლის ავტომობილებს გაეცნობით. ექსპოზიციაში 26 მიმართულებაა, მათ შორის, ისტორია, დიზაინი, ტექნიკური ინოვაციები, მოტოსპორტი და სხვა. შვიდ დარბაზში განლაგებული უნიკალური კოლექცია 125-ზე მეტ მოდელს მოიცავს. აქვე, ქარხანაში იხილავთ, როგორ გადმოდის კონვეიერიდან პრემიუმკლასის ავტომობილები.

BMW Welt
Am Olympiapark 1
ღიაა: ყოველდღე – 9.00-18.00 შესვლა უფასოა.

BMW Museum
Am Olympiapark 2
სამშაბათი-კვირა – 10.00-18.00, ორშაბათს დაკეტილია.
ფასი: 10€

www.bmw-welt.com



ALTE PINAKOTHEK

ეს მიუნხენის ყველაზე ცნობილი გალერეაა, რომლის ექსპოზიციაშია გერმანული ფერწერის დიდი კოლექცია (XIV-XVII) და ჰოლანდიელ მხატვართა ნამუშევრები (XIV-XVII); რუბენსის ტილოების ყველაზე დიდი კოლექცია, იტალიური აღორძინების ყველა სკოლის ფერწერა და ბაროკო (XIII-XVII), ფრანგული და ესპანური ფერწერის (XVII-XVIII ნიმუში). აქ ნახავთ კრანახის, ბოტიჩელის, და ვინჩის, რაფაელის, ტიციანის შედევრებს. სულ პინაკოთეკის 800 ტილო 19 დარბაზსა და 47 კაბინეტშია გამოფენილი.

ღიაა: სამშაბათი-კვირა – 10.00-18.00, ორშაბათს დაკეტილია. **ფასი:** 7€

Barer Straße 27(შესასვლელი Theresienstraße-დან)

PINAKOTHEK DER MODERNE

ეს გერმანიაში თანამედროვე ხელოვნების ყველაზე დიდი მუზეუმია, სადაც ყველა მიმართულებაა წარმოდგენილი: ექსპრესიონიზმი, ფოვიზმი, კუბიზმი, სიურრეალიზმი, აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი, პოპარტი და მინიმალიზმი – ანრი მატისიდან ნოლდსი, ვან გოგი, მანე, კლიმტი, ენსორი, შილე, თორვალდსენი, როდენი, მაიოლი და მრავალი სხვა. გალერეის კოლექცია დღესაც მუდმივად ივსება.

ღიაა: ყოველდღე, სამშაბათის გარდა – 10.00-18.00, ოთხშაბათს – 10.00-20.00.

Barer Strasse 29

MUSEUM BRANDHORST

პინაკოთეკის სიახლოვეს მდებარეობს მიუნხენის ახალი სამხატვრო მუზეუმი, რომელიც არქიტექტურული ბიურო Sauerbruch Huton-ის პროექტით ააგეს. ფასადი 23 სხვადასხვა ფერის კერამიკის ვიწრო ფილებითაა ხუან მიროსა და სალვადორ დალის შემოქმედებამდე.
ღიაა: სამშაბათი-კვირა – 10.00-18.00, ორშაბათს დაკეტილია. **ფასი:** 10€

Barer Straße 40

მოპირკეთებული. შიგნით ვრცელი თეთრი დარბაზებია, რომლებშიც დღის შუქი საგანგებო კონსტრუქციის მეშვეობით აღწევს. კოლექციის ძირითად ნაწილს მოდერნისტული და 1945 წლის შემდგომი პერიოდის ნამუშევრები შეადგენს; ავტორთა შორისა არიან: იოზეფ ბოისი, დემიენ ჰერსტი, ზიგმარ პოლკე, ენდი უორჰოლი და საი ტუომბლი. **ღიაა:** სამშაბათი-კვირა – 10.00-18.00, ორშაბათს დაკეტილია. **ფასი:** 7€

Theresienstraße 35a

VIER JAHRESZEITEN KEMPINSKI

აქ ფუფუნებით გამორჩეული ნომრები და სუიტებია – ყველა მათგანის დიზაინი კლასიკურ სტილშია გადაწყვეტილი, ოღონდ თანამედროვე შტრიხებით.

დღის სპაში განტვირთვისთვის სილამაზისა და გამჯანსაღებელი პროცედურები ტარდება. სპაში მდებარეობს საცურაო აუზი – ადგილი, საიდანაც მიუნხენის წარმტაცი ხედებით დატკბებით.

სახელგანთქმული „ოქტობერფერსტის“ გარდა, მიუნხენი სტუმრებს კიდევ ერთ ბავარიულ ფენომენს – Schwarzreiter Restaurant-ს სთავაზობს. რესტორნის კონცეფცია განთქმული გურმანის, კულინარიის პიონერის, ბავარიის მეფე ლუდვიგ II-ის მიერაა შთაგონებული. არ აქვს მნიშვნელობა, ველური მცენარეების სალათას, ტარტარს თუ გრილზე შემწვარ ხორცს აირჩევთ, აქ ყველა კერძი უგემრიელესია.

რესტორანი სამშაბათიდან შაბათი საღამოს ჩათვლით ღიაა და საუკეთესო ბავარიულ სამზარეულოს გთავაზობთ; კერძები სეზონური, ახალთახალი პროდუქტებით მომზადებული და თანამედროვეა, ამასთანავე, ტრადიციებით შთაგონებული.

Schwarzreiter Tagesbar-ში კი მსუბუქ გლამურულ სასმელებს მიირთმევთ. ეს არაჩვეულებრივი ადგილია მეგობრებთან ერთად საღამოების გასატარებლად.

ნომრის ფასი: 300€-დან

Maximilianstrasse 17

VOYAGER კომენტარი

WEISSWURST – ეს არის ხბოს ხორცის სოსისი, რომელსაც ტრადიციულად საუზმეზე მიირთმევენ. არასოდეს შეუკვეთოთ Weißwurst-ი დღის მეორე ნახევარში, რადგან ბავარიელები ტრადიციებს პატივს სცემენ, ამიტომ მიირთვით შუადღის 12 საათამდე ტკბილ მდოგვსა და ბრეცელებთან (კრენდელებთან) ერთად და Weißbier (ხორბლის ლუდი) დააყოლეთ.

BAUERISCHERHOF

მიუნხენის ისტორიულ ცენტრში სასტუმრო Bauerischehof 337 ნომერს, 5 რესტორანს, 6 ბარს, დაუვიწყარ სპას და კონსიერჟის საუკეთესო სერვისს სთავაზობს სტუმრებს. 2-ვარსკვლავიანი რესტორანი Atelier Silent Garden-ი მაღალი სამზარეულოს კულინარიული შედევრებით გიმასპინძლებთ, Palais Keller-ში ბავარიული კერძები გელით, Trader Vic's-ში კი – ეგზოტიკური პოლინეზიური სამზარეულო.

Falk's ბარი საუკეთესო საავტორო კოქტეილებით, Polar-ი კი ღია ვერანდითაა ცნობილი, რომელიც ზამთრის მიუნხენში ლანჩის ადგილია.

Blue Spa – აუცილებელი არ არის, სასტუმრო Bayerischer Hof-ის ბინადარი იყოთ, ისედაც შეგიძლიათ ნებისმიერი პროცედურით ისიამოვნოთ. მოდუნდით, ისიამოვნეთ მასაჟით, იცურავეთ აუზში.

გირჩევთ Blue Spa Bar & Lounge-საც ეწვიოთ. აქ უამრავ გემრიელ კერძს შემოგთავაზებენ, მათ შორისაა ტრაი-ტიპ სტეიკი (ნებრასკული საქონლის ხორცი სავოიის კომბოსტოსა და ტრიუფელების ბალიშზე, კარტოფილითა და კვლიავის სოუსით). **სტანდარტული ნომრის ფასი:** 350€-დან

Promenadepl. 2-6

MÜLLERSCHES VOLKSBAD

მდ. იზარის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს ბაროკოს ელემენტებით გაწყობილი, იუგენდსტილში აგებული (1897-1901) მიულერის აბანოები – ორი საცურაო აუზისგან შემდგარი საბანაო კომპლექსი რომაულ-ირლანდიური ოროქლის აბანოთი, აბაზანებითა და ჰიდრომასაჟით. ეს ნაგებობა გერმანიაში ულამაზეს დახურულ აუზთა რიცხვშია.

ღიაა: ყოველდღე – 7.30-23.30. **ფასი:** 4€

Rosenheimer Str. 1

BARBER HOUSE

საუცხოო სალონი წვეროსანი მამაკაცებისათვის, რომლებსაც სურთ, მხოლოდ მამაკაცები ემსახურებოდნენ. არ გაგიკვირდებათ და, აქ მთელი პერსონალი წვეროსანია, ყველა მათგანს სპეციალური ფორმა აცვია და მომსახურების უმაღლეს კლასს გიჩვენებენ. თავი გასული საუკუნის 20-იან წლებში გეგონებათ.
აქ დადიან ჰიპსტერებიცა და საქმიანი ადამიანებიც.

Pacellistraße 5

BRASSERIE COLETTE

ტიმ რაუეს რესტორანში აზიურ სტილში მომზადებული კერძებით გიმასპინძლებენ. აქ შეგიძლიათ მიირთვათ იხვის კონფი (Confit de canard) ანდა მიუნხენში საუკეთესო ქათამი პასტითა და ტრიუფელებით, თხილითა და ტოპინამბურით.

Klenzestraße 72

ESSZIMMER BY KÄFER

BMW-ს „იმპერიის“ მეოთხე სართულზე მაღალი კლასის, ელეგანტური რესტორანი უგემრიელესი ბავარიული სამზარეულოთი და ღვინის შერჩევის ბრწყინვალე მეთოდებით მოგხიბლავთ. კულინარიული შემოქმედება (Bobby Bräuer), სომელიეს (Frank Glüer) რეკომენდაციები და მომსახურება თქვენს ვახშამს დაუვიწყარს გახდის.

Am Olympiapark 1

SCHUHBECKS SÜDTIROLER STUBEN

ეს ყველაზე ცნობილი ბავარიელი შეფ-მზარეულის რესტორანია. მიუნხენში მისი იმპერია ამჟამად მოიცავს რესტორან Südtiroler Stuben-ს, ღვინის ბარს, კულინარიულ სკოლას, სანელებლების მაღაზიასა და სანაყინეს. Schuhbecks-ის მენიუში ნაირ-ნაირი კერძებია.

Platzl 6-8

ROCCA RIVIERA

ფრანგი შეფის, დამიან პლეზანის ლობსტერები, ხამანწკები Fine de Claire, კარპაჩო თინუსით, დაბეგვილი Charolaise ძვლებით – ეს კერძები ისეთივე „ვარსკვლავურია“, როგორიც რესტორნის სტუმარი წყვილები.

Wittelsbacher platz 2

BEER-GARDEN

ლუდის ბაღი ბავარიელთათვის არა მხოლოდ საჯარო ურთიერთობის სივრცეა, სადაც შეიძლება, უბრალოდ, ჩამოჯდეთ, ლუდი მიირთვათ და წაიხემსოთ, არამედ კულტურული ფენომენიცაა – სუფთა ჰაერზე შეხვედრებისა და საუბრების ადგილი და ბავშვების სათამაშო „მოედანი“.

ლუდის ბაღებში თვითმმსახურებაა, ამიტომ აიღეთ თქვენთვის Mass Hells (ერთი ლიტრი ღია ფერის ლუდი), ანდა (თუ მეგობართან ერთად ხართ) zwoa Mass Hells (ორი ლიტრი); თუ მშიერი ხართ, ტრადიციულ კერძებს გირჩევთ: Wurstsalat (სოსისისა და ხახვის სალათა), Brezn (ბრეცელები), Radi – ბოლოკის მწნილი, un halbs Hendl – ნახევარი ქათამი გრილზე და Obadza – კამამბერთან შეზავებული მარცვლოვანი ყველი, კვლიავითა და წიწაკით.

ზაფხულში ლუდის ბაღები ხალხითაა სავსე. კარგად მოათვალიერეთ მაგიდები და აუცილებლად იპოვით თავისუფალ ადგილს. გაუზიარეთ სხვებს საჭმელი – ეს უმთავრესი რჩევაა. და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია: არასოდეს მიუჯდეთ Stammtisch-ს ანუ მუდმივი კლიენტების მაგიდას, რომელსაც ისინი შესაძლოა წლებია იკავებენ.

Ambar Bistro – გირჩევთ Tegernseer Landstraße 25-ზე ამ ბისტროს მიაშუროთ, სადაც უგემრიელესი კრაფტული ლუდი და იტალიური სამზარეულო იდეალურად ერწყმის ერთმანეთს.

Biervana – Schwabing-ში, Hohenzollernstraße 61-ში შესანიშნავი ადგილია: აქ შემოგთავაზებენ MÜNCHNER-ს, ტრადიციულ, დაბალი ფერმენტაციის ლუდს ალაოს მკვეთრი გემოთი, მსოფლიოში სახელგანთქმულ DUNKEL-ის მუქ ლუდს, ლაგერს, ვაისსა და ა. შ.

GEISELS WERNECKHOF

Leopoldstrasse-სა და English Garden-ს შორის მდებარე რესტორანი, ბავარიული კლასიკური ინტერიერით, საერთაშორისო მასშტაბის შეფის, ტოკუ ნაკამურას მიერ შექმნილი ჯადოსნური ადგილია. არომატები გასაოცრადაა შერწყმული: მაგ., რვაფეხა კიმჩხით, მელანთევზათი, მანგოთი და მწვანე პაპაიათი.

Werneckstraße 11

DALLMAYR

მყუდრო, მრავალფეროვანი, გამორჩეულად გემრიელი კერძების რესტორანი ადგილობრივების საყვარელი ადგილია, რომელსაც აუცილებლად უნდა ესტუმროთ. აქვეა კაფე-ბისტრო, სადაც არომატულ ყავასა და შოკოლადს ამზადებენ და მაღაზია Dallmayr Delicatessen, რომლის ასორტიმენტი ყველაზე მრავლისმნახველ გურმანებსაც აოცებს.

Dienerstraße 14

მიუნხენის შუაგულში მდებარე NEUHAUSER და KAUFINGER STRASSE მერმანიის ყველაზე ხალხმრავალი ქუჩებია. ისინი ორ მოედანს – MARIENPLATZ-სა და STACHUS-ს ანუ KARLSPLATZ-ს აკავშირებენ ერთმანეთთან. მათ შორის არსებული 750 მ გზა შესანიშნავი საშოპინგო ადგილია. მახსოვდეთ, ნამდვილი მარგალიტები გვერდიდა ქუჩებშია მიმალული. მიუნხენის მაღაზიები ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით 9-იდან 20 საათამდე ღიაა. კვირაობით უმეტესობა დაკეტილია.

BOGNER

ბავარიული მსოფლიო ბრენდი Bogner სპორტული მოდის კანონმდებელია. მას 1932 წელს ვილი და მარია ბოგნერებმა ჩაუყარეს საფუძველი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მეუღლეები თავდაუზოგავად შრომობდნენ და დაამტკიცეს, რომ სპორტული ტანსაცმელი მოდის მომავალია.
ვილი ბოგნერი 1935 წლის სათხილამურო სპორტის ჩემპიონატის პრიზიორი იყო, ხოლო მისი ცოლის, მარიას ძალისხმევით ფირმა მსოფლიო „იმპერიად“ იქცა. მათ პირველი ჩვენება 1948 წელს მოაწყვეს, ხოლო 70-იან წლებში მარიას „სპორტული მოდის კოკო შანელი“ უწოდეს. 50-იან წლებში შეიქმნა ელასტიკური სათხილამურო შარვალი, ე. წ. „ბოგნერები“, რომელსაც კინოვარსკვლავები, მათ შორის, მერილინ მონრო და ინგრიდ ბერგმანი იცვამდნენ. 1955 წელს ტანსაცმლის ელვაშესაკრავზე გამოჩნდა ცნობილი ვერცხლისფერი „B“.

Residenzstraße 15

მიუნხენს ხშირად ჩრდილოიტალიურ ქალაქად მოიხსენიებენ, შესაძლოა იმიტომ, რომ აქაურებს ძალიან უყვართ ყავა, განსაკუთრებით ესპრესო და კაპუჩინო. ჩვეულებრივ ბარებში შემოგთავაზებენ ყავის მხოლოდ ორ ვარიანტს – Schwarzkaffee-ს (შავი ყავა) და Milchkaffee-ს (ცოტაოდენი რძით). თუმცა მიუნხენში ბევრი იტალიური ბარია, რომელშიც ყავის მოდუღების საუკეთესო კულტურა დამკვიდრებულია.



BAR CENTRALE

ეს ტიპური იტალიური ბარია – მუქი ხით მოპირკეთებული კედლები, პატარა მაგიდები, ვიტრინებში ველოსიპედები, ხოლო დახლს იქით მხიარული იტალიელი ბიჭები, რომლებიც მაგარ ყავას მოგიმზადებენ. სტუმრები ყავას ფეხზე მდგომნი შეექცევიან, როგორც იტალიაშია მიღებული.

Ledererstraße 23

HAMBURG

თეა სხიერელი

გერმანიის სიდიდით მეორე ქალაქი, 1,8-მილიონიანი მოსახლეობით, ქვეყანაში უმდიდრესია. ეს არა, უბრალოდ, ქალაქი, არამედ ქალაქი-სახელმწიფოა – პირდაპირი მნიშვნელობით; „თავისუფალი ჰანზელების დასახლება“, დამოუკიდებელი და ღირსული, გვიანდელი შუასაუკუნეების სულისკვეთების მატარებელი.

ისტორიული ცენტრი **Altstadt** „ჩრდილოეთის ვენეციის“ ბრწყინვალე სახეა – წყალზე მდგარი რომანტიკული სახლებითა და არტ-ნუვოს სტილის შთამბეჭდავი ნაგებობებით, რომლებიც სავაჭრო ქუჩებს – **Jungfernstieg**-ს, **Neuer Wall**-სა და **Spitalerstrasse**-ს მიუყვება.

HafenCity – ოდესღაც გარეუბანი, დიდი თანამედროვე პროექტის წყალობით, ქალაქის მეორე გული გახდა. ქალაქის მოდერნიზაციის ევროპულ პროექტებს შორის ის ყველაზე მასშტაბური და შთამბეჭდავია. კვარტალი იუნესკომ 2015 წელს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა.

გერმანიის ჩრდილოეთის ქალაქი-სახელმწიფო, მსოფლიოში გამავალი კარიბჭე **Tor zur Welt**, მწვანეში ჩაფლული ჰამბურგი მუდმივ მდინარებაში ცხოვრობს. მისი ყველა ქუჩა მიგიყვანთ წყალთან ან ხიდებთან, რომლებიც აქ 2500 წლის წინათაც არსებობდა.

წყალი და ჰამბურგი განუყოფელია. ვისაც სურს აქაურობა უკეთ შეიცნოს, ნავსადგურს, ქალაქის მფეთქავ გულს მიაშურებს, რომელშიც მსოფლიოს ხომალდები დავანებულან. აქ განიცდება ჩრდილოეთის ზღვის სტიქია, დიდი სამყარო, ვეება სივრცე, რომელთანაც ამაყი ვაჭრების ქალაქი უხსოვარი დროიდანაა დაკავშირებული.

სამყაროსადმი მუდამ გახსნილი ჰამბურგი გერმანიის უმსხვილესი საკრუიზო ნავსადგურია. XIX საუკუნის ბოლოს სწორედ აქ შექმნა ალფრედ ბალინმა პირველი საკრუიზო გემები. ჰამბურგის მცხოვრებლებს ხშირად „ჰანზელებს“ უწოდებენ. „ჰანზა“ (**Deutsche Hanse**) XII-XVII საუკუნეებში პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირი იყო, რომელშიც 300-ამდე ქალაქი შედიოდა.

საითაც უნდა წახვიდეთ – სანაპიროებზე, **Speicherstadt**-ში, მეთევზეთა ბაზარში, საპორტო ქალაქში **Hafencity** თუ **Reeperbahn**-ში – ყველგან გაგაოცებთ ჰამბურგის მრავალსახოვნება; ერთი მხრივ, ჭრელი და ღარიბი უბნები – სანკტ პაული და რეპერბანი; მეორე მხრივ, მდიდრული ვილებით, რომანტიკული პეიზაჟებით, მდინარის პლაჟებით „სავსე“ ბლანკენეზეზე; და კიდევ, მინის ფასადებიანი ჰაფენსიტი, სადაც ქალაქის ხვალინდელი დღე შეიძლება დაინახოთ – ჰამბურგი მრავალფეროვანი, დაუდგრომელი და მაინც ჰარმონიულია.

ამ ქალაქს შეუძლია სტუმრებს შესთავაზოს ხელოვნების დიდებული ნიმუშები, დახვეწილი თეატრალური წარმოდგენები, გახმაურებული მიუზიკლები, მრავალფეროვანი სასტუმროების, ბრწყინვალე რესტორნების, ლუქსკლასის საშოპინგო ადგილების, თავბრუდამხვევი ღამის ცხოვრების უზარმაზარი არჩევანი და, რაც მთავარია, უნიკალური ისტორიული ღირსშესანიშნაობები – 1200-წლიანი მემკვიდრეობა.

> **ეს კოსმოპოლიტური მეგაპოლისი ძველიცაა და ახალგაზრდაც, თანამედროვეც, ძალიან მოახიბვლელიც და მაინც წინააღმდეგობრივი. მისი კიდევ ერთი გამორჩეული მტრისი ცხოვრების სრულყოფილების დაუჯერებელი განცდაა, რომელიც თავად უნდა შეიგრძნოთ.**



SPEICHERSTADT

ევროპაში უდიდესი, საუკუნოვანი ისტორიის სასაწყობო რაიონი თავისუფალ პორტში მდებარეობს. აქ ინახება ყავა, ჩაი, კაკაო, სუნელები, თამბაქო, კომპიუტერები და ა. შ. მსოფლიოში არ არსებობს აღმოსავლური ხალიჩების უფრო დიდი საწყობი, ვიდრე Speicherstadt-ში. ყრუ კედლებს მიღმა აღმოაჩენთ მოულოდნელ რომანტიკულ იდილიას, რომელსაც დამშრალი არხების, გოთიკური სტილის შენობების, საოცარი ფრონტონებისა და კოშკურების სამყარო ქმნის.

პორტის მონახულებისას ხვდები, რატომ უწოდებენ ჰამბურგს მსოფლიოში მამავალ კარიბჭეს.

PORT

მთელი მსოფლიოდან ყოველწლიურად 13 000 გემი შემოდის ჰამბურგის პორტში, რომელიც ევროპაში სიდიდით მეორეა. საკრუიზო ტერმინალი და ისტორიული Speicherstadt (სასაწყობო რაიონი), ნავმისადგომები და თანამედროვე საკონტეინერო პორტი – აქ ჰაერი ერთიანად თავისუფლებითა და უცხო ქვეყნების სურნელითაა გაჟღენთილი. 1189 წელს მეფე ფრიდრიხ ბარბაროსას ბრძანებით დაარსებულ პორტში დღეს 300 ნავმისადგომია და იქ 160 ათასი ადამიანი მუშაობს. ჰამბურგის უნივერსალურ პორტს ყოველწლიურად გერმანიის ეკონომიკისათვის 21.8 მილიარდი ევრო მოაქვს.

ST. PAULI, REEPERBAHN

მეზღვაურული რომანტიკა ჰამბურგის ისტორიის ისეთივე განუყოფელი ნაწილია, როგორიც 1842 წლის დიდი ხანძარი. ახლა სანკტ პაულის კვარტალში, „ცოდვიანი“ Reeperbahn-ის ქუჩის, „ღამის პეპლების“, სტრიპტიზ-შოუებისა და სექსშოპების გარდა, ბინა დაიდო ალტერნატიული კულტურის სცენამ; აქაა ჰამბურგის საუკეთესო კლუბები და დისკოთეკები.

BLANKENESE

ელბის სანაპიროზე მდებარე ოდესღაც მეთევზეთა სოფელი Blankenese დღეს დასვენებისა და სეირნობისთვის საუკეთესო ადგილია – ფერწერული შესახვევები, დახვეული კიბეები, ერთმანეთზე გადაბმული სახლები ეგზოტიკურ ატმოსფეროს ქმნიან. სადგურის ქუჩა (Bahnhofstraße) პატარა დამოუკიდებელ ქალაქს ჰგავს თავისი ტაძრით, ყოველკვირეული ბაზრობით, შესანიშნავი მაღაზიებით, კაფეებითა და რესტორნებით.

ELBPHILHARMONIE

2017 წელს გახსნილი უჩვეულო, თვალში საცემი ნაგებობა და საუკეთესო აკუსტიკის მქონე საკონცერტო დარბაზები მსოფლიოდან უამრავ მსმენელს იზიდავს. წითელი აგურითა და შუშით ნაგები ანსამბლი ქალაქის ახალი სიმბოლოა. აქ ოდესღაც მსოფლიოს უდიდესი



სასაწყობო კომპლექსი იყო. შვეიცარიულმა არქიტექტურულმა ბიურომ **Herzog & de Meuron**-მა მასზე დააშენა ულტრათანამედროვე, „ტალღოვანი“ მინის ნაგებობა, რომელიც ცას, წყალსა და გარემოს ლანდშაფტს განუმეორებლად ირეკლავს. მასში განთავსდა 2100-ადგილიანი მთავარი დარბაზი, კამერული მუსიკის დარბაზი 550 მსმენელისათვის, სასტუმრო, აპარტამენტები, რესტორნები, საკონფერენციო ცენტრი. შენობის ინტერიერის დასათვალიერებლად რიგში დგომა მოგიწევთ.

Platz der Deutschen Einheit 1

აუცილებლად გაისეირნეთ ALSTER-ის ტბაზე ნავით ან ბორნით, რომელიც JUNGFERNSTIEG-იდან დღეში რამდენჯერმე გადის.

აეროპორტიდან 25 წუთში სამგარეუბნო მატარებელი S-BAHN ჰამბურგის ცენტრში, რკინიგზის ცენტრალურ სადგურამდე მიგიყვანთ. ჰამბურგის რკინიგზის სადგური თავისი მრავალრიცხოვანი მარშრუტით გერმანიის ყველა დიდ ქალაქს უკავშირდება (მაგ., ბერლინამდე მატარებლით ჩასასვლელად 90 წუთი დაგჭირდებათ).

ჰამბურგის იერსახე და ჰორიზონტი ეკლესიების თვალწარმტაცი კოშკურების გარეშე წარმოუდგენელია: St. Michaelis, St. Petri, St. Katharinen, St. Jacobi და St. Nikolai ჩრდილოგერმანული არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი ნიმუშებია. გაითვალისწინეთ, რომ ეკლესიების დათვალიერება ღვთისმსახურების (კვირაობით 10.00-იდან 18.00-მდე, ყოველდღე, 12.00 საათზე უფასო საორგანო კონცერტით) და სხვა საეკლესიო ღონისძიებების დროს დაუშვებელია.

ST. MICHAELIS

წმ. მიქაელის ევანგელისტური ეკლესია (1751-1762) ჰამბურგის სიმბოლოდ მიიჩნევა. ჩრდილოეთ გერმანიის უმთავრეს რელიგიურ ნაგებობად აღიარებული ტაძარი ორჯერ დაინგრა და განახლდა. ქვეყანაში უდიდესი კოშკის საათის ციფერბლატის დიამეტრი 24 მ-ია, მასზე, 106 მ სიმაღლეზე, გადმოსახედი მოედანია.

ყოველდღიურად 10.00-სა და 21.00 საათებზე ეკლესიის კოშკიდან ქორალის მომაჯადოებელი ჰანგები ისმის; მეორე სართულზე საინფორმაციო მულტიმედიური პრეზენტაცია 5-მეტრიანი პანორამული ეკრანიდან ჰამბურგის 1000-წლიანი ისტორიის შესახებ გიამბობთ. **ღიაა:** 10.00-19.30

Englische Planke 1

ST. JACOBI

ჰამბურგის ერთ-ერთი უმთავრესი ლუთერანული ტაძარი ქალაქის ცენტრში მდებარეობს. 125-მეტრიანი კოშკის წყალობით ის ყველა მხრიდან მოჩანს. ტაძარი შუასაუკუნეების საგანძურითაა სავსე. 1255 წელს ამ ადგილას თურმე პატარა სამლოცველო მდებარეობდა. შემდგომში დიდი გოთიკური ტაძარი აშენდა; მეორე მსოფლიო ომის მერე დანგრეული ტაძარი აღადგინეს. დღემდე შემორჩა St. Jacobi-ს მთავარი სიამაყე – არპ შნიტგერის მიერ 1693 წელს შექმნილი ორგანი, რომელსაც 4 ათასი მილი აქვს. ტაძარს ამშვენებს ჭერის მოხატულობა, კედლის ბიბლიური მხატვრობა, პასტორთა პორტრეტები, სამი საკურთხეველი და გროდელის ვიტრაჟები.

ღიაა: ყოველდღე – 10.00-19.30

Jakobikirchhof 22

ST. KATHARINEN

ელბის სანაპიროზე მდგარი წმ. ეკატერინეს ლუთერანული ეკლესია ჰამბურგის შემორჩენილ ტაძართაგან ყველაზე ძველი ნაგებობაა. ის მეზღვაურების ტაძრად მიიჩნეოდა. სამნავიანი გოთიკური ფსევდობაზილიკა 1450 წელს აუშენებიათ. მეორე მსოფლიო ომს გარე კედლები და კოშკი გადაურჩა.

ტაძრის რარიტეტებია: ვილმ დედეკეს „ჯვარცმა“ (1500 წ.), XIV საუკუნის ორი ხის ქანდაკება, ჰანს ნოიზელემის ზარები (1626 წ.), 1657 წელს კოშკზე დაშენებული რამდენიმეიარუსიანი გუმბათი და შპილი ოქროს გვირგვინით, თუმცა ომმა გაანადგურა XVI საუკუნის ორგანი, რომელზეც თვით ბახსაც დაუკრავს.

ღიაა: 10.00-19.00

Katharinenkirchhof 1

ST. NIKOLAI

მრავალჯერ დანგრეული წმ. ნიკოლოზის ეკლესია წყაროებში XI საუკუნიდან იხსენიება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 1863 წლის ნაგებობიდან (არქიტექტორი – გილბერტ სკოტი) 147 მ სიმაღლის მთავარი ნეოგოთიკური კოშკი შემორჩა.

აქ ნახავთ ოსკარ კოკოშკას შექმნილ საკურთხევლის მოზაიკას. ტაძრის დანგრეული ნაწილი აღარ აღადგინეს, რათა შთამომავლებს ომის შესახებ ახსოვდეთ. აქვეა სამუზეუმო პავილიონი. კოშკის სარდაფში ღვინის მუზეუმია. 2005 წელს 75 მ სიმაღლეზე გადმოსახედი მოედანი მოაწყვეს, სადაც ლიფტით მოხვდებით. **ღიაა:** 10.00-18.00

Willy-Brandt-Straße 60

ST. PETRI

ქალაქის ყველაზე ძველი მოქმედი ლუთერანული ტაძარი პირველად წყაროებში 1195 წელს იხსენიება. ნაგებობამ XIV საუკუნეში გოთიკური იერსახე მიიღო. XII საუკუნის ტაძარი 1842 წლის ხანძრის შემდეგ თითქმის ხელახლა აშენდა. შუასაუკუნეების საკურთხეველი (1379-1383) და ბაროკოს სტილის პორტალი (1604-1605) მუზეუმებშია გადატანილი. **ღიაა:** ყოველდღე – 11.00-17.00

Schillerstrasse 20

RATHAUS

1842 წელს ქალაქის ძველი რატუშა ხანძარმა გაანადგურა. ახალი რატუშის მშენებლობა 1897 წელს დასრულდა. ულამაზეს ნაგებობაში 647 ოთახია, რომლებიც 4000 მუხის კოჭს ეყრდნობა. მართალია, „ჰანზას“ სტილს უბრალოება ახასიათებს, მაგრამ ჰამბურგის რატუშის ფასადი ძვირფასი მორთულობით გამოირჩევა. მასზე კაიზერის 12 ქანდაკებაა. მთავარი შესასვლელის თავზე ლათინურად ამოტვიფრულია წარწერა: **„დაე, შთამომავლებმა ღირსეულად შეინარჩუნონ თავისუფლება, რომელიც წინაპრებმა მოიპოვეს“.**

Rathausmarkt 1

ძველი გვირაბი ელბაზე

ცნობილი კვადრატული ნაგებობა, რომელსაც გუმბათი ადგას, სანკტ პაულის რაიონის ნავსადგომების სიახლოვეს მდებარეობს. მის კედლებს იქით ოთხი უზარმაზარი ლიფტის მექანიზმი იმალება, რომლებსაც 1911 წლიდან ადამიანები და ტრანსპორტი 24 მეტრის სიღრმეზე ჩაჰყავს. აქ ორი გვირაბია გაჭრილი ელბის სამხრეთ ნაპირისაკენ, შტაინვერდერის კუნძულისაკენ (Steinwerder).



TROSTBRÜCKE

1266 წლიდან ძველ ქალაქში მდებარე ეს ხიდი Domstraße-სა და წმ. პეტრეს ტაძარს (საეპისკოპოსო ქალაქს) აკავშირებს გრაფის ქალაქთან, რომელიც გუსტავ ადოლფ III-მ, შაუენბურგის, შტორმარნისა და გოლშტინის გრაფმა დააარსა.

Trostbrücke 1

BÖRSE

XVI საუკუნეში დაარსებული ჰამბურგის ბირჟის შენობა გერმანიის ამ ტიპის ნაგებობებს შორის უძველესია. ის რატუშასთან ახლოს მდებარეობს და დამთვალიერებელთათვის ღიაა.

HAMBURGER KUNSTHALLE

გერმანიის ერთ-ერთი უდიდესი სამხატვრო მუზეუმის მუდმივი ექსპოზიცია დამთვალიერებელს შვიდსაუკუნოვან სახელოვნებო საგანძურში ამოგზაურებს – შუასაუკუნეების საკურთხევლებით დაწყებული, თანამედროვე არტით დამთავრებული. ძველი ოსტატების კოლექცია ჩრდილოგერმანული (1400 წლიდან), ჰოლანდიური (XVII ს.), იტალიური (1350-1800) და ფრანგული (XVII-XVIII სს.) ხელოვნებისაგან შედგება. იხილავთ რემბრანდტს, უფროს კრანახს, რუბენსს, მეცხრამეტე საუკუნის რომანტიკოსებს, სეზანს, მონეს, მანეს, გერმანელ იმპრესიონისტებსა და ა. შ.

MUSEUM DER ARBEIT

შრომის მუზეუმში, რომელიც ისტორიული ფაბრიკის შენობაში განთავსდა, წარმოდგენილია უნიკალური მანქანა-დანადგარები, რომელთაგან ზოგიერთი დღესაც მუშაობს; ბეჭდვის საამქროები, 1925 წლის საბუღალტრო ოთახები, სპილენძის დამამუშავებელი სახელოსნოები, საიუველირო ხელსაწყოები და ა. შ.

ღიაა: სამშაბათი-კვირა – 10.00 -17.00, ორშაბათი – 13.00-21.00.

ბილეთის ფასი: 7.50€

Wiesendamm 3

BUCERIUS KUNST FORUM

Kunst Forum-ის კონცეფცია ბუცერიუსის ფონდმა 1970-იან წლებში ჩამოაყალიბა. მან ძველი და თანამედროვე ხელოვნება მნახველს ახალი ფორმით შესთავაზა.

ყოველწლიურად ოთხი მოძრავი გამოფენა 100 ექსპონატით დამთვალიერებელს ნაცნობ ხელოვანებს სრულიად განსხვავებული ვერნისაჟით წარმოუდგენს. მაგალითად, 2009 წელს მატისის გამოფენაზე გალერისტებმა მხატვრის ყველა პორტრეტი შეკრიბეს. სხვადასხვა კონცეფციის ქვეშ გაერთიანებულნი არიან პიკასო, კოკოშკა, ფრიდა კალო და ა. შ. ეწყობა გამოფენები, რომლებზეც ერთად იხილავთ მანიერიზმსა და ეტრუსკულ ხელოვნებას.

ღიაა: ყოველდღე – 11.00-19.00

Rathausmarkt 2

BALLINSTADT

ჰამბურგის ემიგრაციის მუზეუმი სწორედ იმ ადგილასაა, საიდანაც დაიწყო თითქმის 5-მა მილიონმა ევროპელმა 1850-1939 წლებში მოგზაურობა „ახალი სამყაროსკენ“. მთელი მსოფლიოდან აქ მილიონობით ადამიანი საკუთარი წინაპრების თავგადასავლის მოსაძიებლად ჩამოდის.

Veddeler Bogen 2

MUSEUMSHAFEN OEVELGÖNNE

ნავმისადგომს მუზეუმისა და ისტორიული გემების სანახავად სტუმრობენ. აქ შეგიძლიათ იხილოთ უძველესი სატვირთო გემები და იალქნიანი ნავები. ადმინისტრაცია ამ ძველ გემებს გულმოდგინედ უვლის და ზოგიერთ მათგანს მუშა მდგომარეობაშიც კი ინახავს. სტუმრებს შეუძლიათ მცირე ხომალდით ან პოლიციის გემით ექსკურსიაზე გაემგზავრონ.

Ponton Neumühlen Ottense

SPEICHERSTADT MUSEUM

Speicherstadt საწყობების ნამდვილი ლაბირინთია, ის მეცხრამეტე საუკუნეში აშენდა. ეგრეთ წოდებული კვარტერმაისტერები ძვირფასი საქონლის ინსპექციასა და შენახვას განაგებდნენ, მაგალითად, ჩაის, ყავის ან თამბაქოსი, რომელიც სხვა ქვეყნებიდან ჰამბურგში შედიოდა. Speicherstadt-ის მუზეუმში შეგიძლიათ წარსულში იმოგზაუროთ.

Am Sandtorkai 36, HafenCity



SAMMLUNG FALCKENBERG

2007 წელს ჰაროლდ ფლაკენბერგმა Phoenix-ის ერთ-ერთი დარბაზი შეიძინა და საგამოფენო სივრცე შექმნა, სადაც თანამედროვე ხელოვნების დაახლოებით 2000 ნიმუშია გამოფენილი. კოლექციაში აქცენტი ბოლო 30 წლის განმავლობაში შექმნილ ამერიკულ და გერმანულ ნამუშევრებზე კეთდება; სოციალურ კარიკატურებზე, რომლებიც ირონიით, ცინიზმითა და კონტრკულტურულობით გამოირჩევა. ზინგმარ პოლკის, ჯონ ბალდესარის და ჯონათან მისის ნეონის შუქით განათებული ნამუშევრები დარბაზის თეთრ კედლებზე ნახატ მონუმენტებს ჰგავს.

Wilstorfer Str. 71

RÖMISCHER GARTEN

პარკი, რომელიც მდინარე ელბის ზემოთ მდებარეობს, ანტიკურ ამფითეატრს მოგაგონებთ. მომრგვალებული გამწვანების ცენტრს თეატრალური წარმოდგენების-თვის იყენებენ. ყველაზე მოსაჯადოებელი მაინც ფონად მიმავალი მდინარის ხედია.

Kösterbergstraße 4OE, Blankenese

PLANTEN UN BLOMEN

ჯადოსნური პარკი ბოტანიკური ბაღით, სათბურითა და ევროპაში უდიდესი იაპონური ბაღით მოგხიბლავთ. პატარა მდინარეს ფერადი მუსიკალური შადრევნით დამშვენებულ ტბასთან მიჰყავხართ.

INTERNATIONALES MARITIMES MUSEUM

9-სართულიან მუზეუმში ზღვის 3000-წლიანი ისტორიაა წარმოდგენილი. აქ ნახავთ გემის ათასობით მოდელს, მეკობრეების იარაღებს, ოქროს კომპასების ანტიკურ ნიმუშებს, ბრწყინვალე ფორმებს და საგნებს ჩაძირული გემებიდან, მაგალითად, ტიტანიკიდან. ბავშვებს გამორჩეულად საინტერესო შთაბეჭდილებები ელით: ვიდეორგოლი ზღვაში ყვინთვაზე, საზღვაო ომების ამსახველი ნახატები, 6-მეტრიანი ლეგოთი აწყობილი ტიტანიკის მოდელი.

Koreastraße 1

MINIATUR WUNDERLAND

ეს რკინიგზის ხაზის ყველაზე დიდი მოდელია მსოფლიოში. აქ წარმოდგენილია 1000-ზე მეტი მატარებელი 10 000 ვაგონით, 400 000-ზე მეტი ნათურით და 10 000 ავტომობილით.

გახსოვდეთ, რომ Miniatur Wunderland-ი ძალიან პოპულარული ღირსშესანიშნაობაა და დიდ რიგებს რომ ასცდეთ, ყველაფერი წინასწარ დაჯავშნეთ ვებგვერდის მეშვეობით.

უმჯობესია, დილის ან საღამოს საათები აირჩიოთ.

Kehrwieder 2-4/Block D

SOTHEBY'S HAMBURG

აუქციონზე გამოტანილი იყო მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული ტილოები, მათ შორის, პიკასოს „ბიჭი ჩიბუხით“. ეს ცნობილი აუქციონი სემუელ ბეიკერმა 1744 წელს ლონდონში დააარსა. დღეისათვის მას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 100 ოფისი აქვს, მათგან ერთ-ერთი კი ჰამბურგშია. საგამოფენო დარბაზებში დამთვალიერებლებს შეუძლიათ მანამდე იხილონ ნამუშევრები, სანამ მათ აუქციონზე გაიტანენ. გარდა ამისა, აქ შესაძლებელია ხელოვნების ნიმუშების შეფასება, თანაც გადასახადის გარეშე.

Tesdorpfstraße 22, Rotherbaum

TIERPARK HAGENBECK

ეს ჰამბურგის ზოოპარკია, სადაც თქვენი პატარა შეძლებს ჟირაფი დააპუროს, სპილოსა და თუთიყუშ არას მოეფეროს.

აქ მაიმუნები, ვეფხვები და სხვა ნაირ-ნაირი ცხოველები ფართო ვოლიერებში, მათთვის ბუნებრივ პირობებში ცხოვრობენ. ზოოპარკის საოცრებებს შორის გამორჩეულია „თავგადასავალთა აკვარიუმი“, რომლის ტროპიკულ წყლებსა და მღვიმეებშიც სტუმრებს ჩაყვინთვა შეუძლიათ.

Lokstedter Grenzstraße 2

ATLANTIC KEMPINSKI

ბოლო ხანს განახლებულმა Atlantic-მა გრანდ-ოტელების ისტორიაში 1909 წლიდან დაიმკვიდრა ადგილი. წლების განმავლობაში ჰამბურგი-ამერიკის მარშრუტის მოგზაურთათვის, რომელთაც ფუფუნება უყვართ, ის საუკეთესო სასტუმროდ იქცა.

დღეს Atlantic-ი ისევ სახელგანთქმულია, თუნდაც თავისი ცნობილი სტუმრების გამო, რომლებიც მუდმივად აქ ბინავდებიან: მაგალითად, უდო ლინდენბერგი, რომლის ნამუშევრებიც სასტუმროს ამშვენებს.

ნომრის ფასი: 250€-დან

An der Alster 72-79, St. Georg

GASTWERK HOTEL HAMBURG

შემინული შესასვლელი და დერეფნები ისტორიულ, ნახშირის ყოფილი საწყობის შენობაში შთამაგონებელ ატმოსფეროს ქმნის. სტუდიოს ტიპის ოთახებში წითელი აგური ჰარმონიულად ერწყმის ხალიჩებს, ხოლო სადა ფარდები უზარმაზარ ფანჯრებს მეტ მომხიბვლელობას ანიჭებს.

ნომრის ფასი: 120€-დან

Beim Alten Gaswerk 3, Bahrenfeld

HOTEL HAFEN HAMBURG

ამ სასტუმროში, თეორიულად, შეგიძლიათ გემითაც მიბრძანდეთ, ის ხომ პირდაპირ Landungsbrücken-თან მდებარეობს – ნავმისადგომთან, რომელთანაც მრავლადაა ელბის ტურისტული საკრუიზო გემები. ძველი გემების ნახატებით, დახვეწილი ავეჯითა და საზღვაო რელიკვიებით ეს ტრადიციული შენობა სტუმრებს საზღვაო ასოციაციებს უქმნის.

ნომრის ფასი: 130€-დან

Seewartenstraße 9, St. Pauli

25HOURS HOTEL ALTES HAFENAMT

ხშირად სასტუმროს განსაკუთრებულობას სწორედ პატარა დეტალები განაპირობებს. მაგალითად, 25Hours Hotel Altes Hafenamt-ის ყველა სტუმარი ერთხმად აღნიშნავს, რომ აქაური ონკანის წყალი ძალიან გემრიელია.

ეს სასტუმრო ნეპალში სასმელი წყლის პროექტების განხორციელებასაც კი უჭერს მხარს. თუმცა ყველაზე თვალში საცემი მაინც ფრთხილად და გულდასმით მოდერნიზებული ისტორიული საპორტო სამმართველოს შენობაა. ინტერიერები კაპიტნების საცხოვრებლებითაა შთაგონებული. სტუმრებს ხმელთაშუა ზღვის კულინარიით შთაგონებული, ბერლინსა და ვენაში უკვე სახელგანთქმული რესტორანი NENI და სხვა უამრავი სიურპრიზი ელით.

ნომრის ფასი: 140€-დან

Osakaallee 12, HafenCity

EAST

ამ სასტუმროს დერეფნებში, რომელიც იორდან მოზერის მიერ ფენ შუის ყველა კანონის გათვალისწინებითაა დაპროექტებული, აუცილებლად შეიგრძნობთ მანდარინის, დარიჩინისა და ჟასმინის ტკბილ სუნს. ამასობაში კი გარეთ St. Pauli-ს უბნისათვის დამახასიათებელი ჩოჩქოლია, რაც კიდევ უფრო სასიამოვნოს ხდის ინტერიერის სიფაქიზეს. აქ პრივატული კინოთეატრი, ლაუნჯები და კლუბია, სწორედ ამიტომ სასტუმროს მცხოვრებლებს იმაზე მეტხანს ღვიძავთ, ვიდრე თავად ისურვებდნენ.

ნომრის ფასი: 150€-დან

Simon-von-Utrecht-Straße 31, St. Pauli

SUPERBUDE ST. GEORG

ალბათ ადამიანთა უმეტესობა ამ სასტუმროსა და ჰოსტელის კომბინაციის სახელწოდებას – Superbude-ს ანუ „სუპერგათხრებს“ უჩვეულოდ მიიჩნევს. აქ ლუდი Astra-ს ყუთებს სკამებად იყენებენ, ხოლო თაგვის ხაფანგებს ფუნქცია შეუცვალეს და Superbude-ში ჟურნალებსა და გაზეთებს „იჭერენ“. ხელმისაწვდომი ფასებით გამორჩეული ეს სასტუმრო ოდნავ მაინც ჩაგეხედებთ ჰანზელთა სუბკულტურებში.

ნომრის ფასი: 100€-დან

Spaldingstraße 152, Hammerbrook



WASSERSCHLOSS SPEICHERSTADT

ევროპული

ჯადოსნური ადგილი, სადაც საუცხოო ჩაი და ტკბილეულობა შეგიძლიათ მიირთვათ, ისტორიული საწყობების უბანში, კუნძულზე მდებარეობს. აქ კერძებს არა მხოლოდ წყლით, არამედ ჩაითაც ამზადებენ – მაგალითად, როიბოსის ჩაიში დამარინადებული ღორის ფილე ან მწვანე ჩაისა და პოლენტას ღვეზელი. Wasserschloss Speicherstadt-ში კრეატიული თევზის კერძები, ბურგერები და ბრწყინვალე ჩაის მენიუა. ყველა მათგანს თავისი ისტორია აქვს. იქვე 200 სახეობის, სხვადასხვა წარმოშობის ჩაი და დელიკატესები იყიდება.

ღიაა: ყოველდღე – 10.00-22.00.

Dienerreihe 4, HafenCity

DIE BANK

ევროპული

მაღალი შებათქაშებული ჭერი, რომელიც სვეტებს ეყრდნობა, მინის კრისტალური განათება, უზარმაზარი კედლის სარკეები, მუქი ფერის ხე და ტყავი – ამ რესტორნის ინტერიერი კლასიკური ელეგანტურობის თვალსაჩინო მაგალითია. თავად შენობა 1897 წელს ბანკისათვის ააშენეს, შემდეგ განაახლეს და 1920-იანი წლები აქ სამუდამოდ შენარჩუნდა. **ღიაა:** ორშაბათი-შაბათი – 11.00-24.00.

Hohe Bleichen 17, Neustadt



AU QUAI

თევზის რესტორანი

რესტორანში ხმელთაშუა ზღვის კულინარიით ტკბობა „პირდაპირ წყალზეა“ შესაძლებელი, ნავმისადგომისა და Dockland-ის ხედების ცქერის პარალელურად. მენიუში თევზი, ხორცი, პასტა და რიზოტოა. ამ ყველაფერს კი შუადღიდან დღის სამ საათამდე არც ისე ძვირადღირებული ლანჩი ერთვის.

ღიაა: ორშაბათი-შაბათი – 17.30-24.00, კვირას დაკეტილია.

Große Elbstraße 145b-d, Altona-Altstadt

FILLET OF SOUL

ევროპული

აქ ფორმალურობის ნიშანწყალსაც ვერ დაინახავთ, მიუხედავად იმისა, რომ რესტორანი მუზეუმების უბან Deichtorhallen-ში მდებარეობს, სადაც ძვირადღირებული ხელოვნების ნიმუშები მრავლადაა. Fillet of Soul-ში გულღიად გესაუბრებიან, ხოლო ღია სამზარეულოში ნამდვილი სასწაულები ხდება. ახალგაზრდა მზარეულები სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულოოთი შთაგონებულ უმაღლესი კლასის კერძებს შემოგთავაზებენ. თუ განსაკუთრებული კულინარიული ნატვრა გაქვთ, აქ აგიხდებათ. **ღიაა:** სამშაბათი-კვირა – 11.00-24.00, ორშაბათს დაკეტილია.

Deichtorstraße 2, Alstadt

VLET

გერმანული

ეს გურმანული სივრცე ისტორიული Speicherstadt-ის უბანში მდებარეობს. აქ ტრადიციული ჰამბურგული დელიკატესების ახლებურ ინტერპრეტაციებს გთავაზობენ. მენიუ სეზონურად იცვლება, მაგრამ ზოგიერთი კლასიკური კერძი უცვლელია, მაგალითად, ძროხის ხორცის ტარტარი, რომელსაც მაგიდასთანვე დაგიმზადებენ. ხორცი ადგილობრივი ფერმებიდან მოაქვთ, სხვა ინგრედიენტებსაც გულდასმით არჩევენ. **ღიაა:** ორშაბათი-შაბათი – 18.00-24.00, კვირას დაკეტილია.

Am Sandtorkai 23-24, HafenCity

OFF CLUB

ევროპული

თავისი პირველი რესტორნის, Bullerei-ს შემდეგ ტიმ მოზლერი მეორე რისკზე წავიდა და Off Club-ი გახსნა. ხის მაგიდებითა და წიგნის თაროებით დამშვენებული მიწისქვეშა ბარიდან შეგიძლიათ ღვინის საცავში შეაბიჯოთ, მას „სათამაშო ოთახს“ ეძახიან.

ეს პრივატული სივრცეა, რომელიც მულტფილმის გმირების გამოსახულებებითაა დეკორირებული. შუადღისას მენიუში გემრიელობებს იხილავთ: ქათმის ფრთები ცხარე საწებლით, რიზოტო ან სალათა. წითელი პლუშით მორთულ სალონ Madam X-ში რამდენიმეკერძიანი მენიუ ყოველთვიურად იცვლება. **ღიაა:** სამშაბათი-შაბათი – 18.00-24.00, კვირას და ორშაბათს დაკეტილია.

Leverkusenstraße 54, Bahrenfeld

CLOUDS

გრილი

Tanzenden Türme-ს, „მოცეკვავე ცათამბჯენების“ ოცდამესამე სართულზე ჰამბურგის ყველაზე მოდური და ყველაზე მაღლა მდებარე რესტორანია. აქ სტუმრები არა მხოლოდ ქალაქის შესანიშნავი ხედებით დატკბებიან, არამედ უმაღლესი კლასის ევროპული და ფრანგული კულინარიით შთაგონებულ კერძებსაც გასინჯავენ. თანამედროვე დიზაინის, ტყავისა და ხის ბარში სტუმრებს 18 სხვადასხვანაირი ჯინით უმასპინძლდებიან. სახურავზე მდებარე ტერასაზე კიდევ ერთ ბარს მიაგნებთ, იქვე შეზლონგები და ლაუნჯი დაგხვდებათ. მაგიდა წინასწარ დაჯავშნეთ.

ღიაა: ყოველდღე – 17.00-23.00.

Reeperbahn 1, St. Pauli

HENSSLER & HENSSLER

იაპონური

აქაური ატმოსფერო სიმარტივითა და უშუალობით გამოირჩევა. იაპონურ-ინტერნაციონალური სამზარეულო კონტრასტებითაა სავსე – შემწვარი ორაგულის საშიმის მარწყვიან ორცხობილასა და სატაცურთან ერთად მოგართმევენ და ეს რესტორნის გამომგონებლური კომბინაციების მხოლოდ ერთი მაგალითია. აქაურ სუში ბარში, სასადილო დარბაზში ან ტერასაზე თუ გადაწყვეტთ სადილობას, აუცილებლად წინასწარ დაჯავშნეთ ადგილი.

ღიაა: ორშაბათი-შაბათი – 12.00-15.00, 18.00-23.00; კვირას დაკეტილია.

Große Elbstraße 160, Altona-Alstradt

COAST BY EAST

აზიური

გარდა იმისა, რომ ამ რესტორანს ხელსაყრელი მდებარეობა აქვს, Marco Polo-ს გვერდითაა და Elbphilharmonie-ს საკონცერტო ჰოლს გადაჰყურებს, ის გამორჩეული სამზარეულოთიცაა სახელგანთქმული.

ნახშირწყლების დაბალი შემცველობის აზიური კერძები შესანიშნავი ხარისხის ინგრედიენტებით მზადდება.

ახალი თევზი და ზღვის პროდუქტები, სუში და ვეგეტარიანული კერძები ძალიან „უხდება“ ხედებს.

ღიაა: ყოველდღე – 12.00-22.00.

Großer Grasbrook 14, HafenCity

DAS SEEPFERDCHEN AM HAFEN

თევზის რესტორანი

Fischmarkt-სა და Altona-ს საკრუიზო ცენტრს შორის, პირდაპირ ელბის სასეირნო სანაპიროზე მდებარე რესტორანი სტუმრებს ჰამბურგული „ჰანზას“ წარსულში მოგზაურობას სთავაზობს. ძველ თევზის პავილიონში ინტერიერი თანამედროვე, მაგრამ სადა დიზაინითა და სასიამოვნო ატმოსფეროთი გამოირჩევა.

მრავალფეროვან მენიუში ახალდაჭერილ თევზეულთან ერთად ხორციანი კერძები და რეგიონული პროდუქტებიც მრავლადაა. შეგიძლიათ ღია ტერასაზე ისადილოთ.

Große Elbstraße 212

(M)EATERY

სტეიკჰაუსი

ამ რესტორანში ხორცს, პირდაპირი მნიშვნელობით, მთავარი ადგილი უჭირავს – მინის კედლებიდან ყუთში შეგიძლიათ უმზიროოთ ხორცის ნაჭრებს, რომლებიც დაძველების პროცესს

გადის. რბილი სტეიკები ამერიკიდან, არგენტინიდან თუ ევროპიდან პირდაპირ თქვენს მაგიდაზე აღმოჩნდება. აქ ტარტარის დიდი არჩევანიცაა – ძროხის, ხბოს, თინუსისა და ორაგულის ტარტარი შეგიძლიათ დააგემოვნოთ კლასიკურ, ხმელთაშუა ზღვის, შუა აღმოსავლეთის ან აზიურ მარინადებთან ერთად. **სადილი 2 პერსონაზე ჭიქა სასმლით:** 80€; **ღიაა:** ორშაბათი-პარასკევი – 12.00-22.45, შაბათ-კვირას – 15.00-22.45.

Drehbahn 49, Neustadt

CORNELIA POLETTO

იტალიური

2011 წელს უმაღლესი კლასის შეფმზარეულმა კორნელია პოლეტომ ოცნება აისრულა და ტრადიციული გასტრონომია გახსნა. იტალიური კერძების მოყვარულებს შეუძლიათ აქ რჩეული პროდუქტებიც იყიდონ (ყველი, სანელებლები, ზეთები, მარილი, ხორცი) და მომზადების ინსტრუქციაც მიიღონ. კერძებს დახვეწილ ატმოსფეროში მოგართმევენ. მენიუ, რომელშიც კლასიკური და ხმელთაშუა ზღვის თანამედროვე კერძების ჩამონათვალია, ყოველდღიურად იცვლება.

ღიაა: სამშაბათი-შაბათი – 11.00-23.00, კვირა-ორშაბათს დაკეტილია.

Eppendorfer Landstraße 80, Eppendorf

FISCHMARKT

ალტონაში, ჰამბურგის უძველეს ბაზრობაზე, რომელიც 1703 წლიდან არსებობს, დილის 5 საათიდან (ზამთარში 7-იდან) 9.30-მდე შეგიძლიათ ყველაფერი შეიძინოთ, რასაც კი ინატრებთ. Fischmarkt-ი ხორცის, თევზის, ბოსტნეულის, ტანსაცმლის, ოთახის მცენარეების, ანტიკვარიატისა და ა. შ. მხიარულ გამყიდველთა ერთობლიობაა. რესტავრირებული Fischauktionshalle (თევზის აუქციონის პავილიონი) 100 წლისაა. მასში უამრავი საქონელი იყიდება – ძველი ფაიფურით დაწყებული, ცოცხალი ბატებით დამთავრებული. ეს ბაზრობა განთქმულია უგემრიელესი კერძებით, ჭრელი პუბლიკითა და ცოცხალი მუსიკით.

Große Elbstraße 9

BRÜCKE 10

თუ მდინარისკენ პორტის გავლით მიდიხართ, მაშინ უნდა შეიაროთ კაფეში, სადაც მთელ ჰამბურგში საუკეთესო თევზიანი ბუტერბროდი მზადდება. Brücke 10-ში რომ საუკეთესო ბუტერბროდებია და ყველაზე ახალი თევზი, ეს ამბავი საყოველთაოდ ცნობილია, ამიტომ აქ ბევრ ადგილობრივსაც შეხვდებით; ნახავთ გემების ეკიპაჟების წევრებს, რომლებიც გემის ჩამოდგომისთანავე მორბიან აქ, რომ სწრაფად შეჭამონ და, რა თქმა უნდა, ლუდი დალიონ. გარდა გემრიელი კერძებისა, ამ ადგილიდან შეგიძლიათ პორტში შემომავალ და გამავალ გემებს დააკვირდეთ. ნავსადგურის ამ მხარეს ბევრი ტურისტი არ არის და, შესაბამისად, ეს იდეალური და ყველაზე მშვიდი ადგილია მზის ჩასვლის სანახავად.

რჩევა: გასინჯეთ სენდვიჩი კრაბებით (Krabbenbrötchen), რომელიც ცოტა ძვირია, მაგრამ გარწმუნებთ, ღირს.

St. Pauli Landungsbrucken

ISEMARKT

ეს ბაზარი ყველაზე დიდია ევროპაში – ერთ კმ-ზეა გადაჭიმული, 200-ზე მეტი მოვაჭრით. თუ „ქუჩის საკვების“ მოყვარული ხართ, Food Truck Sessions-ი სწორედ თქვენთვისაა. ყოველ ხუთშაბათს 15-მდე ავტოსამზარეულო ექსპერიმენტულ და გემრიელ კერძებს გვთავაზობს. ბაზარში ყველასთვისაა მაგიდა გაშლილი 100 მეტრზე, სადაც შეგიძლიათ მიირთვათ, დალიოთ, გაიცნოთ ადამიანები.

რჩევა: მოძებნეთ ჯიხური, სადაც შებოლილი პატარა გოჯი იყიდება და აუცილებლად გაუსინჯეთ გემო. ეს ტრადიციული გერმანული კერძია, რომელიც გამორიცხულია ვინმეს არ მოეწონოს.

Isestraße 1-73

შობის წინა პერიოდში ქალაქის ყველაზე ხალხმრავალ ადგილას, რატუშის მოედანზე ხის ფარდულებს (Rathausmarkt) აგებენ. 2017 წელს აქ ბაზრობა 23 ნოემბერს დაიწყება და 29 დეკემბრამდე გასტანს. ამ ხნის განმავლობაში, შაბათობით ბავშვებისათვის განსაკუთრებული ფერადოვანი სანახაობა იმართება – აღლუმი Hamburger Weihnachtsparade, მხიარული პროცესია თოვლის პაპების, ირმების, ელფებისა და სხვა პერსონაჟების მონაწილეობით. სანკტ პაულის რაიონში კი ყველაზე არაჩვეულებრივი ბაზრობა ეწყობა, რომელზეც საშობაო ტრადიციებსა და ფრივოლურ გართობებს შორის საზღვრები წაშლილია.

ბაზრობები ღიაა: ყოველდღე – 11.00-20.00, კვირაობით – 13.00-20.00; 24 დეკემბერს დაკეტილია.

ნაძვის ხის მორთვის ტრადიცია მთელ მსოფლიოში გერმანიიდან გავრცელდა. არსებობს გადმოცემა, რომ ამ ტრადიციას სათავე დაუდო გერმანელმა რეფორმატორმა **მარტინ ლუთერმა**. 1513 წელს, შობის წინა საღამოს იგი სახლში რომ ბრუნდებოდა, ვარსკვლავებით მოჭედილი ცის სილამაზემ მოაჯადოვა, თითქოს ხეების ვარჯებიც ბრწყინავდნენ. ლუთერმა სახლში მაგიდაზე დადგა ნაძვი და სანთლებით მორთო, ხოლო წვერი ვარსკვლავით დაამშვენა ბეთლემის ვარსკვლავის ხსოვნის ნიშნად. საერთოდ, ძველი გერმანელებისათვის ნაძვი წმინდა ხედ ითვლებოდა: მათ სწამდათ, რომ წიწვებში ტყის სული სახლობდა, რომელიც ბუნებას იცავდა.

VOYAGER კომენტარი

500 წლის წინ მარტინ ლუთერმა თავისი **„95 თეზისი“** გამოაქვეყნა და ამით სამყარო რადიკალურად შეცვალა. წელს გერმანიაში რეფორმაციის 500 წლისთავს აღნიშნავენ.

ჩაქუჩი რეფორმატორის ტიპური სიმბოლოა – მთელი მსოფლიოსთვის მარტინ ლუთერის სახე გარკვეულ მხატვრულ სურათში განივთდა: 1517 წლის 31 დეკემბერს იგი ვიტენბერგის ტაძრის მძიმე ხის კართან მიდის და თავის „95 თეზისს“ „მიაჭედებს“. მარტინ ლუთერი ამ დოკუმენტით კათოლიკური ეკლესიის საქმიანობას აკრიტიკებს და რწმენის ცვლილებას ითხოვს. იმ ამბავს, რომ ლუთერს თავისი თეზისები კარზე თავად არ „მიუჭედებია“, პროტესტანტებისათვის მნიშვნელობა აღარ აქვს. მათთვის მთავარია ლუთერის შეუპოვრობა, შეურიგებლობა და ის, რომ მას კრიტიკის გამოთქმისა არ შეეშინდა – სიმამაცე, რომელიც გამოიხატა სიტყვებში: **„აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“.**

UNGER HAMBURG

აქ ტრადიციების და მაღალი მოდის შეხვედრის ადგილია. ჰამბურგის გულში მდებარე Unger Hamburg-ი 1200 კვ. მეტრის ფართობზე იტევს ექსკლუზიურ დიზაინერულ ბრენდებს მთელი მსოფლიოდან. აქ ნახავთ ყველაფერს: ფრანგული ოტ კუტიურით დაწყებული, იტალიური მაღალი კლასის ყოველდღიური სამოსით გაგრძელებული და ამერიკული მოხდენილი, მდიდრული მზა სამოსით დასრულებული.

აქსესუარების, ფეხსაცმლის, ხელჩანთებისა და სხვა ნივთების განსაცვიფრებელი არჩევანის გარდა Unger Hamburg-ის ტერიტორიაზე Dior-ისა და Céline-ის ექსკლუზიურ მაღაზიებსაც შეგიძლიათ ესტუმროთ.

ღიაა: პარასკევს – 09.00-19.00, შაბათს – 10.00-19.00

Neuer Wall 35

OMEN

მსოფლიოში ცნობილი ეს ბრენდი 1968 წელს დაარსდა ჰამბურგში. Omen-ის სამოსი და აქსესუარები მხოლოდ ამ ბრენდის მაღაზიებში – Thomas I Punkt-ში შეგიძლიათ შეიძინოთ.

ქალისა და მამაკაცის სამოსის დიზაინი ჰამბურგში იქმნება და იქვე იწარმოება პატარა საკერავ და საქსოვ ფაბრიკებში. სიყვარულითა და პროფესიონალიზმით შექმნილი პროდუქცია მაღალი ხარისხისაა. აქცენტი დეტალებზე კეთდება.

Thomas I Punkt-ის მაღაზიები განსაკუთრებულად უყვართ სკეიტერებს – ხელნაკეთი სამოსისა და აქსესუარების მოყვარულებს, თუმცა აქვე შეხვდებით ქუჩის სტილისა თუ ბიზნეს „ლუქის“ სამოსს, ფეხსაცმელს, ზურგჩანთებსა და სხვა საინტერესო აქსესუარებსაც.

ღიაა: ორშაბათი-შაბათი – 10.00-20.00

Mönckerbergstraße 21 ან Gänsemarkt 24

SECONDELLA

ეს საუკეთესო ვინტაჟური სავაჭრო სივრცეა არა მარტო ჰამბურგში მაღალი ხარისხის მეორადი, მაგრამ პირველი კლასის ნივთების შესაძენად. 400 კვ. მეტრზე განთავსებულ ორ საუკეთესო ვინტაჟურ მაღაზიაში ლეგენდარული დიზაინერების მიერ შექმნილ უმაღლესი ხარისხის გასაოცარ ნივთებს იპოვით. Secondella-ში თავმოყრილია ცნობილი ბრენდების პროდუქცია, ხოლო Secondella Depot-ი ახალგაზრდა დიზაინერების შერეულ პროდუქციას ყიდის. მაღაზიის მეორე სართულზე ბოლო შანსი გაქვთ, რომ ნივთები 10-იდან 100€-მდე ფასად შეიძინოთ.

აქ 100-ზე მეტი ტოპდიზაინერის მიერ შექმნილი ქალის, მამაკაცის და ახლა უკვე ბავშვის სამოსი და აქსესუარები იყიდება.

მათ შორის შეხვდებით Hèrmes-ს, Chanel-ს, Prada-ს, Gucci-ს, Miu Miu-ს, Marni-ს, Louis Vuitton-ს, Zegna-ს, Omen-ს, Yamamoto-ს, Bottega Veneta-ს, Nancy Gonzalez-ს, Fendi-ს, Balenciaga-ს, Christian Louboutin Moncler-ს, Bonpoint-ს, Brunello Cucinelli-სა და სხვა ბრენდებს.

ღიაა: ორშაბათი-პარასკევი – 10.00-19.00, შაბათს – 10.00-18.00

Hohe Bleichen 5

BUDAPESTER SCHUHE

მაღაზია ქალისა და მამაკაცის 200-ზე მეტი ბრენდის (Crockett & Jones, Santoni, Giuseppe, Zanotti, Jimmy Choo, Gucci, Prada, Dsquared, Moreschi, Alden, Bottega Venetta) ფეხსაცმელს გთავაზობთ, აქ შესანიშნავ აქსესუარებსაც ნახავთ.

ღიაა: ორშაბათი-პარასკევი – 10.00-20.00, შაბათს – 10.00-19.00

Neuer Wall 30

KEIL MASSSCHUHMACHEREI

თაობიდან თაობაზე გადაცემული ტრადიციული მეთოდების გამოყენებით ტომას კეილი ხელით ამზადებს ტყავის ფეხსაცმელს. მეწაღის მაღაზია დროში გადაგანაცვლებთ, სადაც ხელსაწყოები და ფეხსაცმელი განსაკუთრებულ ატმოსფეროს ქმნის. ძალიან დიდი ვიტრინის გამო ცნობისმოყვარე გამვლელები ხშირად ჩერდებიან და უყურებენ კეილს, რომელიც თავის სამუშაო მაგიდასთან ზის, ფეხსაცმელს კერავს, ზედაპირს უგლუვებს, ცვილით ამუშავებს ან აწებებს.

Keplerstraße 20, Ottensen;
www.keil-schuhe.de

PERLE

საბინ ბრანდტის კონცეპტუალურ მაღაზიაში მომხმარებლებს გემოვნებით შერჩეული ექსკლუზიური მოდის კოლექციების ნიმუშები აღაფრთოვანებს. აქ შესანიშნავი დიზაინერული სამოსი და უნიკალური სახლის აქსესუარებია – უჩვეულოდ გრძელი ასანთითა და განსაკუთრებული არომატების საპნებით დაწყებული, უმშვენიერესი პრეს-პაპიეთი დამთავრებული. საჩუქრების შესაძენად „პერლი“ იდეალური ადგილია.

Großneumarkt 22, Neustandt

LE LION

ეს ბარი მსოფლიოს 50 საუკეთესო ბარს შორის სახელდება. ის ყოველწლიურად ხვდება სხვადასხვა გამოცემის წლიურ რეიტინგებში, ამიტომაც კარზე დარეკვის აუცილებლობა ნუ გაგაოცებთ. კარს რომ გაგიღებენ, კლასიკური, ბნელ, თუმცა საჭირო ადგილას განათებულ ბარში მოხვდებით.

თუკი გაგიმართლათ, პირადად გაიცნობთ ბარის შეფ-მზარეულს იორგ მაიერს, რომელიც, აგრეთვე, არის ამ დაწესებულების მფლობელი და მსოფლიო კლასის ბარმენი. სწორედ მან გამოიგონა კოქტეილი Gin Smash შაშკვლავით, რომელიც ცხოვრებაში ერთხელ მაინც ყველამ უნდა გასინჯოს.

Rathausstraße 3

HEIMAT KÜCHE+BAR

Heimat Küche+Bar-ში შეგიძლიათ ახალთახალი ნამცხვრებითა და საოჯახო შნიცელით, ბურგერით ან თევზის ჩიპსებით დატკბეთ. სტუმრებს მყუდრო ხალიჩაზე ან თანამედროვე ხის სკამებზე მოკალათებას სთავაზობენ. აქ უზარმაზარი ფანჯრებია. ინტერიერის ბევრი ელემენტი და მასალა ახლოს მდებარე პორტის თემატური გაგრძელებაა.
საღამოობით Heimat Küche+Bar-ში ჰამბურგელი ახალგაზრდა არტისტები ცოცხალი მუსიკის საღამოებს ან DJ-ს თანხლებით საცეკვაო ღამეებს მართავენ.

Überseeallee 5, HafenCity

BAR DACAIO

მას შემდეგ, რაც რკინიგზის სადგურსა და ტბა ალსტერს შორის The George Hotel-ი გაიხსნა, ეს ადგილი ოფიციალურად გახდა კრეატიული და მოდური ხალხის თავშესაყარი. სასტუმრო ბრიტანელ ჯენტლმენთა კლუბს მოგაგონებთ. ბარში კი დღის 5 საათზე აუცილებლად ჩაის მოგართმევენ.

აქაურობა სადილის შემდგომი სასმელებითაც განთქმულია. ზაფხულობით სახურავის ტერასაზე შეგიძლიათ კოქტეილები მიირთვათ და ალსტერის ხედით დატკბეთ.

Barcastraße 3, St. Georg

MAD ABOUT JUICE

ბარი სახელგანთქმულია თავისი ახლად გამოწურული წვენებით, რომლებსაც პატარა მინის ბოთლებითა და საწრუპი ჩხირებით მოგართმევენ. ძალიან რთულია, მაცდურ სახელწოდებებს შორის რომელიმე აარჩიო – მაგალითად, „Back to the roots“ (ჭარხალი, სტაფილო და ვაშლი), „Gold Digga“ (ფორთოხალი, სტაფილო და კოჯა) – ორივეს უნიკალური გემო აქვს. აქ ტკბილი სასმელებიცაა ჯანსაღი შემადგენლობით, ხოლო თუ მოგშივდათ, შეგიძლიათ ხუთი სხვადასხვანაირი სენდვიჩიდან სასურველი აირჩიოთ.

Mühlenkamp 12, Winterhude

STRANDPERLE

მდინარე ელბის სანაპიროზე გაშენებული ეს პლაჟის ბარი, რომელმაც ყველა შტორმსა და წყალდიდობას გაუძლო, შესანიშნავ გარემოს გთავაზობთ. შეგიძლიათ ხის ტერასაზე ჩამოჯდეთ, ფეხები ქვიშაში ჩაფლოთ და წყალს უცქიროთ, თქვენ თვალწინ კი სატვირთო გემები და საკრუიზო ლაინერები ჩაივლის.

ამ უდიდეს სიამოვნებას თან ერთვის გემრიელი ვაფლები და ბურგერები – აქ ცხოვრება მშვენიერია.

Övelgönne 6O, Othmarschen

ERSTE LIEBE BAR

ეს ბარი, რომელიც მხოლოდ კერძებსა და სასმელს კი არ გთავაზობთ, არამედ დიდ სივრცეს უთმობს არტსა და დიზაინს, იდეალურად მოერგებოდა ლონდონურ სოჰოს. მუდმივად ცვალებად გამოფენებზე გამოტანილია ფოტოები, ქუჩის ხელოვნება, ინსტალაციები, ტექსტილის დიზაინი და მსოფლიოში ცნობილი არტისტების ნამუშევრები. დილით აქ საუზმეს გთავაზობენ. მუდამ ცვალებადი ლანჩის მენიუ პასტას, სალათებსა და ხელით დამზადებულ ნამცხვარს მოიცავს.

Michaelisbrücke 3, Neustadt

VOYAGER რეკომენდაცია

OSCHÄTZCHEN

Oschätzchen ნიშნავს „ოჰ, პაწია საუნჯევ“ და რთული დასაჯერებელია, რომ მეპატრონის ნამდვილი სახელია, მაგრამ ეს სიმართლეა. საუნჯე, რომელსაც ის ყიდის, უმეტესად საკვებია: ძვირფასი ზეთები, ეგზოტიკური სანელებლები, ხელით დამზადებული შოკოლადი და უამრავი სახეობის ჩაი აქაურ ძველმოდურ თაროებს ავსებს. ჰამბურგელ შემფასებლებს ასევე აღაფრთოვანებს მისი ფაიფური, ტილოები და დეკორატიული ნივთები. მომსახურე პერსონალი კი ნამდვილი ექსპერტია, როცა საქმე საჩუქრების შეფუთვაზე მიდგება.

Hohe Bleichen 26, Neustadt

GOLEM

აქაური ბარმენები ნამდვილი ალქიმიკოსები არიან. აქ მთელ ჰამბურგში საუკეთესო კოქტეილი შეგიძლიათ გასინჯოთ. დიჯეები ცოცხლად უკრავენ.

უცებ იღება კარადებსა და თაროებს შორის დამალული საიდუმლო კარი, რომელსაც ნახევრად სარდაფში ჩაჰყავხარ, სადაც მეორე საცეკვაო მოედანი და სხვა დიჯეები დაგხვდებიან, რომლებიც საცეკვაო მუსიკას უკრავენ.

აქ მოსვლისთვის ყველაზე კარგი დრო 23.00 საათიდან შუაღამემდეა.

Große Elbstraße 14

H1 CLUB

ამ შესანიშნავმა კლუბმა მალევე მოიპოვა არნახული პოპულარობა. ყოველკვირეულად მას ცხრაასამდე ადამიანი სტუმრობს. 700 კვ. მ ფართობზე უწყვეტი მხიარულებაა.

ღია: ყოველდღე – 23.00-06.00

Conventstraße 8-10

MOONDOO

ამ ღამის კლუბს ადრე Top Ten ერქვა, სადაც The Beatles-ი მართავდა კონცერტებს. ამჟამად Moondoo-ში ლეგენდარული ნიუიორკელი DJ Afrika Islam მუშაობს. ეს კლუბი 2008 წელს გაიხსნა და ახლა ქალაქის ყველაზე პოპულარული ადგილია, სადაც ელექტრონული მუსიკის, დისკოსა და ფანკის თანამედროვე შეზავების მოსასმენად უამრავი გართობის მოყვარული დადის.

Reeperbahn 136, St. Pauli

თუ გსურთ ბოლომდე შეიგრძნოთ ჰამბურგის ღამის ცხოვრების მომხიბვლელობა, ST PAULI-ს კვარტალს უნდა ესტუმროთ. ოდესღაც აქაურობა მეზღვაურთა გართობის ცენტრი იყო. ცნობილი „ცოდვიანი ადგილი“ უკვე დიდი ხანია მხოლოდ ეროტიკული დაწესებულებების სამყოფელი აღარ არის. ახლა აქ უამრავი სახელგანთქმული ბარი, დისკოთეკა და საკულტო კლუბია.

PAL

ღამის კლუბი სამი მუსიკალური მიმართულებით: ელექტრონული მუსიკა, ჰაუსი და ჰიპ-ჰოპი. ატმოსფერო აქ საოცრად მხიარულია და ადამიანები მთელი ღამე ცეკვავენ. განსაკუთრებული მუსიკის და მუდმივად ცვლადი დიჯეების წყალობით, ამ ადგილას ძალიან მარტივია ცეკვაში დაიკარგო. თუ მაინცდამაინც მძაფრ შეგრძნებებს არ ეძებთ და მხოლოდ ბარი და გათენებამდე ცეკვა გსიამოვნებთ, მაშინ PAL-ი ამისთვის იდეალური ადგილია.

Karolinenstraße 45

GOLDEN CUT

ეს ჰამბურგის საზღვრებს გარეთ მდებარე კლუბთა შორის ყველაზე სახელგანთქმულია. ყოველ პარასკევსა და შაბათს მის ორ სართულზე სრულიად გამორჩეული, სხვადასხვა მიმართულების მუსიკის თანხლებით შვიდასზე მეტი ადამიანი დასვენების დღეებს „ზეიმობს“ და თავდავიწყებით ერთობა. Golden Cut – ეს წარმატებაზე ორიენტირებული ჰამბურგელების შეხვედრის ადგილია – მათი, ვინც ამ კლუბის ექსკლუზიურობას ძალზე აფასებს.

ღია: მხოლოდ პარასკევსა და შაბათს – 23.00-06.00

Holzdamm 61

KLEINER DONNER

Kleiner Donner-ი ნახევრად სარდაფში მდებარეობს, კიბეზე ფეხის ჩადგმისთანავე საცეკვაო სცენაზე აღმოჩნდებით. ხის კედლები, კარგად განათებული ბარი და დიჯეის კაბინა – ეს არის და ეს. კლუბი პაწაწინაა, მაგრამ თუკი გიყვართ ცეკვა, ჰიპ-ჰოპი და სხვა მსგავსი რიტმები და მოგწონთ, როცა შესაძლებელია აქტიური მოძრაობა და სხვადასხვა ცეკვის ილეთების დემონსტრირება, მაშინ ეს თქვენთვის იდეალური ადგილია. შეუძლებელია არ იცეკვოთ.

თუ კონცერტი არ არის, ბარის კარები შუაღამისას იღება (პარასკევს და შაბათს).

Schulterblatt 73

ნიუ-იორკისა და ლონდონის შემდეგ მსოფლიოში სიდიდით მესამე მუსიკალურ მეგაპოლისად აღიარებულ ჰამბურგში კულტურული ცხოვრება არნახული სიურპრიზებითაა სავსე. THE BEATLES-ის მსოფლიო კარიერა სწორედ აქ დაიწყო. „ბითლზის“ ქანდაკება REEPERBAHN-ისა და GROSSE FREIHEIT-ის ქუჩების კვეთაზე დგას, ST. PAULI-ს უბანში, სადაც 1960 წელს ლეგენდარული ჯგუფი 3,5 თვის განმავლობაში გამოდიოდა კლუბებში: INDRA, KAISERKELLER და TOP TEN CLUB.



FRANKFURT AM MAIN

გერმანიის ეკონომიკური დედაქალაქი, მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი ფინანსური ცენტრი, გოეთეს მშობლიური ქალაქი ფრანკფურტი ათასი შესაძლებლობის მეგაპოლისია. ფრანკ-ფურტის საერთაშორისო აეროპორტი ევროპის ერთ-ერთი უმსხვილესი ჰაბია და წლიურად 130 მილიონზე მეტ მგზავრს ემსახურება.

ფრანკფურტის ისტორიული ცენტრის მთავარი მოედანი ROMERBERG ქალაქის მერიის (დაარსდა 1405 წელს) გარშემო იშლება. ტრადიციული არქიტექ-ტურული სტილის შენობა-ნაგებობებიან მოედანზე იმართება ცნობილი საშობაო ბაზრობა.

GOETHEHAUS

სახლი, რომელშიც ყველა დროის ერთ-ერთი უდიდე-სი პოეტი და მწერალი – იოჰან ვოლფგანგ გოეთე 1749 წლის 28 აგვისტოს დაიბადა და 1775 წლამდე იცხოვრა, მეორე მსოფლიო ომის დროს მთლიანად და-ინგრა და ის პირველი შე-ნობა იყო, რომელიც ადგი-ლობრივებმა განადგურე-ბულ ქალაქში აღადგინეს. მუზეუმში შეგიძლიათ მოი-ნახულოთ ორიგინალი სა-მუშაო კაბინეტი, სადაც დიდ-მა მწერალმა შექმნა ისეთი შედევრები, როგორიცაა: „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“, „შერჩევითი ნათესაობა“ და „ფაუსტი“.

ღიაა: ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით – 10.00-18.00 და კვირას – 10.00-17.30.

ფასი: 7€

Großer Hirschgraben 23-25

FRANKFURTER RINDSWURST – ძროხის ხორცის ცნობილი სოსისი, რომელიც გადმო-ცემის თანახმად, 1894 წელს ფრანკფურტელმა ებრაე-ლებმა გამოიგონეს, რათა გაესინჯათ სოსისი, რომელ-შიც ღორის ხორცი არ იქნებოდა გარეული.

RIPPCHEN MIT KRAUT – ღორის ხორცის ნეკნები, რომელსაც, როგორც წესი, კომბოსტოს მწნილთან, კარტოფილის პიურესა და გერმანულ მდოგვთან ერთად მიირთმევენ.

FRANKFURTER BETHMÄNNCHEN – მარციპანით, ნუშით და ვარდის წყლით დამზადებული ადგილობ-რივი საშობაო დესერტი.

APFELWEIN – მცირეალ-კოჰოლიანი ვაშლის ღვინო, რომელსაც ვაშლის წვენის დადუღებით იღებენ.

11.–15. Oktober 2017
FRANKFURTER BUCHMESSE
Ehrengast Frankreich

ყოველწლიურად, ოქტომბერში ფრანკფურტი მსოფლიოს უდიდეს წიგნის ბაზრობას მასპინძლობს. ამ დროს საგამომცემლო სფეროს წარმომადგენლები, ავტორები, მთარგმნელები, ილუსტრატორები, აგენტები მთელი მსოფლიოდან ფრანკფურტისკენ მიეშურებიან ახალი შესაძლებლობების აღმოსაჩენად. ბაზრობას 300 ათასზე მეტი ადამიანი სტუმრობს.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობას ქართველი გამომცემლები ყოველ-წლიურად ესწრებიან, თუმცა ბოლო წლებია ამ ღონისძიებამ ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, რადგან 2018 წელს ფრანკფურტის ბაზრობის საპატიო სტუმარი ქვეყანა საქართველოა.

2017 წელს წიგნის ბაზრობის ფოკუსში საფრანგეთი იყო, მომავალი წლის საპატიო ქვეყნის სტატუსი კი წელს ქართულ მხარეს ოფიციალურად მიენიჭა.

MAIN TOWER

205 მ სიმაღლის ცათამბჯენი მდინარე მაინის სახელს ატარებს. მისი მშენებლობა 1999 წელს დასრულდა და მასში ისეთი მსხვილი ბან-კებისა და ორგანიზაციების ოფისებია განთავსებული, როგორიცაა: Helaba, Merrill Lynch თუ Hessischer Rundfunk-ის სტუდიები. ცათამბჯენის ზედა სართულ-ზე რესტორანი და ბარია, ამასთან, მისი ტერასი-დან ქალაქის ყველაზე შთამბეჭდავი პანორამა იშ-ლება. აქ მოხვედრა ნების-მიერ მსურველს შეუძლია ლიფტით, რომელიც წამში 7 მ სიჩქარით მოძრაობს.

სამუშაო საათები: კვირა-ხუთშაბათი – 10.00-21.00, პარასკევი-შაბათი – 10.00-23.00; ძლიერი ქარისა და ყინვის დროს ტერასა იხურება. **ცათამბჯენზე ასვლის ფასი**: 5€

Neue MainzerStraße 47

ცათამბჯენების ქალაქში დიდი მონდომებით უფრთ-ხილდებიან შუასაუკუნე-ების ისტორიულ ცენტრს და ევეყნის მასშტაბით ყვე-ლაზე მსხვილ ინვესტი-ციებს დებენ თანამედროვე ხელოვნებისა და კულ-ტურის განვითარებაში.

KÖLN

გერმანიის სიდიდით მეოთხე ქალაქი ჩრდი-ლოეთ რაინ-ვესტფალიის რეგიონში მდებარეობს, ბელგიისა და ჰოლანდიის საზღვრებიდან რამდენიმე ათეული კილომეტრის დაშორებით. მეგაპოლისის მოსახლეობა 10 მილიონს აღემატება. კიოლნი ძველი წელთაღრიცხვით 30 წელს რომაელების მიერაა დაარსებული. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიმრავლით გამორჩეული კიოლნი ევეყნის ერთ-ერთ უმთავრეს ხელოვნების კერად მიიჩნევა.

KÖLNER DOM

გოთური არქიტექტურის შედევრი – წმინდა პეტრე-სა და მარიამის სახელზე აგებული კათედრალი მსო-ფლიოს ერთ-ერთ უმშვე-ნიერეს ტაძრად მიიჩნევა. კათედრალის მშენებლობა 1248 წელს დაიწყო და 1880 წელს დასრულდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს, მაშინ როდესაც ქალაქის ცენტრალური ნაწილის ოთხმოცდაათი პროცენტი განადგურდა, ეს ერთადერთი შენობა აღმოჩნდა, რომელიც კი-ოლნის ისტორიულ ცენტრ-ში გადარჩა, მიუხედავად იმისა, რომ ტაძარს თოთხ-მეტი ჭურვი მოხვდა და, შესაბამისად, ნაწილობრივი რეკონსტრუქცია დასჭირდა.

კათედრალის სიმაღლე 157 მეტრია. მის მთავარ ნა-წილს „მოგვთა საკურთხე-ველი“ წარმოადგენს, სადაც, გადმოცემის თანახმად,

შობის მოგვების წმინდა ნაწილებია დაცული. ტაძრის იატაკი XIX საუკუნეში Villeroy & Boch-ის მოზაი-კითაა მოპირკეთებული, ფანჯრებს კი ცნობილი თანამედროვე გერმანელი მხატვრის – გერჰარდ რიხ-ტერის ვიტრაჟები ამშვენებს. 1996 წლიდან კათედრალი იუნესკოს მსოფლიო მემკ-ვიდრეობის ძეგლების ნუსხაშია, როგორც „კაცობ-რიობის შემოქმედების გენიალური ქმნილება“.

ღიაა: ყოველდღე, ნოემ-ბრიდან აპრილის ჩათვლით – 06.00-იდან 19.30 საათა-მდე. ტაძრის კოშკზე ასვლა (590 საფეხური) 4€ ღირს, საგანძურის განყოფილების მონახულება – 5€.

Domkloster 4

დაუვიწყარი შთაბეჭ-დილების მისაღებად გირჩევთ კრუიზს მდი-ნარე რაინზე, რომელიც საშუალებას მოგცემთ, წყლის შუაგულიდან და-ათვალიეროთ არა მხო-ლოდ კიოლნის, არამედ ახლომდებარე ქალაქე-ბის – დიუსელდორფის თუ ბონის ნაპირებიც. გემით გასეირნების ღირებულება მისი ხანგრძლივობისა და მომსახურების მიხედ-ვით იცვლება. ერთსაათიანი მგზავ-რობა 12.53€ ღირს.

მუშაობს აპრილი-დან ოქტომბრის ჩათვლით ყოველ-დღე, 10.00-18.00 სთ. მგზავრობის ფასი: ერთი მიმარ-თულებით – 4.80€, ორივე მიმართუ-ლებით – 7€.

KÖLNER SEILBAHN

ევროპის ერთ-ერთი უძველესი საბაგირო მგზავრებს 1957 წლიდან ემსახურება. ის მდინარის ორ ნაპირს აკავშირებს ერთმანეთთან. საბაგიროს სიგრძე 935 მეტრია, მგზავ-რობა 7 წუთს გრძელდება და მისი სხვადასხვაფრად მოხა-ტული გონდოლებიდან მდინარისა და ქალაქის ყველაზე საუცხოო ხედი იშლება.

Riehler Str. 180

DUFTMUSEUM IM FARINA-HAUS

„მივაგენი სურნელს, რომე-ლიც მაგონებს იტალიური გაზაფხულის დილას, მთის ნარცისებს და ფოროთხლის ხის ყვავილებს ნაწვიმარზე.

ეს სურნელი მაგრილებს, გრძნობებსა და წარმო-სახვას მიღვივებს“, – ამ სიტყვებს სწერდა 1708 წელს ახალგაზრდა ჯოვანი მარია ფარინა ქალაქ კიოლნი-დან ძმას – ჯან ბატისტას იმ სურნელის შესახებ, რო-მელიც Eau de Cologne-ის სახელითაა ცნობილი და წარმოშობით იტალიელი ოჯახი გერმანიაში აწარმო-ებდა. სუნამოების მომხმა-რებლებს შორის იყვნენ იმპერატორები, მეფეები, მოცარტი და მარლენ დიტრიხი. რადგან საავტო-რო უფლებები იმხანად არ არსებობდა, ფარინების ფორმულას ბევრი მიმბაძვე-ლი გამოუჩნდა და სახელიც კი მისაკუთრეს – „ოდეკო-ლონი“, სუნამო რომელიც სინამდვილეში კიოლნში შეიქმნა. 1925 წლიდან სუნა-მოების ფაბრიკას მუზეუმიც დაემატა. **ღიაა:** ორშაბათი-კვირა – 10.00-19.00, კვირას – 11.00-17.00

Obenmarspforten 21

POTSDAM

* წარსულში პრუსიის მმართველთა სამეფო რეზიდენცია და ბრანდენბურგის ადმინისტრაციული ცენტრი – პოტსდამი გერმანიის ერთ-ერთი უმშვენიერესი და ძვირადღირებული დასახლებაა. ტბებით, ბაღებითა და მდიდრული სასახლეებით განთქმული ქალაქი 1990 წლიდან იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ნუსხაშია. პოტსდამი ბერლინის ცენტრიდან სულ რაღაც 25 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. ბერლინიდან პოტსდამში მოსახვედრად ყველაზე მოსახერხებელია რეგიონული ექსპრესით (RE; მგზავრობის ხანგძლივობა – 20 წუთი) ან ბერლინის ურბანული მატარებლით (S-bann; მგზავრობის ხანგრძლივობა – 40 წთ) გადაადგილება.*

SANSSOUCI

პრუსიის მეფის, ფრიდრიხ II დიდის საზაფხულო რეზიდენცია ქალაქის მთავარი ღირსშესანიშნაობაა. „სანსუსის“ ხშირად „გერმანულ ვერსალადაც“ მოიხსენებენ. ხელოვნების სხვადასხვა დარგით გატაცებულმა ფრიდრიხ დიდმა რეზიდენციის აშენება დედაქალაქის ქაოსისგან თავის დასაღწევად გადაწყვიტა და მისი მთავარი სასახლე, ნაწილობრივ ხელით შექმნილი ნახაზებით, იმ დროის უდიდეს არქიტექტორს – გეორგ ვენცელაუს ფონ ენობელსდორფს როკოკოს სტილში დააპროექტებინა. წარწერა **Sanssouci**, რომელიც შენობის ფასადს ამშვენებს, ფრანგულად „უდარდელს“ ნიშნავს. ერთსართულიანი რეზიდენცია, რომელიც 1745-1747 წლებში შენდებოდა, 290 ჰა-ზე გადაშლილ პარკში მდებარეობს და გორაკზე, ტერასული ვენახების თავზეა აგებული. კომპლექსში „სანსუსის“ სასახლის გარდა, ფრიდრიხ მეორის გადაწყვეტილებით, კიდევ ერთი სამეფო ნაგებობა – ახალი სასახლე აშენდა, რომელიც ე. წ. პრუსიული ბაროკოს თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს. ფრიდრიხ II-მ ის სამეფო კარის დიდგვაროვნებისა და სტუმრებისთვის ააგო, სამეფო რეზიდენციად კი პრუსიის მესამე და ბოლო იმპერატორის, კაიზერ ვილჰელმ II-ის დროს იქცა.

„სანსუსის“ კომპლექსი ასევე მოიცავს არაერთ საერო და სასულიერო ნაგებობას, სამეფო ბაღებს, შადრევნებს, ორანჟერეასა თუ პინაკოთეკას, რომელიც კარავაჯოს, ვან დეიკის, რუბენსის და სხვა დიდი მხატვრების ნამუშევრების კოლექციას მასპინძლობს. ტერიტორია, ქალაქის ისტორიული ცენტრისგან განსხვავებით, საბედნიეროდ, მეორე მსოფლიო ომს გადაურჩა და დღემდე სრული სიცხადით გადმოგვცემს ეპოქის სამეფო ხელოვნების ბრწყინვალებას.

„სანსუსის“ რეზიდენცია სამშაბათიდან კვირის ჩათვლითაა ღია, 10-იდან 18 საათამდე. ფასი: 12.00€

Maulbeerallee

FILMPARK BABELSBERG

მსოფლიოს უძველესი კინოსტუდია 1912 წელს დაარსდა და დღემდე ერთ-ერთ პრესტიჟულ და მაღალბიუჯეტიან კინემატოგრაფიულ ცენტრად მიიჩნევა. მაგალითად, აქ ბოლო ათწლეულის მანძილზე უმუშავიათ კვენტინ ტარანტინოს, რომან პოლანსკის, ჯორჯ კლუნის თუ უეს ანდერსონს.



კინოსტუდიის ისტორიის უკეთ გაცნობა კი ბაბელსბერგის კინოს მუზეუმშია შესაძლებელი, რომლის მდიდარი ექსპოზიციაც მოიცავს სცენარებს, კოსტიუმებს, მაკეტებს, ფოტოებს, დაკავშირებულს ისეთ ცნობილ ადამიანებთან, როგორებიც არიან: ასტა ნილსენი, მარლენ დიტრიხი, მანფრედ კრუგი თუ თანამედროვეობის არაერთი დიდი ვარსკვლავი.

Großbeerenstraße 200

CECILIENHOF

სასახლესთან არაერთი მნიშვნელოვანი ისტორიული პოლიტიკური მოვლენაა დაკავშირებული, მათ შორის, პოტსდამის 1945 წლის ცნობილი კონფერენცია, რომელზეც იმ დროისთვის მსოფლიო ლიდერებმა – ჩერჩილმა, სტალინმა და ტრუმენმა მსოფლიოს ბედის გადასაწყვეტად კაიზერ ვილჰელმ მეორის მიერ აშენებულ სასახლეში, ცეცილიენჰოფში მოიყარეს თავი.

Im Neuen Garten 1

ლანჩისა და შოკინგის-თვის საუკეთესო ადგილი პოტსდამის ჰოლანდიური კვარტალია. დღეს ეს ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ხალხმრავალი და ახალგაზრდული უბანია, რომლის XVIII საუკუნეში აგებული აგურის ორ- და სამსართულიანი შენობები არაერთ კაფეს, ბუტიკსა და გალერეას მასპინძლობს.

DRESDEN

საქსონიის ადმინისტრაციულ ცენტრს – მდინარე ელბის ნაპირებზე გაშენებულ ქალაქ დრეზდენს მეორენაირად ჩრდილოეთის ფლორენციასაც უწოდებენ. ქალაქი გერმანიის სამხრეთ-დასავლეთით, ჩეხეთის საზღვართან ახლოს მდებარეობს და პრაღიდან 149 კილომეტრით, ბერლინიდან კი 194 კილომეტრითაა დაშორებული. რენესანსის და ბაროკოს ეპოქის ძეგლებით განთქმული ქალაქის ისტორიული ცენტრის დიდი ნაწილი იტალიური არქიტექტურის გავლენითაა გაშენებული, მისი შემოგარენი კი რადიკალურად თანამედროვეა როგორც იერსახით, ისე ცხოვრების რიტმით.

ZWINGER

ავგუსტ მეორის მიერ მე-18 საუკუნეში აგებული არქიტექტურული კომპლექსი ქალაქის ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობაა, რომლის სასახლე, ორანჟერეა და ბაღები გერმანული ბაროკოს თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს.

მუზეუმი სამეფო პინაკოთეკას მასპინძლობს, რომლის მდიდარ კოლექციაში ძველი დროის მხატვრების 3000-მდე ნამუშევარია დაცული. მათ შორისაა ჯორჯონეს „მძინარე ვენერა“, რემბრანდტის „განიმედეს მოტაცება“ და რაფაელის „სიქსტის მადონა“, რომელიც ექსპოზიციის მთავარი შედევრია.

პინაკოთეკის გარდა კომპლექსში შეგიძლიათ დაათვალიეროთ ფაიფურის ჭურჭლის კოლექცია და ესტუმროთ მათემატიკისა და ფიზიკის ინსტრუმენტების სამეფო კაბინეტს.

ღიაა: სამშაბათიდან კვირის ჩათვლით – 10.00-18.00

Theaterplatz 1

„სიქსტის მადონა“. რაფაელი

SEMPEROPER

საქსონიის ოპერის სახელმწიფო თეატრს მეორენაირად არქიტექტორის გვარით – „ზემპეროპერად“ მოიხსენებენ. ის ერთდროულად რენესანსის, ბაროკოსა და ბერძნული კლასიციზმის ეპოქის არქიტექტურის სტილშია გადაწყვეტილი და მსოფლიოს ერთ-ერთ უმშვენიერეს საოპერო თეატრად მიიჩნევა. მან ისეთი დიდი კომპოზიტორების ნაწარმოებების პრემიერებს უმასპინძლა, როგორებიც იყვნენ ვაგნერი და შტრაუსი. დღეს თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დირიჟორი – კრისტიან ტილემანია.

Theaterplatz 2

FRAUENKIRCHE

დრეზდენის კათედრალის ისტორია ათასზე მეტ წელს ითვლის: თავდაპირველად ეკლესია ამ ადგილას XI საუკუნეში აშენდა, XIII საუკუნიდან მის საძირკველზე გოთური ტაძარი იდგა, XVIII საუკუნეში კი არქიტექტორმა გეორგ ბერმა ბაროკოს სტილის ღვთისმშობლის ტაძარი ააგო. პროტესტანტული ეკლესია 1945 წელს, მეორე მსოფლიო ომის დროს დაინგრა. კათედრალის რეკონსტრუქცია 2015 წელს დასრულდა. ტაძარში 2005 წლიდან ცნობილი ოსტატის – დანიელ კერნის ორგანია დაცული და ხშირად ეწყობა კლასიკური მუსიკის კონცერტები.

ღიაა: ყოველდღე – 10.00-18.00, შესვენების დრო – 12.00-13.00; შესვლა უფასოა, თუმცა ვიზიტორებს შეუძლიათ გარკვეული თანხა გადაიხადონ შემოწირულობის სახით.

Georg-Treu-Plats 3

BRÜHL'S TERRACE

„ევროპის აივანი“ – ამ მეტსახელით მოიხსენებენ ტერასას, რომელიც გრაფმა ჰაინრიხ ფონ ბრიულმა XVIII საუკუნეში გააშენა ქალაქის ძველი ციტადელის ნანგრევებზე. დრეზდენის ყველაზე პანორამული ტერასა, საიდანაც ქალაქის თითქმის ყველა ღირსშესანიშნაობის საუცხოო ხედები იშლება, ავგუსტისა და კაროლის ხიდებს შორის მდებარეობს და მდინარე ელბას გადაჰყურებს. ის თავდაპირველად დიდგვაროვნების კერძო საკუთრებას წარმოადგენდა, 1814 წლიდან კი საჯარო სივრცეა და ადგილობრივებისა თუ ტურისტების საყვარელი ადგილია.

Georg-Treu-Platz 1



დრეზდენისა და მდინარე ელბის ხეობა 2004 წლამდე იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში ირიცხებოდა. ახალი, ინვაზიური მშენებლობების გამო კი გაერთიანებული ერების მანათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ იძულებული გახდა, ძეგლები 2009 წელს ნუსხიდან ამოეღო.

BADEN-BADEN

„ევროპის საზაფხულო დედაქალაქი" – გერმანიის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ბადენ-ბადენი გერმანიის ყველაზე სახელგანთქმული საკურორტო ქალაქია, რომელსაც თერმულ წყლებთან, ტყე-პარკებსა და მთებთან ერთად ისეთი დიდი ფიგურების სტუმრობამაც გაუთქვა სახელი, რომორებიც იყვნენ: მარლენ დიტრიხი, ლევ ტოლსტოი, ფრიდრიხ ნიცშე თუ რიჰარდ ვაგნერი.

ქალაქში სხვადასხვა გამაჯანსაღებელი თვისების თორმეტი წყარო მოედინება. აქ ხშირად ჩამოდიან რევმატიზმის, ართრიტის, სასუნთქი გზების, კანის დაავადების სამკურნალოდ თუ, უბრალოდ, სპა-პროცედურებისგან სიამოვნების მისაღებად. რომაელები ქალაქს Aquae Aurelie-ს – „ბრწყინვალე წყლებს" უწოდებდნენ, შესაბამისად, რომაული აბანოების ნანგრევები ბადენ-ბადენში დღემდე ტურისტებისთვის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადგილია. შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ბადენ-ბადენში ვითარდება დოსტოევსკის „მოთამაშის" მოქმედება: ქალაქს, სადაც არაერთი კაზინოა, დამსვენებლების გარდა ხშირად სტუმრობენ აზარტული თამაშების მოყვარულებიც. აქაურობას დასასვენებლად, ძირითადად, შეძლებული დამსვენებლები ირჩევენ, რომლებსაც გამაჯანსაღებელი გარემოსა და მაღალი კლასის სერვისის გარდა ბადენ-ბადენი ათასგვარ თავშესაქცევს სთავაზობს კულტურული თუ სპორტული ღონისძიებების სახით.

CAFÉ KÖNIG

250 წლის წინათ დაარსებული, ლევ ტოლსტოისა და ფერენც ლისტის საყვარელი კაფე არა მხოლოდ თავისი მდიდრული ინტერიერით იზიდავს სტუმრებს, არამედ გემრიელი საკონდიტრო ნაწარმითაც. საფირმო ტკბილეულობაა ადგილობრივი კენკროვანი ტორტი: **Schwarzwälder Kirschtorte.**

Lichtentaler Strasse 12

SCHWARZWALD

ბადენ-ბადენის ცენტრიდან 4 კმ-ით დაშორებული **„შავი ტყის ნაციონალური პარკი"** იდეალური ადგილია ტრეკინგის თუ, უბრალოდ, ეკოლოგიურად სუფთა

გარემოში ფეხით ან ველოსიპედით სეირნობისთვის. ჩანჩქერებით, ტბებით და ნაკადულებით მდიდარი პარკი დამთვალიერებლებს ჯადოსნურ პანორამას სთავაზობს მდინარე რაინის ხეობისა თუ ვოგეზების მთების ხედით. ტერიტორიაზე წითელ წიგნში შეტანილი არაერთი ცხოველისა თუ მცენარის სახეობას შეხვდებით.

TRINKHALLE

პარკის შუაგულში აღმართული ნეოკლასიკური ნაგებობა, კორინთული კოლონადითა და 90 მ სიგრძის მოხატული პორტიკით. აბანოს ყოფილ შენობაში დღეს ტურისტული საინფორმაციო ცენტრია გახსნილი. შიგნით მინერალური სასმელი წყლები მოედინება, რომელთაც, როგორც ამბობენ, არა მხოლოდ გამაჯანსაღებელი, გამაახალგაზრდავებელი ეფექტიც აქვს. გირჩევთ, ბადენ-ბადენში ყოფნისას იქაურ კაფეს და რესტორანს ესტუმროთ.

Kaiserallee 3

FRIEDRICHSBAD

ეს რომაულ-ირლანდიური თერმული ცენტრია, სადაც რომაული აბანოების კულტურას ირლანდიური საუნის ტრადიციები ერწყმის. საჭიროების მიხედვით, ადგილზე მისულებს, 17 სახეობის სხვადასხვა გამაჯანსაღებელ პროცედურას სთავაზობენ. ცნობილია, რომ ამ ადგილის სტუმრობის შემდეგ, მარკ ტვენმა მეგობარს შემდეგი სიტყვები მისწერა: „ბადენ-ბადენის აბანოში ყოფნისას ათი წუთის შემდეგ დაგავიწყდებათ დროის არსებობა, ოც წუთში კი მთლიანად სამყაროს დაივიწყებთ". 140 წლის თერმული ცენტრი დღემდე ინარჩუნებს ლიდერის სტატუსს.

თერმული ცენტრი მუშაობს ყოველდღე – 09.00-20.00

ფასები მომსახურების მიხედვით მერყეობს: საბაზისო პაკეტი – 25€ ღირს, ლუქსი – 49€, Luxury Plus – 59€. თითოეულ მომსახურებაში შედის სხვადასხვა ტიპის მასაჟი.

აქვე, გიდის თანხლებით, შეგიძლიათ რომაული აბანოების ნანგრევები მოინახულოთ. ტურის ხანგრძლივობაა 45 წუთი, ღირებულება – 4€.

Römerpl. 1, 76530



გერმანიის უძველესი საპორტო ქალაქი დაარსებიდან 12 საუკუნეზე მეტს ითვლის და მიუხედავად იმისა, რომ ბრემენი ჩრდილოეთის ზღვიდან სინამდვილეში 60 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს და მისი პორტიც მდინარე ვეზერზეა აგებული, ქალაქის დიდების ამბები ისტორიულადაც და დღესაც სწორედ ზღვასთანაა დაკავშირებული.

სხვადასხვა დროს რომის წმინდა იმპერიას დაქვემდებარებული თუ ჰანზას – ვაჭართა გილდიების სამხედრო-სავაჭრო კავშირის წევრი თავისუფალი ქალაქი ბრემენი, ჰამბურგის შემდეგ, თავისი მნიშვნელობითა და მასშტაბებით, დღეს გერმანიის სიდიდით მეორე საზღვაო ქალაქად გვევლინება. 2.4-მილიონიანი მცხოვრებით ის ერთ-დროულად ინდუსტრიული, სტუდენტური და კულტურული მემკვიდრეობით გამორჩეული ქალაქია.

BREMER ROLAND

მერიის შენობის წინ დგას ქალაქის თავისუფლების სიმბოლო – კარლოს დიდის ლეგენდარული რაინდის, შუასაუკუნეების ეპოსის გმირის – როლანის ქანდაკება, რომელიც ბრემენის ერთგვარ მცველად და მფარველად გვევლინება. ფიგურის სიმაღლე 5.47 მეტრია, მთლიანად სკულპტურა კი სიგრძით 10 მეტრს აღემატება.

რაინდის ფარზე ამოტვიფრულია წარწერა, რომლითაც როლანი მოსახლეობას ამცნობს, რომ მათ ქალაქს კარლოს დიდმა თავისუფლება უბოძა. ქანდაკება სახით წმინდა პეტრეს კათედრალისკენ იყურება – თითქოს დარაჯობს სწორედ იმ ინსტიტუტს, რომელიც ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნიდა დასახლების დამოუკიდებლობას. ლეგენდის თანახმად, ბრემენი თავისუფალი იქნება იქამდე, სანამ მის მოედანზე ქალაქის მცველის – რაინდ როლანის ქანდაკება იქნება აღმართული.

BREMER MARKTPLATZ

ბრემენის უძველესი და ტურისტებისთვის ყველაზე მიმზიდველი მოედანი ქალაქის დამაარსებლის – კარლოს დიდის დროიდან არსებობს და მისი ისტორიული ძეგლები – რაინდ როლანის ქანდაკება და მერიის შენობა იუნესკოს მიერ მსოფლიო მემკვიდრეობის საგანძურადაა აღიარებული. მოედანზე ყოველწლიურად ეწყობა საშობაო და ქალაქის ყველაზე მასშტაბური და ძველი ბაზრობა – **Bremer Freimarkt**-ი, რომელიც ყოველ შემოდგომაზე, ოქტომბრის მეორე ნახევარში იმართება და 17 დღეს გრძელდება.

BREMER RATHAUS

მოედნის მთავარი მშვენება – ქალაქის მერიის შენობა, რომელიც ბრემენის სენატისა და ქალაქის თავის რეზიდენციას წარმოადგენდა, თავდაპირველად XV საუკუნეში, გოთური არქიტექტურის წესების დაცვით აიგო, XVII საუკუნის დასაწყისში კი ე. წ. „ვეზერ“ რენესანსის სტილში გადაკეთდა. ნაგებობის ფასადი სხვადასხვა ეპოქის ქანდაკებებითა და ბარელიეფითაა შემკული; გამორჩეულად საინტერესოა ე. წ. „ოქროს დარბაზი“ და მე-15 საუკუნის ენოთეკა. მერიის შენობის მარჯვნივ ბრემენის მთავარი ტაძარი – წმინდა პეტრეს კათედრალია აღმართული, მარცხნივ კი – შუასაუკუნეების ღვთისმშობლის ეკლესია.

Am Markt 21

DIE BREMER STADTMUSIKANTEN

Rathaus-ის დასავლეთი კედლის წინ ქალაქის კიდევ ერთი სიმბოლო – ბრემენელი მუსიკოსების სკულპტურა დგას, ძმები გრიმების ამავე სახელწოდების ყველაზე ცნობილი ზღაპრის გმირების – პატრონის მიერ ათვალწუნებული

ვირის, ძაღლის, კატისა და მამლის გამოსახულებით, რომლებმაც გადაწყვიტეს, მათი საოცნებო ქალაქის – ბრემენის გზას დასდგომოდნენ და მუსიკოსობით ერჩინათ თავი.

სამწუხაროდ, ზღაპარში მეოცნებეები ვერ აღწევენ დანიშნულების ადგილს, თუმცა 1953 წელს მოქანდაკე გერჰარდ მარქსმა „მუსიკოსებს“ ნატვრა აუხდინა და ბრემენის მთავარ მოედანზე ცხოველები ერთმანეთის ზურგებზე შემოსხა. „ბრემენელი მუსიკოსები“ ტურისტების ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ქანდაკებაა; არსებობს ცრურწმენა, რომლის თანახმადაც, თუკი ვირს ფეხზე ხელით შეეხები და ოცნებას ჩაუთქვამ, ის აუცილებლად აგისრულდება.

DAS VIERTEL

იდეალური ადგილია როგორც შოპინგისთვის, ისე ღამის ცხოვრებისთვის. ქალაქის ყველაზე ფერადი, სიცოცხლით სავსე და ბოჰემური კვარტალი ერთდროულად თეატრებს, საკონცერტო დარბაზებს, სამხატვრო გალერეებს თუ პაბებს და ბარებს მასპინძლობს, რომლებიც მთელი ღამის განმავლობაში ღიაა.

WELL HOUSE
House of Your Dream

ექსკლუზიურად **SOLO** მომხმარებლებისათვის

5% ფასდაკლება

- ✓ იზოლირებული საცხოვრებელი კომპლექსი ევროსტანდარტის დაცვით
- ✓ გამწვანებული რეკრეაციული ზონა
- ✓ 2 დონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომი:
  - ვენტილაციის სისტემა;
  - სენსორული განათება;
  - სახანძრო ჰიდრონატი.
- ✓ მაღალხარისხიანი ევროპული სამშენებლო მასალები
- ✓ თანამედროვე OTIS -ის ფირმის ლიფტები
- ✓ Ytong -ის ფირმის ენერგოეფექტური სამშენებლო ბლოკი
- ✓ Rehau -ს ფირმის კარ-ფანჯრები და ვიტრაჟები

დასრულებული საცხოვრებელი კომპლექსი

საბურთალოზე

ქავთარაძის ქ. №22 / უნივერსიტეტის ქ. №3

www.facebook.com/wellhouse.ge

ელ-ფოსტა: mari@wellhouse.ge

მობ.: (+995) 577 22 45 85

ვებ ბვეჰდი: www.wellhouse.ge

ტელ.: (+995 32) 2 21 28 13; 2 31 28 14

VIVA Development

მაღალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი ბაბებში

- შინდღეის შუშის ღიფტები
- ბამნვანებული შიდა ეზო
- ფეხბურთის მოედანი
- ბინები 45 m^2-ღან
- ეკოლობიურად სუფთა ბარემო
- ალემინის კარ-ფანჯარა

WWW.VIVADEVELOPMENT.GE + (995) 577 44 48 44 წყნეთის გზატკეცილი N 15/17

VIVA Development



წყნეთის გზატკეცილი N 15/17 + (995) 577 44 48 44

ჭავჭავაძის გაქვ. №50

m² ჭავჭავაძეზე

იცხოვრე უკეთესად თბილისის ყველაზე პრესტიჟულ გამზირზე.

ბინები დასრულებული რემონტით ბარდება 2018 წლის სექტემბერში.

2 444 111 | www.m2.ge